ალიოშა ჯაფარიძე

K 153·920
3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეინაკლასიზრული ზრამოლა ფეოდალური საქართველოში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალიან შეფერეული

9(47.922)
ვ-59

ეპიკური ზრახული ფეოდალური საქართველოში

(XII საუკუნე)

ГПА К 153.920
3

«საბჭოთა საქართველო»
თბილისი
1973

ეროვნული
ბიბლიოთეკა

9 (C41).
9 (41,322).
მ 596

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს ქართულ, სომხურ, აღმოსავლურ და ევროპულ ენებზე არსებული წერილობითი წყაროების გამოყენებისა და არქეოლოგიური, ეპიგრაფიკული და ნუმიზმატიკური მასალის გათვალისწინების საშუალებით, კლასებისა და კლასთა ბრძოლის შესახებ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შუქზე, გაარკვიოს XII საუკუნის ფეოდალურ საქართველოში მიმდინარე შინაკლასობრივი ბრძოლების გამომწვევი მიზეზები, მიმდინარეობა და შედეგები; წიგნში მოცემულია საქართველოს ისტორიის (XI—XII ს.ს.) ზოგიერთი საკითხის ახლებურად გაგებისა და რიგი თარიღების დაზუსტება-დადგენის ცდა.

M $\frac{(0161)-284}{M\ 601(08)-73}$ 212 shi—73

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ 1973

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ე ს ა ვ ა ლ ი

კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის საკითხები ფეოდალური საქართველოს (ისე როგორც მსოფლიოს ყველა ქვეყნის) ისტორიაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. წინამდებარე ნაშრომი საქართველოში მოწიფული ფეოდალიზმის ხანის ერთ მონაკვეთს ეხება. ეს მონაკვეთი XI საუკუნის მიწურულში იღებს თავის საწყისს და XIII საუკუნის 20-იან წლებამდე გრძელდება. ამდენად, ფაქტიურად ჩვენ გვიხდება XII საუკუნის საქართველოს კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის ისტორიის შესწავლა-მიმოხილვა.

ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში კარლ მარქსმა და ფრიდრიხ ენგელსმა პირველებმა ჩაუყარეს საფუძველი საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ მეცნიერებას და ისტორიული მატერიალიზმის არა მხოლოდ ზოგადი თეორია მოგვცეს, არამედ მთელ რიგ თავიანთ ნაშრომებში ბრწყინვალედ გვიჩვენეს მისი პრაქტიკული გამოყენება. მათ გენიალურად დაასაბუთეს საზოგადოების კლასებად დაყოფის მიზეზები და არსი და „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ ხმამაღლა გამოაცხადეს, რომ „დღემდე არსებული ყველა საზოგადოების ისტორია არის კლასთა ბრძოლის ისტორია.

თავისუფალი და მონა, პატრიცი და პლებეი, ბატონი და ყმა, ოსტატი და ქარგალი, მოკლედ — მჩაგვრელი და დაჩაგრული მუდმივ ანტაგონიზმში იყვნენ ერთმანეთთან, ეწეოდნენ შეუწყვეტელ — ხან მალულ, ხან აშკარა ბრძოლას“ [1].

ვ. ი. ლენინმა, განავითარა რა საერთოდ მარქსიზმი, და

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, თბ., 1968, გვ. 52.

კერძოდ, მარქსისტული მოძღვრება კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის შესახებ სრულიად მართებულად მიიჩნია რომ „Вопрос о классовой борьбе есть один из самых основных вопросов марксизма“[1].

ისტორიის მსვლელობა გვიჩვენებს, რომ ფეოდალური საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის განვითარებასთან ერთად იცვლება სახელმწიფოს წყობილების ფორმა, რის ახსნასაც ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ცდილობს ახალი სამართლებრივი, რელიგიური და მორალურ-ეთიკური იდეების აღმოცენებით. ამასთანავე გაზვიადებულ როლს მიაწერენ გაბატონებულ წრეებსა და მმართველებს, რომლებიც თითქოს დაინტერესებულნი არიან საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გაუმჯობესებითა და სრულყოფით. მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება, არ უარყოფს რა ახალი იდეებისა და ქვეყნის მმართველი წრეების მნიშვნელობას, მიიჩნევს, რომ სახელმწიფო წყობილების ცვლილებას ეკონომიურ და სოციალურ ურთიერთობათა განვითარება განაპირობებს. ფეოდალური ეპოქისათვის ეს ცვლილებები მიწათმფლობელურ ურთიერთობებთან და უშუალო მწარმოებელთა (გლეხები, ხელოსნები) ექსპლოატაციის ფორმების ცვლილებასთანაა დაკავშირებული. აქ არ შეიძლება თავისი ადგილი არ დავუთმოთ ფეოდალური საზოგადოების განვითარებაში კლასობრივი ბრძოლების როლს, ამასთანავე საზოგადოების გაბატონებულ კლასს შიგნით არსებულ პოლიტიკურ უთანხმოებებს, შინაკლასობრივ ბრძოლებს, რამაც ფეოდალური საქართველოს სინამდვილეში განსაკუთრებული რელიეფურობით იჩინა თავი. სწორედ კლასობრივი ბრძოლა არის ისტორიისა და საზოგადოების მამოძრავებელი და წარმმართველი ძალა.

XII საუკუნე ფეოდალური საქართველოს ისტორიაში მეტად საინტერესო ხანაა. ამ პერიოდში საქართველოს სახელმწიფო დაწინაურდა პოლიტიკურად, ეკონომიურად და კულტურულად. ფეოდალური ქვეყნის საზღვრები მნიშვნელოვნად გაფართოვდა. საწარმოო ძალთა ზრდამ ქვეყანა ეკონომიური აღორძინების გზაზე დააყენა. განვითარდა სოფლის მეურ-

---

[1] В. И. Ленин, О либеральном и марксистском понятии классовой борьбы, ПСС, изд. пятое, т. 23, стр. 238.

ნეობა, ხელოსნობა, ვაჭრობა; გაიზარდა და ამაღლდა ქალაქების როლი სახელმწიფოს ცხოვრებაში. ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერება განაპირობა ქართველი ხალხის თავგანწირულმა ბრძოლამ მომხდური მტრის წინააღმდეგ. აგრეთვე მთელმა რიგმა ქმედითმა ღონისძიებებმა, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლების მიერ იქნა გატარებული.

ისევე, როგორც ყველა ფეოდალურ სახელმწიფოებში, XII საუკუნის საქართველოშიც მთელი სიმძაფრით მიმდინარეობდა კლასობრივი ბრძოლა, რაც გაძლიერებულ ექსპლუატაციაზე მიუთითებს. ქრება მდაბიორ-მოლაშქრეთა ფენა და ხდება მისი გადასვლა გლეხობაში. ეს იყო „ყველაზე უფრო ღრმა და მნიშვნელოვანი სოციალური პროცესი, რომელიც საქართველოში ფეოდალურმა ურთიერთობამ კლასთა ბრძოლის გაღრმავება-განვითარების გზით განიცადა“ [1].

XII საუკუნე (სოციალური და პოლიტიკური თვალსაზრისით) საქართველოში არ ყოფილა ერთფეროვანი. განსაკუთრებით საინტერესოა ამ პერიოდის შინაკლასობრივი ბრძოლები, ბრძოლები სამეფო ხელისუფლებასა და დიდგვაროვან ფეოდალებს შორის; სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის.

ეწვავე შინაკლასობრივი ბრძოლა, რომელსაც სხვადასხვა მიზეზები და მიზნები ჰქონდა, თავის მხრივ კიდევ უფრო ამძაფრებდა კლასობრივ ბრძოლას, რადგან მისი სიმძიმე სოციალურად დაბალ საფეხურზე მდგომ მოსახლეობას აწვა ტვირთად.

კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის შესწავლის მნიშვნელობასა და აქტუალობაზე, ვფიქრობთ, ზედმეტია ლაპარაკი. საბჭოთა ისტორიოგრაფია ფართო მასშტაბით იკვლევს აღნიშნულ საკითხებს. მნიშვნელოვანი დამსახურება აქვთ ამ მხრივ რუს მედიევისტებს, რომლებიც პრობლემას იკვლევენ მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის შუქზე, სათანადოდ ეხმაურებიან ბურჟუაზიულ ისტორიკოსთა შეხედულებებს და ჭეშმარიტ მეცნიერულ აზრს ამკვიდრებენ.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958, გვ. 180.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოცემული პრობლემის შესწავლა-დამუშავება გარკვეულად ჩვენს ისტორიოგრაფიაშიც მიმდინარეობს. მხედველობაში გვაქვს ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია, რადგან ადრინდელ ისტორიკოსებს ვერ მოვთხოვთ კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის საკითხების მარქსისტულ გაგებაგაშუქებას. ისტორიოგრაფიის განვითარების დღევანდელი დონე მოითხოვს საკითხების ღრმა და საფუძვლიან შესწავლას. რაგინდ შორეულ წარსულს არ უნდა ეხებოდეს შესასწავლი პრობლემა და რაგინდ მოშორებული არ იყოს დროის მიხედვით დღევანდელი დღისგან, თანადროულობა მაინც ასვამს თავის ანაბეჭდს მის გამოკვლევას. ეს ჭეშმარიტება ვ. ი. ლენინის მიერ ასე იქნა ფორმულირებული — „Жить в обществе и быть свободным от общества нельзя“[1].

ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორც ფეოდალურ ქვეყნებში (ჩვენს შემთხვევაში საქართველოში) კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლაა, საჭიროა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შუქზე იქნას შესწავლილი, რათა მთელი სისრულით გამოვლინდეს ამ ბრძოლების ნამდვილი არსი.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს ქართულ, სომხურ, აღმოსავლურ და ევროპულ ენებზე არსებული წერილობითი წყაროების გამოყენებისა და არქეოლოგიური, ეპიგრაფიკული და ნუმიზმატიკური მასალის გათვალისწინების საშუალებით გაარკვიოს XII საუკუნის ფეოდალურ საქართველოში მიმდინარე შინაკლასობრივი ბრძოლის[2] გამომწვევი მიზეზები, მიმდინარეობა, ხასიათი და შედეგები, ე. ი. შინაკლა-

---

[1] В. И. Ленин, Партийная организация и партийная литература, ПСС, изд. пятое, т. 12, стр. 104.

[2] ასეთი ბრძოლა მთელი საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა ფეოდალურ საქართველოში. ჩვენ საგანგებოდ ვეხებით ბაღვაშთა და აბულეთისძეთა ბრძოლას სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ დავით აღმაშენებლის დროს, დემეტრე პირველსა და დავით მეხუთეს შორის არსებულ უთანხმოებას, ორბელთა ამბოხებას, ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის გამოსვლას, იური ანდრიასძის შემოსვლას საქართველოში და მასთან ერთად ფეოდალური და საქალაქო ზედა ფენების მეფის საწინააღმდეგო მოქმედებას, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობისა და სხვ. საკითხებს.

სობრივი ბრძოლის ძირითადი ტენდენციები; რა გავლენას ახდენდა ფეოდალური ქვეყნის განვითარებაზე, რა მსგავსება ან განსხვავება იყო მოცემული საუკუნის სხვადასხვა ბრძოლების ხასიათსა და მიმდინარეობას შორის, რამდენად დადებით, ან უარყოფით მოვლენას წარმოადგენდა ფეოდალური ქვეყნისათვის საერო ან სასულიერო, ან კიდევ საქალაქო არისტოკრატიის ბრძოლა სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი პირველი

წყაროები და ისტორიოგრაფია

ა) წყაროები

XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფოში კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის შესწავლა მოითხოვს ამ პერიოდის საქართველოს ისტორიის შესახებ არსებული წყაროების საფუძვლიან მიმოხილვას. ეს საუკუნე თავისი მასშტაბურობით, პოლიტიკური თუ სოციალური ცხოვრებით იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ იმთავითვე მიიქცია ისტორიკოსთა ყურადღება. სწორედ ძველი თუ ახალი ისტორიკოსების ნაშრომები, რომლებიც ისტორიული წყაროების სახით დაცულია ქართულ, სომხურ, აღმოსავლურ და ევროპულ ენებზე, შესაძლებლობას გვაძლევენ მეტნაკლებად სრულად წარმოვიდგინოთ ეს მრავალმხრივად საინტერესო ეპოქა საქართველოს ისტორიაში. წერილობით წყაროებს რამდენადმე ავსებს აღნიშნული დროის არქეოლოგიური, ეპიგრაფიკული და ნუმიზმატიკური მასალა.

პირველხარისხოვანი ჩვენთვის საკვლევი საკითხის შესასწავლად მაინც, რა თქმა უნდა, ქართული წერილობითი წყაროებია, ამიტომ ჩვენ შევეცდებით შესაძლებლობის ფარგლებში მიმოვიხილოთ ისინი და აგრეთვე მათთან დაკავშირებული საკითხები.

ძველი ქართული ისტორიოგრაფიის მეტად მნიშვნელოვანი ძეგლი და პირველხარისხოვანი წყაროა „ცხოვრება მეფეთა-მეფისა დავითისი“, რომელშიაც მოთხრობილია ნაწილობრივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი მეორის, ხოლო ძირითადად დავით აღმაშენებლის ისტორია, უფრო სწორად — XI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა და XII საუკუნის (30-იან წლებამდე) საქართველოს ისტორია.

ფაქტობრივი მასალის მართებული გადმოცემით, წერისა და თხრობის მაღალი კულტურით, მასშტაბურობით, ერუდიციის დონით, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისის" ავტორმა ქართველ ისტორიკოსთა შორის იმთავითვე თვალსაჩინო ადგილი დაიკავა, ხოლო თვით თხზულება ქართული ისტორიოგრაფიის მწვერვალად იქნა მიჩნეული.

დავით აღმაშენებლის ისტორია ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა მარიამ დედოფლისეული „ქართლის ცხოვრების" აღმოჩენის შემდგომ. სწორედ აქ არის თხზულება მოხსენიებული სათაურით: „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი". მარიამ დედოფლისეული „ქართლის ცხოვრების" აღმოჩენამდე, როგორც ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, „ჩვენ თითქმის ვერც კი წარმოგვედგინა, რომ დავით აღმაშენებელს თავისი ცალკე მემატიანე ჰყავდა" [1].

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში ძალზე საინტერესოდ აისახა საქართველოს ისტორიის მეტად მნიშვნელოვანი პერიოდი (თითქმის მთელი ნახევარი საუკუნე) მისთვის დამახასიათებელი კლასობრივი, თუ შინაკლასობრივი ბრძოლებით, საგარეო პოლიტიკური ურთიერთობით, ეკონომიური მდგომარეობით, ხელოვნებითა და კულტურით.

უდავოა ის ფაქტი, რომ „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისის" ავტორი თხზულებაში აღწერილი ამბების თვითმხილველი და ამასთანავე საქართველოს მეფესთან მეტად დაახლოებული კაცი ჩანს.

დადგენილია, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულება შეიქმნა საქართველოს მეფის გარდაცვალების შემდგომ ახლო პერიოდში. დავითის თანამედროვე ისტორიკოსს საშუალება ჰქონდა საკუთარი თვალით ნანახი და ყურით გაგონილი შეეჯერებინა და იმ პერიოდის ობიექტური ისტორია მოეცა (ობიექტურს როდესაც ვამბობთ, ვგულისხმობთ რიგი

---

[1] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V — XVIII), 1945, გვ. 208.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაქტების გადმოცემას, რომლებსაც ადგილი ჰქონდა XI საუკუნის მიწურულსა და XII საუკუნის პირველ მეოთხედში. რაც შეეხება სხვადასხვა მოვლენათა შეფასებას, აქ ისტორიკოსის საქართველოს მეფისადმი მიუკერძოებლობა გამორიცხულია).

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ფრიად განსწავლულ და განათლებულ პიროვნებად გვევლინება. თხზულებიდან ჩანს, რომ მან კარგად იცის დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურა, ისტორია და ლიტერატურა. ისტორიკოსი თანმიმდევრულად განიხილავს დავით აღმაშენებლის ღონისძიებებს პოლიტიკურ, სამხედრო, საეკლესიო და კულტურის სფეროში. იგი მოხიბლულია დავითის ნიჭითა და გამჭრიახობით. მემატიანე ფაქტებისა და მოვლენების განზოგადების დიდ ალღოს ამჟღავნებს.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ადგილი იმდროინდელ ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში გარკვეულია: იგი თავისი იდეურ-პოლიტიკური მრწამსით მეფის მომხრე და მხარისდამჭერთა დასს ეკუთვნოდა, დასს, რომელიც მთავრების, დიდგვარიანი აზნაურების პოლიტიკური უფლებების შეზღუდვას, სახელმწიფო, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მოწესრიგებას, ქვეყნის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული წინსვლისათვის ხელშეწყობას მოითხოვდა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმა ერთ-ერთმა პირველმა ძალზე მკვეთრად, რელიეფურად გადმოსცა ის მწვავე შინაკლასობრივი ბრძოლის ამბები, რომელსაც იმდროინდელ ფეოდალურ საქართველოში ჰქონდა ადგილი; აღიმაღლა ხმა მეფისა და ქვეყნის ორგული დიდებულების წინააღმდეგ და აშკარად გამოხატა მათდამი ზიზღი და სიძულვილი. შემთხვევითი არ არის, რომ მეფის რთულ და მრავალრიცხოვან მოვალეობათა შორის („ვითარ ვინ აღრიცხნეს, რაოდენი საქმენი ეთხოვებიან მეფობასა, რაოდენი მართებანი და განსაგებნი") საგანგებოდაა გამოყოფილი: „განხეთქილობათა კრძალვანი" და „მთავართა ზაკვისა ცნობანი". დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი თხზულებიდან აქტიური პოლიტიკური მოღვაწე ჩანს და არა ფაქტების უბრალო გად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომცემი. მან თავისი გმირი — დავით აღმაშენებელი ფანერაზე ასპარეზზე წარმოაჩინა და საგანგებოდ აღნიშნა მისი ხელმძღვანელობით შესრულებული მეტად დიდი მნიშვნელობის აქტი — საქართველოს ძლიერი სახელმწიფოს შექმნა.

„დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულება — აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი, დაწერილია მშვენიერი მხატვრული, კეთილშობილური ენით და ისეთის გულწრფელობით და იმდენად საგულისხმოდ, რომ მკითხველი უნებლიედ მისდევს მის მსჯელობას და იხიბლება მისი მაღალხარისხოვანი მოთხრობით.

ამასთანავე იგი მრავალ ქრონოლოგიურ ცნობას შეიცავს და უაღრესი ნდობის ღირსია. თითოეული მისი ცნობის სიმართლის დამტკიცება შეიძლება უცხო ქვეყნელ და შეზობელთა ისტორიკოსებთან შედარებით“[1]. ყველა სხვა ღირსებებთან ერთად სწორედ გადმოცემული მრავალფეროვანი და საინტერესო მასალის სანდოობა არის ის აუცილებელი პირობა, რაც ამ თხზულებას პირველხარისხოვან წყაროდ ხდის ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესწავლის საქმეში.

XII — XIII ს.ს. ეკუთვნის ლაშა გიორგისდროინდელი მემატიანის სახელით ცნობილი უცნობი ავტორის თხზულება, რომელშიც შესულია: „ცხოვრება დემეტრე მეფისა“, „ცხოვრება გიორგი მეფისა“, „ცხოვრება დიდისა მეფეთ-მეფისა თამარისი“, „ცხოვრება გიორგი მეფისა, თამარის ძისა“

მიუხედავად იმისა, რომ ეს მატიანე რამდენადმე ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს (ამდენი მეფის ცხოვრების აღწერისათვის მოცულობითაც მცირეა), იგი მეტად საინტერესო და უთუოდ საჭირო წყაროა XII საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის გარკვევა-შესწავლისათვის. მემატიანე მეტად მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის XII საუკუნის საქართველოში არსებული შინაკლასობრივი (მეფეებისა და დიდგვარიანებს შორის) ბრძოლების შესახებ. ასე მაგ.: დემეტრე პირველისა და ივანე აბულეთისძის ურთიერთობის, ორბელთა ამბოხების, თამარ მეფის დროს არსებული შინაკლასობრივი ბრძოლების შესახებ.

XII საუკუნის საქართველოს ისტორიის ამსახველ წერი-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V — XVIII), 1945, გვ. 219.

ლობით წყაროთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებას „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, რომელიც გიორგი მესამისა და თამარის მოღვაწეობის აღწერისადმია მიძღვნილი.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, მარიამ დედოფლის ბრძანებით 1633 — 1645 წწ. გადაწერილი, „ქართლის ცხოვრების“ ნუსხაში იქნა შეტანილი. (ეს ნუსხა 1884 წელს აღმოჩნდა და ამ დროიდან გახდა ცნობილი).

აღნიშნული თხზულების გამოკვლევას საგანგებო ნაშრომები უძღვნეს აკად. ივ. ჯავახიშვილმა (იხ., ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თამარ მეფის ისტორიკოსი, თბ., 1945 წ., გვ. 220 — 241), აკად. კ. კეკელიძემ („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, როგორც ლიტერატურული წყარო“, რუსთაველის კრებული, თბ., 1938, გვ. 121 — 158, მ ი ს ი ვ ე, ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი (ცდა ტექსტის დადგენისა , თბ., 1941), თ. ჟორდანიამ, პ. ინგოროყვამ, ს. კაკაბაძემ და სხვ.

თხრობის მაღალი ოსტატობით თამარის პირველი ისტორიკოსი ახერხებს სისრულით გადმოგვცეს გიორგი მესამისა და თამარის მეფობის ისტორია, ეხება მეტად მრავალფეროვან და ამასთანავე საინტერესო საკითხებს, რომლებიც XII—XIII სს. საქართველოს ცხოვრების საშინაო თუ საგარეო სფეროში ხდებოდა.

თხზულების ავტორი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის იმ ხაზის ერთგული დამცველია, რომელსაც სამეფო ხელისუფლება ატარებდა. იგი საქართველოს დაწინაურება-გაძლიერებას გიორგი მესამესა და თამარ მეფეს მიაწერს. ისტორიკოსის დახასიათებით, გიორგი იყო „მზე მნათობთა შორის, ალექსანდრე და ქაიხოსრო მპყრობელთა შორის“... „არა არს კაცი დღეს პირისპირ შემბმელი გიორგისი და მისთა ლაშქართა ქუეყანასა ზედა“. ასევე განსაკუთრებული ეპითეტებით არის შემკული თამარ მეფეც.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ შეიცავს მდიდარ მასალას ჩვენთვის საინტერესო საკითხის ირგვლივ, კერძოდ, იმ მწვავე შინაკლასობრივი ურთიერთობების შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში XII საუკუნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე ნახევარში. აღწერილია დემეტრე უფლისწულ-ორბელთა ამბოხება გიორგი III-ის წინააღმდეგ. საინტერესო ცნობებია მოცემული დიდგვაროვან ფეოდალთა თამარის წინააღმდეგ მოქმედების, ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის გამოსვლის შესახებ, იური ანდრიას ძის და მასთან ერთად ქართველი დიდგვაროვანი ფეოდალების მეფის საწინააღმდეგო მოქმედების შესახებ და სხვ.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", როგორც ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაშია დამტკიცებული, სანდო წყაროა და ამდენადაც იგი ძვირფასი მასალაა XII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის შესწავლისა და გადმოცემისათვის.

თამარ მეფის მეორე ისტორია „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი" (1923 წ. აღმოაჩინა და შემდგომში საგანგებოდ შეისწავლა ივანე ჯავახიშვილმა) [1] ბევრ ისეთ ცნობას შეიცავს, რომელიც არსად სხვაგან ცნობილი არ არის და მნიშვნელოვანწილად ავსებს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ცნობებს და იძლევა საშუალებას XII საუკუნის დასასრულისა და XIII საუკუნის დამდეგის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის გაშუქებისათვის.

ამ თხზულებას სათანადო ყურადღება მიაქციეს კ. კეკელიძემ, ა. შანიძემ, ს. კაკაბაძემ, ს. ყაუხჩიშვილმა, ი. აბულაძემ, ი. ლოლაშვილმა, კ. გრიგოლიამ და სხვებმა.

თამარის მეორე ისტორიკოსი საყურადღებო ცნობებს გვაწვდის სახელმწიფოსა და ეკლესიის ზოგიერთ მესვეურთა შორის გამწვავებულ ურთიერთობაზე, თამარის სახლობასთან დაკავშირებით დიდებულთა მოქმედებასა და სხვა საკითხების შესახებ.

„ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი" მართალია, მოცულობით არც თუ ისე დიდი ნაწარმოებია, მაგრამ თავისი ღირებულებით იგი სამართლიანად ითვლება XII — XIII ს.ს. მიჯნის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ პირველხარისხოვან

---

[1] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის მეორე აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, თბილისი, 1923, გვ. 207.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყაროდ, ხოლო ამ თხზულების ავტორი საპატიო ადგილს იჭერს ძველ ქართველ ისტორიკოსთა შორის.

XII საუკუნის საქართველოს საშინაო პოლიტიკის სრულყოფილი გარკვევისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ პერიოდის სხვადასხვა სახის დოკუმენტურ მასალას. მხედველობაში გვაქვს ყველა ის საკანონმდებლო ძეგლები (საერო და საეკლესიო დადგენილებანი, განკარგულებანი თუ სხვ.), რომლებიც XII საუკუნის მთელ სიგრძეზე იქმნებოდა სხვადასხვა საერო თუ საეკლესიო პირების მიერ. გამოვყოფთ დავით აღმაშენებლის ორ — 1123 წლისა და 1125 წლის ანდერძებს (საანდერძო განკარგულებებს).

1123 წელს შირვანზე გალაშქრების წინ დავით აღმაშენებელს შიო-მღვიმის მონასტრისათვის მიუცია სიგელი, რომელიც საინტერესო ცნობებს შეიცავს, როგორც საეკლესიო ყოფა-ცხოვრების დასახასიათებლად, ასევე იმ რთული ბრძოლების შესახებ, რომლებიც სამეფო ხელისუფლებასა და დიდგვაროვან ფეოდალებს შორის წარმოებდა. იგი ერთადერთი საბუთია, სადაც დაცულია დავით აღმაშენებლის ავტოგრაფი. დავითის მიერ შიო-მღვიმის მონასტრისადმი ბოძებული სიგელი ანდერძის სახელითაა ცნობილი ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში. მისი პირველი სიტყვები „ნებითა ღმრთისაითა მე, დავითს მიწყიეს“ [1] დაწერილია მხედრულად და როგორც მეცნიერები მიიჩნევენ, თვით დავით აღმაშენებლის ხელით. ანდერძის დასასრულს ასევეა მხედრულად დავითის მინაწერი: „სიმტკიცეო ყოველთაო, ღმერთო, მტკიცე მტკიცედ აქციე“ [2].

ანდერძი გვამცნობს, რომ დავით აღმაშენებელი შირვანზე წასვლის წინ შეევედრა „შეწევნად“ წმინდა მამას შიოს. „ვიხილე ეკლესია ჩემ-მიერ აღშენებული დასრულებულად; და მივიღე ლოცვა ყოველთა მამათა“ [3]. ანდერძის ამ ნაწილიდან ისიც დასტურდება, რომ შიო-მღვიმის სამონასტრო

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძის რედაქციით, თბ., 1965, გვ. 12.

[2] იქვე, გვ. 18.

[3] იქვე, გვ. 12.

ნაგებობათა შორის ერთ-ერთი ტაძარი დავით აღმაშენებელს აუშენებია („ჩემ-მიერ აღშენებული“).

ანდერძში ხაზგასმულია ის დამოკიდებულება, რომელიც მეფესა და ეკლესიას შორის არსებობდა. როგორც ჩანს, შირვანის წინააღმდეგ ბრძოლა მეტად დიდმნიშვნელოვან და საბედისწერო მოვლენად მიაჩნდათ. შესაძლო იყო საქართველოს მეფე ვეღარც დაბრუნებულიყო ამ ლაშქრობიდან და ამიტომ დაუჩქარებია თვით მეფეს არსენ ბერის ჩაგონებით ანდერძის დატოვება. „სასომან და განმანათლებელმან ჩემმან ბერმან არსენი მიბრძანა ამის ანდერძისა დაწერა“ [1]. საქართველოს მეფეს უფრო ვრცელი ანდერძის დატოვება ჰქონია განზრახული, მაგრამ სიჩქარის გამო ვეღარ მოუხერხებია — („ხოლო დაკლებული სისწრაფისა არს“). დავითი იქვე აღნიშნავს, რომ „თუ ინებოს ღმერთმან ჩემი შემოქცევა (შირვანის ლაშქრობიდან — რ. მ.) უმჯობესად შეიცვალოს (ანდერძი — რ. მ.)“ [2]. 1123 წელს ანდერძი დავით აღმაშენებელს გარკვეული დროით აქვს გაცემული, იმ ვარაუდით, რომ იგი მომავალში შეცვლილიყო (გაფართოებულიყო). „უკეთუ ჟამი მომცეს ღმერთმან და სხუა უახლესი ანდერძი დავწერო, — აღნიშნავს მეფე, იგი თქუენ, თქუენ-მიერითა კანონითა, უჯუარობითა, წყევითა და შეჩუენებითა დაამტკიცეთ, წმიდაო მეუფეო ქართლისა კათალიკოზო და ყოველნო მღვდელთ-მოძღუარნო“ [3]. აქვე დავით აღმაშენებელი არ გამორიცხავს იმას, რომ შესაძლებელია ახალი ანდერძის შექმნა ვეღარ მოხერხდეს და ასეთ შემთხვევაში ზემოთ აღნიშნულის დამტკიცებას მოითხოვს: „და თუ სხვისა დაწერად ჟამი აღარ მომხუდეს, თვით ესე დაამტკიცეთ“ [4].

შიო-მღვიმისადმი დავით აღმაშენებლის ბოძებულ სხვა ანდერძს (უფრო სწორად განახლებულ ანდერძს) ჩვენამდე არ მოუღწევია და უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ 1123 წლის სიგელმა (საანდერძო განკარგულებამ) მიიღო კანონის ძალა.

აღნიშნული საბუთი საკმაოდ საინტერესო კომენტარითა და რუსული თარგმანითურთ გამოსცა და ხელმისაწვდომი გა-

---

[1] იქვე, გვ. 12.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 18.
[4] იქვე.

ხადა თ. ჟორდანიამ [1]. „ანდერძი“ იძლევა უაღრესად დიდ საინტერესო მასალას იმდროინდელი საეკლესიო ცხოვრების შესახებ და საკმაოდ გამოკვეთილად გვაძლევს ცნობას ზოგიერთი ფეოდალის თავგასული, უგვანო მოქმედების შესახებ. ასეთები კი მრავლად ყოფილან, რომლებიც „ცხადთა წინააღმდგომთად“[2] (აშკარა მოწინააღმდეგეებად) იწოდებიან. მათ სიმრავლეზე ისიც მიუთითებს, რომ „ანდერძი“ ხაზგასმით ამბობს „ერთმან მათგანმან, ძაგანმან“... [3] და ა. შ. ე. ი. ძაგანი სამეფო კარის ერთი მოწინააღმდეგეთაგანი იყო (და არა ერთადერთი).

1123 წლის ანდერძის მიხედვით, დავით აღმაშენებელს შიო-მღვიმის მონასტრისათვის უამრავი ქონება უბოძებია და განუსაზღვრავს წესი და რიგი მონასტერში ცხოვრება-სამსახურისა. ანდერძიდან ასევე ირკვევა, რომ ღვთისმშობლის სახელობის დიდი უგუმბათო ეკლესია დავით აღმაშენებელს აუშენებია იმ დიდი სამსახურის საფასურად, რაც მემღვიმეებს მეფისათვის გაუწევიათ (დავით აღმაშენებლისაგან დევნილი და მღვიმეს შეფარებული ძაგანი შეუპყრიათ და მიუციათ მეფისთვის): „მწყემსი უკარო ჭეშმარიტთა მწყემსთა მიერ დაემჯუა. და ძაგანი, მღუიმეს შელტოლვილი, მომცა ღმერთმან, რომელსა შინა არა-მცირედი ერთგულება აჩვენეს ჩუენდა მიმართ მამათა მემღჳმეთა...“ [4] ძაგანთან და მის მსგავს ფეოდალებთან ბრძოლა მძიმე იყო საქართველოს სამეფო კარისათვის. ძაგანის შეპყრობისთანავე დავითმა მადლობა უთხრა „დამბადებელსა ღმერთსა“ — და მყისვე ბრძანა მონასტრის აშენება „სახელსა ზედა ღმრთისმშობლისასა“ [5].

---

[1] Ф. Жордания, Завещание царя Давида Возобнавителя, данное Шио-мгвимской лавре в 1123 г., Тифлис, 1895.

იხ. მისივე, ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა, თბილისი, 1896, გვ. 14 — 18.

[2] Ф. Жордания, Завещание, გვ. 10 შდრ., ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 12.

[3] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 13.

[4] იქვე, გვ. 13.

[5] დავით აღმაშენებელი, როგორც ჩანს, დიდ ყურადღებას აქცევდა მის მიერ აგებულ მონასტერს და მის შემდგომ ბედზეც ზრუნავდა. „და თქუენ შემდგომად მომავალნო მეფენო! ჩემსა ეკლესიასა და მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძაგანისა და მისი ძმის მოდისტოსის მეფის წინააღმდეგ მოსვლის შესახებ მხოლოდ „ანდერძი“ გვაძლევს ცნობას და ეს კიდევ უფრო ზრდის მის მნიშვნელობას.

დავით აღმაშენებლის მიერ შიო-მღვიმისადმი 1123 წ. ბოძებული ეს სიგელი იმდროინდელი საქართველოს სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის ბევრი საკითხის შესასწავლად გვაწვდის გასათვალისწინებელ ცნობებს.

განსაკუთრებულ ყურადღებას, როგორც ისტორიული წყარო, იქცევს დავით აღმაშენებლის 1125 წლის ანდერძი, ე. წ. „ანდერძი წმიდისა მეფისა დავით აღმაშენებლისა, პანკრატიონ დავითიანისა, რომელი წარმოუთხრა მოძღუარსა თჳსსა არსენის ჟამსა გარდაცვალებისა თვისისასა ყოველთათჳს დიდებულთა თჳსთა“. აღნიშნული ძეგლი მ. საბინინმა გამოაქვეყნა „საქართველოს სამოთხეში“; მის მიერ გამოცემული ტექსტისაგან ერთგვარად განსხვავდება თ. ჟორდანიას მიერ გამოცემული „ანდერძი“ (იხ. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, II, თბ., 1897). ეს საბუთი — საანდერძო განკარგულება გაცემულია დავით აღმაშენებლის გარდაცვალების წინ. იგი მიმართულია „ყოველთა დიდებულთა და წარჩინებულთა სამეფოჲსა მისისათა: კათალიკოსთა, ეპისკოპოსთა, ერისთავთა და ყოველთა შეწყალებულთა“ [1] მიმართ. ანდერძში საქართველოს მეფე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სამეფო კარის მცდელობით საქართველოს საზღვრები გაფართოვდა „ნიკოფსითგან დარუბანდისა ზღუადმდე და ოვსეთიდგან სოერად და არეგაწადმდე“ [2].

დავით აღმაშენებელი თავისი მოღვაწეობით სამეფო ტახტის მემკვიდრეობის ძველთაგანვე არსებული წესის მიმდევრად გვევლინება (მან სამეფო ტახტზე აიყვანა თავისი უფროსი

ნასტერსა ანდერძითა ამით შეგჰვედრებ... მოიხსენეთ ვედრი ჩემი და ნუ ოდეს დამივიწყებთ დავითს; ჰნახევდით გულისმოდგინებით ქმნილსა ჩემსა ეკლესიასა და ნუ ოდეს ვის გაარყვნევთ კულა მას დიდებულსა ლავრასა“ (ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 17).

[1] ანდერძი დავით აღმაშენებლისა, ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 19.

[2] იქვე, გვ. 19.

K 153.920
5104

ვაჟი დემეტრე), მაგრამ ამავე ანდერძში ტახტის მემკვიდრეობ-
თან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებაც აქვს წამოყენე-
ბული.

დავით აღმაშენებლის ანდერძის ის ნაწილი, რომელიც ტახ-
ტის მემკვიდრის დემეტრესადმია მიმართული, მიგვანიშნებს,
რომ საქართველოს მეფემ ტახტის მემკვიდრეობის არსებული
წესის შეცვლა გადაწყვიტა.

1125 წლის ანდერძი გაკვრით დავით აღმაშენებლის ცხოვ-
რების ზოგიერთ დეტალსაც გვაძლევს. ანდერძი გვატყობინებს,
რომ გელათის ტაძრის კომპლექსის მშენებლობა დაუსრულე-
ბელია ამ დროისათვის, ე. ი. 1125 წლისათვის: „ხოლო დარჩა
მონასტერი სამარხავი ჩემი და საძუალე შვილთა ჩემთა უსრუ-
ლად და წარმყვა მისთჳსცა ტკივილი სამარადისოჲ“ [1].

დავით აღმაშენებელი თავის მემკვიდრეს უტოვებს ანდერ-
ძად, რომ დაასრულოს დაწყებული საქმე: „აწ შვილმან ჩემ-
მან მეფემან დ ი მ ი ტ რ ი სრულჰყოს ყოველითურთ საუკუ-
ნოდ ჩემთვის და მისთჳს და მომავალთა ჩემთათჳს, რომელნი
მიმიცემიან მისგან ნურას მოაკლებს“.

დავით აღმაშენებლის 1125 წლის ანდერძი მეტად საინტე-
რესო საბუთია, იმ დროის რიგი საკითხების შესასწავლად.

XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს სამეფო
კარის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ მნიშვნელოვანი ცნო-
ბებია მოცემული რუის-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრე-
ბის დადგენილებაში — „ძეგლის წერაჲ წმიდისა და ღვთივ
შეკრებულისა კრებისა, რომელი შემოკრბა ბრძანებითა კეთი-
ლად მსახურისა და ღვთივ დაცულისა მეფისა ჩუენისა დავით
აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა მეფისა“ [2]. რუის-
ურბნისის საეკლესიო კრების დადგენილებამ ჩვენამდე ᲗᲗᲚᲘᲐ-
ნი სახით მოაღწია. იგი სრულ წარმოდგენას გვაძლევს, რო-
გორც ამ კრების მოწვევის მიზეზებისა და მონაწილეთა ვი-
ნაობის, ისევე შედეგების შესახებაც. ეს კრება და მის მიერ
მიღებული გადაწყვეტილებები ნაყოფია იმ დიდი ღონისძიე-
ბებისა, რასაც სამეფო ხელისუფლება ატარებდა საეკლესიო
სფეროში. ამიტომ „ძეგლის წერა“, როგორც პირველხარის-

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 20.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 106.

ხოვანი საისტორიო წყარო, მკვლევართ დიდ დახმარებას აღმოუჩენს ეროვნული ბიბლიოთეკა
დაეით აღმაშენებლის დროის საშინაო პოლიტიკის, კერძოდ ამ პერიოდში გატარებული საეკლესიო რეფორმების შესწავლის საქმეში.

ცალკე უნდა აღინიშნოს ჩვენს ხელთ არსებული, მართალია, რაოდენობრივად მცირე, მაგრამ ისტორიული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი სიგელ-გუჯრები. მათ შორის 1170 წელს გიორგი მესამის მიერ გაცემული სიგელი შიომღვიმისადმი ე. წ. „მამულის მფლობელობისა და შეუვალობის განახლების სიგელი შიო-მღვიმისადმი“ [1]. 1178 წლის „საქართველოს ეკლესიის შეუვალობის განახლების სიგელი გიორგი III-სა“ ფრიად საინტერესო ცნობას გვაწვდის (გარდა ეკონომიკის ზოგიერთი საკითხებისა, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვს იმდროის სოციალური ურთიერთობის გათვალისწინებისათვის), დემნა უფლისწულ-ივანე ორბელის ამბოხების შესახებ. ამასთანავე სიგელში მოცემულია ეკლესიის ბეგარისაგან გათავისუფლება და საეკლესიო კრების ჩატარება, რაც სხვა წყაროებში არსად არის მოცემული [2].

უთუოდ გასათვალისწინებელია თამარ მეფის 1188 წლის შეწირულების სიგელი გელათისადმი [3], 1201 წლის შეწირულების სიგელი შიო-მღვიმისადმი [4], და შეწირულების დაწერილი (ჟინვანის სიგელი) ჭიაბერისა შიო-მღვიმისადმი [5]. ეს უკანასკნელი საბუთი მრავალმხრივ საყურადღებოა და არ არის შემთხვევითი, რომ ამ ბოლო დროს მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღებაც მიიქცია [6].

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 20—24.

[2] იქვე, გვ. 24—25.

[3] იქვე, გვ. 25—28.

[4] იქვე, გვ. 30—34.

[5] იქვე, გვ. 28—30.

[6] მხედველობაში გვაქვს სიგელში მოხსენებულ შოთას შესახებ მოსაზრებანი. თავის დროზე თ. ჟორდანია მას შოთა რუსთაველად მიიჩნევდა. (ქრონიკები 1,278). ამ უკანასკნელ ხანს ს. ცაიშვილმა ეს შოთა ჭიაბერის უფროს ვაჟად მიიჩნია, აგრეთვე დაუშვა, რომ ისინი თორელები არიან და შოთა თორელმა, შემდეგში მეჭურჭლეთუხუცესმა, რუსთაველობა მიიღო თორშივე შემავალი რუსთავისაგან (იხ. მნათობი, 1966, 2). რასაკვირველია. ამის მტკიცებას ჯერ კიდევ ესაჭიროება საფუძვლიანი დასაბუთება.

XII საუკუნის საქართველოს საშინაო პოლიტიკის საკითხების სრულყოფილად შესწავლის საქმეში დიდ დახმარებას გვიწევს შოთა რუსთაველის უკვდავი ქმნილება „ვეფხისტყაოსანი“. პოემაში აშკარად მოჩანს იმ პერიოდის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ანარეკლი, ზოგ შემთხვევაში სიახლოვე იგრძნობა თამარის ისტორიკოსებთან. რუსთაველი, ისე როგორც ქართული საისტორიო მწერლობა, მტკიცედ იცავს ცენტრალისტური ხელისუფლების ინტერესებს, ქადაგებს მეფისადმი, მაღალი ფეოდალური წრეებისადმი მორჩილებას. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, კლასობრივი შტრიხია არა მარტო საქართველოსა და კავკასიის ფეოდალური ისტორიოგრაფიაში, არამედ, მთელს ევროპულ ისტორიულ მეცნიერებაში [1].

ლიტერატურულ ძეგლთა შორის სათანადო ადგილი უნდა დავუთმოთ იოანე შავთელის „აბდულმესიანს“. ნაწარმოების ავტორის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მსოფლმხედველობა ნათელია — იგი მოხიბლულია XII საუკუნის საქართველოს პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიური მდგომარეობით. „აბდულმესიანი“ მიგვანიშნებს იმ დიდ საქმიანობაზე (პოლიტიკური, ეკონომიური და სხვ.), რომელსაც ადგილი ჰქონდა თამარ მეფის ეპოქის საქართველოში.

განვითარებული ფეოდალიზმის ხანის პოეტური ნაწარმოებებიდან ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ჩ.ახრუხაძის „თამარიანი“, რომელიც წარმოადგენს თამარ მეფის შესხმას, ხოტბას. „თამარიანი“ მიუხედავად მისი ფორმისა და შინაარსის სპეციფიურობისა საინტერესო მასალაა ისტორიკოსისათვის და მისი გვერდის ავლა XII საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიის შესწავლით დაინტერესებული პირისათვის შეუძლებელია.

XII საუკუნის ქართული სასულიერო პოეზიის აღმავლობას ადასტურებს დავით აღმაშენებლის პოეტური ნაწარმოები

---

[1] О. Л. Вайнштейн, Западноевропейская средневековая историография, М. 1964. აღნიშნულ წიგნში მოყვანილია XII საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ისტორიკოსის ინგლისელი უილიამ მემსბერიელის ნათქვამი: „Всякий исторический труд есть зерцало государей (principum)“. ბუნებრივია „principes“-ში იგულისხმება მეფესთან ერთად საერთოდ ფეოდალთა წოდება. მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

„გალობანი სინანულისანი“ [1]. ქრისტიანული საკაცობრიო ძეგლ-
დის გამომხატველ ამ ძეგლში მკაფიოდ ჩანს დავით აღმაშენ-
ებლის მსოფლმხედველობა და მისი ძლიერი პიროვნება,
იგრძნობა რწმენა ადამიანისა და ღმერთისადმი, სიკეთის სი-
დიადისადმი. „გალობანი სინანულისანი“ მით უფრო მნიშვნე-
ლოვანია, რომ მისი ავტორი ჩვეულებრივი მოკვდავი ვინმე
კი არ არის, არამედ დავით აღმაშენებელია. ამდენად ეს ძეგ-
ლი აუცილებელია XII საუკუნის პირველი მეოთხედის სა-
ქართველოს იდეური მდგომარეობისა და ვითარების დასახა-
სიათებლად [2].

XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფოს საშინაო პო-
ლიტიკის დასახასიათებლად მეტად საინტერესო ცნობებს გვა-
წვდიან სომეხი ისტორიკოსები.

მათე ურჰაელის (ედესელის) „ჟამთააღმწერლობა“ შეიცავს
ცნობებს სომხეთსა, საქართველოსა და მახლობელ აღმოსავ-
ლეთზე 952 წლიდან მოყოლებული 1136 წლამდე. ამ თხზუ-
ლების გაგრძელების (1162 წლამდე) ავტორია გრიგოლ ხუ-
ცესი. საქართველოს შესახებ ცნობები „ჟამთააღმწერლობის“
მესამე ნაწილშია მოცემული [3].

მათე ურჰაელის შრომა მეტად საინტერესო მასალას შეი-
ცავს საქართველოს ისტორიის ზოგიერთ საკითხზე. საყურა-
დღებოა ცნობა, რომელიც ეხება 1123 წელს დავით აღმაშე-
ნებლის მიერ უცხოელთა („უცხოთესლთა“) ბატონობისაგან
სომხეთის განთავისუფლებას. ავტორი დავით აღმაშენებელს
მეტად საინტერესოდ ახასიათებს: „იყო მეფე დავითი წმინდა

---

[1] მ. ს ა ბ ი ნ ი ნ ი, საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882, გვ. 513—518.

[2] აღნიშნული ძეგლისა და XII საუკუნის პირველი მეოთხედის ზოგიერთი სხვა წყაროების შესახებ მოცემულია ჩვენს წიგნში „დავით აღმაშენებელი“ (თბ., 1965, გვ. 5—15).

[3] მათე ურჰაელის ეს შრომა სომხურ ენაზე პირველად 1869 წ. გამოიცა იერუსალიმში, ხოლო მეორედ ვაღარშაპატს (ეჩმიაწინი) 1898 წელს (მ. მელიქ-ადამიანისა და ნ. ტერ-მიქაელიანის გამოცემა). Ed. Dulaurier-ის მიერ შესრულებული ფრანგული თარგმანი 1858 წ. გამოიცა პარიზში. მათე ურჰაელის საქართველოზე ცნობების შესახებ იხ. ლ. დაველიანიძე „მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ“, კრებ. „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბ., 1966, გვ. 242—252.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სათნო, ყოვლად შემკული ღვთისმოსავობით და კეთილი სამართლიანობით. ის აღმოჩნდა მიმღები და მოყვარული სომეხთა ტომისა. მის გარშემო შეიკრიბა სომეხთა გადარჩენილი ლაშქარი. მან ააშენა სომეხთა ქალაქი ქართველთა ქვეყანაში, განამტკიცა ეკლესიები და მონასტრები მრავლად, ხოლო ქალაქს სახელად უწოდა გორა. დიდის სიხარულით და აღფრთოვანებით ექცეოდა მას მთელი სომეხი ხალხი" [1]. აქ დავით აღმაშენებლის საერთო დახასიათების გარდა, ლაპარაკია ქართველთა მეფისადმი სომეხი ხალხის დამოკიდებულებისა და გორის დაარსების შესახებ. საკითხის ობიექტურად შესწავლისათვის სომეხი ისტორიკოსის ეს ცნობები მეტად ძვირფასია.

საქართველოს შესახებ მდიდარ ცნობებს გვაწვდის XIII ს. სომხური ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელი ვარდან აღმოსავლელი, „დიდად" წოდებული. იგი ავტორია ორი თხზულებისა: „მსოფლიო ისტორია" და „გეოგრაფია". ვარდანის მსოფლიო ისტორია იწყება „დასაბამიდან სოფლისა" და 1267 წლამდე მოდის. იგი შეიცავს სომხეთისა და მისი მეზობელი ქვეყნების ისტორიას. გზადაგზა ავტორი საქართველოსაც ეხება, განსაკუთრებით 50-ე თავში. ვარდანი სათანადო ცნობების მოყვანისას, როგორც მისივე თხზულებიდან ირკვევა, ქართულ წყაროებს ეყრდნობა. პროფ. ლ. მელიქსეთბეგმა გაარკვია, რომ ვარდანი ქართული წყაროებით მხითარ ანელის მეშვეობით სარგებლობს [2].

ვარდანი მოგვითხრობს დავით აღმაშენებლის მოღვაწეობაზე, მის ბრძოლებსა და დაპყრობებზე, მის რელიგიურ შეხედულებებზე, კერძოდ, თუ რა შეხედულების იყო სომეხთა ეკლესიაზე [3]. აღწერს, როგორ გადასცეს სომხებმა ანისი დავით აღმაშენებელს. იგი ხაზგასმით ამბობს, რომ დავით აღმაშენებელი 33 წელს მეფობდაო. საინტერესოა ისიც, რომ ვარდანი დავითის დასაფლავების ადგილსაც მიუთითებს. სომეხი

---

[1] მ ა ტ თ ე ო ს უ რ ჰ ა ე ც ი, ქამთააღმწერლობა, ვაღარშაპატი, 1898, გვ. 356, (სომხურ ენაზე), შდრ. ლ. დავლიანიძის „მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ", დასახ. კრებ., გვ. 247—248.

[2] ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი, ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1941, გვ. 133.

[3] ვ ა რ დ ა ნ ბ ა რ ძ ბ ე რ დ ე ც ი, მსოფლიო ისტორია, მოსკოვი, 1861, გვ. 157. (სომხურ ენაზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიკოსი, რასაკვირველია ცდება, როცა ამბობს დავითს 33 წელი იმეფაო. დავით აღმაშენებელი, როგორც ცნობილია, 36 წელს (1089—1125) მეფობდა.

არანაკლებ მნიშვნელოვანი ცნობები აქვს სომეხ ისტორიკოსს თამარის ეპოქის შესახებ. ვარდანი ბევრ ცნობას ამოწმებს იმდროინდელი საქართველოს შესახებ და ბევრი ფაქტის სრულყოფილად შესწავლის საშუალებას იძლევა [1].

საქართველოს სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკის რიგი საკითხების შესახებ ცნობებს გვაწვდის სომხური ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელი სტეფანოზ ორბელიანი, რომელიც XIII საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწეობდა. წარმოშობით იგი ორბელთა (ორბელიანთა) გასომხებული შტოს წარმომადგენელი იყო. მას სივნიეთის მღვდელმთავარ-ეპისკოპოსის (მიტროპოლიტის) თანამდებობა ეჭირა და ამდენად სივნიელადაც იწოდებოდა. განსხვავებით სხვა სომეხი ისტორიკოსებისაგან საუკეთესოდ აქვს შესრულებული თავისი კლასის, ე. ი. ფეოდალური ზედაფენის დაკვეთა ორბელთა საგვარეულოს ისტორიის შესადგენად [2]. სტეფანოზ ორბელიანის თხზულების მაღალხარისხოვნება საგანგებოდ შეაფასა აკად. ივ. ჯავახიშვილმა: „სომეხ ისტორიკოსთა შორის სტ. ორბელიანი არაჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს. ის სხვა დანარჩენ სომეხ ისტორიკოსთაგან როგორც საისტორიო მასალების შერჩევით, ისე მოთხრობის შინაარსით თვალსაჩინოდ განსხვავდება“ [3]. სტეფანოზ-ორბელიანის თხზულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დემეტრე პირველისა და გიორგი მესამის პოლიტიკის განსაზღვრისათვის დიდგვარიანი ფეოდალების მიმართ. (მხედველობაში გვაქვს ივანე ორბელის გამოსვლასთან დაკავშირებული საკითხები). სტეფანოზ ორბელიანი გვაძლევს აჯანყების თარიღს, თავისი თვალთახედვით აშუქებს მოვლენის მიზეზებსა და შედეგებს. სტეფანოზ ორ-

---

[1] ვ ა რ დ ა ნ ბ ა რ ძ ბ ე რ დ ე ც ი. გვ. 181—182.

[2] ლ ე ო ნ მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი, სტეფანე სივნიელის „ორბელთა ისტორიის“ ქართული ვერსია, თბ., საისტორიო მოამბე, 1952, გვ. 33.

[3] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, გლეხთა მოძრაობის ისტორიის ერთი ფურცელი ძველ სომხეთში — „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“, II, 1922, გვ. 249 — 250.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელიანის მიერ ნაშრომში მოტანილი მდიდარი ცნობები ამ-დენადმე ავსებენ ქართულ წყაროებს. „ორბელთა ისტორია“ სტეფანოზ ორბელიანის ვრცელი ნაშრომის „სისაკანის ისტორიის“ ერთი (66-ე) თავია. მას, როგორც ჩანს, იმთავითვე მიუქცევია ქართველთა ყურადღება და ალბათ ამის შედეგია, რომ ორბელთა ისტორიამ ქართულ თარგმანშიც მოაღწია ჩვენამდე [1]. საინტერესო ცნობები აქვს სტეფანოზ ორბელიანს დიდგვარიანი ფეოდალის ლიპარიტის საქმიანობის შესახებ [2].

XII — XIII ს.ს. საქართველოს შესახებ ყურადსაღებ ცნობებს გვაწვდის სომეხი ისტორიკოსი კირაკოზ განძაკელი. მის კალამს ეკუთვნის სომხეთის ისტორია „სომეხთა მოქცევიდან“ 1267 წლამდე. ეს ნაწარმოები მნიშვნელოვან მასალას გვაძლევს იმ პერიოდის ბევრი საინტერესო მოვლენის შესახებ, როგორც სოციალურ, ასევე პოლიტიკურ ცხოვრებაში [3].

გვინდა შევჩერდეთ XII საუკუნის სომეხი მოღვაწის დავით ქობაირელის ნაშრომზე „მოსახსენებელი“ (*Հիշատակարան*), რომელშიც აღწერილია ორბელთა აჯანყების ისტორია. დავით ქობაირელის სამეცნიერო-სალიტერატურო მოღვაწეობამ იმთავითვე მიიქცია ისტორიკოსთა ყურადღება (ნ. აკინიანი, კ. ტერ-მკრტჩიანი, გ. ზარბანალიანი და სხვ.) [4]. 1951 წელს მატენადარანის სომხურ ხელნაწერთა მუზეუმის ფონდებში მიაკვლიეს დავით ქობაირელის „ჰიშატაკარანს“ (მოსახსენებელს). აღსანიშნავია, რომ ქობაირელი განსხვავებით ბევრი სხვა ისტორიკოსისაგან, ცდილობს ობიექტური შეფასება მის-

---

[1] ლ. მელიქსეთ-ბეგი, „ორბელთა ისტორიის ქართული ვერსია“, საისტორიო მოამბე, თბ., 1952, გვ. 53—84.

[2] Stephanos Orbelian, Histoire de la Siouni, par M. Brosset., St—Petersbourg, 1864.

[3] ლ. მელიქსეთ-ბეგი, „ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი“ და მათი ვინაობა, სომეხ-ქართველთა ურთიერთობის საკითხებთან დაკავშირებით, თბ., 1928, გვ. 62—63.

[4] იქვე, გვ. 189—196. დავით ქობაირელის „მოსახსენებლის“ ის ნაწილი, სადაც ორბელთა აჯანყების შესახებაა მოთხრობილი, ქართულად თარგმნა და გამოსცა გ. მაისურაძემ. იხ. მისი „ერთი სომხური წყარო დემნა უფლისწულის აჯანყების შესახებ“, კრებ. „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბ., 1966, გვ. 262—266.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეს მოვლენებს. იგი ორბელთა ამბოხების გამოწვევის ფაქტორად ერთი რომელიმე პიროვნების (მაგალითად გიორგი მესამის, ან დემეტრე უფლისწულის, ან ივანე ორბელის) სურვილის (ან კაპრიზის) შედეგად კი არ მიიჩნევს, არამედ, იმ დროისათვის დამახასიათებელ საერთო მოვლენად. დავით ქობაირელის თხზულება ინტერესს მოკლებული არ არის XII საუკუნის სოციალური ურთიერთობის, კერძოდ, სახელმწიფო ხელისუფლების მიერ დიდგვარიანებისადმი მიმართული პოლიტიკის ზოგიერთი საკითხის გარკვევისა და შეფასების თვალსაზრისითაც.

შევეხებით აღმოსავლურ წყაროებსაც.

არაბული წყაროებიდან საგანგებო ყურადღებას იპყრობს მაჲაფარიკინელი ისტორიკოსის იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკის (1116—1176 წ.წ.) ცნობები.

ალ-ფარიკი, როგორც ირკვევა, საქართველოში 1153 წელს ჩამოსულა და დემეტრე პირველის მეფობის პერიოდში გარკვეული ხანი დაუყვია საქართველოში. მან ბევრი საყურადღებო ცნობა შემოგვინახა ქართველ მეფეებზე — დავით აღმაშენებელსა და დემეტრე პირველზე. გადმოგვცემს დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის შემოერთების ამბავს. ალ-ფარიკი დაწვრილებით აგვიწერს იმ პირობებს, რომლებიც დავითმა შეუქმნა ახლადშემოერთებული თბილისის მუსლიმანურ მოსახლეობას, ახასიათებს საქართველოს მეფეების (დავით აღმაშენებელი, დემეტრე პირველი) დამოკიდებულებას მუსლიმანებისადმი.

ალ-ფარიკის ეს ცნობები ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად ცნობილი გახადა ვლ. ფუთურიძემ [1]. აკად. გ. წერეთელმა კი პირველად გამოაქვეყნა არაბულ ენაზე არაბული თხზულების ის ნაწილი, რომელიც საქართველოს შეეხება [2]. 1949 წელს ალ-ფარიკის ცნობები შესავალი წერილითა და კომენტარებით ლონდონში გამოაქვეყნა ვ. მინორსკიმ [3],

---

[1] ვ ლ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, არაბი ისტორიკოსი XII საუკუნის თბილისის შესახებ, „ენიმკის მოამბე", 1943, ტ. XIII, გვ. 139—143.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, არაბული ქრესტომათია, თბ., 1949, გვ. 68 — 75.

[3] V. Minorsky, Caucasia in the History of Mayyafarigin, Bulleten of the Shool of Oriental and African Sfudies, University of London, V. XIII, 1949, გვ. 23—35.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო 1957 წელს ა. მამედოვმა ამ ტექსტის რუსული თარგმანიც გამოსცა [1].

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იბნ ალ-ასირის თხზულებას „თარიხ ალ-ქამილ". ეს არის ვრცელი ნაშრომი მსოფლიო ისტორიის შესახებ, მასში ამბების გადმოცემა მოყვანილია 1231 წლამდე. იბნ ალ-ასირის ნაშრომი ძვირფასი წყაროა, როგორც მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის შესასწავლად, ასევე ამიერკავკასიის (მათ შორის საქართველოს) ქვეყნების ისტორიის საკითხების გასარკვევად. თხზულება ისეთ ცნობებსაც შეიცავს, რომლებიც სხვა წყაროებს არ შემოუნახავთ. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია ნაშრომის ის ნაწილი, სადაც მოცემულია ვრცელი ცნობები ამიერკავკასიაში თურქ-სელჩუკების შემოსევებისა და მათ წინააღმდეგ აღმდგარი ქართველი ხალხის ბრძოლის შესახებ. ეს წყარო ჩვენ აშკარად გვეხმარება საქართველოს ისტორიის ჩვენთვის საინტერესო ზოგიერთი საკითხების გარკვევაში [2].

საქართველოს ისტორიისათვის გარკვეული მეცნიერული ღირებულება აქვს იბნ ალი ალ-ჰუსაინის ცნობებს, სადაც ვრცლადაა აღწერილი ქართველებსა და სელჩუკებს შორის მომხდარი ბრძოლები, მოკლედ არის მოთხრობილი თბილისის, ახალქალაქისა და საერთოდ სამხრეთ საქართველოს შესახებ.

XI საუკუნის ამიერკავკასიის მდგომარეობის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული ფაკიჰის თხზულებაში „დარუბანდისა და შირვანის ისტორია" („თარიხ ალ-ბაბ ვა შარვან"),

---

[1] იხ. Труды Института истории Аз. ССР, т. XII, 1957. გვ. 222—225.

[2] შემთხვევითი არ არის, რომ იბნ ალ-ასირის „თარიხ ალ-ქამილ"-ძა მეცნიერთა ფართო ყურადღება მიიქცია. იხ. ივ. მაჭავარიანი, არაბულ და სპარსულ მწერალთა გეოგრაფიული და ისტორიული ცნობანი საქართველოს შესახებ, „მოამბე", თბ., 1898, № 1. П. Жузе, Материали по истории Азербайджана из Тарих-ал-Камил Ибн ал-Асира, Баку. 1940. МИТТ — I. стр. 358 — 409; ბ სილაგაძე, XII — XIII ს.ს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ ალ-ასირის ცნობათა შუქზე, კრებ. „საქართველო რუსთაველის ხანაში", თბ., 1966, გვ. 105 — 143. ნ. შენგელია სხვა აღმოსავლელ ისტორიკოსთა შორის ჩერდება ჩვენთვის საინტერესო ავტორზეც, იხ. მისი, სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, თბ., 1968, გვ. 12—14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც 1075 წ. ყოფილა შედგენილი და ამჟამად მხოლოდ მუნეჯიმ-ბაშის მონაცემების მიხედვით არის ცნობილი (მუნეჯიმ-ბაშს თავისი თხზულების „დინასტიათა კრებულის" ერთ-ერთ თავში აქვს ფაკიჰის ცნობები მოტანილი). ფაკიჰის ცნობების ის ნაწილი, რომელიც მნიშვნელოვნად ავსებს ჩვენს წარმოდგენას თბილისის ისტორიის გარკვეულ პერიოდზე, თარგმანითა და კომენტარითურთ 1953 წ. გამოსცა ვ. მინორსკიმ, ხოლო ა. მამედოვმა 1957 წ. გამოაქვეყნა ამ ნაწყვეტის რუსული თარგმანი (დამყარებული ვ. მინორსკის პუბლიკაციაზე) [1].

მოცემული საკითხის კვლევისას გასათვალისწინებელია ბიზანტიელი ისტორიკოსების (გიორგი აკროპოლიტესი, ნიკიფორე ვრიენიოსი და სხვ.) ცნობები XI — XIII საუკუნეთა საქართველოს შესახებ.

XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფოს კლასობრივი ურთიერთობების შესწავლის საქმეში მნიშვნელოვან დახმარებას გვიწევს იმ პერიოდის მატერიალური კულტურის ძეგლები, ხალხური ზეპირსიტყვიერების, ეპიგრაფიკული და ნუმიზმატიკური მასალები და ის ნივთიერი წყაროები, რომელიც არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად არის მოპოვებული და გამომზეურებული.

ბ) ისტორიოგრაფია

XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფოში კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის შესწავლა, მისი არსისა და მნიშვნელობის გამოკვლევა ფრიად მნიშვნელოვანია, მით უმეტეს, რომ ჩვენ ჩამოყალიბებული, მარქსისტული მეთოდო-

---

[1] V. Monorsky, Studies in Caucasian History, The oriental series of the University of Cambridge, vol. VI. А. Мамедов, Ахмед Ибн Лютфуллах (Мунаджим-баши) «Джами ад-дувал», Труды Института истории АН Аз. ССР, XII, 1957. აღნიშნული საკითხის შესახებ იხ. რ. კიკნაძე, არაბული და სპარსული ისტორიული წყაროები XI — XII ს.ს. თბილისის შესახებ, „ცისკარი", 1958, № 10; მისივე, XI—XII ს.ს. თბილისის ისტორიიდან (აღმოსავლური წყაროების მიხედვით), ისტორიის ინსტიტუტის შრომები, V, ნაკ. I, 1960, გვ. 110—111.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოგიით გამართული გამოკვლევა ამ საკითხის შესახებ გაგვაჩნია.

XII საუკუნის საქართველოს შესახებ, მისი როგორც საშინაო პოლიტიკის, ასევე სხვა საკითხების ირგვლივ თავის მეცნიერულად ჩამოყალიბებულ აზრს გვაძლევს XVIII საუკუნის ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი „საქართველოს ისტორიაში“ [1]. ვახუშტი ბაგრატიონს თავისი მრწამსი თხზულების შესავალში აქვს მოცემული: „მატიანე მეტყველებს ჭეშმარიტსა და არა სცბის და მოწმობს სხვათა და სხვათა... მატიანე აცნობებს ნათესავთ შთამომავლობასა და დასდებს თავსა სარწმუნოებისათვის და მოყვარულ-ჰყოფს მოყვასსა მოყვსისა მიმართ“ [2]. ფეოდალური ისტორიოგრაფიის წარმომადგენლის ამ სიტყვებში ნათლად ჩანს მისი მიდრეკილება ისტორიული მასალის სწორად წარმოსახვის, მართებული შეფასებისა, და შთამომავლობისათვის ობიექტურად გადაცემისაკენ. ისევე როგორც ფეოდალური ისტორიოგრაფიისთვის არის დამახასიათებელი [3], ვახუშტი ბაგრატიონიც მეფეთა ცხოვრება-მოღვაწეობის თანმიმდევრული გადმოცემით გვიხასიათებს საქართველოს სახელმწიფოს მდგომარეობას. ჩვენთვის საინტერესო მასალა მოცემული აქვს თავებში: „მეფე გიორგი (1072—1089)“, „მეფე დავით აღმაშენებელი (1089—1125)“, „მეფე დიმიტრი I (1125—1154)“, „მეფე დავით III (6 თვე 1154 წლისა)“, „მეფე გიორგი III (1156—1184)“, „მეფე თამარ (1184—1211 ანუ 1212)“ [4].

ვახუშტიმ, როგორც ჩანს, კარგად იცის საქართველოს ისტორიის წყაროები და უხვადაც სარგებლობს. იგი საინტერესოდ გადმოგვცემს დიდგვაროვან ფეოდალთა ცენტრიდანუ-

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, განმარტებული და შევსებული ახლად შეძენილის არხეოლოგიურისა და ისტორიულის ცნობებით დ. ზ. ბაქრაძის მიერ, I, ტფილისი, 1885.

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 1.

[3] იხ. Е. А. К о с м и н с к и й, Историография средних веков, М., 1963, О. Л. Вайнштейн, Западно-европейская средневековая историография, М-Л., 1964, იხ. თავი «Классовые черты феодально-церковной историографии», გვ. 58—68.

[4] მეფეთა მოღვაწეობის თარიღები მოტანილი გვაქვს ისევე, როგორც ვახუშტის თხზულებაშია მოცემული.

ლი პოლიტიკის გატარების, სახელმწიფოს დეცენტრალიზაციისაკენ მიდრეკილების შესახებ და აქვე მიგვანიშნებს ქართველ მეფეთა, საქართველოს სამეფო კარის მტკიცე პოლიტიკის შესახებ დიდგვარიანთა მიმართ (ასე მაგალითად ლიპარიტის გამოსვლისა და დავით აღმაშენებლის მიერ მის და საერთოდ მისი საგვარეულოს მიმართ გატარებული ღონისძიებების შესახებ, ორბელთა გამოსვლისა და გიორგი მესამის მიერ ამბოხების ჩახშობის შესახებ და სხვ.).

ვახუშტი ბაგრატიონი ასევე ხაზგასმით გადმოგვცემს და თავის შეფასებას აძლევს საქართველოს სახელმწიფოს მიერ გატარებულ პოლიტიკას ეკლესიის მიმართ, იგი ხაზს უსვამს, რომ 1103 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო კრების შედეგი ის იყო, რომ „განამტკიცეს 12 კრებათა დამტკიცებული ჭეშმარიტი სარწმუნოება; უღირსნი განჰკვეთნეს ერად, ხოლო ღირსნი საყდართა მამათასა დასხნეს“ [1].

საინტერესოა, რომ თუმცა ფრაგმენტულად, რამოდენიმე სტრიქონით, მაგრამ მაინც არ სტოვებს უყურადღებოდ დავით დემეტრეს ძეს [2]. ბევრ მნიშვნელოვან მასალას იძლევა თხზულება გიორგი მესამისა და თამარის დროის საშინაო პოლიტიკის (სამოხელეო წყობა, დამოკიდებულება დიდგვარიანებთან, ეკლესიასთან და სხვ.) შესახებ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ვახუშტი ბაგრატიონის მიერ „საქართველოს ისტორიაში“ მოცემული რიგი თარიღებისა დღესდღეობით უკვე მოძველებულია, რადგან ახალი გამოკვლევების შედეგად ისინი დაზუსტებულნი და ამ სახით მიღებული არიან ჩვენს ისტორიოგრაფიაში (ამაზე ჩვენ გზადაგზა შევჩერდებით).

ვახუშტი ბაგრატიონი ქართული მეცნიერული ისტორიოგრაფიის მამამთავარია, მისი შრომა ჩვენთვის მნიშვნელოვანია ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით, ასევე ისტორიული წყაროს ღირებულებასაც ატარებს, რადგან მასში მოცემულია ზოგიერთი ისეთი ცნობები, რომლებსაც ჩვენ სხვაგან ვერ ვხვდებით.

ვახუშტი მხოლოდ პოლიტიკური ისტორიის გადმოცემით

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 175.

[2] იქვე, გვ. 188.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკმაყოფილდა. იმ დროს, ბუნებრივია, მისთვის ძნელი იყო სოციალურ ურთიერთობათა არსის ახსნა და მას ეს არც უცდია. საერთოდ ფეოდალური ხანის ქართული ისტორიოგრაფიისათვის უცხოა ეკონომიური და სოციალური საკითხებით დაინტერესება.

ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების საქმეს თავისი დიდი ღვაწლი დასდო აკადემიკოსმა მარი ბროსემ (1802 — 1880). მისმა ნაშრომებმა საქართველოს ისტორიის მთელ რიგ საკითხებზე იმთავითვე მიიპყრო ქართველ მოღვაწეთა ყურადღება და მაღალი შეფასება დაიმსახურა. მან სისტემაში მოიყვანა საქართველოს ისტორიის მთელი რიგი საკითხები და ჩამოაყალიბა ნაშრომში „Histoire de la Georgie“ [1]. საქართველოს ისტორიის საკითხების ხანგრძლივი შესწავლისა და კრიტიკული გამორკვევის ნაყოფს წარმოადგენს მარი ბროსეს ნაშრომი „Очерк критической истории Грузии“[2].

მარი ბროსე თავის ნაშრომში საგანგებოდ ჩერდება XII საუკუნის საქართველოზე. იგი ძირითადად პოლიტიკურ საკითხებს მიმოიხილავს და სათანადო შეფასებას აძლევს მათ. ეხება XII საუკუნეში მოღვაწე მეფეების, იმ პერიოდის საქართველოს სამეფო კარის პოლიტიკას. ხაზს უსვამს საქართველოს მეფეთა კეთილგანწყობილებას არაქართველი ხალხებისადმი.

XI — XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხების გამოკვლევის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ნ. ურბნელს. მან დავით აღმაშენებლის დროინდელი საქართველოს ისტორიის თითქმის ყველა საკითხი განიხილა თავის გამოკვლევაში „დავით აღმაშენებელი და მისი დრო“, რომელიც 1894 წ. დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბის“ რამდენიმე ნომერში და ცალკე წიგნადაც გამოვიდა [3].

---

[1] M. Brosset, Histoire de la Georgie, St-Pétersbourg, 1858.

მ. ბროსეს შესახებ იხ. Ш. А. Хантадзе, Академик Мари Брессе и европейское и русское грузиноведение, Тб., 1970.

[2] აღნიშნული ნაშრომი მარი ბროსეს შვილმა ლავრენტიმ გადასცა სიმონ ღოღობერიძეს, რომელმაც თარგმნა იგი და 1895 წ. გამოაქვეყნა ქართულად.

[3] ნიკო ურბნელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, მისი ისტორიული კონცეფციის შესახებ ფრიად საინტერესო გამოკვლევა აქვს ისტ. მეცნ. კანდიდატს გ. ნადირაძეს. იხ. მისი საკანდიდატო დისერტაცია (ხელნაწერი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკვლევარი სხვა საკითხებთან ერთად შეეხო XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკის საკითხებს. ეს გამოკვლევა იმ დროისათვის წინგადადგმული ნაბიჯი იყო საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში.

პროფ. ალ. ხახანაშვილმა 1900 წელს ფრანგულ ენაზე გამოაქვეყნა „საქართველოს ისტორია“ [1], სადაც მიმოიხილა საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნის ჩათვლით. წიგნში ცალკე თავებია მიძღვნილი ჩვენთვის საინტერესო საკითხის აღწერისადმი. ავტორი ძირითადად პოლიტიკურ ისტორიას გადმოგვცემს და თანაც ზოგჯერ ძალზე უმნიშვნელო საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას. ეს ალბათ იმით არის გამოწვეული, რომ წიგნი ფართო მკითხველი (თანაც უცხოელი) საზოგადოებისთვის იყო განკუთვნილი. წიგნი დაზღვეული არ არის ზოგიერთი მცდარი მოსაზრებებისაგან. წიგნს თავის დროზე დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა (თუნდაც ის ფაქტი, რომ ისტორიკოსი სოციალური ურთიერთობის საკითხებით დაინტერესდა, ამით საფუძველი ჩაეყარა აღნიშნული საკითხის კვლევა-ძიების საქმეს).

განსაკუთრებულად უნდა გამოვყოთ გერმანელი მეცნიერის ფელიქს ჰოლდაკის გამოკვლევა თამარ მეფის დროინდელი საქართველოს ისტორიისა და აგრეთვე იმ თქმულებების შესახებ, რომლებიც საქართველოს მეფე ქალს შეეხებოდა. აღნიშნული ნაშრომი 1906 წელს გამოიცა ლაიპციგში [2]. იგი მრავალმხრივ არის საინტერესო. ჯერ ერთი, XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის გერმანული ისტორიოგრაფია თავისი განვითარების მაღალ დონეზე იყო და ამდენად ნაშრომიც ეპოქის გარკვეულ კვალს ატარებს. მეორე, თავისთავად გერმანელი მეცნიერის განვითარებული ფეოდალიზმის ხანის საქართველოს ისტორიის საკითხებით დაინტერესება მეტად ნიშანდობლივი და საგულისხმო მოვლენაა

---

[1] A. Khakhanoff Histoire de la Georgie, Paris, 1900.

[2] Felix Holldack, Von der Sage und dem Reich der grusinischen Königin Tamara (verfassungsgeschichtliches und rechtsphilosophisches, Leipzig, 1906.

ჩვენთვის, ქართველი საბჭოთა ისტორიკოსებისათვის (მივიღ-ნავთ, რომ ეს საკვალიფიკაციო ნაშრომი იყო გერმანელი მეცნიერისა). მესამე, და ჩვენის აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ფელიქს ჰოლდაკი კარგად იცნობს ამ პერიოდის საქართველოს შესახებ არსებულ ლიტერატურას (ვ. ბაგრატიონის, მ. ბროსეს, ვ. ლანგლუას, და სხვათა თხზულებებს), შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს", ისტორიულ წყაროებს (ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას თვით მისი ნაშრომი გვაძლევს), და ბევრი საინტერესო და საგულისხმო მოსაზრება აქვს გამოთქმული თამარის ეპოქის სამეფო კარის საშინაო პოლიტიკის საკითხების შესახებ.

გერმანელი მეცნიერი საგანგებოდ ეხება თამარის დროის სოციალური და სამართლებრივი მდგომარეობის საკითხებს, სახელმწიფოს პოლიტიკას დიდგვარიანი ფეოდალების მიმართ, შინაკლასობრივი — მეფესა და დიდგვარიანებს შორის არსებული ბრძოლის პრობლემებს. ჩვენის აზრით, ძალზედ საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული თამარის მეფედ მეორედ კურთხევის (1184 წ.) შესახებ, ვაჭართა როლის შესახებ თამარის საქმროს ჩამოყვანის საქმეში[1], ყუთლუ არსლანის გამოსვლის[2], სამეფო დარბაზის საქმიანობის შესახებ[3]. იგი ეხება რა სამეფო კარზე შექმნილ მთელ რიგ სირთულეებს, ასეთ დასკვნას აკეთებს: „...die diplomatische Ränkekunst am georgischen Hofe sich jedenfalls auf einer sehr hohen Stufe befand..." [4] (ქართულ სამეფო კარზე დიპლომატიური ინტრიგები მაღალ საფეხურზე იდგა). ფელიქს ჰოლდაკს უყურადღებოდ არ რჩება XII საუკუნის მიწურულის ისტორიის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც იყო აჯანყება გიორგი რუსის მეთაურობით[5], სამღვდელოების უფლებების გაზრდა, თანაც მიუთითებს, რომ ეკლესიის გაძლიერება მომაკვდინებელ ფაქტორად ხდებოდა ქვეყნის ცენტრალიზაციის გზაზე[6].

---

[1] დასახ. ნაშრ., გვ 58 — 60.

[2] იქვე, გვ. 62.

[3] იქვე, გვ. 60.

[4] იქვე.

[5] იქვე, გვ. 68.

[6] იქვე, გვ. 72.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერი საგანგებოდ მიმოიხილავს ვაჭრობა-ხელოსნობის საკითხებს საქართველოს ქალაქებში[1]. მისი მოსაზრებების ჩვენს მიერ მიღება-გაზიარების საკითხებზე ქვემოთ გზადაგზა შევჩერდებით შესაბამის საკითხთა განხილვის დროს.

ფელიქს ჰოლდაკი, ჩვენის აზრით, შუა საუკუნეების ისტორიის იმ მკვლევართა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა ნაშრომებიც უსათუოდ გასათვალისწინებელია XII საუკუნის საქართველოს ისტორიის რიგი საკითხების გაშუქებისათვის. შევნიშნავთ, რომ მისი თხზულება დღემდე არ ყოფილა სათანადოდ შეფასებული[2] და გამოყენებული საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში და ამჯერად პირველად გვიხდება მისი მოშველიება-დამოწმება ჩვენთვის საინტერესო ზოგიერთი საკითხის მიმოხილვისას.

1892 წელს ზაქარია ჭიჭინაძემ გამოაქვეყნა პატარა ნაშრომი „სრულიად საქართველოს მეფე დავით აღმაშენებელი". ეს წიგნაკი ფართო მკითხველი საზოგადოებისთვის იყო განკუთვნილი და ალბათ ამიტომაც მასში დიდი ადგილი აქვს დათმობილი დავით აღმაშენებლის პიროვნების დახასიათებას, მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები კი პრიმიტიულად არის გაგებული. ზ. ჭიჭინაძეს გამოცემული აქვს მეორე, დაახლოებით ასეთივე ზომის წიგნაკი, რომელიც ევროპასთან XII საუკუნის საქართველოს ურთიერთობის საკითხებს ეხება[3]. ეს ნაშრომიც არ ატარებს გამოკვლევის ხასიათს და არავითარ წყაროს არ მიუთითებს, მაგრამ აღნიშნული საკითხით იმთავითვე დაინტერესება ქართულ ისტორიოგრაფიაში მეტად საგულისხმოა.

XII საუკუნის საქართველოს ისტორიის მკვლევარმა არ შეიძლება გვერდი აუაროს დ. კარიჭაშვილის გამოკვლევას „საქართველო XII საუკუნეში"[4]. ამ გამოკვლევაში საინტერესოდ არის მოცემული საქართველოს საშინაო პოლიტიკური მდგომარეობა, მისი დამოკიდებულება მეზობელ ქვეყნებთან.

---

[1] იქვე, გვ. 58.

[2] ფელიქს ჰოლდაკის ნაშრომის საერთო შეფასების შესახებ იხ. რ. მეტრეველი, გერმანელი მეცნიერი—საქართველოს ისტორიის მკვლევარი. ცისკარი, 1973, № 5, გვ. 116—123.

[3] ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, საქართველოს ურთიერთობა ევროპასთან (XII ს.), ტფ. 1892.

[4] დ. კ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ ი, საქართველო XII საუკუნეში, ტფ., 1902.

ავტორი საგანგებო თავს უთმობს სოციალური ურთიერთობის საკითხებს (თუმცა ზოგჯერ არასწორ დებულებებსაც აყენებს), ცალკე განიხილავს სამოქალაქო და სამხედრო წესწყობილების საკითხებს.

დ. კარიჭაშვილის გამოკვლევა საინტერესოა იმდენადაც, რომ იგი ითვალისწინებს ყველა წინამორბედი ისტორიკოსების ნაშრომებს და წარმოდგენას გვაძლევს XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების დონეზე.

XII საუკუნის მიწურულისა და XIII ს. დასაწყისის (თამარის ეპოქა) მონოგრაფიული შესწავლის პირველ ცდას წარმოადგენს მოსე ჯანაშვილის ნაშრომი „თამარ მეფე", რომელიც 1917 წელს თბილისში გამოიცა. ამ გამოკვლევაში აღწერილია თამარ მეფის ცხოვრება, სახელმწიფო გამგებლობა, ლაშქრობები. აღნიშნულ ნაშრომში დასკვნები გაკეთებულია პირველწყაროების ღრმად შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის ირგვლივ ზოგიერთ მონაცემს შეიცავს მ. თამარაშვილის ნაშრომი „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის" [1], აგრეთვე XII საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები გაშუქებულია 1910 წელს რომში გამოსულ საქართველოს ისტორიისადმი მიძღვნილ მის გამოკვლევაში [2].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება თამამად ითქვას, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართულმა ისტორიოგრაფიამ (ბურჟუაზიულმა მედიევისტიკამ) მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოში ფეოდალიზმის შესწავლის საქმეში (კერძოდ, XII საუკუნის საქართველოს ისტორიის შესწავლაში), მაგრამ ჭეშმარიტად ღრმა, მეცნიერული გაშუქება ფეოდალური ეპოქის ისტორიისა, ძირითადი კარდინალური პრობლემებისა და მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული ფეოდალიზმის განვითარების ისტორიული პროცესების შესწავ-

---

[1] მიქელ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ. 1902, გვ. 5—6.

[2] Michel Tamarati, L'Eglise Georgienne, des origines jusqu'a nos jours, Rome, 1910.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა—ეს არის ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის დამსახურება.

განსაკუთრებულად უნდა განვიხილოთ რევოლუციამდელი ქართული ისტორიოგრაფიის უდიდესი წარმომადგენელი აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც ფაქტიურად სათავე დაუდო საქართველოს ძველი და შუასაუკუნეების ისტორიის შესწავლას და თავის დიდმნიშვნელოვან მრავლისმომცველ მოღვაწეობას წარმატებით ავრძელებდა საბჭოთა პერიოდშიც.

ივ. ჯავახიშვილის უდიდეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ XII საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის ცოდნა მან გარკვეულ ჩარჩოებში მოაქცია. საგანგებოდ შეჩერდა მოცემული პერიოდის მთელ სიგრძეზე (სხვადასხვა მეფეთა მოღვაწეობის პერიოდში) საქართველოს სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკის სხვადასხვა საკითხებზე (სამეფო ხელისუფლების დამოკიდებულება დიდგვარიან ფეოდალებთან, საეკლესიო პოლიტიკა და სხვ.). ამ საკითხებისადმი მეცნიერის დიდი ყურადღება ჩანს მის შრომებში „ქართული სამართლის ისტორია“ და „საქართველოს ეკონომიური ისტორია“.

ივ. ჯავახიშვილი მიმოიხილავდა რა საქართველოს სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკას, ხაზგასმით ასკვნიდა: „დავით აღმაშენებლის პირველ დიდ ღვაწლად საქართველოს სოციალური წარმატების წინაშე უნდა საეკლესიო წესწყობილების ის დიადი ცვლილება ჩაითვალოს, რომელიც მეფის თაოსნობით რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ განახორციელა“ [1]. ივ. ჯავახიშვილი მართებულ დასკვნას აკეთებდა ყივჩაყთა ჩამოსახლებისა და მათგან მუდმივი მხედრობის შექმნის საკითხზე, რომ ეს არა მარტო გარეშე მტერთან საომრად იყო საჭირო, არამედ თვით შინაური მტრების ურჩი და თვითნება აზნაურების თავგასულობის ასალაგმავადაც [2]. მეცნიერი მიუთითებს, რომ სამეფო კარი სამოხელეო წესწყობილებაში იმავე მოძღვრების განხორციელებას ცდილობდა, რაც მან საეკლესიო წეს-წყობილებაში გაატარა [3]. ივ. ჯავახიშვილი შეფა-

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 212.

[2] იქვე, გვ. 214.

[3] იქვე, გვ. 215.

სების გარეშე არ სტოვებს XII საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოს სახელმწიფოს აღმშენებლობითი, სხვა კეთილ-მიური და კულტურული ღონისძიებების გატარების საკითხს [1].

ივ. ჯავახიშვილს ყურადღების გარეშე არ დარჩენია დემეტრე პირველის სამეფისკარო საშინაო პოლიტიკის საკითხები, ის დაძაბული ვითარება, რამაც მისი მეფობის წლებში იჩინა თავი [2], ის დიდი ღონისძიებანი, რაც გიორგი მესამემ ამბოხებულ ორბელთა წინააღმდეგ გაატარა [3]. ასევე დეტალურად ჩერდება თამარის დროის საქართველოს საშინაო პოლიტიკის საკითხებზე [4]. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებები, ყველა მისი დებულება საქართველოს ისტორიის წყაროთა ღრმა ანალიზისა და მისი სომხურ, არაბულ თუ სხვა წყაროებთან საფუძვლიანი შეჯერების შედეგი იყო. სწორედ ამიტომ აქვს ფასდაუდებელი მნიშვნელობა ივ. ჯავახიშვილის ისტორიულ ნაღვაწს და მისი შრომები ისტორიული მეცნიერების ყველა დარგში ღირსეულ სამაგიდო წიგნებად არიან ქცეული ჩვენი ქვეყნის ისტორიის კვლევით დაინტერესებულ პირთათვის.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გარკვეული ადგილი უჭირავს პროფ. ს. კაკაბაძის ნაშრომებს ფეოდალური საქართველოს ისტორიის საკითხებზე. თავის წიგნში „Краткий обзор истории Грузии" (1941 წ.) იგი ჩერდება ფეოდალური საქართველოს ისტორიის რიგ საკითხებზე, კერძოდ, დავით აღმაშენებლის რეფორმებზე, „საკარგავების" სისტემის შემოღებაზე, იგი თამარის ისტორიკოსთა თხზულებებსაც შეეხო [5] (მის მიერ წამოყენებული დებულებებიდან ზოგი რამ სადავოა, მაგრამ ეს ამჯერად არ შეადგენს ჩვენი განხილვის საგანს). 1912 წ. გამოვიდა სარგის კაკაბაძის „თამარ მეფე და მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში" [6], სადაც, სამწუხაროდ, რიგი მცდა-

---

[1] იქვე, გვ. 216—218.

[2] იქვე, გვ. 222—227.

[3] იქვე, გვ. 240—244.

[4] იქვე, გვ. 245—255.

[5] С. Какабадзе, Краткий обзор истории Грузии, 1941.

[6] ს. კაკაბაძე, თამარ მეფე და მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში, თბ., 1912.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი მოსაზრებებია მოცემული თამარის ეპოქის საშინაო პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ და თავის დროზე ივ. ჯავახიშვილის სამართლიანი შენიშვნაც დაიმსახურა[1]. ს. კაკაბაძე XII საუკუნის საქართველოს საშინაო ცხოვრების სხვადასხვა საკითხებს მიმოიხილავს „ვეფხისტყაოსნის" 1937 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში. ამ პერიოდის საქართველოს ისტორიის საკითხებს ავტორი სხვა სტატიებშიც შეეხო, რომლებზეც ქვემოთ საჭიროების მიხედვით შევჩერდებით.

თამარის ეპოქის შესწავლის საქმეში თავისი წვლილი ძეიტანა აკად. კ. კეკელიძემ. მან 1941 წელს გამოკვლევითა და კომენტარითურთ გამოსცა „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", საგანგებოდ შეისწავლა ამ ეპოქის ლიტერატურული მემკვიდრეობა, რის საფუძველზეც მოგვცა სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობის დახასიათება[2].

მარქსისტულ მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული საქართველოს ფეოდალიზმის ისტორიის მთელი თავისი სისრულით (პერიოდიზაცია, გენეზისი, სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობათა განვითარება) გადაწყვეტის წარმატებითი ცდა მოგვცა აკად. ს. ჯანაშიამ. იგი საგანგებოდ შეეხო ჩვენს საკვლევ საკითხსაც. საკითხის ღრმა და საფუძვლიანი შესწავლის საფუძველზე განსვენებულმა მეცნიერმა მართებული შეფასება მისცა XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოში გატარებულ სახელმწიფოებრივ რეფორმებს, მათს მნიშვნელობას ქვეყნის შემდგომი წინსვლისათვის[3], ხაზი გაუსვა მათ პროგრესულობას.

აკად. ს. ჯანაშიამ XII საუკუნე დაახასიათა, როგორც მკაფიო პერიოდი „სამეფო ხელისუფლებისა და ფეოდალური არისტოკრატიის ურთიერთ ბრძოლის ისტორიაშიც"[4]. ეს ბრძოლა განუყოფელი იყო ფეოდალური მონარქიის განვითარებასთან. მეცნიერი საგანგებოდ ჩერდება გიორგი მესამის მიერ

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 291.

[2] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ცდა ტექსტის დადგენისა აკად. კორნ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევებით, თბ., 1941.

[3] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-13 ს-დე, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 426.

[4] იქვე, გვ. 425.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდგვარიან ფეოდალთა წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებებზე, გარკვეულ ადგილს უთმობს ყუთლუ-არსლანის გამოსვლის შედეგებს. აკად. ს. ჯანაშია ხაზს უსვამს დიდგვარიან დიდებულთა მთავარი ორგანოების „დარბაზისა“ და „სავაზიროს“ გავლენის ზრდას თამარ მეფის დროს [1]. ამ უკანასკნელი საკითხის შესახებ შეხედულება ჩვენს საისტორიო სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ბოლო ხანს ერთგვარად შეიცვალა (მხედველობაში გვაქვს აწ განსვენებული საქ. სსრ მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტის შ. მესხიას მოსაზრებანი მოცემულ საკითხზე), მაგრამ ამაზე ქვემოთ შევჩერდებით.

აკად. ს. ჯანაშიას ეკუთვნის 1946 წელს ივ. ჯავახიშვილთან და ნ. ბერძენიშვილთან ერთად შედგენილი „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოს საგანგებო პარაგრაფი — „ქართული ფეოდალური მონარქიის განვითარება დავით მესამის დროიდან დავით მეოთხემდე“ [2], სადაც იგი ხაზს უსვამს ის გარემოებას, რომ „დავით მეოთხის, აღმაშენებლის, სახელმწიფოებრივმა რეფორმებმა დააგვირგვინა ქართული ფეოდალური სახელმწიფოებრიობის ხანგრძლივი განვითარება და დაქსაქსული სამთავროებიდან, ამ „ნახევარ-სახელმწიფოებიდან“ მოყოლებული — ვიდრე ცენტრალიზებულ მონარქიამდე თვითმპყრობელი მეფის მეთაურობით“ [3].

ამდენად, XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფოში შინაკლასობრივი ბრძოლის საკითხების შესასწავლად აკად. ს. ჯანაშიას ნაშრომები აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული.

აღებული პერიოდის საქართველოს საშინაო პოლიტიკური წყობის, საერთოდ, საშინაო პოლიტიკის შესწავლის საქმეში თავისი წვლილი შეიტანა აკად. ნ. ბერძენიშვილმა. მეტად საყურადღებოა მისი გამოკვლევა სავაზიროს ინსტიტუტის შესახებ, კერძოდ, XII საუკუნის პირველ მეოთხედში შემოღებულ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობაზე. ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ინსტიტუტის წარმოშო-

---

[1] იქვე, გვ. 428.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია, თბ., 1946, გვ. 189—197.

[3] იქვე, გვ. 189.

ბისა და მისი არსის საკითხი თავის დროზე აკად. ივ. ჯავახიშვილმა შეისწავლა[1]. აკად. ნ. ბერძენიშვილმა საგანგებოდ გამოიკვლია ამ ინსტიტუტის მნიშვნელობა[2].

აკად. ნ. ბერძენიშვილმა გაარკვია, რომ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ინსტიტუტი ჩამოყალიბდა ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ საფეხურზე, რომ ეს „ხელი“ ბატონყმური ურთიერთობის გამარჯვების მწვავე პროცესთან დაკავშირებული კლასთა ბრძოლის უშუალო ნაყოფია“.

საქართველოს სამეფო კარის მიერ გატარებულ ღონისძიებებს ფეოდალთა მიმართ (კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის პრობლემებს) შეეხო მეცნიერი ნაშრომში „კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში“[3]. აკად. ნ. ბერძენიშვილი არის ავტორი „საქართველოს ისტორიის“ (1958 წ. გამოცემა) იმ ნაწილისა, რომელიც XII საუკუნეს მიმოიხილავს[4].

XII — XIII საუკუნის საქართველოს ისტორიის, განსაკუთრებით საქართველოს სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკის რიგ საკითხებს შეეხო მეცნიერი პავლე ინგოროყვა თავის ნაშრომებში „რუსთველიანა“ და „რუსთველიანას ეპილოგი“[5]. აღნიშნულ ნაწარმოებებში რუსთველოლოგიურ კვლევა-ძიებასთან კავშირში მიმოხილულია საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის, სამოხელეო წყობის, მეფესა და დიდგვაროვან მოხელეთა ურთიერთდამოკიდებულების საკითხები და სხვ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მეცნიერის მიერ წამოყენებული რიგი მოსაზრებები, ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში არ

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკ. 1.

[2] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში (ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი), საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 5—56.

[3] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 5—48.

[4] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ვ. დ ო ნ დ უ ა, მ. დ უ მ ბ ა ძ ე და სხვ., საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958, გვ. 154—220.

[5] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, რუსთველიანა, შრომები, I, თბ., 1963, გვ. 9—251; მისივე, რუსთველიანას ეპილოგი, იქვე, გვ. 527—857.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნა გაზიარებული და ისტორიკოსებმა (შ. მესხია, მ. ლორ-თქიფანიძე, დ. მუსხელიშვილი და სხვ.) საჭიროდ ჩათვალეს ამ მოსაზრებათა საფუძვლიანი კრიტიკით პრესაში თუ სხვა გამოცემებში გამოსვლა.

XII საუკუნის ისტორიის საკითხების კვლევას საგანგებო ნაშრომები უძღვნა პროფესორმა აბ. კიკვიძემ. მის მიერ 1942 წელს გამოცემული იქნა წიგნი „დავით აღმაშენებელი", რომელშიაც ჩვენი ისტორიოგრაფიის წინადროინდელი მიღწევების გათვალისწინებით, იმ პერიოდის საქართველოს საშინაო ურთიერთობათა შესახებაც არის მოთხრობილი [1]. მან ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის მნიშვნელობაზეც გაამახვილა ყურადღება თავის გამოკვლევაში „მე-12 საუკუნის საქართველო" [2]. ცალკე უნდა აღვნიშნოთ აბ. კიკვიძის გამოკვლევა „ქართული სახელმწიფო დარბაზი და მისი ადგილი „ვეფხისტყაოსანში", სადაც მოცემულია ფეოდალური საქართველოს ამ მეტად საინტერესო ინსტიტუტის მნიშვნელობისა და განვითარების შესახებ [3].

საქართველოს ისტორიის წყაროების შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს პროფ. კ. გრიგოლიას, რომლის მიერ წყაროთმცოდნეობის თვალსაზრისით გამოკვლეული საკითხები ჩვენთვის საინტერესო პრობლემასაც ეხება და გასათვალისწინებელია [4].

ფეოდალური საქართველოს ისტორიის წამყვან პრობლემას, შუა საუკუნეების ქალაქების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს XI — XII ს.ს. თბილისში საქალაქო კომუნის არსებობას მიუძღვნა პროფ. შ. მესხიამ თავისი ნაშრომი „საქალაქო

---

[1] ა ბ. კ ი კ ვ ი ძ ე, დავით აღმაშენებელი, თბ., 1942.

[2] იხ. თსუ შრომები, IX, თბ., 1939, გვ. 157—168.

[3] ა. კ ი კ ვ ი ძ ე, ქართული სახელმწიფო დარბაზი და მისი ადგილი „ვეფხისტყაოსანში", კრებ. XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1968, გვ. 211—236.

[4] იხ. კ. გ რ ი გ ო ლ ი ა, თამარის მეორე ისტორიკოსის ვინაობისა და მისი თხზულების დათარიღებისათვის, თსუ შრომები, ტ. 108, 1964, გვ. 359—375; მისივე, „ისტორიანი და აზმანი ზარავანდედთანის" ავტორის ვინაობის საკითხებისათვის, კრებ. XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1968, გვ. 237—249. მისივე, რას მოგვითხრობს ქართლის ცხოვრება, თბ., 1961.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნა შუა საუკუნეების თბილისში“ [1]. სადაც იგი შეეხო ქართველოს სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკის საკითხებს, ხაზი გაუსვა დავით აღმაშენებლის მიერ გატარებული რეფორმების მნიშვნელობას ქალაქების დაწინაურების საქმეში. აწგახსენებული პროფესორი სავსებით მართებულად მიუთითებდა, რომ XII საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოს სახელმწიფოს მიერ გატარებული ის ღონისძიებები, რომლებიც ქართულ ფეოდალურ ისტორიოგრაფიაში „ქალაქების განთავისუფლებად“ არის გამოცხადებული, არსებითად იყო ბრძოლა მათ დასამორჩილებლად, შემოსაერთებლად[2]. საერთოდ, საქალაქო წყობილების საკითხი ფეოდალურ საქართველოში შ. მესხიას განხილული ჰქონდა ნაშრომში „Города и городской строй феодальной Грузии“[3]. აღნიშნულ ნაშრომში მეცნიერი ჩვენთვის საინტერესო საკითხზეც ჩერდება. ნაწილობრივად ამ საკითხმა თავისი ასახვა ჰპოვა დიდგორის ბრძოლისადმი მიძღვნილ წიგნში „ძლევაᲐ საკვირველი“ [4].

განსვენებულმა მეცნიერმა ხელნაწერის სახით დატოვა XII საუკუნის მეორე ნახევრის (თამარის ეპოქის) საქართველოს საშინაო პოლიტიკისა და სამოხელეო წყობის შესახებ მეტად მნიშვნელოვანი გამოკვლევა, რომელშიაც ბევრი საკითხი ახლებურად არის გაგებული და შეფასებული [5].

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხების გარკვევასთან ერთად პროფ. ი. ცინცაძე XII საუკუნის საქართველოს საშინაო პოლიტიკის, კერძოდ, მეფისა და დიდგვარიანების დამოკიდებულების საკითხებსაც შეეხო.

---

[1] შ. მ ე ს ხ ი ა, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962.

[2] იქვე, გვ. 84.

[3] Ш. А. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959.

[4] შ. მ ე ს ხ ი ა, ძლევაᲐ საკვირველი, (დიდგორის ბრძოლა და თბილისის შემოერთება), თბ., 1972.

[5] შ. მ ე ს ხ ი ა, თამარ მეფე (საშინაო პოლიტიკა და სამოხელეო წყობა), ხელნაწერი. აღნიშნული ხელნაწერის დიდი ნაწილი ჩვენ სიცოცხლეშივე გაგვაცნო პროფ. შ. მესხიამ, ხოლო მისი გარდაცვალების შემდგომ მთლიანი სახით ხელნაწერის გაცნობის საშუალება მოგვცა განსვენებული მეცნიერის მეუღლემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ მას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებული ყურადღება მეცნიერს გამახვილებული აქვს გიორგი მესამისა და თამარის სამეფისკარო პოლიტიკაზე [1].

განვითარებული ფეოდალიზმის ხანის საქართველოს ისტორიის (კერძოდ, XII საუკუნის) კვლევისათვის აუცილებლად გასათვალისწინებელია პროფ. მ. ლორთქიფანიძის ნაშრომები. მისი გამოკვლევა „სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XII ს. საქართველოში“ ამ პერიოდის საქართველოში ბატონყმობის გამარჯვების პრობლემისადმია მიძღვნილი [2]. სტატიაში „საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობის წარსულიდან“ საქართველოს საშინაო მდგომარეობაზეცაა ყურადღება გამახვილებული, შეფასებულია დავით აღმაშენებლის პოლიტიკა სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების აღმსარებლების მიმართ [3].

1955 წელს დაიბეჭდა პროფ. მ. ლორთქიფანიძის გამოკვლევა „ქართული ფეოდალური მონარქიის კარის მოხელენი“[4], სადაც ფრიად საინტერესო მოსაზრებებია გამოთქმული „ვაზირის“ ინსტიტუტის შესახებ, მიჩნეულია რა იგი საქართველოსათვის თავისთავად მოვლენად და ძირითადად ქართულ „უხუცესთა“ ინსტიტუტიდან აღმოცენებულად.

1966 წელს გამოვიდა მ. ლორთქიფანიძის წიგნი „რუსთაველის ეპოქა“, რომელშიაც ფაქტიურად მოცემულია საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი საკითხები XI საუკუნის დასასრულიდან XIII საუკუნის დასაწყისამდე, პოლიტიკური ისტორია, ეკონომიური განვითარება, სოციალური სტრუქტუ-

---

[1] ი. ციცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X—XVI ს.ს.), თბ., 1956.

[2] მ. ლორთქიფანიძე, სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XII ს. საქართველოში (ბატონყმობის გამარჯვების საკითხისათვის), კრებ. საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, გვ. 32—51.

[3] მისივე, საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობის წარსულიდან, კრებ., XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1968, გვ. 123—140.

[4] მ. ლორთქიფანიძე, ქართული ფეოდალური მონარქიის კარის მოხელენი, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, 1955, გვ. 67 — 73.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა, სახელმწიფო წყობილება და კულტურული მდგომარეობა [1].

ფეოდალური საქართველოს საშინაო პოლიტიკის ზოგიერთ საკითხზეა ყურადღება მიქცეული პროფ. მ. დუმბაძის სტატიაში „საქართველოს ისტორიული სინამდვილე და შოთა რუსთაველი“ [2].

XII საუკუნის საქართველოს საშინაო პოლიტიკის ისტორიის გარკვეულ საკითხებს შეეხნენ პროფ. გ. სოსელია (ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამის პრობლემას) [3], პროფ. ვ. დონდუა [4].

ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის საკითხები გამოკვლეული აქვს ბ. ლომინაძეს [5]. ჩვენთვის საინტერესო ეპოქისა და პრობლემის შესახებ სხვადასხვა დროს (პირდაპირ თუ არაპირდაპირ) ყურადღება გაამახვილეს ვ. კოპალიანმა [6], ნ. შოშიაშვილმა [7], ა. ბოგვერა-

---

[1] მ. ლორთქიფანიძე, რუსთაველის ეპოქა, თბ., 1966, იხ. ამ ნაშრომზე ჩვენი რეცენზია „ეპოქა დიდი რუსთაველისა“, „ცისკარი“, 1966, № 9, გვ. 102 — 110.

[2] მ. დუმბაძე, საქართველოს ისტორიული სინამდვილე და შოთა რუსთაველი, კრებ., საქართველო რუსთაველის ხანაში, გვ. 5—31.

[3] გ. სოსელია, ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამის შესახებ, სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, 1958, ტ. X—XI.

[4] ვ. დონდუა, თამარ მეფის და რუსუდანი, ენიმკის მოამბე, 1940, V—VI. მისივე, „ვეფხისტყაოსანი“ და თამარის ისტორიკოსები, კრებ. საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, გვ. 228—241.

[5] ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, I, თბ., 1966, მისივე, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა VIII—XII საუკუნეების საქართველოში, კრებ., „საქართველო რუსთაველის ხანაში“, გვ. 66—92.

[6] ვ. კოპალიანი, კლდეკარის საერისთავო (საკანდიდატო დისერტაცია), ხელნაწერი, მისივე, საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან (XI—XII საუკუნეთა მიჯნა), XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, გვ. 83—122.

[7] ნ. შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, კრებ. შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 1966; მისივე, XII—XIV სს. საქართველოს სახელმწიფო სამართლის ისტორიისა და რუსთველოლოგიის ზოგიერთი საკითხი, „ცისკარი“, 1965, № 9.

ძემ [1], ვ. აბაშმაძემ [2], ლ. ალექსიძემ [3], ნ. ასათიანმა [4], ნ. შენგელიამ [5], დ. მუსხელიშვილმა [6], შ. ბადრიძემ [7] და სხვ.

ეს საკითხი სათანადოდ იქნა გაშუქებული სომხურ ისტორიოგრაფიაში. XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკის, კერძოდ, სამოხელეო წყობის საკითხების შესახებ არაერთმა სომეხმა ისტორიკოსმა გამოთქვა თავისი მოსაზრება, რომელთა შესახებაც ჩვენ ქვემოთ, საჭიროებისამებრ შევჩერდებით.

ჩვენ ვითვალისწინებთ რუსი და სხვა საბჭოთა მეცნიერების გამოკვლევებს, როგორც ამიერკავკასიის ისტორიის, ასევე ფეოდალიზმის ზოგადი პრობლემების შესახებ, რაც მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებაზე დაყრდნობით იქნა უკანასკნელ ხანს გაკეთებული.

მივანიშნებთ იმ გარემოებაზე, რომ განვითარებული ფეოდალიზმის ხანის საქართველოს ისტორიის (XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკის) შესწავლის საქმეს ერთგვარი ყურადღება ექცევა საზღვარგარეთაც.

ზემოთ დასახელებული ისტორიული მასალები და სამეც-

---

[1] ა. ბ ო გ ვ ე რ ა ძ ე, დავით აღმაშენებლის ისტორიის თარიღისა და ხასიათის შესახებ, კრებ. ქართული ისტორიოგრაფია, 2, 1971, გვ. 70—83.

[2] ვ. ა ბ ა შ მ ა ძ ე, XII საუკუნის ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, კრებ. XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, გვ. 309—364.

[3] ლ. ა ლ ე ქ ს ი ძ ე, უცხოელთა და უცხო სარწმუნოების მიმდევართა უფლებრივი მდგომარეობა შოთა რუსთაველის ეპოქის საქართველოში, კრებ. XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, გვ. 141—170.

[4] ნ. ა ს ა თ ი ა ნ ი, საქართველო—შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში, კრებ. XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, გვ. 7—54.

[5] ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, თბ., 1963.

[6] დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, თბილისის ამირთამირობის ინსტიტუტისათვის, კრებული, საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, გვ. 199—221.

[7] შ. ბ ა დ რ ი ძ ე, ჯვაროსნული თქმულება დავით აღმაშენებლისა და დემეტრე პირველზე, კრებ., XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, გვ. 365—400. მისივე, კეთილად შესახვედრი წიგნი, რეცენზია რ. მეტრეველის წიგნზე „ნარკვევები ფეოდალური საქართველოს ისტორიიდან“, ცისკარი, 1972, № 9.

ნიერო გამოკვლევები სათანადოდ არის გათვალისწინებული
წინამდებარე ნაშრომში. ამას გარდა საქართველოს საშინაო
პოლიტიკური ვითარების (კლასობრივი და შინაკლასობრივი
ბრძოლის) შესასწავლად გამოყენებულია სხვა რიგის წყაროები (არქეოლოგიური, ეპიგრაფიკული, ნუმიზმატიკური) და ასევე ქართველ, რუს და უცხოელ ავტორთა არაერთი გამოკვლევა, რომელთა საგანგებოდ ჩამოთვლა და განხილვა არ მივიჩნიეთ მიზანშეწონილად.

ჩამოთვლილი და განხილული ლიტერატურის არსებობის მიუხედავად XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფოში არსებული შინაკლასობრივი ბრძოლის რიგი საკითხები კვლავ შესწავლისა და სისტემაში მოყვანის საგანს წარმოადგენს და წინამდებარე ნაშრომიც ჩვენს ისტორიოგრაფიაში არსებული ამ ხარვეზის ნაწილობრივი შევსების ცდას წარმოადგენს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი მეოთხე

საქართველო XI საუკუნეში

ფეოდალური საქართველოს გაერთიანება მეტად რთულსა და ამასთანავე ხანგრძლივ პროცესს წარმოადგენდა. მთელი IX საუკუნე (ნაწილობრივ VIII საუკუნის დასასრულიც) და X საუკუნის დიდი ნაწილი „აფხაზთა და ქართველთა მეფის" მფარველობისა და მმართველობის ქვეშ საქართველოს გაერთიანებას მოუნდა. X საუკუნის 80—90-იან წლებში ფაქტიურად ხდება ქვეყნის პოლიტიკური ცენტრალიზაცია და მმართველობის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება. ქვეყნის გაერთიანების პროცესი თანდათან მიმდინარეობდა. ჯერ დასავლეთი საქართველო (აფხაზეთის სამეფო) შიდა ქართლთან ერთად სამხრეთ საქართველოს ერთ ნაწილთან გაერთიანდა, ხოლო XI საუკუნის დასაწყისში მათ შეუერთდა ტაო-კლარჯეთის სამეფოს უდიდესი ნაწილი. დასახელებული პროვინციები მნიშვნელოვან ქართულ პოლიტიკურ ერთეულებს წარმოადგენდნენ და ამდენად სამეფო-სამთავროების ეს გაერთიანებაც თავისი მასშტაბურობით შორს სცილდება და პრინციპულად განსხვავდება წინამორბედი პერიოდის (კერძოდ VIII—IX ს.ს.) დროს არსებული სამხედრო თუ პოლიტიკური კავშირებისგან. აღნიშნული გაერთიანება რიგი ქართული სამთავროების პოლიტიკური დამოუკიდებლობის ლიკვიდაციის შედეგად აღმოცენდა და ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში ახალ ეტაპს მოასწავებდა — ფაქტიურად ეს იყო გზა ცენტრალიზებული ტიპის მონარქიის შექმნისაკენ [1].

---

[1] ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საკითხებისადმია მიძღვნილი პროფ. მ. ლორთქიფანიძის ნაშრომი „ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება", თბ., 1963.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალური თვალსაზრისით ეს ეტაპი დაემთხვა საქართველოში ადრეფეოდალურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ტალანთავრებას (X საუკუნის მიწურული) და ქვეყანა განვითარების ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე შედგა. XI საუკუნიდან საქართველოში დაიწყო განვითარებული ფეოდალიზმის ხანა. პოლიტიკური განვითარების თვალსაზრისით ფეოდალური ურთიერთობის ეს საფეხური იმაში გამოიხატება, რომ ჩამოყალიბდა ახალი სოციალურ-ეკონომიური ვითარების შესაფერისად გაერთიანებული საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო [1].

ახალმა ვითარებამ მდაბიორთა საზოგადოებრივი ფენა დამოკიდებული უფრო მეტად გახადა აზნაურებზე. ამ უკანასკნელებმა დაიტაცეს სათემო მიწები. ექსპლოატაცია თანდათან ძლიერდებოდა, რამაც თავის მხრივ ის გამოიწვია, რომ ყმათა დიდმა უმრავლესობამ თანდათან დაკარგა თავისუფლების ყველა ნიშანი და აზნაურის „გლეხად“ იქცა. ამან კლასობრივ წინააღმდეგობათა გაღრმავება გამოიწვია, შესაბამისად კლასობრივი ბრძოლაც გამწვავდა.

ახალმა კლასობრივმა ურთიერთობამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ეკონომიურ ურთიერთობებში — ქვეყნის საწარმოო ძალები კიდევ უფრო განვითარდა ქართული ფეოდალური საზოგადოების წიაღში, ამან კი თავის მხრივ სოფლის მეურნეობიდან ხელოსნობის კიდევ უფრო გამიჯვნა გამოიწვია. როგორც ჩანს, ეს პროცესი მხოლოდ საქართველოსთვის არ იყო დამახასიათებელი. «Ремесло („рукомесло», «мастерство», «промысел», «умельство») сначала сочеталось с сельским хозяйством, носило сезонный и подсобный характер, затем всё более поглашало время работника, так что уже само сельское хозяйство приобретало для него лишь подсобное значение, и, наконец при благоприятных условиях совсем или почти совсем отделялось от сельского хозяйства»[2].

ამასთანავე ხელოსანთა ნაწარმი სულ უფრო ფართო საზო-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე და სხვ., საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958, გვ. 138.

[2] Б. Ф. Поршнев, Феодализм и народные массы, М., 1964, стр. 90.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადოების მოხმარების საგანი გახდა. ხელოსანთა გამოყოფის პროცესი საერთო მწარმოებელი მასიდან (ამ შემთხვევაში მიწათმოქმედი მოსახლეობიდან) გაღრმავდა. ის პირები, რომლებსაც კვალიფიცირებული ხელოსნური შრომა შეეძლოთ, ადვილად წყვეტდნენ კავშირს თავიანთ ბატონ — მიწათმფლობელთან, რადგან მათთვის მიწა აღარ წარმოადგენდა წარმოების აუცილებელ საშუალებას. „გაჩნდნენ სოფლიდან სოფლად ან ქვეყნიდან ქვეყნად მიმომავალი ხელოსნები, ხელოვანხუროები, ქვისმთლელ-კალატოზები, ბაღ-ვენახის მშენებლები, სეზონური მუშები“ [1].

ხელოსნები და მათთან ერთად ვაჭრები თანდათან გამოვიდნენ ფეოდალური სამეურნეო ინტერესების საზღვრებიდან, გაფართოვდნენ ქალაქში დასახლებულნი, გაიზარდნენ და უკვე დამოუკიდებელ, თავიანთი ყოფილი პატრონებისადმი დაპირისპირებულ ძალას წარმოადგენდნენ.

მეტად მნიშვნელოვან მომენტს საქართველოს, ისე როგორც სხვა ქვეყნების, ფეოდალური საზოგადოების განვითარებაში ამ პერიოდისათვის წარმოადგენდა ფეოდალური ქალაქების ფართო მასშტაბით გავრცელება, თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ განსხვავებით დასავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნისაგან [2], საქართველოში ქალაქები ადრე ფეოდალურ საზოგადოებაშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ [3]. ამჯერად კი მათი ფართო მასშტაბით გაზრდა-განვითარებას ვუსვამთ ხაზს. ქალაქებში ხელოსნობის ფართო მასშტაბით განვითარებამ (ხელოსნობა ხომ საქალაქო ცხოვრების განუყოფელი ნაწი-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე და სხვ., საქართველოს ისტორია, თბ., 1958, გვ. 137.

[2] Я. Левицкий, Города и городское ремесло в Англии в X—XII вв. М—Л., 1960; В. В. Стоклицкая-Терешкович, Основные Проблемы истории средневекового города X—XV вв. М., 1960.

[3] Ш. А. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959: ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, II, თბ., 1970., შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962, აგრეთვე იხ. А. Ю. Якубовский. Главные вопросы изучения истории развития городов средней Азии, Труды Тадж. Филиала АН СССР, XXIX, Сталинабад, 1951. М. Н. Тихомиров. Древнерусские города, Изд. 2-е, М., 1956.

ლია)[1] ხელი შეუწყო ვაჭრობის განვითარებას. ფაქტიურად სარბიელზე ვაჭარ-ხელოსანთა ფენის სახით გამოვიდა ფეოდალური დაქსაქსულობის წინააღმდეგ მებრძოლი ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების მოსურვე ახალი ძალა — „მოქალაქეთა“ ძლიერი ფენა, რომლებმაც ქვეყნის სოციალურსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი გავლენა მოიპოვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამრიგად, განვითარებული ფეოდალიზმის დასაწყისი საქართველოში თან დაემთხვა ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებას და ამდენად ერთიანი საქართველოს ისტორიის დასაწყისსაც. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება კი შედეგი იყო საზოგადოებრივი ურთიერთობის წინსვლისა და ამავე დროს ამ საზოგადოების შემდგომი აღმავლობის საწინდარსაც წარმოადგენდა.

საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას, ბუნებრივია, თავისი მოწინააღმდეგეებიცა ჰყავდა. ესენი იყვნენ დიდაზნაურთა ერთი ნაწილი და საქართველოს ეკლესიის რეაქციული ფრთა, რომელთაც ზურგს უმაგრებდნენ და ახალისებდნენ უცხოელი დამპყრობლები (ბიზანტია, თურქ-სელჩუკები)[2]. პირველთ (დიდგვაროვან აზნაურებს, სამღვდელოების ერთ ნაწილს) თავიანთი გავლენისა და მდგომარეობის დაკარგვა და შეზღუდვა აწუხებდათ, ხოლო მეორეთ (ბიზანტიასა და თურქ-სელჩუკებს) საქართველოს გაერთიანება-გაძლიერება.

მეფესა და დიდგვარიანებს შორის უთანხმოებამ ჯერ კიდევ გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ მესამის (1075—1014 წწ.) დროს იჩინა თავი. მისი პოლიტიკის მოწინააღმდეგედ გამოდიოდა რატი ბაღვაში, რომელსაც ზურგს უმაგრებდნენ ქართლის დიდაზნაურები. „იყო მას ჟამსა ერისთავად კლდეკართა რატი, და ჰქონდა ციხე ატენისა და ქართლისაგან მტკუარსა სამხრეთით კერძო ყოველივე, თრიალეთი; მანგლის-ხევი და სკკრეთი; ა რ ა მ ო რ ჩ ი ლ ო ბ დ ა

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, კაპიტალიზმის გაანვითარება რუსეთში, ტ. 3, გვ. 383.

[2] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 128—133. В. Розен., Импер. Василий Болгаробойца, стр. 27., А. Ю. Якубовский Сельджукское движение и туркмены в XI веке, Известия АН СССР, Отд. Общ. наук, 1937, № 4. стр. 921. ვ. გაბაშვილი, თურქ-

კეთილად ბაგრატ მეფესა“ [1]. რატი ბაღვაშს უდიდესი მიწა-ნაკვეთი ჰქონდა მიტაცებული. თანაც იგი გამონაკლისს სხვა დიდ-აზნაურთაგან ამ თვალთახედვით არ შეადგენდა (აქ შეიძლება მასშტაბებში იყო სხვაობა), რადგან ასეთივე მიმტაცებლები იყვნენ სხვა აზნაურებიც: ძამელები, კორინთლები, ტბელები, ფხვენელები და სხვ. [2]. აფხაზეთიდან აღმოსავლეთ საქართველოში საქმეების მოსაწესრიგებლად მიმავალ მეფეს ქართლის საზღვარზე დაუხვდნენ დიდგვაროვანი აზნაურები ქავთარ ტბელის მეთაურობით და პროტესტის ნიშნად ბრძოლა გაუმართეს. ბაგრატ მესამემ დაამარცხა დიდგვარიანი აზნაურები, გადმოვიდა აღმოსავლეთ საქართველოში და ქვეყნის მართვას ქართლშიაც თვითონ შეუდგა. მეფის აქტიური მოქმედებით შეშინებული აზნაურები სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას ჩამოშორდნენ და გადაიხვეწნენ. გამონაკლისს რატი ბაღვაში წარმოადგენდა, მაგრამ საქართველოს მეფემ ეს ფეოდალიც დაიმორჩილა (989 წელს). ეს უკანასკნელი იძულებული გახდა თრიალეთი, კლდეკარის ციხითურთ ბაგრატ მესამისთვის გადაეცა. თავის მხრივ ბაგრატ მეფემ კლდეკარის ერისთავად რატი ბაღვაშის ძე ლიპარიტი დასვა და ამ გზით ეს მხარე დაიმორჩილა.

ბაგრატ მესამის მიერ სწორად წარმართული საშინაო და საგარეო პოლიტიკის შედეგად საქართველოს სამეფოს ტერიტორია იზრდებოდა. გურგენ მეფის (ბაგრატის მამა) გარდაცვალების (1008 წ.) შემდგომ მის უშუალო გამგებლობაში მყოფი შავშეთ-კლარჯეთი, სამცხე და ჯავახეთი ბაგრატ მესამის სამეფოს შეუერთდა. საქართველოს მეფის მცდელობით 1010 წ. ჰერეთ-კახეთიც მისი გამგებლობის ქვეშ შემოვიდა. ქვეყნის გაძლიერების პარალელურად ბიზანტიის გავლენა საქართველოზე თანდათან მცირდებოდა. ბიზანტია არავითარ ხერხსა და ღონეს არ იშურებდა თავისი უფლებების შესანარჩუნებლად. (ერთის მხრივ, ქვეყნის მიტაცება, დიდაზნაურთა მოსყიდვა,

---

სელჩუკების შემოსევები და ბატონობა, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 122—126, ნ. შენგელია, სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, თბ., 1968.

[1] მატიანე ქართლისა, ცხოვრება, I, თბ., 1965, გვ. 176.

[2] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე და სხვ. საქართველოს ისტორია, გვ. 139.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათი გადაბირება, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს ფეს „პატივსა“ და „წყალობას“ არ აკლებდა).

ბიზანტიასთან ურთიერთობის გამწვავებას ადგილი ჰქონდა გიორგი პირველისა (1014—1027 წწ.)[1] და ბაგრატ მეოთხის (1028—1072 წწ.) მეფობის დროსაც. ბიზანტია ყოველგვარად ცდილობდა კვლავ დიდი გავლენა ჰქონოდა ამიერკავკასიის ქვეყნებზე. გიორგი პირველის გარდაცვალების შემდეგ (1027 წ.), როგორც კი მისი მცირეწლოვანი შვილი ბაგრატი გამეფდა „მასვე ჟამსა (ე. ი. ბაგრატის გამეფებისთანავე—რ. მ.) წარვიდეს აზნაურნი ტაოელნი საბერძნეთს: ვაჩე კარიჭის ძე და ბანელი ეპისკოპოსი იოვანე, და მათ თანა სიმრავლე აზნაურთა ტაოელთა“[2].

აქ დამახასიათებელია ის გარემოება, რომ საქართველოს მეფეს გადაუდგნენ, როგორც საერო, ისე სასულიერო ფეოდალები. ადვილი საფიქრებელია, რომ ეს ბიზანტიის კეისრის გარკვეული მოქმედების შედეგი იყო. ყოველი შემთხვევისათვის ქართველ დიდგვარიანთა ასეთი, მეფის საწინააღმდეგო მოქმედება, ბიზანტიელთა წისქვილზე ასხამდა წყალს და სრულიადაც არ ყოფილა შემთხვევითი ის გარემოება, რომ „მოქცევასა ოდენ წელიწადისასა (კონსტანტინე კეისარმა — რ. მ.) გამოგზავნა პარკიმანოზი ლაშქრითა ურიცხვთა, მოვიდა და ჩამოდგა, და მოაოხრნა იგივე ქუეყანანი, რომელნი ბასილი მეფისა მოეოხრნეს“[3]. საქართველოს ციხე „შიგნიდან ტყდე-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 134. არისტაკეს ლასტივერელი, ისტორია, გვ. 7.

[2] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 291.

[3] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 291—292. მატიანეში მოხსენებული ბასილი არის ბიზანტიის კეისარი, რომელიც საქართველოს მთავრობის მოქმედებით გაჯავრებული (როცა ბასილი ბულგარელებს ეომებოდა 1014—1016 წწ. გიორგი პირველმა ისარგებლა ამ შემთხვევით და მანამდე ბიზანტიელთა მფლობელობაში მყოფი ტაო დაიკავა) 1021 წელს მრავალრიცხოვანი ჯარით საქართველოში შემოიჭრა და „მოვიდა ბასიანს, ითხოვდა ქუეყანათა და ციხეთა“ (აღნიშნულ საკითხზე ყურადღებას ამახვილებს „მატიანე ქართლისაჲ“, არისტაკეს ლასტივერელი, ჲაჰჲა ანტიოქელი). ასეთ შემთხვევაში მშვიდობასა და ზავს ჰპირდებოდა ქართველებს, რაზედაც, როგორც ირკვევა, ეს უკანასკნელნი არ დათანხმებულან. ბრძოლა შირიმში მოხდა და ქართველთა დამარცხებით დამთავრდა. გიორგის შემდეგი მცდელობაც — ბიზანტიისათვის და-

ბოდა". კეისრის ფულმა გასჭრა და მისგან მოსყიდული საეკ-
ლესიო თუ საერო ფეოდალები სამშობლოს ღალატში ერთმა-
ნეთს ეჯიბრებოდნენ [1]. ბიზანტიამ ნაწილობრივ ისიც კი შეს-
ძლო, რომ „წვრილი ერის" (საზოგადოების დაბალი ფენების)
თვალში თავისი მძარცველური პოლიტიკა გაემართლებინა.
კერძოდ, ბიზანტიის მთავრობამ თავის ჯარს გამოატანა ტახ-
ტისმაძიებელი ბაგრატიონი უფლისწული დემეტრე კლარჯი [2]
„რეცა შესატყუვნელად ქუეყანისა კაცთათჳს, და ამის მიზე-
ზითა მოიქცეს მრავალნი კაცნი მის ქუეყანისანი წურილისა
ერისაგან" [3]. სამხრეთ საქართველოს ბევრი დიდი აზნაური
მიემხრო დემეტრეს. საქართველოს მეფის წინააღმდეგ ბრძო-
ლა კლდეკარის ერისთავის ლიპარიტის მეთაურობით წარმოებ-
და. ბაგრატ მეოთხემ მტერთან მშვიდობიანი მორიგება არჩია:
ლიპარიტს ქართლის ერისთავობა უწყალობა. ბერძენთა ჯარი
და დემეტრე უფლისწული კი იძულებული გახდნენ უკან გაბ-
რუნებულიყვნენ. ბიზანტიის უკანდახევას ხელი შეუწყო,
ერთის მხრივ, იმ გარემოებამ, რომ ქართველი ხალხი თავგან-
წირვით იბრძოდა გარეშე თუ შინაური მტრების წინააღმდეგ
ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, მეორე

მარცხება ეგემებინა — წარუმატებლად დამთავრდა. საქართველოს მეფე
იძულებული გახდა ზავის მძიმე პირობებს დათანხმებოდა. „და ყვეს მშვი-
დობა და დაიზავნეს, და მისცა გიორგი მეფემან მძევლად ძე თჳსი ბაგრატ
წელიწდისა სამისა და ციხენი რომელ პირველ გაეცნეს აზნაურთა დაუ-
ცალნა და მისცნა; სხუანიცა ციხენი პირველ მიცემულნი და და უკანის
თოთხმეტნი; და ქუეყანა, რომელი ჰქონდა დავით კურაპალატსა ტაოსთა,
ბასიანს, კოლა-არტანთა და ჯავახეთს". („მატიანე ქართლისა, ქართლის
ცხოვრება, I, გვ. 288).

[1] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ვ. დ ო ნ დ უ ა, მ. დ უ მ ბ ა ძ ე და სხვ.,
საქართველოს ისტორია, I, გვ. 142, აგრეთვე იხ. რ. მეტრეველი, დავით
აღმაშენებელი, თბ., 1965, გვ. 25—26.

[2] ეს ის დემეტრეა, რომლის მამაც სუმბატი [ივ. ჯავახიშვილი დემეტ-
რეს მამად სუმბატის ძმას გურგენს მიიჩნევს. (იხ. ქართველი ერის ისტო-
რია, II, გვ. 132). ჩვენ „მატიანე ქართლისას" უშუალო მითითებას ვეყრ-
დნობით, სადაც ხაზგასმითაა ნათქვამი „დემეტრე კლარჯი, ძე სუმბატისი",
იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 292] მის ძმასთან გურგენთან ერთად ბაგ-
რატ მესამემ „პატიმარ ყუნა ციხესა შინა თმოგვისასა", სადაც ისინი გარ-
დაცვლილან კიდეც. ხოლო თვით დემეტრე ბიზანტიაში გაიქცა და ბასილ
კეისარს შეაფარა თავი.

[3] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 292.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხრივ, თვით ბიზანტიის სამეფო კარზე გართულდა მდგომარეობა.

კონსტანტინოპოლში სამშვიდობო მოლაპარაკების შემდეგ საქართველო და ბიზანტია დაზავდნენ [2].

ზავი ბიზანტიასა და საქართველოს შორის მყარი არ გამოდგა. ამას ნაწილობრივ ელენე დედოფლის ნაადრევმა სიკვდილმაც შეუწყო ხელი. საქართველოს ურთიერთობა ბიზანტიასთან კვლავ გართულდა და ისე გამწვავდა, რომ ბაგრატ მეოთხე არა თუ ემორჩილებოდა კეისარს, არამედ სერიოზულ მეტოქეობასაც უწევდა მას. ბაგრატმა ლიპარიტის დამორჩილებაც მოახერხა. მისი გამთავრებით უკმაყოფილო მესხმა აზნაურებმა („სამეფოსა დიდებულთა მოეწყინა პატრონობა ლიპარიტისი") 1058 წელს შეიპყრეს ეს ურჩი ფეოდალი და მეფეს მიჰგვარეს. მეფემ იგი ბერად აღკვეცა. ეს ფაქტი ბიზანტიის პოლიტიკის მარცხი იყო, აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანების საკითხში კი წინგადადგმული ნაბიჯი.

XI საუკუნის 50—70-იან წლებში საგარეო პოლიტიკური ვითარება ერთგვარად გართულდა, რისი მიზეზიც თურქული მოდგმის ტომების, სელჩუკების გამოჩენა იყო [3].

---

[1] ამ მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებდა ბაგრატ მეფის დედა მარიამ დედოფალი და მცხეთის კათალიკოსი მელქისედეკი.

[2] დაზავების შემდეგ აღსანიშნავია, რომ კეისარმა თავისი ასული ელენე ბაგრატ მეოთხეს მიათხოვა ცოლად „Елена была выдана за грузинского царя Баграта, в 1029 — 1030 г» (Н. Скабаранович, Византийское государство и церковь в XI веке", С — Путербург, 1884, გვ. 13) აღსანიშნავია, რომ ეს მოვლენა დასახელებულ ავტორს აღებული აქვს ბიზანტიელი ჟამთააღმწერლის გიორგი კედრენის თხზულებიდან. (იხ. Georgii Cedreni Historiarum compendium ed Bonnae, t. II, 47^). ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 139.

[3] თურქ-სელჩუკების შემოსევები XI საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო. ისინი სწრაფად მოედვნენ ქვეყნის ყველა მხარეს, დაემუქრნენ ირანს, ბიზანტიას და კავკასიას. თურქ-სელჩუკთა ბატონობა მახლობელი აღმოსავლეთის კულტურული ხალხებისათვის უფრო საშიში და დამღუპველი იყო, ვიდრე არაბთა ბატონობა (ეს მათი ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობით იყო გამოწვეული). სელჩუკთა მოძრაობამ თავისი დაღი დაასვა არამარტო წინა აზიისა და კავკასიის ქვეყნებს, არამედ გავლენა იქონია ეგვიპტეზე, ბიზანტიაზე, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაზე, ხოლო ჯვაროსნული ლაშქრობების დროს მთელს დასავლეთ ევროპაზე

სულთანმა ალფ-არსლანმა[1] (1063—1072 წწ.) არა ერთგზის დალაშქრა საქართველო (1065 წ., 1068 წ.). ქართველები ბაგრატ მეფის მეთაურობით მხნედ ებრძოდნენ მომხდურ მტერს და ცდილობდნენ, რომ თურქ-სელჩუკებს ქართულ მიწაზე ფეხი არ მოეკიდებინათ. ალფ-არსლანი შეცვალა მალიქ-შაჰმა (1072—1092 წწ.), რომელმაც კიდევ უფრო გააფართოვა „დიდ სელჩუკთა სახელმწიფო". იგი თავმომწონედ აცხადებდა: შუა აზიიდან წამოსულმა ცხენი ხმელთაშუა ზღვის წყლებში შევიყვანეო[2].

თურქ-სელჩუკების შემოსევები უდიდეს ზიანს აყენებდა დაპყრობილ ქვეყნებს. მას შემდეგ, რაც ისინი საქართველოში შემოიჭრნენ, „გამრავლდა შიში და ჭირი მათგან ჩუენ ზედა. რამეთუ იწყეს მიერითგან რბევად ტყუენვად და მოოხრებად, წუად, სრვად და ტყუეობად ჩუენ ქრისტიანეთა"[3].

საქართველოს ეკონომიკისათვის დამანგრეველი იყო თურქთა შემოსევები XI საუკუნის 80-იან წლებში. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ თურქთა ბრბოები „მოეფინნეს პირსა ყოვლისა ქუეყანისასა, ვითარცა მკალნი... მოისრა და ტყუე იქმნა ამათ ქუეყანათა მკჳდრი ყოველი"[4]. ამავე ისტორიკოსის ცნობით თურქ-სელჩუკებმა „ერთსა დღესა დაწუეს ქუთათისი, და არტანუჯი და უდაბნონი კლარჯეთისანი[5]. ასეთი უბედურება არასოდეს უნახავს საქართველოს: „არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა; მოოხრდა ქუეყანა და ტყედ გარდაიქცა, და ნაცვლად

(იხ. А. Ю. Якубовский, Сельджукское движение и туркмены в XI веке, Известия АН СССР, отд. общ. наук, 1937, № 4, стр. 921. ვ. გაბაშვილი, მახლობელი აღმოსავლეთ X — XII საუკუნეებში, მარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, გვ. 118 — 124., შდრ. В А. Гордлевский, Государство Сельджукидов Малой Азии, М—Л., 1941, стр. 21).

[1] ალფ-არსლანი „დიდ სელჩუკთა" სახელმწიფოს დამაარსებლის თოღრულბეგის (1038—1063 წწ.) მემკვიდრე და საქმის გამგრძელებელი იყო.

[2] ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, ვ. გაბაშვილის რედაქციით, თბ., 1957, გვ. 124.

[3] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 318—319.

[4] იქვე, გვ. 319.

[5] იქვე.

კაცთა მხეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვიდრნეს მას შინა, და იყო ჭირნი მოუთმენელი ყოველთა ზედა მკვდრთა ქუეყანისათა, შეუსწორებელი და აღმატებული ოდესმე ყოფილთა სმენილთა და გარდასულთა ოჴრებათასა“ [1].

თურქები არსებითად განსხვავდებოდნენ სხვა დამპყრობლებისაგან (ბიზანტია, არაბეთი). ისინი მომთაბარეები იყვნენ და ამიტომ დაპყრობილ ადგილებზე სახლდებოდნენ. ეს კი თავის მხრივ ხელს უშლიდა ფეოდალური მეურნეობის განვითარებას, მას საფუძველს (მიწას) აცლიდა და ერთიანად გადაშენების საფრთხეს უქმნიდა [2].

მიუხედავად დიდი მოძალებისა, თურქ-სელჩუკებმა ვერ შეძლეს საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობა. ქართველმა ხალხმა, თუმცა დიდი დანაკარგებით, მაგრამ მაინც „შეინარჩუნა სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია“ [3].

მძიმე პოლიტიკურ მდგომარეობაში იყო მოქცეული მეზობელი სომხეთიც. პოლიტიკურმა ერთეულებმა, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, დამოუკიდებლობა დაკარგეს და თურქ-სელჩუკთა მბრძანებლობის ქვეშ მოექცნენ. სელჩუკებმა დიდად დააზარალეს აზერბაიჯანის მოსახლეობა. XI საუკუნის 80-იან წლებში მათ საბოლოოდ დაიპყრეს ყოფილი ალბანეთის მიწა-წყალი. ამასთანავე განძაში მუდმივად ჩააყენეს 48 ათასი მოლაშქრე, რომელთა შენახვა არანის მოსახლეობას დააკისრეს, საქართველოს მეზობლად მდებარე შირვანი კი აიძულეს ერთდროულად 70 ათასი დინარი გადაეხადა სელჩუკთა სასარგებლოდ. შემდეგ კი ყოველწლიურად ხარკის სახით სულთნისათვის 40 ათასი დინარი უნდა ეძლია [4].

XIII საუკუნის მოღვაწე ნესევი გადმოგვცემს, რომ მალიქშაჰის მიერ გაგზავნილი თურქები 1085 წელს არანსა და მუღანში ისე „გავრცელდნენ, როგორც კალია“. იგივეს აღნიშნავს არაბი გეოგრაფი იაკუთ-ჰამავი (1178—1229 წწ.) თურქ-სელჩუკებმა ოფიციალურ რელიგიად სუნიტური მიმართულება

---

[1] იქვე, გვ. 20.

[2] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, თბ., 1971, გვ. 158.

[3] იქვე.

[4] История Азербайджана, Баку, 1958, გვ. 139—141.

აირჩიეს და დააჩქარეს აზერბაიჯანის იმ მოსახლეობის გან მაჰმადიანება, რომელსაც ჯერ კიდევ შემოენახა ქრისტიანობა[1].

როგორც აღვნიშნეთ, საქართველომ დამოუკიდებლობა შეინარჩუნა, მაგრამ ეს დამოუკიდებლობა ქვეყანას მძიმე ტვირთად დააწვა კისერზე — გიორგი მეორე (1072—1089 წწ.) სულთნის სასარგებლოდ ყოველწლიურად ხარკს მაინც იხდიდა. თანაც მეფე სულთანს ეახლა და მორჩილება გამოუცხადა. ამის შემდეგ მოსალოდნელი იყო მშვიდობიანობა, მაგრამ პირიქით ხდებოდა. საქართველოში მომთაბარე თურქების რიცხვი ყოველწლიურად მატულობდა და მათი თვითნებობაც იზრდებოდა. შევიწროებას განსაკუთრებით აღმოსავლეთისა და სამხრეთ საქართველოს მოსახლეობა განიცდიდა. ქართველ მოსახლეობას გადაშენება ემუქრებოდა. მისი სამეურნეო ფარობი მტრის ხელში იყო. საქმე იქამდე მისულა, რომ საქართველოს მეფის ხელისუფლება დასავლეთ საქართველოს ფარგლებს გარეთ საცილობელი გამხდარა[2]. ასეთმა საგარეო პოლიტიკურმა მდგომარეობამ დაასუსტა ქვეყნის შინაგანი ძლიერება. სოფლის მეურნეობა და ხელოსნობა-ვაჭრობა (შესაბამისად — სოფლები და ქალაქები) დაქვეითების გზას დაადგა. დასუსტდა სამეფო ხელისუფლება. რაკი ეს საკითხები ეპოქალურად უახლოვდება ჩვენთვის საინტერესო და ამასთანავე საკვლევ პერიოდს, გვინდა უფრო დაწვრილებით შევეხოთ XI საუკუნის ბოლო მეოთხედის პირველ ნახევარში მიმდინარე მოვლენებს და ამასთანავე ეს მოვლენები განვიხილოთ იმ პერიოდისათვის დამახასიათებელ საერთო ისტორიულ პროცესთან კავშირში.

* * *

XI საუკუნის მეორე ნახევარი უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო არა მარტო საქართველოსა და კავკასიის სხვა ქვეყნებისათვის, არამედ მთელი მსოფლიოს ისტორიის

---

[1] ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთობის წარსულიდან, 1962, გვ. 175—176. История Азербайджана, იქვე.

[2] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ვ. დ ო ნ დ უ ა, მ. დ უ მ ბ ა ძ ე და სხვ., საქართველოს ისტორია, გვ. 149.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასტშაბითაც. ამიტომ შემთხვევითი არ ყოფილა ის გარემოება, რომ მოცემული პერიოდის კვლევაზე არაერთი ისტორიკოსი შეჩერდა. ისტორიკოსთა აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, საქართველოს მეფის გიორგი მეორის ღონისძიებანი ხელს ვერ უწყობდა საქართველოში მეთერთმეტე საუკუნის სამოცდაათ-ოთხმოციან წლებში შექმნილ მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლას, პირიქით, ზოგ შემთხვევაში კიდევ უფრო ამწვავებდა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ვითარებას. ყველაფერი ეს ისტორიკოსების მიერ ახსნილია, გიორგი მეორის სისუსტით, მისი უნიათობით.

XI საუკუნის 70—80-იანი წლები საქართველოს ისტორიაში უაღრესად მძიმე პერიოდია. ძლიერდება მეფის მოწინააღმდეგე, ე. წ. ცენტრიდანული ძალები (ადგილი აქვს საქართველოს სამეფო კარის წინააღმდეგ დიდგვარიან ფეოდალთა გამოსვლებს) და ქვეყანა შიგნიდან არის აშლილი. მეორე, XI საუკუნის 80-იანი წლები საერთოდ ამიერკავკასიასა და კერძოდ, საქართველოში, აღინიშნა თურქ-სელჩუკების ახალი დიდი შემოსევებით, რასაც ქვეყნისათვის ფაქტიურად დამანგრეველი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ პერიოდში საქართველო გარემოცულია მაჰმადიანი მეზობლებით, რომლებთანაც შეტაკებები უხდება. ბიზანტიისა და სომხეთის ტერიტორიებზე, ასევე საქართველოს საზღვრებზე, ქრისტიანი მეზობლების ნაცვლად უცხო პოლიტიკური და ეთნიკური ელემენტები გაჩნდნენ, რომელთაგანაც საქართველოს მხოლოდ ზიანი და განადგურება ელოდა[1]. საქართველო პოლიტიკურად და ეკონომიურად დაქვეითების გზას ადგა. ამდენად, საქართველოში იმ დროს შექმნილი მდგომარეობა იძლეოდა იმის საშუალებას, რომ საქართველოს მეფეს ბევრი უკმაყოფილო ჰყოლოდა და მასზედ ეფიქრათ, როგორც სუსტსა და უძლურზე. ამას ისიც უნდა მივუმატოთ, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, როდესაც ვეჯინისთავის ბრძოლას აღწერს, ერთგვარად უდიერად იხსენიებს გიორგი მეორეს: „და ჟამსა სთულისასა მოვიდეს კახეთად და მოადგეს ციხესა ვეჟინისასა და, ვიდრე

---

[1] ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, თბ., 1968, გვ. 302—305. აღსანიშნავია, რომ ავტორი ამ ნაშრომში გვაძლევს გიორგი მეორის ახლებურად შეფასების გარკვეულ ცდას.

ბრძოდესღა, მოვიდა თოვლი“ [1]. ამ დროს თურმე „...ამეფეს: გიორგის მოეხსენა ნადირობა აჯამეთისა, არღარას ზრუნავდეს სხუასა, არცა ელოდა აღებასა ვეჟინისასა და კახეთისა, არამედ ლაშქართა თურქთასა, რომელიც ჰყვა, მისცა ნიჭად სუჯეთი და ყოველი ქუეყანა იორის პირი კუხეთი, რომელი მოოხრდა მუნ დღეინდელად დღემდე. ხოლო თვით გარდავლო მთა ლიხთა და შთავიდა აფხაზეთად“ [2]. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიერ მოტანილი ეს ცნობა (და საერთოდ მის მიერ გიორგი მეორის და საქართველოს იმდროინდელი მდგომარეობის შეფასება) იყო საფუძველი, რის გამოც ისტორიკოსები გიორგი მეორეს გართობისა და ნადირობის ტრფიალად უფრო სახავდნენ, ვიდრე სახელმწიფო საქმეებით დაინტერესებულ მოღვაწედ.

XI საუკუნის მეორე ნახევრის (კერძოდ 70—80-იანი წლები) საქართველოს ისტორია საგანგებოდ კვლევის საგანი უნდა გახდეს (ვფიქრობ, რომ მთელი სიღრმით ეს ჯერჯერობით არ გაკეთებულა), ყურადღება მიექცეს იმდროინდელ საშინაო, თუ საერთაშორისო მდგომარეობას (კერძოდ წინააზიასა და კავკასიაში შექმნილ ვითარებას) და ამ ფონზე იქნეს განხილული საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიური, თუ კულტურული მდგომარეობა, ამავე დროს არსებული ქართული და უცხოური სხვადასხვა სახის ისტორიული წყაროების შესწავლის, გაანალიზების და შეჯერების საფუძველზე გაკეთდეს გარკვეული დასკვნები და გამომდინარე აქედან, ობიექტური შეფასება მიეცეს თვით გიორგი მეორის მოღვაწეობასაც.

განვიხილოთ თანმიმდევრულად საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა XI საუკუნის სამოცდაათიან-ოთხმოციან წლებში. ამ პერიოდის საქართველოს შესახებ გარკვეულ ცნობებს გვაწვდიან ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიკოსები: „მატიანე ქართლისას“ ავტორი და დავით აღმაშე-

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 321.

[2] ქართლის ცხოვრება, I, თბ., გვ. 322. აღსანიშნავია, რომ ვახუშტი ბაგრატიონი ფაქტიურად იმეორებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ამ ცნობას, თუმცა აქედან გამომდინარე რაიმე საგანგებო დასკვნას გიორგი მეორის პიროვნებისა და მოღვაწეობის შესახებ არ აკეთებს (იხ. ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1885, გვ. 172).

ნებლის ისტორიკოსი („ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისა“ ავტორი)[1].

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი მეორის მამა ბაგრატ მეოთხე გარდაიცვალა 1072 წლის 24 ნოემბერს[2]. ამის შემდეგ სამეფო ტახტი დაიკავა გიორგიმ.[3]. აღსანიშნავია, რომ გამეფებისას გიორგი მეორე უკვე ატარებდა კურაპალატის ტიტულს[4] (ბაგრატ მეოთხე ჯერ კურაპალატის, შემდეგ ნოველისიმოსის, ხოლო ბოლოს სევასტოსის ტიტულს ატარებდა)[5]. „მატიანე ქართლისაში“ საგანგებოდაა ხაზგასმული ის მძიმე და რთული მდგომარეობა, რომელშიაც ერთიანი საქართველო ბაგრატ მეოთხის მეფობის დროს (1028—1072 წწ.) იმყოფებოდა: „ხოლო ჟამთა მისთა (ბაგრატ მეოთხის მეფობის ხანაში — რ. მ.). ქვეყანასა დაწყნარება არა ჰქონდა: ეკლესიანი და გლეხნი, აზნაურნი და გლახაკნი ვერ იკითხებოდეს“[6].

ქვეყნის ასეთი მძიმე და დაძაბული მდგომარეობა გამოწვეული იყო, ერთის მხრივ, მწვავე კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლით, რომელიც მთელი სიმძაფრით მიმდინარეობდა, ხოლო მეორე მხრივ, გართულებული საგარეო მდგომარეობით (განსაკუთრებით მძიმე იყო ბიზანტიასთან და თურქ-სელჩუკებთან ურთიერთობის საკითხი)[7]. ასე რომ, გიორგი მეორემ მოღვაწეობა მეტად რთულ პირობებში დაიწყო. იმ მძიმე მემკვიდრეობას, რომელიც მან მიიღო, ძალზე სერიოზული და ქმედითი ზომების გატარებით თუ გამოასწორებდა.

არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ გიორგი მეორის დახა-

---

[1] როგორც ერთ, ისე მეორე თხზულებას (წყაროს) ჩვენ შემდგომში მივუთითებთ პროფ. ს. ყაუხჩიშვილის მიერ გამოცემული „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით (1965 წ.).

[2] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, თბ. 1955, გვ. 314.

[3] იქვე.

[4] იქვე.

[5] იქვე. გვ. 315. ამის შესახებ ცნობები ბაგრატ მეოთხის მიერ მოჭრილ მონეტებზეც მოიპოვება. იხ. დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1950, გვ. 42—43. შდრ. რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, თბ., 1965, გვ. 88.

[6] მატიანე ქართლისა, იქვე.

[7] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 136 — 158.

სიათებაში, ან მისი ამა თუ იმ საქმის შეფასებაში, სხვადასხვა მიდგომასთან გვაქვს საქმე: თუ „მატიანე ქართლისა“ გიორგი მეორეს აფასებს გარკვეული კუთხით, რამდენადმე ობიექტურად [1], ერთგვარად აქებს კიდეც მას, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ვერ მალავს თავის არცთუ ისე კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ხომ საყოველთაოდაა აღიარებული, როგორც ობიექტური და თანმიმდევრული სხვადასხვა საკითხების გადმოცემისას!)[2] და ზოგჯერ საქართველოს მეფის მოღვაწეობასთან დაკავშირებულ საკითხებს გარკვეული დამცრობით მოიხსენიებს [3]. ეს ალბათ ჩვენთვის არც უნდა იყოს გასაკვირი. „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“-ს ავტორი მისი ობიექტის დავით აღმაშენებლის აპოლოგეტია და რამდენადაც სიყვარულითა და სასოებით გადმოგვცემს დავით აღმაშენებლის ისტორიას (ეს სავსებით კანონზომიერი მოვლენაა ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიკოსისათვის, ასევე თვით დავით აღმაშენებლის პიროვნება და მოღვაწეობა იმსახურებდა ამგვარ მიდგომას), იმდენად ამცრობს მისი მამის გიორგი მეორის პიროვნებას.

ამდენად, ისტორიულ წყაროებში ყველა ფაქტი, ისევე როგორც საერთოდ, ამ შემთხვევაშიც მოითხოვს სერიოზულ ჩაკვირვებას და შემოწმებას.

მივყვეთ მოვლენათა მსვლელობას.

გიორგი მეორეს გამეფების (1072 წ.) შემდგომ, ძალზე ცოტა ხნით მოუხდა მშვიდობიანად ყოფნა: „დაყო მშვიდობით ზამთარი ერთი და ზაფხულისა ნახევარი“ [4]. საქართველოს სამეფოში შინაკლასობრივი ბრძოლის მეტად მწვავე გამოვლინებას ჰქონდა ადგილი, რაც მოცემულ შემთხვევაში გამოიხატა დიდგვარიანი ფეოდალების ნიანია ქვაბულის ძის, ივანე ლიპარიტის ძისა და ვარდან სვანთა ერისთავის განდგომაში. „მატიანე ქართლისა“ გარკვევით აღნიშნავს, რომ ამ თავადებმა ისარგებლეს გიორგი მეორის სიახალგაზრდავით

---

[1] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 315.

[2] იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 208—219.

[3] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 322.

[4] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 315.

(„სიყრმით“) და აუშალეს ქვეყანა“ [1]. დიდგვარიან ფეოდალთა ეს გამოსვლა 1073 წლის ზაფხულში უნდა მომხდარიყო (გიორგი 1072 წლის ნოემბერ-დეკემბერში უნდა გამეფებულიყო. ამ დროიდან დიდგვარიანთა გამოსვლამდე კი ერთი ზამთარი და ზაფხულის ნახევარი იყო გასული).

დიდგვარიან ფეოდალთა ეს შეკავშირებული გამოსვლა უაღრესად ფართო მასშტაბისა ჩანს. იგი წინასწარვე ღრმად მოფიქრებული და მომზადებული უნდა ყოფილიყო. გამოსვლა განდგომილთა წარმატებით წარიმართა. ნიანია ქვაბულის ძემ ქუთაისი დაიკავა და „წარუღო ქუთაისისა საჭურჭლე“. ივანე ლიპარიტის ძემ კახელები მოიშველია („მოირთნა კახნი“) და ქსნის პირი დაიპყრო, ხოლო ვარდანმა სვანები ააჯანყა და საეგრო დაარბია („გაადგინნა სუანნი ავისა მოხარკულნი, დაარბიეს და ამოსწყჳდეს საეგრო“) [2]. 1073 წლის ფეოდალთა განდგომის სირთულე საქართველოს სამეფოსათვის მისი გეოგრაფიული მასშტაბების სიფართოვეშიც იყო. ბუნებრივია, კახელების მოშველიება და მეფის საწინააღმდეგო ბრძოლაში ჩაბმა, სვანთა აჯანყება თუ სხვა (ქუთაისის საჭურჭლის მიტაცება, ქსნისპირის დაპყრობა) გამდგარ ფეოდალთა მიერ საკმაოდ დიდი ხნის ჩატარებული მუშაობის შედეგი იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში ასე სწრაფად ეს გამოსვლა დიდი მასშტაბისა ვერ გახდებოდა. არ უნდა იყოს გამორიცხული, რომ დიდგვარიან ფეოდალთა 1073 წლის ზაფხულის გამოსვლა წლების მანძილზე მზადდებოდა, ჯერ კიდევ ბაგრატ მეოთხის დროს და როგორც კი ხელსაყრელი მომენტი გამოჩნდა (ახალი მეფის ტახტზე ასვლა) მაშინვე იფეთქა [3]. ამ გამოსვლის შედეგი ის იყო, რომ ქუთაისი, ქსნისპირი და საეგრო აოხრდა. ამასთანავე გამოჩნდა, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი (კახელები, სვანები) სამეფო ხელისუფლების პოლიტიკის უკმაყოფილონი არიან და როგორც ვნახეთ, მის წინააღმდეგაც გა-

---

[1] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 315—316.

[2] იქვე, გვ. 316.

[3] უნდა ვიფიქროთ, რომ დიდგვარიანმა ფეოდალებმა ახალგაზრდა მეფეს არ აცალეს გონზე მოსვლა, ისე შეუტიეს მას. ალბათ, სხვა შემთხვევაში, მათი აზრით, შეიძლებოდა გიორგი მეორე მომძლავრებულიყო და, ბუნებრივია, მასთან შებრძოლება (გადადგომა) უფრო ძნელი იქნებოდა.

მოდიან. აქ მარტო ვარდან სვანთა ერისთავის ან ივანე ლიპარიტის ძის ავტორიტეტი ვერ ითამაშებდა გადამწყვეტ როლს მათი მეფის წინააღმდეგ გამოსვლისათვის. როგორც ჩანს, უკვე იყო გარკვეული წინაპირობები იმისა, რომ მოსახლეობის ერთი დიდი ნაწილი დაპირისპირებოდა სამეფო ხელისუფლებას (მაგალითად, სვანები ეგრისისგან შევიწროვებულნი ჩანან).

ერთი სიტყვით, 1073 წლის გამოსვლა არსებითად მსხვილი ფეოდალების გამოსვლაა საკუთარი უფლებების გაფართოებისათვის და გამაგრებულია მოსახლეობის ფართო მასების მხარდაჭერით, რომელთაც ამგვარი განდგომა ალბათ საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხსნის საშუალებად მიაჩნდა. ეს უკანასკნელნი, რასაკვირველია, მწარედ ცდებოდნენ.

საქართველოს სამეფო კარმა, გიორგი მეორემ, როგორც ირკვევა, აწონ-დაწონეს შექმნილი ვითარება და იწყეს ღონისძიებების გატარება განდგომილთა დასამორჩილებლად. გიორგი მეორემ გამდგარი დიდგვარიანები დაიმორჩილა. „მატიანე ქართლისა“ ხმამაღლა აცხადებს: „...გიორგი მეფემან სძლო სიკეთითა, სიბრძნითა, და ძჳრუხსენებელ იქმნა“ [1]. ურჩი ყმების „წყალობით დაფარვა“ გარკვეული უკანდახევა იყო სამეფო კარისა, მაგრამ მძიმე მდგომარეობაში (როგორც საშინაო, ასევე საგარეო თვალსაზრისით) ჩავარდნილი ქვეყნისათვის იქნებ საჭიროც იყო.

გიორგი მეორეს გარდა ძალისა დიპლომატიაც ფართოდ გამოუყენებია. ალბათ, საქართველოს მეფემ მიზანშეწონილად არ ჩათვალა დიდ ფეოდალებთან მტრულ ურთიერთობაში ყოფნა [2]. და მიუხედავად იმისა, რომ ისინი უკვე დამორჩილებული ჰყავდა, გადაწყვიტა გარკვეულ დათმობაზე წასვლა. ეს დათმობა კი იმაში გამოიხატა, რომ ივანე ლიპარიტის ძეს სამშვილდე უბოძა, ხოლო მის ვაჟს ლიპარიტს მისცა ლოწობანი რუსთავის ნაცვლად (ეს უკანასკნელი კახელებს გადაეცა). ნიანია ქვაბულის ძემ საჩუქრად მიიღო თმოგვი „და სხუანი საქონელნი რჩეულნი“. ვარდან სვანთა ერისთავმა „ასკალანა და უთაღებო ჯაყელთა“ მიიღო.

---

[1] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 316.

[2] აქ იგი, ალბათ, რთულ საგარეო მდგომარეობასაც გარკვეულ ინგარიშს უწევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარად, გიორგი მეორემ „ყოველივე ერთგული და ფრთხილი გული დაფარა წყალობითა, და დაიწყნარა მეფობა თჳსი“ [1].

საქართველოს მეფის გიორგი მეორის მიერ გადადგმული ნაბიჯი სრულიადაც არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ მისი მოქმედება არასწორად მივიჩნიოთ. ჩვენ ვიმეორებთ: სამეფო კარმა აწონ-დაწონა ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობა (XI საუკუნის 80-იან წლებში საქართველო გარშემორტყმულია მაჰმადიანებით და მათთან შეტაკებას აქვს ადგილი) და ამის შემდეგ მიიღო ზემოთ დასახელებული გადაწყვეტილება, რის შედეგადაც, როგორც „მატიანე ქართლისას“ ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, „დაიწყნარა მეფობა თჳსი“ [2].

ამგვარად, საქართველოს მეფის მიერ გაცემული წყალობის საფასურად ქვეყნის შიგნით გარკვეული დროის მანძილზე მშვიდობიანობა იქნა მოპოვებული.

ეს მშვიდობა არ აღმოჩნდა ხანგრძლივი, ივანე ლიპარიტის ძე კვლავ განუდგა მეფეს. გიორგი მეორე ქუთაისიდან სასწრაფოდ გადავიდა სამცხეში, საიდანაც მესხთა ლაშქრით სამშვილდეს მიადგა. აქ მას მეშველად კახთა მეფე აღსართანი მიუვიდა. ბუნებრივია, ასეთ ძალებს გამდგარი ფეოდალი წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა: „ვერ დადგა ივანე ციხეშიგან, მირიდა მთათა სამხრისათა“ [3]. ამის შემდეგ აღსართანის შემწეობით ლიპარიტს ლოწობანი წაართვეს და სამეფოს შემოუერთეს. გიორგი მეორე აქედან ჯავახეთში გადავიდა, სადაც მეფესა და ივანე ლიპარიტის ძეს შორის გრაკვეული შეთანხმება მოხდა. ფეოდალმა ერთგულება შეჰფიცა მეფეს, თვითონ კი კლდეკარისა და სამშვილდის ერისთავად იქნა დამტკიცებული „და დაიმტკიცა ივანე კლდეკართა და სამშვილდესა ზედა“ [4].

როგორც აღვნიშნეთ, ეს გამოსვლა 1073 წლის ზაფხულის დიდგვარიან ფეოდალთა გამოსვლის ჩაქრობიდან არცთუ ისე დიდი ხნის შემდგომ უნდა მომხდარიყო — 1073 წლის მიწურულსა და 1074 წლის დასაწყისისათვის. ყოველ შემთხვევაში

---

[1] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, იქვე.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფესა და ივანე ლიპარტის ძეს შორის შერიგება 1074 წლის დასაწყისისათვის არის სავარაუდებელი [1].

ერთხელ გაორგულებული ივანე, როგორც ჩანს, საქართველოს მეფეს მხოლოდ სიტყვით უცხადებდა თავის მორჩილებას. სინამდვილეში კი არც ერთ ხელსაყრელ მომენტს არ უშვებდა ხელიდან, რომ ერთიანი საქართველოს მეფისათვის ემტრო. თანაც ივანე ლიპარტის ძის მოქმედება სცილდებოდა მხოლოდ საკუთარი თავისა და საგვარეულოს განდიდებისათვის ლტოლვას. აქ მოღალატური ელემენტიც საკმაოდ ფართო მასშტაბით ჩანს. ეს დიდგვარიანი ფეოდალი ყოველგვარ ხერხს ხმარობს იმისათვის, რომ მეფესთან ბრძოლაში გამოიყენოს უცხო ძალებიც. აქ აშკარაა შინაკლასობრივი ბრძოლის მწვავე საკითხების საგარეო ურთიერთობის პრობლემებში გადახლართვა. საქართველოს მეფესა და დიდგვარიან ფეოდალებს შორის არსებულმა შინაკლასობრივმა ბრძოლამ თავისი გამოვლინება საგარეო პოლიტიკაშიც ჰპოვა.

ივანე ლიპარიტის ძის შემდგომი განდგომაც 1074 წელსვე უნდა მომხდარიყო („კუალადცა გადგა ივანე") [2]. ამჯერად მან გიორგი მეორის მეციხოვნეებს გამოსტყუა ქალაქი გაგი და განძის პატრონს ფადლონს გადასცა გარკვეულ საფასურად. ივანე ლიპარიტის ძე ცდილობს გარეშე მტერთან კავშირ-ურთიერთობის დამყარებით გაიმაგროს თავისი პოზიციები ქვეყანაში. თუ არა ამას, სხვა რას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ „დიდ სელჩუკთა" სახელმწიფოს სულთანი მალიქ-შაჰი (1072—1092 წწ.), მთელი საქრისტიანოს მტრად მონათლული,

---

[1] 1073 წლის ზაფხულის დიდგვარიან ფეოდალთა გამოსვლის მასშტაბები გვაფიქრებინებს, რომ იგი სულ ცოტა ერთ თვეს მაინც გასტანდა (თუ მეტს არა) ე. ი. 1073 წლის შემოდგომის დასაწყისამდე (აჯანყება შუა ზაფხულში დაიწყო) მაინც გაგრძელდებოდა. ხოლო იმ ღონისძიებებს, რომელიც გიორგი მეორემ გაატარა, ასევე გარკვეული დრო სჭირდებოდა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ აჯანყების შემდგომ ერთგვარი სიწყნარე და მშვიდობიანობა ჩამოვარდნილა, რომელიც რამდენიმე თვეს მაინც უნდა გაგრძელებულიყო (წინააღმდეგ შემთხვევაში „მატიანე ქართლისას" ავტორი ასე ხმამაღლა არ განაცხადებდა: „დაიწყნარა მეფობა თჳსი გიორგი მეფემან"), მაშინ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ლიპარიტის მეორე გამოსვლა 1073 წლის მიწურულსა და 1074 წლის დასაწყისში უნდა მომხდარიყო.

[2] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 316.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოემართა თუ არა საქართველოსაკენ დიდძალი ლაშქრით, ივანემ თავისი შვილი ლიპარიტი მიაგება წინ და „შეაყენა სულთანსა“ [1]. ამით ივანე გარკვეული ნდობის მოპოვებას ცდილობს სულთნის წინაშე. ამავე მიზნით იგი მცირე ხანს სულთანთან დარჩენილა კიდეც. საფიქრებელია, რომ სულთანმა მალიქ-შაჰმა ივანე ლიპარიტის ძეს რაღაც დიდი სამსახური მოსთხოვა, რომლის შესრულება ამ უკანასკნელმა ვერ შეძლო და იძულებულიც კი გახდა სულთნის კარიდან გამოპარულიყო[2]. ამ გარემოებას ძალზე განურისხებია მალიქ-შაჰი და ივანეს მკაცრად დასჯა განუზრახავს. ეს რომ სწორედ ასეა, ისიც მიგვანიშნებს, რომ მალიქ-შაჰმა თავისი დაპყრობითი საქმიანობა საქართველოში სწორედ ივანეს მამულით დაიწყო. „მატიანე ქართლისა“ და დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ამ ფაქტს ადასტურებენ.

„მატიანე ქართლისა“:

„და მოვიდა სულტანი, და მოადგა სამშვილდესა, და წარეულო სამშვილდე, და ტყუე იქნა ივანე თავითა, ცოლითა და შვილისშვილითა, და ყოველთა აზნაურთა დედაწულითა, და დაიჭირა სამშვილდე სულტანმან“ [3].

„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“:

„... მოვიდა სულტანი მალიქ-შა, მოადგა სამშვილდეს და წარიღო და ივანე ძე ლიპარიტისი ტყუე ჰყო“... [4]

ამგვარად, ივანე ლიპარიტის ძის თითქოს და შორს გამიზნული მოქმედება მისივე მარცხით დამთავრდა.

მალიქ-შაჰი რისხვად მოევლინა საქართველოს. სამშვილდის აღების შემდეგ მოარბია ქართლი, დიდი ნადავლი შეკრიბა და „შეიქცა გარე“ [5]. შემდგომ განძას მიმართა მალიქ-შაჰმა.

---

[1] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 316. უნდა შევნიშნოთ, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს მალიქ-შაჰის შემოსევის შესახებ ნათქვამი აქვს, მაგრამ მოცემული ფაქტის (ლიპარიტის შეწყნარება) შესახებ არაფერს გვეუბნება. (იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 318).

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 316—317.

[4] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 318.

[5] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 317, აღსანიშნავია, რომ მალიქ-შაჰმა თავისი დაპყრობებით მნიშვნელოვნად გააფართოვა „დიდ სელჩუკთა“ სახელმწიფოს ტერიტორია. სწორედ ტერიტორიის გაფარ-

ფადლონი ციხეში გამაგრდა, მაგრამ ვერ გაუძლო მტრის ალყა-დენ ძლიერ დაწოლას და იგი შეპყრობილ იქნა, განძის თავადად მალიქ-შაჰმა სარანგი დასვა თან ორმოცდარვაათასიანი ლაშქარი დაუტოვა. ამ უკანასკნელს ბევრი არ დაუყოვნებია და „ყოვლითა ლაშქრითა მისითა“, აგრეთვე განძის, დვინისა და დმანისის ამირების თანადგომით წელგამართული მოადგა საქართველოს.

საქართველოს მეფე გიორგი მეორე სარანგის მიერ გადადგმულ ამ ნაბიჯს არ დაუბნევია (შეიძლება იგი ელოდა კიდეც ამას). მან შეკრიბა მთელი თავისი ლაშქარი, მოიშველია აღსართან კახთა მეფე და ამგვარად მომძლავრებული მტერს ფარცხისთან დახვდა. დიდი ბრძოლა საქართველოს ლაშქრის გამარჯვებით დამთავრდა „... იოტა ბანაკი სარანგისი: გააქცია და ასწყვდა. იყო ჟამი მწუხრისა, და სიღამემან დაარჩინა ნეშტი სარანგის ლაშქრისა“ [1]. გიორგი მეორე „უკლებლად და მშვიდობით“ გამარჯვებული დაბრუნდა თავის სამეფოში.

გიორგი მეორის ამ ძლევამოსილი გამარჯვების შესახებ საგანგებოდ მიუთითებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსიც („რამეთუ დიდი ძლევა მოსცა ღმერთმან გიორგის“) [2].

მეტად რთული საშინაო და საგარეო მდგომარეობის დროს გიორგი მეორის მიერ ფარცხისთან ძლევამოსილი გამარჯვება მნიშვნელოვანი მოვლენაა [3]. ამ გამარჯვებამ საშუალება მისცა საქართველოს მეფეს სხვა ღონისძიებათა განხორციელებისა. „შემდგომად ამისა (ფარცხისთან გამარჯვების შემდგომ—რ. მ.) მომადლა ღმერთმან მძლავრებისაგან ბერძენთასა წახმულნი ციხენი“ [4]. გიორგი მეორემ აიღო ანაკოფია და „მრავალი ci-

---

თოებითა და ნადავლის მოპოვებით შეძლო მალიქ-შაჰმა გარკვეულ პერიოდში იმ შინაგანი წინააღმდეგობების შესუსტება, რომელთაც თურქსელჩუკთა სახელმწიფოში ჰქონდა ადგილი. (იხ. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 124).

[1] იქვე.

[2] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 318.

[3] ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით ეს ბრძოლა 1073-74 წწ. უნდა მომხდარიყო (იხ. მისი ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 160). ჩვენი აზრით, ბრძოლა მოხდა 1074 წელს. (ამას გვაფიქრებინებს, ყველა იმ მოვლენათა თანმიმდევრობა, რასაც ადგილი ჰქონდა საქართველოში და რაზეც „მატიანე ქართლისა“ მიუთითებს).

[4] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 317.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხენი კლარჯეთისა, შავშეთისა, ჯავახეთისა და არტანისა“ [1] ტიანე ქართლისას“ მიხედვით გიორგი მეორეს აუღია კარის ციხე-ქალაქი („ციხე-ქუეყანა“) და „სიმაგრენი ვანანდისა და კარნიფორისანი“, ხოლო თურქები გაუქცევია.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი კარის საქართველოს სამეფოსთან შემოერთებას გრიგოლ ბაკურიანის ძის სახელთან აკავშირებს. „ხოლო მუნ მოვიდა წინაშე მათსა (გიორგი მეფის წინაშე, — რ. მ.) ზორვარი აღმოსავლისა გრიგოლ ბაკურიანის ძე, რომელსა ჰქონდეს ოლთისნი, და კარნუ-ქალაქი და კარი... და მოსცა გიორგი მეფესა კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქვეყანა“... [2]

საერთაშორისო მდგომარეობის კიდევ უფრო გართულებამ (ბერძნებმა საქართველოს სამხრეთ დასავლეთით მდებარე პროვინციებზე თავიანთი გავლენა თურქების სასარგებლოდ დათმეს) ახალი საფრთხე შეუქმნა საქართველოს: ახლა მტერი ორი მხრიდან (დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან) ერტყა მას. „და ვინათგან მეზობლობით მოეახლნეს საზღვართა ჩუენთა (თურქები, — რ. მ.), განმრავლდა შიში და ჭირი მათგან ჩუენ ზედა“ [3]. თურქები აღვირახსნილ მოქმედებას ეწეოდნენ საქართველოს მოსახლეობის მიმართ: არბევდნენ, წვავდნენ, აოხრებდნენ, აჩანაგებდნენ მეურნეობას, ხოლო ქრისტიანი მოსახლეობა ტყვედ მიჰყავდათ.

საქართველოს მოსახლეობას არანაკლებ ზიანს აყენებდა მოღალატური გამოსვლები — „შინათგამცემლობა“, სწორედ „შინა-განცემითა ქრისტიანეთათა“ ყველის ციხის გარემდგომს გიორგი მეორეს თავს დაესხნენ დიდძალი თურქები ამირა აჰმადის მეთაურობით (ეს ის აჰმადია, რომელმაც გიორგი მეორის კუთვნილი კარი აიღო. ალბათ, ამის შემდეგ გამოემართა იგი საქართველოს მეფეზე თავდასხმის განსახორციელებლად) [4].

საქართველოს მეფე გიორგი მეორე იძულებული გახდა თავის ლაშქართან ერთად გაქცევით არიდებოდა დიდძალ

---

[1] იქვე.
[2] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 318.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 319.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტერს. თურქებმა იავარჰყვეს საქართველოს დიდი ნაწილი, აურაცხელი ალაფი აიღეს და წავიდნენ.

საქართველოს მეურნეობას, სამიწათმოქმედო ფეოდალურ კულტურას, ქალაქებსა და საქალაქო ცხოვრებას მომთაბარე თურქ-სელჩუკების პრიმიტიული მეურნეობა (მეჯოგეობა) გადაშენებას, ძირფესვიანად ამოგდებას უქადდა. აქ არ შეიძლება არ ითქვას თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ერთი უპირველესი მოხელის (ვეზირის) ნიზამ ალ-მულქის როლის შესახებ, რომელიც ირანელი იყო და ყოველნაირად ცდილობდა მომთაბარეთა მასების ირანიდან მოშორებას და მათ გადაყვანას ბიზანტიისა და საქართველოს საზღვრებზე[1].

მეთერთმეტე საუკუნის ოთხმოციანი წლების დასაწყისი თურქ-სელჩუკთა ურიცხვი ბრბოების ახალი შემოსევებით აღინიშნა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი „დიდი თურქობის“ სახელით მოიხსენიებს ამ შემოსევებს და თარიღად 1080 წელსა სდებს („რამეთუ ქრონიკონი იყო სამასი“)[2] კალიასავით შეესიენ თურქები საქართველოს: „და დღესა ივანობისასა ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღივსო თურქითა“[3]. ერთ დღეს დაუწვიათ თურქებს ქუთაისი, არტანუჯის და კლარჯეთის უდაბნონი. თოვლის მოსვლამდე დარჩნენ თურქები, მოჭამეს მთელი ქვეყანა და წავიდნენ. ასე გრძელდებოდა: გაზაფხულობით მოდიოდნენ თურქნი, აოხრებდნენ ქვეყანას, ზამთრის მოახლოებისას კი უკან ბრუნდებოდნენ.

ქართველი ხალხი ძალზე მძიმე საფრთხის წინაშე დადგა— თურქების შემოსევა არსებითად განსხვავდებოდა ბიზანტიელთა და არაბთა ბატონობისაგან. თურქული მომთაბარული მეურნეობა საფუძველს აცლიდა ქართულ ფეოდალურ მეურნეობას, რაც ქვეყანას ერთიანად გადაშენებას უქადდა[4] „არა

---

[1] А. Ю. Якубовский, Сельджукское движение и туркмены в XI веке, Известия АН СССР, отд. общ. наук, 1937, № 4, стр. 945.

[2] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 320.

[3] იქვე, გვ. 319.

[4] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, 1971, გვ. 158. უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთი მეცნიერი თურქ-სელჩუკების

იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა: მოოხრდა ქუეყანა და ტყედ გარდაიქცა, ნაცვლად კაცთა მხეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვდრნეს მას შინა... მოხუცებულნი არა შეწყალებულ იქმნეს, ხოლო ქალწულნი გინებულ, ჭაბუკნი დაკუეთებულ, ხოლო ჩჩვილნი მიმოდატაცებულ... მდინარენი სისხლთანი, ნაცვლად წყლისა ნაკადულთა, მრწყველნი ქვეყნისანი“ [1].

გიორგი მეორე, ხედავდა რა ამ მძიმე მდგომარეობას (როგორც საქართველოში, ასევე მეზობელ ქვეყნებშიაც), ცდილობდა გამოსავალი მოენახა რათა ქვეყანა საბოლოო განადგურებაგაჩანაგებას გადაერჩინა. მეფემ მოიწვია დიდებულები და მათთან მოთათბირების შემდეგ გადაწყვიტა ჰხლებოდა სულთან მალიქ-შაჰს. ეს გაბედული გადაწყვეტილება იყო და, ალბათ, ერთადერთი სწორი გზაც შექმნილ მდგომარეობაში. ერისა და ქვეყნის გადარჩენის მიზნით საქართველოს სულთნის ყველა მოთხოვნა შეესრულებინა. თუკი გიორგი მეორეს ამ გადადგმულ ნაბიჯს დავუწუნებთ, რომელსაც მძიმე ხარკი მოჰყვა შედეგად (ეს ერის გადარჩენის სანაცვლოდ გაკეთდა), მაშინ საერთოდ ვნახოთ იმდროინდელი ამიერკავკასიის მდგომარეობა. იყო თუ არა საქართველო და მისი მეფე გიორგი მეორე გამონაკლისი სულთანთან ხლებისა და თურქ-სელჩუკების სასარგებლოდ ხარკის მიცემის საქმეში?

თურქ-სელჩუკების შემოსევებმა, უაღრესად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა სომეხი ხალხი. სომეხი მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე ფილარეტ ვარაჟნუნი, რომელიც მანაზკერტის ბრძოლის (1071 წ.) შემდეგ კილიკიის მმართველი გახდა [2], ქვეყნის გადარჩენის მიზნით 1086 წელს დიდი

შემოსევებში დადებით მოვლენას ხედავენ. (იხ. В. А. Гордлевский. Государство Сельджукидов Малой Азии, М.—Л., 1941, стр. 21, С. Какабадзе, Краткий обзор истории Грузии, стр. 30.

[1] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 320.

[2] История Армянского народа, часть первая, под редакции Б. Н. Аракеляна и А. Р. Иоанисяна, Ереван, стр. 156. სელჩუკებისაგან დევნილი სომხები გარბოდნენ კილიკიის ველებისაკენ და იქ სახლდებოდნენ. XI საუკუნის 70—80-იან წლებში კილიკიის მოსახლეობა ძირითადად გადმოსახლებული სომხებისაგან შედგებოდა (იხ. ნ. შენგელია, სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, თბ., 1968, გვ. 280). სწორედ ამ (კილიკიის) სამთავროში იგდო ხელთ ძალაუფლება ფილარეტ ვარჟანუნმა.

ძღვენით ეახლა სულთან მალიქ-შაჰს და მორჩილება გამოუცხადა. ფილარეტ ვარაჟანუნის ასეთმა ცდამ ვერ გაჭრა—ძია მიერ შექმნილი სომეხთა სამთავრო თურქ-სელჩუკების ხელთ გადავიდა [1]. ამდენად, ფილარეტ ვარაჟნუნის მისია მარცხით დამთავრდა.

რაც შეეხება მეზობელ აზერბაიჯანს, ჩვენ უკვე ვიცით, რომ მალიქ-შაჰმა განძა აიღო და მისი მმართველი ფადლონი (ფაზლუნი) ტყვედ ჩაიგდო [2]. ისტორიული წყაროები გადმოგვცემენ, რომ ფარიბურზ შირვან-შაჰი ეახლა მელიქ-შაჰს მაშინ როცა ამ უკანასკნელმა არანზე გაიარა) ერთდროულად სამოცდაათი ათასი დინარი ხარკის სახით გადაიხადა, ყოველწლიურად კი ორმოცი ათასი დინარის გადახდა იკისრა [3]. მოღწეულია ფარიბურზ შირვან-შაჰის რამდენიმე მონეტა, რომლებზედაც აღნიშნულია სულთან მალიქ-შაჰისა და ხალიფა ელ-მუსთაზჰირ-ბილლაჰას სახელები [4], რაც ხაზს უსვამს შირვანის დაქვემდებარებულ მდგომარეობას თურქ-სელჩუკებისადმი.

არსებობს ცნობა, რომლის შემწეობითაც მტკიცდება, რომ

---

[1] იქვე, გვ. 157.

[2] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 317. აზერბაიჯანულ ისტორიოგრაფიაში მალიქ-შაჰის მიერ განძის აღების თარიღად 1086 წელია დასახელებული. რაც შეეხება სხვა ცნობებს (ფადლონის ტყვედ ჩავარდნა, განძის აღება, ორმოცდარვაათასიანი ლაშქრის დატოვება) ისინი ქართველი ისტორიკოსის მონაცემებს ემთხვევა (იხ. История Азербайджана, I, Баку, 1958, стр. 138—139). „მატიანე ქართლისა“ დაბეჯითებით მიგვანიშნებს იმის შესახებ, რომ მალიქ-შაჰის მიერ განძის აღება „დიდი თურქობის“ დაწყებამდე, ე. ი. 1080 წლამდე მოხდა, ამას გვაფიქრებინებს მოვლენათა ჩამოთვლის ის თანმიმდევრობა, რომელიც მოცემულია ისტორიულ წყაროებში „მატიანე ქართლისა“, და „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (ჯერ განძის აღებაა დასახელებული, ხოლო შემდგომ ფარცხისთან ბრძოლა, კარის დაკავება, ყველის ციხის აღება და ბოლოს „დიდი თურქობა“ — იხ. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 317—319), ამდენად, ვფიქრობთ, რომ მოცემული საკითხის დათარიღებისას ქართული ისტორიული წყაროების ცნობები უთუოდ გასათვალისწინებელია.

[3] История Азербайджана, I, Баку, 1958, стр. 139.

[4] Е. Пахомов, Очерк истории ширваншахов-кесранидов, Краткий курс истории Азербайджана, Баку. 1923, стр. 29.

ფარიბურზ შირვან-შაჰი ისპაჰანში ჩასულა მალიქ-შაჰთან [1] თავისი მორჩილების დასადასტურებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამდენად, როგორც ვნახეთ XI საუკუნის 70—80-იან წლებში შირვანი, სომხეთი და საქართველო ერთნაირად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან თურქ-სელჩუკებისაგან. ამიტომ იძულებული ხდებიან დათანხმდნენ ხარკის გადახდასა და სულთნის მორჩილებაზე, რასაც საბოლოო მიზნად ერის არსებობის გადარჩენა ჰქონდა დასახული.

სწორედ ამიტომ გიორგი მეორე დიდებულთა თანხმობის შემდეგ ეახლა ისპაჰანში სულთან მალიქ-შაჰს. გიორგი მეორის მისიის თარიღის შესახებ ცნობა ჩვენს ისტორიულ წყაროებში არ მოგვეპოვება. სავარაუდებელია, რომ საქართველოს მეფე „დიდი თურქობის" შემდეგ დიდხანს აღარ დააყოვნებდა და მისი ისპაჰანში ჩასვლა ალბათ 1081-82 წწ. მოხდებოდა.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ გიორგი მეორე „შეწყნარებულ იქმნა მისგან (სულთნისაგან — რ. მ.) ვითარცა შვილი საყვარელი" [2]. ბუნებრივია, თვით მალიქ-შაჰისათვის საქართველოს მეფის ასეთი მორჩილებით ხლებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გიორგი მეორის მისიით კმაყოფილმა მალიქ-შაჰმა „ყოველი სათხოველი აღუსრულა მეფესა" [3]. საქართველოს სამეფო გაათავისუფლა ზედამარბეველთაგან და კახეთი და ჰერეთი მისცა. გიორგი მეორემ დიდი ხარკი იკისრა სულთნის სასარგებლოდ, რომელიც გარკვეული დროის მანძილზე იკრიბებოდა და უგზავნიდნენ დამპყრობლებს („რომელსა აიღებდეს ჟამთა მრავალ-

---

[1] В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда, М., 1963, стр. 96. აღნიშნული პერიოდის საქართველო—შირვანის პოლიტიკური ურთიერთობის საკითხებზე საინტერესო გამოკვლევა აქვს დოც. ნ. ასათიანს, იხ. მისი „საქართველო-შირვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში, კრებ. XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, 1968, გვ. 6—54.

[2] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 321.

[3] იქვე.

თა") [1]. რადგან ჰერეთ-კახეთზე სულთნისა და საქართველოს მეფის უფლებები არ ვრცელდებოდა, მალიქ-შაჰმა გიორგი მეორეს ჰერეთ-კახეთის შემოსაერთებლად ლაშქარი გამოაყოლა. აღნიშნულ ფაქტს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია იმდროინდელი ქართული მოსახლეობის ერთ ნაწილზე. თუ არა ამას, სხვას რას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ საქართველოს დამპყრობელი და გამჩანაგებელი თურქ-სელჩუკების ბელადი მალიქ-შაჰი დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს ძალზედ შექებული ჰყავს: „რამეთუ იყო კაცი იგი მალიქ-შა ვითარცა სიდიდითა კიდეთა მპყრობელობისათა შეუსწორებელ, აგრეთვე სახითა სიტკბოებისათა და სახიერებითა აღმატებულ ყოველთა კაცთასა, რომლისანი მრავალ არიან და სხუანიცა ურიცხუნი საცნაურებანი, მართლმსაჯულობანი, მოწყალებანი, ქრისტიანეთა სიყვარულნი, და, რათა არა განვაგრძნოთ სიტყუა, ყოვლად უბოროტო რამე გონება ყოველით-კერძო აქუნდა" [2].

მალიქ-შაჰის ამ ქებაში სხვაც უნდა დავინახოთ. ჩვენი აზრით, დავითის ისტორიკოსს სურს, რომ დაამციროს გიორგი მეორის ისპაჰანში ჩასვლის მნიშვნელობა და მისი შედეგი (შედარებით უმნიშვნელო, მაგრამ იმ მომენტისათვის ერთადერთი გამოსავალი) საქართველოს მეფის დამსახურებად კი არ ჩაითვალოს, არამედ „ქრისტიანთა მოყვარული" (!) „უბოროტო" სულტნის წყალობად [3].

---

[1] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 321. აკად. ს. ჯანაშია შენიშნავდა, რომ „თურქების განუწყვეტელმა შემოსევებმა აიძულა გიორგი II წასულიყო სულთანთან (1030—1081 წწ.) და ეყიდა ზავი და მშვიდობა ყოველწლიური ხარკით" (იხ. მისი „საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-13 ს-მდე — შრომები, II, თბ., 1952, გვ. 425).

[2] იქვე.

[3] აღნიშნული საკითხის შესახებ ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში სხვა მოსაზრებაცაა გამოთქმული. კერძოდ პროფ. ვ. გაბაშვილი მიიჩნევს, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი კარგად იცნობდა მალიქ-შაჰის მოღვაწეობის ყველა მხარეს. მალიქ-შაჰის დროს, როგორც ცნობილია გატარდა სამხედრო სასამართლო და საკალენდრო რეფორმები, განმტკიცდა ცენტრალური ხელისუფლება, ყურადღება მიექცა სოფლის მეურნეობას, ქალაქებს, ვაჭრობას, ხელოსნობას. ვ. გაბაშვილი ვარაუდობს, რომ აქედან გამომდინარე სულთან მალიქ-შაჰის მოღვაწეობის დადებითად შეფასება დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიერ არ არის უსაფუძვლო. მეცნიერი

ამას თან მოჰყვება ბრძოლა ვეჯინის ციხის აღებისათვის. ჩვენი აზრით, აქაც ძალზე ტენდენციურია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ვეჯინის ალყა შემოდგომიდან დაზამთრებამდე გაგრძელდა. თოვლმა, ბუნებრივია, მძიმე პირობები შეუქმნა ციხეში მყოფთ. მაგრამ, ალბათ, გარკვეული მოსაზრებით გიორგი მეორემ ალყა მოხსნა, ხოლო ლაშქარს სუჯეთში იორის პირსა და კახეთში მისცა გადაზამთრების საშუალება. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თქმით, „მისცა ნიჭად სუჯეთი და ყოველი ქვეყანა იორის პირი კუხეთი, რომელი მოოჭრდა მუნ დღეინდელად დღემდე“ [1]. თვით მეფე დასავლეთ საქართველოში გადავიდა. დაუჯერებელია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის კონცეპცია ალყის მოხსნისა და „აფხაზეთად გადასვლის“ შესახებ. იგი წერს: „ხოლო მეფესა გიორგის მოეჯსენა ნადირობა აჯამეთისა, არღარას ზრუნვიდეს სხუასა, არცა ელოდა აღებასა ვეჟინისასა და კახეთისა“... [2] რაოდენ დიდია სურვილი ისტორიკოსის მიერ გიორგი მეორის პიროვნების დამცრობისა, რომ სახელმწიფო ცხოვრების ისეთი რთული და სერიოზული საკითხის გადაჭრის გადადება, როგორიც ვეჯინის აღება და კახეთის შემოერთება იყო, ნადირობის მიზეზით აქვს ახსნილი.

რაც შეეხება ვეჯინის ალყის ასე სწრაფად მოხსნას, ეს გაურკვეველია. არ არის გამორიცხული, რომ იგი შესაძლოა გამოწვეული იყოს დასავლეთ საქართველოში მდგომარეობის გამწვავებით. გიორგი მეორემ შესაძლებლად ჩათვალა კახეთის საკითხის მოგვარების გადადება, რადგან ეს პრობლემა პრინ-

---

სხვა ახსნასაც აძლევს ამ ფაქტს. მისი ვარაუდით „მეფის ხელისუფლების გაძლიერების მომხრე ისტორიკოსი სიმპათიურად უნდა ყოფილიყო განწყობილი იმ სულტნის მიმართ, ვინც რკინის ხელით ალაგმა არა ერთი წინააღმდგომი უფლისწული თუ ფეოდალი, უვნებელჰყო არაერთი შეთქმულება, ხოლო შინაურ მტერთა დასამორჩილებლად და სახელმწიფოს საზღვრების გასაფართოებლად შექმნა ცენტრალურ ხელისუფლებაზე დამოკიდებული, ფეოდალური ლაშქრისაგან განცალკავებულ-განსხვავებული მუდმივი ჯარის ერთგვარი სახეობა“. (ვ. გაბაშვილი, აღმოსავლეთი XI—XII სს. ქართული საისტორიო წყაროების ფურცლებზე, კრებ., XII ს. საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1968, გვ. 293).

[1] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, გვ. 322.

[2] იქვე.

ციპულად უკვე გადაჭრილი იყო (სულთნის თანხმობა და მეშველი ლაშქარი ამის თქმის უფლებას იძლევა). შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ გიორგი მეორემ სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება ვეჯინის ალყის შეწყვეტისა, თავად კი მაშინვე „გარდავლო მთა ლიხთა და შთავიდა აფხაზეთად“ [1]. „აფხაზეთის კრიზისი“ შეიძლებოდა სხვადასხვაგვარი ყოფილიყო. საფიქრებელია, ეს გართულება შინაკლასობრივი ბრძოლითაც იყო გამოწვეული. არ არის გამორიცხული, რომ მაშინ როდესაც საქართველოს სამეფო კარის ყურადღება კახეთის საკითხის მოგვარებისაკენ იყო მიმართული, დასავლეთ საქართველოში დიდგვარიანმა ფეოდალებმა დრო იხელთეს და მეფის საწინააღმდეგო გამოსვლა მოაწყვეს. ამ მიზეზით შეიძლებოდა გიორგი მეორეს გადაედო კახეთის საკითხის მოგვარება და სხვა საშინაო საქმეების (ვთქვათ, დიდგვარიან ფეოდალთა გამოსვლის ჩახშობისათვის) გადაჭრისათვის მიეხედა. (სამწუხაროდ, ამ მოსაზრების მტკიცებისათვის ჩვენ ხელთ არავითარი საბუთი არ გაგვაჩნია და იგი ვარაუდად რჩება) [2].

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კახეთის საკითხის მიმართ საქართველოს სამეფო კარის ყურადღების ერთგვარად შენელებამ კახთა მეფეს აღსართანს აქტიური მოქმედების საშუალება მისცა. ეს უკანასკნელი თვითონ ეახლა მალიქ-შაჰს, უარყო ქრისტიანობა, „შეეძინა სარკინოზთა სჯულსა, და ამით

---

[1] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, იქვე.

[2] ჩვენს მიერ 1972 წელს გამოქვეყნებულ წიგნზე „ნარკვევები ფეოდალური საქართველოს ისტორიიდან“ რეცენზიაში დოც. შ. ბადრიძე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ვეჯინისათვის ალყის მოხსნით გიორგი მეორემ ერთგვარი საბოტაჟი გაუკეთა მასთან წამოყოლილ თურქებს და გაცლა ამჯობინა. შ. ბადრიძე თვითვე შენიშნავს, რომ ეს ამბავი ძვირად დაუჯდა კახეთს: აოხრდა, გატიალდა და სხვ. (შ. ბადრიძე, კეთილად შესახვედრი წიგნი, ცისკარი, 1972, № 9, გვ. 110). თუ კი ეს „საბოტაჟი“ მოფიქრებულად, წინასწარი განზრახვით იქნა მოწყობილი როგორც რეცენზენტი ვარაუდობს, რა თქმა უნდა, მისი გამართლება მიღებული შედეგის გამო ძნელია. საერთოდ კი ჩვენი და შ. ბადრიძის მოსაზრება თანხვედრილია იმ თვალსაზრისით, რომ ვეჯინის ალყის მოხსნას გიორგი მეორის ქარაფშუტობით კი არა, არამედ გარკვეული აუცილებლობით ვხსნით.

ლონითა აიღო სულტანისაგან კახეთი“ [1]. სულთან მალიქ-შაჰს, ბუნებრივია, არც გიორგი მეორე ეხატა გულზე და არც აღსრულ-თანი. ამიტომ, იყო, რომ ერთხელ უკვე მიცემული კახეთი (გიორგი მეორისათვის), მან ხელახლა „გაასაჩუქრა“; ასე, რომ, კახეთი კვლავ საქართველოს სამეფოს გარეთ დარჩა მალიქ-შაჰის შემწეობით. არ შეიძლებოდა ამ გარემოებას (კიდევ მრავალ სხვა მიზეზებთან ერთად) მოსახლეობის გულისწყრომა არ გამოეწვია. „ამად ესევითართა ჟამთა არავე დამშჳდნა ქუეყანა, არცა-რა იქმნა ლხინება კაცთა... დღეთა ჩუენთა მოიწია ჭირი“ [2].

ქვეყნის ისედაც გართულებულ მდგომარეობას თან დაერთო სტიქიური უბედურებანი. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მინიშნებით ამ დროს ისეთი დიდი მიწისძვრა ყოფილა, რომ „შეძრნა ქვეყანა საფუძვლითურთ, ესეოდნენ სასტიკად, ვიდრემდის მთანი მაღალნი და კლდენი მყარნი სახედ მტუერისა დაიგალნეს, ქალაქნი და სოფელნი დაირღუეს, ეკლესიანი დაეცნეს“ [3]. მიწისძვრები საქართველოში ერთი წლის მანძილზე გაგრძელებულა და მრავალი ადამიანი უმსხვერპლია [4]. ყოველივე ამან შექმნა ისეთი შთაბეჭდილება საქართველოს მოსახლეობაში, რომ სამეფო კარი და თვით საქართველოს მეფე გიორგი მეორე ცოდვილნი იყვნენ და ღმერთმაც ეს უბედურებანი ამისათვის მოუვლინა საქართველოს („ბუნებით მოწყალე და სახიერი ღმერთი ესეოდ[ნ]ენ განარისხეს, ვიდრემდის თვით მოიხადეს განჩინება რისხვისა“) [5].

ასეთი მძიმე საშინაო და საგარეო მდგომარეობისა და მწვავე სახელმწიფოებრივი კრიზისის პირობებში საქართველოს სამეფო კარზე მოხდა გადატრიალება, რომლის შედეგადაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა გიორგი მეორე გადაყენებულ იქნა სამეფო ტახტიდან და მისი ადგილი დავით გიორგის ძემ, ისტორიაში აღმაშენებლად წოდებულმა დაიკავა.

---

[1] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, იქვე.

[2] იქვე.

[3] იქვე. გვ. 323.

[4] იქვე.

აღნიშნული მიწისძვრის დროს დაიქცა თმოგვის ციხე და ქვეშ მოიყოლა ქახაბერი, ძე ნიანიასი ცოლითურთ.

[5] იქვე. გვ. 322.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი მეორის მოღვაწეობის ზოგადი მიმოხილვიდან შეიძლებ-
გად შეიძლება შემდეგი დასკვნების გაკეთება:

XI საუკუნის 70—80-იანი წლები უაღრესად მძიმე პერიოდია ამიერკავკასიის ხალხების ცხოვრებაში. თურქ-სელჩუკების შემოსევებმა მძიმე განსაცდელში ჩააგდო სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს მოსახლეობა; ეს უკანასკნელნი იძულებულნი გახდნენ დიდი ხარკის გადახდის საფასურად თავიანთი ეროვნულობა შეენარჩუნებინათ. ასე რომ, საქართველო და მისი მეფე გამონაკლისი არ ყოფილან. ასევე ართულებდა საქმეს ის გარემოება, რომ სამეფო ხელისუფლებას ბრძოლა უხდებოდა თავგასული ფეოდალების ე. წ. ცენტრიდანული, ქვეყნისა და მეფის საწინააღმდეგო მოქმედების ასალაგმავად (ასეთი ბრძოლა საერთოდ არის დამახასიათებელი ფეოდალური წყობილებისათვის).

ამგვარად, XI საუკუნის 70—80-იან წლებში საქართველოში შეიქმნა აბსოლუტურად ობიექტური პირობები ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიური და აქედან გამომდინარე, კულტურული დაქვეითებისა, რაც განპირობებული იყო, ერთის მხრივ, მძიმე და დამანგრეველი შემოსევებით, ხოლო მეორე მხრივ, გამწვავებული შინაკლასობრივი ბრძოლით. რაც შეეხება გიორგი მეორეს როგორც მეფეს, ამ შემთხვევაში არ შეეძლო ერთი ხელის დაკვრით გადალახვა იმ ობიექტური სიძნელეებისა, რომლის წინაშეც ქვეყანა იდგა [1].

იმდროინდელი საქართველო, ისევე როგორც კავკასიის სხვა ქვეყნები, განიცდიდა მწვავე კრიზისს, რომლიდან გამოსვლასაც გარკვეული პირობები და დრო სჭირდებოდა.

---

[1] გიორგი მეორის მოღვაწეობა ჩვენ საგანგებოდ გვაქვს მიმოხილული წიგნში—ნარკვევები ფეოდალური საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1972 წ., გვ. 29—60.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი მესამე

დავით აღმაშენებლის ბრძოლა დიდგვაროვან ფეოდალებთან

ამ თავში განზრახული გვაქვს გავარკვიოთ საქართველოს სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკის (კერძოდ, სამეფო ხელისუფლების დიდგვარიანებთან ბრძოლის) რიგი საკითხები, რომლებიც XI საუკუნის მიწურულისა და XII საუკუნის დასაწყისის (დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის პერიოდი) ვითარებას შეეხება და არსებული ისტორიული მასალის გაანალიზების საფუძველზე, თანამედროვე საბჭოთა ისტორიოგრაფიის შიღწევების გათვალისწინებით, ზოგიერთი მოსაზრება გამოვთქვათ საქართველოს ისტორიის სხვადასხვა მოვლენებისა თუ ფაქტების დათარიღების დაზუსტების მიზნითაც.

აღებული საკითხების არე იფარგლება XI საუკუნის მიწურულში დიდგვარიანთა გამოსვლის, თურქებისადმი ხარკის შეწყვეტის, ჰერეთ-კახეთის შემოერთებისა და კლდეკარის საერისთავოს გაუქმებასთან დაკავშირებული მოვლენების განხილვით.

საქართველოს სამეფო კარმა XI საუკუნის ბოლოს მკაცრი ბრძოლა გამოუცხადა დიდგვარიან ფეოდალებს. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მალიქ-შაჰის სიკვდილსა და ლიპარიტის განდგომას ერთმანეთთან აკავშირებს. „მოკუდა სულტანი მალიქ-შა და ლიპარიტ ამირამან იწყო მათვე მამულ-პაპურ-

თა კუალთა სლვა“ [1]. მალიქ-შაჰი 1092 წ. გარდაიცვალა (გა-
მეფდა 1072). ე. ი. ლიპარიტის ეს განდგომა 1092 წლის შემ-
დგომ უნდა მომხდარიყო, კერძოდ, 1093 წელს. ამას დავითის
ისტორიკოსიც ადასტურებს — „ამა ვითარებასა შინა (ლაპა-
რაკია დავით აღმაშენებლის მეფობაზე, — რ. მ.) გარდაჴდა
წელიწადი ოთხი“... [2], ე. ი. დავით აღმაშენებლის გამეფებიდან
ოთხი წელი გასულა ((1089 + 4 = 1093 წ.) ლიპარიტის გა-
მოსვლამდე მეფის წინააღმდეგ.

ამგვარად, ლიპარიტი საქართველოს სამეფო კარის წინა-
აღმდეგ 1093 წელს გამოსულა.

დავით აღმაშენებელმა თავგასული ქვეშევრდომის „ინება
გაწურთა“ და შეიპყრო იგი. საქართველოს მეფეს რამდენიმე
ხანს („ჟამ რაოდენმე“) შეპყრობილი ჰყავდა ლიპარიტი. და-

---

[1] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 325. დავითის ისტორიკოსის მიერ ლიპარიტის ამირად მოხსენიება იქნება არ იყოს შემთხვევითი. ამას შემდგომი გამოკვლევა სჭირდება. ამ საკითხის ირგვლივ თავისი მოსაზრებები გამოთქვეს მარი ბროსემ (იხ. მისი Histoire de la Géorgie, I, 1849, გვ. 352), დიმიტრი ბაქრაძემ (იხ. მისი შენიშვნა ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ისტორიის“ მიმართ—ვახუშტი, საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოცემა, თბ., 1885, გვ. 173, დ. ბაქრაძის შენიშვნა სქოლიოში), ამ ბოლო დროს ვ. კოპალიანმა (იხ. მისი საკანდიდატო დისერტაცია „კლდეკარის საერისთავო“, ხელნაწერი, გვ. 211—214).

ლიპარიტის ამირობა არაბთა მფლობელობის დროიდან მომდინარე ტრადიციის მიხედვით ჯერ კიდევ არსებული „ქართლის ამირას“ სინონიმი უნდა იყოს და ქართლის ერთი ნაწილის ერისთავობას უნდა ნიშნავდეს. ამ ამირას თბილისის ამირასთან არავითარი საერთო არ უნდა ჰქონდეს, რადგან თბილისი ჯერ კიდევ არ არის შემოერთებული და იგი საქართველოს სამეფოში ფაქტიურად არ შემოდის. საერთოდ, როგორც დამტკიცებულია, XI ს. მიწურულიდან 1122 წლამდე თბილისი სრული დამოუკიდებლობით სარგებლობდა. (იხ. შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, გვ. 66—99). ივ. ჯავახიშვილი ლიპარიტის ამირად მოხსენებას დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიერ იმით ხსნის, რომ „ტფილისის საამიროს მომეტებული ნაწილი ქართველებს უკვე დაპყრობილი ჰქონდათ, თვით ქალაქს გარდა თითქმის მთელი სანახები ქართველებს ეკუთვნოდათ. აი, სწორედ საამიროს ყოფილი სამფლობელოს შემოერთების დროს შეიძლება გაჩენილიყო პირველად საქართველოშიც ქართლის ამირას თანამდებობა“. (ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკ. I, გვ. 215).

[2] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 325.

ვით ალმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვით, მეფეს იმდენ ხანს ჰყოლია უფლებააყრილი ეს დიდგვაროვანი ფეოდალი, „რომელი კმა იყო განსასწავლელად გონიერისა ვისმე“ [1]. ამ უკანასკნელსაც მოუნანებია ცოდვა. საქართველოს მეფემ „მითვე დიდებითა ადიდა (ლიპარიტი—რ. მ.) და არა შეუცვალა“[2]. ე. ი. ლიპარიტი გარკვეული მონანიების შემდეგ „მომტკიცებული მრავალთა და მტკიცეთა ფიცთა მიერ“ [3] გაათავისუფლა და ყველა მისი ძველი უფლება შეუცვლელად სცნო. ლიპარიტის გათავისუფლება 1093 წელსვე უნდა მომხდარიყო [4]. როგორც ჩანს, ლიპარიტმა თავისი ფიცი და პირობა არ შეასრულა და საქართველოს მეფეს კვლავ გაუორგულდა — „განაცხადა მტერობა და უკეთურებასა იწურთიდა“ [5].

საქართველოს მეფე დარწმუნდა რა, რომ ლიპარიტის ბორკულება ისევე არ შეიძლებოდა, „რამეთუ კუდი ძაღლისა არა განემართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს“ [6], კვლავ შეუპყრია. ეს აქტი ლიპარიტის განთავისუფლების მეორე წელს მომხდარა („მეორესა წელსა კუალად შეიპყრა“ [7]. ე. ი. 1093 + 1 = 1094 წელს). თანაც ორი წლის განმავლობაში პატიმრობაში ჰყოლია („ორ წელ პყრობილ ყო) [8], შემდეგ კი საბერძნეთში გაუძევებია, სადაც გარდაცვლილა კიდეც ლიპარიტი [9].

---

[1] იქვე.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965. გვ. 195.

[5] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 325.

[6] იქვე.

[7] იქვე.

[8] იქვე.

[9] ბაღვაშთა საგვარეულოს შესახებ (კერძოდ, მათი წარმომავლობის და მოქმედების შესახებ არაერთ ისტორიკოსს გამოუთქვამს თავისი მოსაზრება (მ. ბროსესა და დ. ბაქრაძის შესახებ ზემოთ უკვე მივუთითეთ). ივ. ჯავახიშვილი (იხ. მისი ქართველი ერის ისტორია, თბ., 1965), ს. ჯანაშია, (იხ. მისი ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის, შრომები, II, 1952, გვ. 477), მიხ. კახაძე (იხ. მისი, ლიპარიტ ლიპარიტის ძე და მისი ახლად აღმოჩენილი თხზულება, ენიმკის მოამბე, XIV, თბ., 1944, გვ. 73—91), ს. ერემიანი (იხ. მისი, *Վիպարիտ զորավարը եվ նրա նախորդները* ერევანი, 1947), ვ. კოპალიანი (იხ. მისი „კლდეკარის საერისთავო“, ხელნაწერი). სხვადასხვა დროს მოცემულ პრობლემასთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხენ. ჩვენ საჭიროებისამებრ ვითვალისწინებთ მათ შეხედულებებს.

ლიპარიტ ბაღვაშის ორი გამოსვლა საქართველოს მეფის დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ განხორციელდა: პირველი 1093 წელს, ხოლო მეორე 1094 წელს. ორივე გამოსვლა ლიპარიტის მარცხით დამთავრდა. ამასთანავე, 1096 წელს ლიპარიტი გაძევებული იქნა საქართველოდან. რაც შეეხება კლდეკარის საერისთავოს, მან კიდევ რამდენიმე წელს იარსება; სათავეში ლიპარიტის ძე რატი ედგა. ვერც რატი ლიპარიტის ძემ გამოიჩინა თავი სიკეთითა და საქართველოს მეფისადმი ერთგულებით. ისიც, მისი წინაპრების მსგავსად, სამეფო ხელისუფლებისა და ერთიანი ქვეყნის წინააღმდეგ იბრძოდა. „კაცი ორგული (რატიზეა ლაპარაკი, — რ. მ.) და ნანდგვლვე ნაშობი იქედნესი“[1] ასეთი მწარე სიტყვებით „ამკობს“ ისტორიკოსი კლდეკარის უკანასკნელ ერისთავს. ბუნებრივია, როცა საქართველოს მეფემ კვლავ ორგულობა იხილა ბაღვაშთა გვარიდან მომდინარე, მას ისღა დარჩენოდა, უკიდურესი ზომისათვის მიემართა. ეს უკიდურესი ზომა საერისთავოს გაუქმება იყო. კლდეკარის საერისთავო მართლაც გააუქმა დავით აღმაშენებელმა და თავის სამეფოს შემოუერთა (1103 წ.). „მოსცა ჟამი ღმერთმან მეფესა დავითს და წარუღო კვრიკეს ციხე ზედაზენი. ქრონიკონი იყო სამას ოცდასამი. და წარემატებოდა დიდებითა და განმარჯუებულობითა. რ ო მ ე ლ თ ა თ ა ნ ა ე ს ე ც ი ქ მ ნ ა: მოკუდა რატი, ძე ლიპარიტისი, კაცი ორგული და ნანდგვლვე ნაშობი იქედნესი. ესრეთ დასრულდა სახლი ბაღვიკაშთა, სახლი განმამწარებელთა... და აღარავინ დაშთა საყოფელთა მათთა მკვდრი (!)... და მამული მათი აღიღო მეფემან“[2].

ამრიგად, XII საუკუნის დასაწყისის საქართველოს შინაკლასობრივი ბრძოლის ეს მეტად დიდმნიშვნელოვანი აქტი — კლდეკარის საერისთავოს გაუქმება და საქართველოს სამეფოსთვის მიერთება, 1103 წელს მოხდა[3]. შემდგომში, როგორც

---

[1] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1958, გვ. 325.

[2] იქვე, გვ. 326.

[3] დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის პირველ პერიოდთან დაკავშირებული რიგი მოვლენების დათარიღების საკითხის შესახებ, იხ. ჩვენი, ნარკვევები ფეოდალური საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1972, გვ. 5—28.

ირკვევა, საქართველოს მეფეს ლიპარიტის ყოფილი მამული გელათისათვის შეუწირავს. დავით აღმაშენებელი იმთავითვე ზრუნავდა გელათის მატერიალურ კეთილდღეობაზე და სწორედ ამიტომ „მისცნა დედასა ღმრთისასა სამსახურებლად მისსა წინაშე მდგომელთა მისთათჳს“ [1] მრავალი სოფელი. როგორც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი აღნიშნავს, „სხუათა მრავალთა და სამართლიანთა უსარჩლელ-მიუბუეჴელთა სოფელთა თანა“ [2], საქართველოს მეფეს გელათისთვის შეუწირავს „მამული ლიპარტეთი“, რომელიც იმ დროისთვის „უმკჳდროდ დარჩომილ იყო“ [3]. ამ შეწირულებით ეკლესიის მსახურთ საქართველოს სამეფო კარმა „უზრუნველი ტრაპეზი განუჩინა“ [4].

ამგვარად, კლდეკარის ერისთავების სამფლობელო მამული საეკლესიო (გელათის) საკუთრება გახდა [5].

რას უნდა ნიშნავდეს კლდეკარის საერისთავოს გაუქმებისა და საქართველოს სამეფოსადმი შემოერთების შემდეგ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობა: „ხოლო თრიალეთი და კლდე-კარნი ჰქონდეს თევდორეს, ჴყონდიდელისა დისწულსა, კაცსა გონიერსა და დიდად მყოფსა“.

ვარაუდი იმისა, რომ XII საუკუნის ათიან წლებში (კლდეკარის საერისთავოს საქართველოს სამეფოსადმი შემოერთების შემდეგ) „თრიალეთი და კლდე-კარნი“ ცალკე საგამგეო ერთეულს წარმოადგენდა [6], არ უნდა იყოს მართებული. ეს ეწინააღმდეგება იმ გადაწყვეტილებას, რომელიც საქართველოს მეფემ მიიღო. რაც შეეხება ზემოთ მოყვანილ ცნობას, იგი სრულებითაც არ უნდა მიგვანიშნებდეს იმაზე, რომ ეს პროვინცია ცალკეა გამოყოფილი სამეფოდან.

---

[1] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 330.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე.

[5] არ არის სწორი თ. ჟორდანიას ცნობა, თითქოსდა ლიპარიტის მამული 1101 წელს (ამ დროს ჯერ კიდევ ცოცხალი იყო რატი ლიპარიტის ძე და მამულიც მის საკუთრებას შეადგენდა) შეეწიროს გელათისათვის. უფრო საფიქრებელია, რომ ეს ფაქტი გელათის კომპლექსის მშენებლობის დაწყებისას უნდა მომხდარიყო (1106 წ.).

[6] ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, კლდეკარის საერისთავო, ხელნაწერი, გვ. 216.

ჩვენი აზრით, მას შემდეგ რაც ლიპარიტისეული სამფლობელო საეკლესიო საკუთრება გახდა (იგი გელათის მონასტერს გადაეცა), მისი მეთვალყურეობა საეკლესიო პირებმა მიანდეს თევდორეს, რადგან აღნიშნულ სამფლობელოს შემოსავალი რომ მიეცა ეკლესიისათვის, გონიერი მართვა-მეთვალყურეობა სჭირდებოდა. ეკლესიამ, საქართველოს ეკლესიის მესვეურებმა, გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესმა ეს საქმე მიანდეს „კაცსა გონიერსა და დიდად მყოფსა". თევდორეზე არჩევანი ალბათ იმიტომ გაკეთდა, რომ იგი, გარდა თავისი გონიერებისა, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ახლობელი პირი, მისი დისწული იყო და ამასთანავე საქართველოს სამეფოს ერთგული. მას ჩვენ გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესთან, აბულეთთან და ივანე ორბელიანთან ერთად ვხედავთ სამშვილდის აღების მოთავედ [1].

ამგვარად, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობა ისე უნდა გავიგოთ, რომ თევდორეს საქართველოს ეკლესიის ძიერ ჰქონდა მინდობილი მეთვალყურეობა კლდეკარისა და თრიალეთისა, ხოლო ეს უკანასკნელნი ეკლესიის (გელათის მონასტრის) საკუთრებაში იმყოფებოდნენ და ბუნებრივია, დამოუკიდებლად არ არსებობდნენ. შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ აქედან მოყოლებული (XII საუკუნის ათიანი წლები) არავითარი ცნობა კლდეკარის საერისთავოს დამოუკიდებელ ერთეულად არსებობის შესახებ, არ მოიპოვება.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, 1104 წელს გარდაიცვალა [2] (და არა 1102 წელს, როგორც საისტორიო ლიტერატურაშია მიჩნეული) [3] კახეთის მეფე კვირიკე. მის ნაცვლად კახთა მეფე გახდა კვირიკეს ძმისწული აღსართანი, რომელსაც განსხვავებით თავისი წინამორ-

---

[1] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 331.

[2] იქვე, გვ. 326. „და შემდგომად წელიწადისა ერთისა (ზედაზნის აღებისა და კლდეკარის საერისთავოს საქართველოს სამეფოსათვის შემოერთების შემდგომ, — რ. მ.) მიიცვალა მეფე კჳრიკე", ე. ი. კვირიკე გარდაიცვალა 1103 წლიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ 1103 — 1104 წელს. როცა ისტორიკოსები ზედაზნის აღების თარიღად 1101 წელს თვლიდნენ, ბუნებრივია, კვირიკეს გარდაცვალების თარიღად 1102 წ. მიიჩნევდნენ.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 195.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედისაგან, არავითარი მონაცემი მეფობისა არ ჰქონია, უმეცრად უსამართლო ყოფილა[1]. ასეთი მმართველის ხელქვეით მყოფი კახეთის შემოერთება, ცხადია, საქართველოს მეფისათვის აღარავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა, რადგან დავით აღმაშენებელს ამ მიმართულებით უკვე გატარებული ჰქონდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები. ჰერეთ-კახეთში საქართველოს მეფე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და ბევრი დიდებული მის პოლიტიკას მხარს უჭერდა, მითუმეტეს როცა ეს პოლიტიკა საქართველოს გაერთიანებას ისახავდა მიზნად. 1104 წელს დიდმა აზნაურებმა ქავთარ ბარამის ძემ და მისმა დისწულებმა არიშიანმა და ბარამმა შეიპყრეს და საქართველოს მეფეს გადასცეს კახთა მეფე აღსართანი. დავით აღმაშენებელმა ჰერეთი და კახეთი დაიკავა („და აღიხუნა მეფემან ჰერეთი და კახეთი“)[2].

საქართველოს მეფის ასეთი მოქმედება ვერაფრად ეპიტნავა სულთანს, რადგან ჰერეთ-კახეთი მისი მოხარკე იყო და ამ ქვეყნის დაკარგვა დიდ დანაკლისს წარმოადგენდა სასულთნოსათვის — სუსტდებოდა თურქების პოზიცია აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. სულთნის დიდმოხელე, განძის ათაბაგი, მრავალრიცხოვანი ლაშქრით გამოემართა დავით აღმაშენებლის შესაბრძოლებლად და ჰერეთ-კახეთიდან გასადევნად. როგორც ჩანს, ეს გამოლაშქრება დავით აღმაშენებლისათვის მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო და იგი მომზადებული დაუხვდა მტერს. ბრძოლა გაიმართა ერწუხში (ახლანდელ საინგილოში), 1104 წელს, და ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა („ერწუხს ქმნნა წყობანი დიდნი ჴმა-გასმენილი იგი დიდი ძლევა“)[3]. ისტორიკოსი აღტაცებით აღწერს დავით აღმაშენებლის უშუალო მონაწილეობას ერწუხის ომში, რომელიც „არა თუ ვითარცა სხუა ვინმე ზურგით უდგა ოდენ სპათა თჳსთა, ანუ შორით უზახებდა... არამედ უპირატეს ყოველთასა თჳთ წინა უვიდიოდა, და ვითა ლომი, შეუზახებდა ჴმითა მაღლითა, და ვითა გრიგალი მი-და-მო იქცეოდა“...[4].

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 326.
[2] იქვე, გვ. 328.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 329.

ამგვარად, დავით აღმაშენებელმა შემოიერთა ჰერეთი და კახეთი და „ნებიერად აღიხუნა ციხენი და სიმაგრენი მათნი"[1]. ეს მოხდა 1104 წელს. ჰერეთ-კახეთის შემოერთებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის, ამ უკანასკნელის ეკონომიური და სამხედრო ძალების შესამჩნევად გაზრდის თვალსაზრისით. ამიერიდან უკვე აშკარად ძლიერ, ერთიან საქართველოს შეეძლო ფართო მასშტაბის ღონისძიებების ქმედითად გატარება — ეკონომიური ხასიათისა იქნებოდა თუ პოლიტიკურისა. მართლაც, აქედან (ჰერეთ-კახეთის შემოერთების შემდგომ) მოყოლებული საქართველოს სამეფომ ბევრი ისეთი გრანდიოზული ნაბიჯი გადადგა, რომელმაც ქვეყანა იმდროინდელს წინააზიასა და კავკასიაში ერთ-ერთ გავლენიან და მოწინავე სახელმწიფოდ აქცია.

1089—1104 წლები საქართველოს ისტორიაში მეტად მნიშვნელოვანი დროა, როდესაც თურქ-სელჩუკებისაგან დათრგუნვილი ქვეყანა და მისი მოსახლეობა ფაქტიურად გაოგავისუფლდა მომხდურ დამპყრობელთა უღლისაგან, დიდი ნაბიჯი გადაიდგა დიდგვაროვან ფეოდალებთან ბრძოლის საქმეში და სახელმწიფო ახალი აღმავლობის გზით წავიდა.

ა ბ უ ლ ე თ ი ს ძ ე თ ა გ ა ძ ო ს ვ ლ ა. როგორც დავინახეთ, შინაკლასობრივი ბრძოლა განვითარებული ფეოდალიზმის ხანის საქართველოში ძალზე მწვავედ მიმდინარეობდა. დიდგვარიან ფეოდალთა ბრძოლა სამეფო ცენტრალიზებული ხელისუფლების წინააღმდეგ განსაკუთრებული სიმძაფრით გიორგი მეორისა და დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის პერიოდში (XI საუკუნის მიწურული — XII საუკუნის დასაწყისი) გამოვლინდა.

ამჯერად გვინდა შევჩერდეთ დიდგვარიანი ფეოდალების ძაგან და მოდისტოს აბულეთისძეთა საქართველოს სამეფო კარის წინააღმდეგ გამოსვლის შესახებ. ეს საკითხი დღესდღეობით არ არის სათანადოდ შესწავლილი. უფრო მეტიც, ბევრს ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში (მათ შორის საბელმძღვანელოებად განკუთვნილებში) საერთოდ არაფერია თქმული მის შესახებ.

---

[1] იქვე.

ისტორიული წყარო, სადაც მოთხრობილია ზემოთხსენებულ დიდგვაროვან ფეოდალთა მოქმედების შესახებ, გახლავთ დავით აღმაშენებლის ანდერძი, მიცემული შიო მღვიმის მონასტრისადმი 1123 წელს. როგორც აღვნიშნეთ, იგი საინტერესო კომენტარით და რუსული თარგმანითურთ გამოსცა და ხელმისაწვდომი გახადა თ. ჟორდანიამ [1]. „ანდერძი" გვაძლევს მასალას იმდროინდელი საეკლესიო ცხოვრების თაობაზე და საკმაოდ გამოკვეთილად გვაწვდის ცნობას ზოგიერთი ფეოდალის სამეფო ხელისუფლების საწინააღმდეგო მოქმედების შესახებ. ასეთი კი მრავლად ყოფილან, რომლებიც „ცხადთა წინააღმდგომთად" [2] (აშკარა მოწინააღმდეგეებად) იწოდებიან. მათ სიმრავლეზე ისიც მიუთითებს, რომ „ანდერძი" ხაზგასმით ამბობს „ერთმან მათგანმან, ძაგანმან"... [3] და ა. შ. ე. ი. ძაგანი სამეფო კარის ერთი მოწინააღმდეგეთაგანი იყო (და არა ერთად-ერთი!).

1123 წლის ანდერძის მიხედვით დავით აღმაშენებელს შიომღვიმის მონასტრისათვის უამრავი ქონება უბოძებია და განუსაზღვრავს წესი და რიგი მონასტერში ცხოვრება-სამსახურისა. ანდერძიდან ირკვევა, რომ მონასტრის შუა ადგილას აღმართული ღვთისმშობლის სახელობის დიდი უგუმბათო ეკლესია დავით აღმაშენებელს აუშენებია [4] იმ დიდი სამსახურის საფასურად, რაც მემღვიმეებს მეფისათვის გაუწევიათ (დავით აღმაშენებლისაგან დევნილი და მღვიმეს შეფარებული ძაგანი შეუპყრიათ და მიუციათ მეფისათვის): „მწყემსი უკაროჲ ჭეშმარიტთა მწყემსთა მიერ დაემხუა და ძაგანი, მღუიმეს შელტოლვილი მომცა ღმერთმან, რომელსა შინა არა მცირედი ერთგულება აჩუენეს ჩუენდა მომართ მამათა მემღვიმეთა... მადლობა აღვუიარე დამბადებელსა ღმერთსა და თაყვანის-

---

[1] Ф. Жордания, Завещание Царя Давида Возобновителя, данное Шио-Мгвимской лавре в 1123 г., Тифлис, 1895. იხ. მისივე, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, თბ., 1896, გვ. 14—18. დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი ამ ბოლო დროს გამოსცა პროფ. ი. დოლიძემ (იხ. ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965, გვ. 12—18).

[2] Ф. Жордания, Завещание.., გვ. 10.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 9—10.

ვეც... წმიდისა შიოს საფლავსა... მყის მოუწოდე არსენის ბერსა და განუცხადე სათნოჲ ჩემი და ვარწმუნე აღშენებულ ეკლესიაჲ საშუალ მონასტრისა სახელსა ზედა ყოვლად წმიდისა ღვთის მშობლისასა“ [1].

ახლა ვნახოთ, თუ რა ჩაიდინა ძაგანმა ქვეყნისა და სამეფო კარის წინაშე ასეთი საშინელი, რომ საქართველოს მეფემ ესეოდენ დიდი წყალობა მოიღო მის შემპყრობთა სასარგებლოდ. დადგენას მოითხოვს დანაშაულის ჩადენის დროც და აგრეთვე რიგი საკითხებისა, რომლებიც ამ დიდგვარიანი ფეოდალის სახელთან არის დაკავშირებული [2]. კიდევ ვიმეორებთ, რომ მოცემული საკითხის შესახებ არაფერი მოგვეპოვება გარდა თ. ჟორდანიასეული, ჩვენი აზრით, მეტად საინტერესო კომენტარებისა, თუმცა ასევე მიგვაჩნია, რომ განსვენებული მეცნიერის ზოგიერთი მოსაზრება გადახედვას მოითხოვს.

უნდა აღინიშნოს, რომ ძაგანის (აბულეთისძეთა) საგვარეულო, ისევე როგორც ზოგიერთი სხვა საგვარეულოები (მაგალითად, ბაღვაშთა სახლი), ტრადიციულ მტრობას უწევდა საქართველოს სამეფო კარს და ისტორიის მთელ მანძილზე მეფისადმი ერთგულებით არ გამოირჩეოდა. ამის შესახებ თვით დავით აღმაშენებელი გვამცნობს „ანდერძში“ — „... რომელ სხვათაცაჲ ჰქონებოდა მ ა თ დ ა გ უ ა რ თ ი ა დ ა ა რ ა ვ ი ს ო დ ე ს ე ქ ნ ა ჩუენი (დავით აღმაშენებლისა და მისი წინაპრების, — რ. მ.) ერთგულება“ (ხაზგასმა ჩვენია, რ. მ.). საქართველოს მეფე ერთგვარი სინანულით აღნიშნავს, რომ მიუხედავად გარკვეული შეღავათებისა, რაც საქართველოს მეფეების მხრიდან ძაგანის წინაპართა მიმართ იყო განხორციელებული, არავის (ძაგანის გვარის წარმომადგენლებს) ერთგულებით არ დაუფასებია. ამდენად, ჩვენ საქმე გვაქვს მეტად სერიოზულ პრინციპულ ბრძოლასთან, რომელშიც, ერთი მხრივ, საქართველოს მეფე დგას, ხოლო მეორე მხრივ, დიდგვარიანი ფეოდალი ძაგანი.

როდის უნდა მომხდარიყო ძაგანის გალაშქრება საქართვე-

---

[1] იქვე, გვ. 10.

[2] ჩვენ გაკვრით შევეხეთ აღნიშნულ საკითხს ნაშრომში „დავით აღმაშენებელი“ (თბ., 1965, გვ. 9—10).

ლოს სამეფო კარის წინააღმდეგ, ან რა სახის გამოსვლას უნდა ჰქონოდა ადგილი ამ ფეოდალის მხრიდან?

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსვენებული თედო ჟორდანია რამდენადმე შეეცადა პასუხი გაეცა ამ კითხვისათვის, კერძოდ, მან მიიჩნია, რომ ძაგანი ის პირი იყო, რომელმაც აღსართან კახთა მეფეს მოღალატურად გადასცა მუხრანისა და ზედაზნის ციხეები: „Упонимаемый в завещании Дзагам, вероятно, есть, тот самый вельможа, который имзменив царю Давиду, передал Агсартану принадлежавщие грузинскому царству крепости Мухран и Зеда-Задени (защита которых, вероятно, было поручено ему грузинскими царями Давидом и Георгием II.) Со всеми землями в пределах сих укреплений лежавшими“[1].

თ. ჟორდანიას ეს ვარაუდი უსათუოდ ყურადსაღებია. საინტერესოა აგრეთვე მისი მტკიცება დავით აღმაშენებლისა და გიორგი მეფის ერთობლივი მოღვაწეობის შესახებ.

ჩვენს სამეცნიერო ისტორიულ ლიტერატურაში დღემდე არ მოგვეპოვება საბოლოოდ დადგენილი თარიღი საქართველოს მეფის გიორგი მეორის გარდაცვალებისა. ის ფაქტი, რომ მატიანე გადმოგვცემს რა გიორგი მეორის მიერ დავით აღმაშენებლის სამეფო ტახტზე აყვანას 1089 წ., ხოლო შემდგომ საერთოდ აღარ მოიხსენიებს მას (გიორგი მეორეს), ისტორიკოსებს აძლევდა იმის საშუალებას, რომ სხვადასხვაგვარად ეფიქრათ გიორგი მეორის შემდგომ ბედზე. ასე მაგალითად, ვახუშტი ბაგრატიონი პირდაპირ გადაჭრით აღნიშნავს: „...მიიცვალა მეფე გიორგი წელსა 1089, ქართულსა 309“[2]. იგივეს ამბობს აკადემიკოსი მარი ბროსეც[3]. ნ. ურბნელი[4] და

---

[1] იქვე. გვ. 4.

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, განმარტებული და შევსებული ახლად შეძენილის არხეოლოგიურისა და ისტორიულის ცნობებით დ. ზ. ბაქრაძის მიერ, თბ., 1885, გვ. 172.

[3] მ ა რ ი ბ რ ო ს ე, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1895, გვ. 1498. მარი ბროსე გადაჭრით დარწმუნებული არ ყოფილა თავის დათარიღებაში. ეს იქედანაც ჩანს, რომ იგი არ გამორიცხავდა გიორგის სიცოცხლეს 1089 — 1092 წწ. (იხ. მისი Histoire de la Georgie Introduct. გვ. 14).

[4] ნ. ურ ბ ნ ე ლ ი, დავით აღმაშენებელი და მისი დრო, თბ., 1894.

დ. კარიჭაშვილი[1] გიორგი მეორის გარდაცვალების თარიღად 1112 წელს სდებენ. აკად. ივ. ჯავახიშვილმა ერთგვარად „აარ-და თავი ამ თარიღის მოცემას, ალბათ, ისტორიული მასალის უკმარობის გამო. თ. ჟორდანია დაბეჯითებით მიუთითებს გიორგი მეორის 1112 წელს გარდაცვალების შესახებ. უფრო მეტიც, იგი აღნიშნავს, რომ ამ დრომდე გიორგი მეორე არამც თუ ცოცხლობდა მხოლოდ, არამედ ქვეყნის მართვასა და პოლიტიკაშიც ერეოდაო[2].

მართლაც, რაკი ჩვენ არავითარი საბუთი არ გაგვაჩნია, რომელიც გიორგი მეორეს გარდაცვალებას მიგვანიშნებდეს, შეიძლება რამდენადმე გავიზიაროთ მოსაზრება საქართველოს მეფის 1112 წელს გარდაცვალების შესახებ, მით უმეტეს, რომ თ. ჟორდანიას თუმცა მცირე, მაგრამ მაინც მოაქვს მასალა თავისი ვარაუდის დასასაბუთებლად, კერძოდ, „აფხაზთ მეფეთა ქრონიკიდან“: „ქ-კსა: ტლბ-დასაბამითგან: ხლივ: აქა მოტყუჱ... იყო ყ-ა ქ-ყ--- თამარ შირვ-ნით გამოვიდა და გ-მ-მ-კდ...“[3]. ეს დაზიანებული წარწერა თ. ჟორდანიამ ასე წაიკითხა: „ქრონიკონსა: ტლბ: დასაბამითგან: ხლივ: აქა მოტყუენვა იყო ყოველსა ქვეყანასა; თამარ შირვანით გამოვიდა და გიორგი მეფე მოკუდა“[4]. ამგვარად, გიორგი მეორე, თუ ამ წყაროს სისწორეში ეჭვს არ შევიტანთ, 1112 წელს გარდაცვლილა.

ჩვენ განსაკუთრებით ვჩერდებით გიორგი მეორის გარდაცვალებაზე იმიტომ, რომ თ. ჟორდანია საგანგებო დასკვნებს აკეთებს აქედან გამომდინარე ძაგანის გამოსვლასთან (ღალატთან) დაკავშირებით. ასე, მაგალითად, „ანდერძში“ მოყვანილი: „ოდეს ზეზადნისა (ზედაზნისა — რ. მ.) ციხე და მუხრანი ძუელითგან ვეცადე მათგან ძებნითა, მაშინცა არა იყო ნებაჲ ჩემი, მამან ჩემმან უბოძაჲ...“[5] — თ. ჟორდანიას მიაჩნია გიორგი მეორის დიდი როლის (უფრო მეტის, ვიდრე და-

---

[1] დ. კ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ ი, საქართველო მეთორმეტე საუკუნეში, თბ., 1902, გვ. 44.

[2] Ф. Ж о р д а н и я, Завещание, стр. 7—8.

[3] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, თბ., 1892, გვ. 239.

[4] იქვე.

[5] Ф. Ж о р д а н и я. Завещание, გვ. 13.

ვით აღმაშენებლის) დამადასტურებლად სხვადასხვა საქმეების — გადაჭრაში [1].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი აზრით, სრულიად გამორიცხული უნდა იყოს გიორგი მეორის ჩარევა სახელმწიფო საქმეებში (თუნდაც სრულიად უმნიშვნელო ყოფილიყო იგი) 1089 წლის შემდგომ. საქმე ისაა, რომ დავით აღმაშენებლის გამეფება, რომელიც განპირობებული იყო, ერთი მხრივ, ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობით, ხოლო მეორე მხრივ, სამეფო ხელისუფლების მწვავე კრიზისით, არ შეიძლებოდა ისე მშვიდად მომხდარიყო, როგორც ამას დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გადმოგვცემს („ამას მარტოდ შობილსა გიორგისაგან თჳთ მამამან დაადგა გჳრგჳნი მეფობისა...") [2]. უფრო მეტად საფიქრებელია, რომ ეს იყო გადატრიალება, რომელიც დიდგვარიან ფეოდალთა ერთი გარკვეული ჯგუფის მონდომებითა და აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობდა. და თუ გიორგი მეორემ თავისივე ხელით დაადგა შვილს სამეფო გვირგვინი, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მისი მოქმედება საკუთარი სურვილის ექვივალენტური გამოხატულება იყო. აქ გარკვეულ იძულებას ექნებოდა ადგილი. სხვა შემთხვევაში საქართველოს მეფის ძალა-უფლების მთლიანად მემკვიდრეზე გადაცემა, ალბათ, არ მოხდებოდა. უფრო მეტიც, ჩვენ ვფიქრობთ, რომ დავით აღმაშენებელი თვითონ იყო აქტიური მებრძოლი სამეფო ხელისუფლების სადავეების მთლიანად (ნაწილობრივ იგი 1085 წლიდან მართავდა ქვეყანას მამასთან ერთად. ამაზე დაწვრილებით ქვემოთ შეეჩერდებით) ხელში აღებისა და გამორიცხული არ არის, რომ ამ სურვილის აღსრულება სხვა ღონისძიებების გატარებასთან ერთად საკუთარი მამის მეტად მძიმე შეურაცხყოფის საფასურად მოხდა. მიგვაჩნია, რომ ეს კონფლიქტი მამასა და შვილს შორის იმდენად მწვავე იყო, რომ დავით აღმაშენებელს თავისი მოქმედება საკუთარი მამის წინაშე უდიდეს ცოდვად მიაჩნდა და იგი არაერთგზის იგონებდა მას. მოვი-

---

[1] Ф. Жордания, Завещание, გვ. 7

[2] ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 324

გონოთ მისი „გალობანი სინანულისანი“ [1]. ან კიდევ შიო-მღვიმის მონასტრისადმი მიცემულ ანდერძში მისი სიტყვები: „(უფალო ღ-თო), დავის მიუტევენ ბრალნი მისნი სიყრმისა და ცთომილებისანი“ [2].

სწორედ ეს „გალობანი სინანულისანი“ და „ბრალნი მისნი სიყმისა და ცთომილებისანი“ გიორგი მეორეს წინაშე ჩადენილი მძიმე მოქმედების (ალბათ მისი ტახტიდან გადაყენების) გამო მოუძღოდა დავით აღმაშენებელს და ამიტომ მოითხოვდა ამ „ცოდვათა“ მიტევებას ღმერთისაგან. თავის დროზე თედო ჟორდანია არ ყოფილა შორს ამ მოსაზრებისაგან. იგი დავით აღმაშენებლის მიერ შიო-მღვიმის მონასტრისადმი მიცემული 1123 წლის ანდერძის რუსულ თარგმანში, იქ სადაც „ბრალსა“ და „ცთომილებაზეა“ ლაპარაკი, შენიშნავს: «Вероятно, тут разумеется слишком строгое обращение царя с изменниками или, может быть, какие либо крупные недоразумения с отцом его, Георгием II, вовлекшия юного царя в тяжкие грехи» [3]. ბუნებრივია, საქმე გვაქვს მამა-შვილს შორის მწვავე კონფლიქტთან, რომელიც სამეფო ძალაუფლებისათვის ბრძოლის ნიშნით მიმდინარეობდა. თ. ჟორდანია გაკვირვებული სვამდა შეკითხვას: «Ужели предполагать что воцарение Давида сопровождалось какими-либо насилиями, и первенство в управление царством исторгнуто им из рук отца вопреки воли последняго» [4].

გამომდინარე აქედან ჩანს, რომ განსვენებული მეცნიერის ხელთ არსებული მასალა იძლეოდა საშუალებას ვარაუდის სახით შეკითხვა დაესვა დავით აღმაშენებლის მიერ ხელისუფლების ძალით („Какими либо насилиями“) აღების შესახებ.

---

[1] მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882, გვ. 513—518.

[2] Ф. Жордания. Завещание, გვ. 12. დავით აღმაშენებელი თავის 1125 წლის ანდერძშიც საგანგებოდ აღნიშნავს: „... არა დამიტევა მე საწუთრომან და დამძიმებული ცოდვათა სიმრავლითა მწუხარედ გამიყვანა წინაშე მსაჯულისა“.

[3] Ф. Жордания, Завещание, გვ. 25.

[4] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიგვაჩნია, რომ ამ შეკითხვას დადებითი პასუხი უნდა გაეცეს. დავით აღმაშენებლის მიერ ძალაუფლების ხელში აღებამ (გარკვეული ძალის გამოყენებით!) ნაკარნახევი იყო, უპირველესად ყოვლისა, სახელმწიფოს ინტერესებით (იმდროინდელი საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა მოითხოვდა ახალ, ძლიერ მეთაურს), ამავე დროს ეს იყო დიდგვარიან ფეოდალთა დიდი ჯგუფის (მათ შორის, ბუნებრივია, თვით დავით აღმაშენებლის) ნება-სურვილის გამოხატულება.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ხელისუფლების სადავეების ასეთი ძალით აღების შემდეგ ყოფილი მეფე გიორგი მეორე სახელმწიფო მმართველობისათვის უნდა მოეშორებინათ და გარკვეულ იზოლაციაში მოექციათ. ამას მოითხოვდა სახელმწიფოს ერთმმართველი მეფის (დავით აღმაშენებლის) ინტერესები. ასე რომ, სამეფო კარზე ასეთი გადატრიალების შემდეგ, რამდენ ხანსაც არ უნდა ეცოცხლა გიორგი მეორეს, ძნელად დასაშვებია, რომ მისთვის სახელმწიფო ცხოვრების თუნდაც უმნიშვნელო საკითხი მიენდოთ გადასაჭრელად.

მაშ რას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ თვით დავით აღმაშენებელი წერს შიო მღვიმისადმი 1123 წელს მიცემულ ანდერძში: „არა იყო ნებაჲ ჩემი, მამამან ჩემმან უბოძაჲ“ [1], რომლის გამოც თ. ჟორდანია ფიქრობდა, რომ გიორგი მეორე მთელი სიცოცხლის მანძილზე (1089 წლიდანაც კი, ვიდრე 1112 წლამდე) წამყვან როლს („первенствующую роль“) ასრულებდა სახელმწიფოს მართვა-გამგებლობის საქმეში.

ვფიქრობთ, რომ აქ ბევრი საკითხი მოითხოვს დაკვირვებასა და გარკვევას. საქმე ისაა, რომ დავით აღმაშენებლის ანდერძში ხაზგასმითაა აღნიშნული: „ოდეს ზეზადნისა ციხე და მუხრანი ძუელითგან ვეცადე მათგან (ძაგანი და მისი წინაპრებია მხედველობაში, — რ. მ.) ძებნითა მ ა შ ი ნ ც ა არა იყო ნებაჲ ჩემი“... [2] და სხვ. ე. ი. ზედაზნისა და მუხრანის დაბრუნება „ძუელითგან“ უცდია და „მაშინცა“ ვერა გაუწყვია რა, როგორც ჩანს, უუფლებობის გამო („არა იყო ნებაჲ ჩემი“). როდის იყო ეს „ძუელითგან“ და „მაშინცა“?

---

[1] იქვე, გვ. 13.

[2] იქვე, შდრ. პროფ. ი. დოლიძის მიერ გამოცემული ტექსტი. იხ. ქართული სამართლის ძეგლები, თბ., 1956, გვ. 16.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქმე გვაქვს ძაგანისა და მისი საგვარეულოს წარმომადგენლების სხვადასხვა სახის (ღალატი, განდგომა) არაერთგზის გამოსვლასთან საქართველოს სამეფო კარის წინააღმდეგ. სწორედ ამას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ დავით აღმაშენებელი ხაზგასმით ამბობს: „...მით რომელ სხუათაცაჲ ჰქონებოდა მათთა გუართა და არავის ოდეს ექნა ჩვენი ერთგულება“ [1]. ასეთ დასკვნას საქართველოს მეფე შემთხვევით არ გააკეთებდა. საფიქრებელია, რომ ძაგანი და მისი გვარის წარმომადგენლები, ისევე როგორც ბაღვაშთა საგვარეულო, არაერთხელ გამოსულან სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ საკუთარი ინტერესების დაცვა-გაფართოებისათვის.

საინტერესოა საკითხი, თუ როდის იყო საქართველოს მეფე ისეთი უუფლებო, რომ თავისი სურვილი ვერ განახორციელა ქვეყნის მოღალატეების მიმართ, რადგან თურმე „არა იყო ნებაჲ“ მისი. ჩვენი ღრმა რწმენით, ეს 1089 წლის შემდეგ არ შეიძლებოდა მომხდარიყო (თუ რატომ, ამაზე ზემოთაც გვქონდა ლაპარაკი და ახლა საგანგებოდ ამ საკითხზე შეჩერება არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად), რადგან ამ დროიდან ქვეყანას სათავეში ჩაუდგა უაღრესად ძლიერი პიროვნება, რომელმაც თავისი გამჭრიახობით და შორსმჭვრეტელური დიპლომატიით, გაბედული მოქმედებით შინ და გარეთ, ქვეყანა აღმავლობის გზით წაიყვანა. აქ უკვე მეორე საკითხი ისმება. განა 1089 წლამდე დავით აღმაშენებელს ჰქონდა რაიმე გავლენა სამეფო კარზე? თუნდაც იმდენი, რომ მას რაიმე გარკვეული საკითხი გადაეჭრა? (ზოგჯერ, როგორც ვნახეთ, ვერც ჭრიდა საკითხს რამდენადმე უუფლებობის გამო, რადგან, ბუნებრივია, მეფე — მამის ავტორიტეტი დიდი იყო და მისი ნება-სურვილიც კანონად ითვლებოდა). ვფიქრობთ, ამ კითხვას დადებითი პასუხი უნდა გაეცეს. 1089 წლამდე გიორგი მეორის პირმშოს დავითს არა თუ რაიმე უბრალო გავლენა ჰქონდა საქართველოს სამეფოში, არამედ იგი მეფის თანამმართველადაც კი ითვლებოდა. აღსანიშნავია, რომ უკვე 1085 წელს დავითი იწოდება მეფედ და სევასტოსად. ამის

---

[1] Ф. Жордания, იქვე, გვ. 13.

საილუსტრაციოდ მოვიყვანთ დავით გარეჯის წიგნთსაცავში აღმოჩენილი ხელნაწერის 1085 წლის მინაწერს: „დაესრულ[illegible] საწელიწადოჲ საწინასწარმეტყველოჲ წესსა ზედა ბერძულსა, ახალთარგმნილი წ-ა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმინდელისა, სრული ყოვლითურთ და უნაკლო. მე სულითა საწყალობელმან ეგნატი დავწერე წ-ა ესე წიგნი საწინასწარმეტყველო დიდებულისა ლავრისა შატბერდისათჳს, სალოცველად ღვთივ-გჳრგჳნოსანთა ჩუენთა გიორგი მეფეთა მეფისა და კესაროსისა და ძისა მათისა დავით მეფისა სევასტოსისა“ [1].

ამგვარად, უკვე 1085 წელს, გიორგი მეორის მეფობის დროს, დავითი იწოდება მეფედ და სევასტოსად. ბუნებრივია, რომ ქვეყანას განაგებს მეფეთ-მეფე გიორგი, მაგრამ მასთან ერთად გარკვეული უფლებები სამეფოს მართვის საქმეში მის შვილსაც ჰქონდა. ყურადსაღებია ისიც, რომ მამა-შვილს შორის იერარქია მკვეთრად არის დაცული — გიორგი კესაროსია, დავითი კი სევასტოსი — შედარებით დაბალი რანგის ტიტულის მატარებელი [2]. როგორც ცნობილია, ამ ბერძნულ ტიტულებს ბიზანტიის იმპერია აძლევდა სხვადასხვა ქვეყნების მეფეებს თავისი გავლენის დასამტკიცებლად. ქართველი მეფეებიც ასე იყვნენ. მაგალითად, ბაგრატ მეოთხე ჯერ ნოველისიმოსის ტიტულს ატარებდა, ხოლო შემდეგ სევასტოსისა. მის მიერ მოჭრილი მონეტების ზედწერილები აშკარად ადასტურებენ ამას: („ქრისტე, ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე და ნოველისიმოსი“, სხვა მონეტაზე ბაგრატი უკვე „სევასტოსად“ იხსენიება) [3].

არ არის გამორიცხული, რომ ზემოთ მოყვანილ წარწერაში დავითის სევასტოსად ხსენება შემთხვევით, წამწერლის ნება-სურვილით კი არ იყოს გაპირობებული, არამედ სავსებით შეესატყვისებოდეს მის პირდაპირ მნიშვნელობას. შე-

---

[1] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, გვ. 232.

[2] უნდა აღვნიშნოთ, რომ სევასტოსი ყველაზე დაბალი ტიტული არ არის. ქვემოთ არის ნოველისიმოსი (გარკვეულ დროს ბაგრატ მეოთხე ატარებდა ამ ტიტულს).

[3] დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1950, გვ. 42—43. რ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, დავით აღმაშენებელი, თბ., 1965, გვ. 88.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საძლებელია მას შემდეგ, რაც გიორგი მეორემ შვილიშვილი მმართველად გაიხადა, ამ უკანასკნელმა (დავითმა) ბიზანტიის საიმპერატორო კარისაგან სევასტოსის (!) მაღალი პატივი მიიღო.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ დავით აღმაშენებელს 1085 წლიდან (შეიძლება ცოტა ადრეც), თუმცა ნომინალურად, მაგრამ მაინც ჰქონდა ქვეყნის მმართველის გარკვეული უფლებები, ვფიქრობთ, რომ მის მიერ ძაგანისათვის (ან მისი გვარის რომელიმე წარმომადგენლისათვის) სამფლობელოს ჩამორთმევის ცდა სწორედ 1085—1089 წლებს შუა უნდა ყოფილიყო. ამ დროს ისიც კანონზომიერია, რომ იგი ვერ წავიდოდა მისი მამის გიორგი მეორის ნება-სურვილის წინააღმდეგ. სხვა შემთხვევაში (ეს ფაქტი რომ დავით აღმაშენებლის უშუალო მეფობის პერიოდში მომხდარიყო), თითქმის მთელი ამიერკავკასიის გამაერთიანებელი ძლიერი და თავმოყვარე მეფე („მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა") 1123 წელს ასე ხმამაღლა არ განაცხადებდა „არა იყო ნებაჲ ჩემი"-ო.

ამგვარად, ძაგანის საგვარეულოს წარმომადგენელთა ერთ-ერთ გამოსვლას — ღალატს საქართველოს სამეფო კარის წინააღმდეგ — ადგილი უნდა ჰქონოდა 1085—1089 წლებს შორის. როგორც ჩანს, ეს გამოსვლა მარცხით დამთავრებულა, რის შემდეგაც საქართველოს მეფეებს, ალბათ, გარკვეულად დაუსჯიათ, მაგრამ უკიდურესი ზომები არ მიუღიათ გამომსვლელთა (მოღალატეთა) მიმართ.

განვიხილოთ უფრო დაწვრილებით მოცემული საკითხი. რა პირობებში, რა მიზნით უნდა მომხდარიყო ძაგანის (ან მისი გვარის წარმომადგენლების) გამოსვლა (ღალატი).

ჩვენ ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ასეთი გამოსვლები არაერთი უნდა ყოფილიყო. ამჯერად ერთ-ერთ მათგანზე გვინდა შევჩერდეთ (1085—1089 წლებს შორის რომ მოხდა).

გიორგი მეორეს მეტად მძიმე პირობებში მოუხდა მეფობა. ფეოდალთა აღვირახსნილი ცენტრიდანული მოქმედების გარდა საქართველოს ეკონომიკისათვის დამანგრეველი ე. წ. „დიდი თურქობა" დაიწყო (XI საუკუნის 80-იანი წლები).

საქართველოს დამოუკიდებლობა შენარჩუნებული იქნა

სულთნის სასარგებლოდ ყოველწლიური მძიმე ხარკის სანაცვლოდ სურად. ამ დროს დღის წესრიგში დადგა კახეთის საკითხი. ეს საკითხის განხილვას საკვლევი პრობლემის გარკვევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

საქმე ის არის, რომ გიორგი მეორე დიდებულთა რჩევით[1] თვითონ ეახლა სულთან მალიქ-შაჰს „ქრისტიანეთა ჴსნისათჳს". საქართველოს მეფის ასეთი მისიით კმაყოფილ სულთანს გაუთავისუფლებია „სამეფო მისი (გიორგისი, — რ. მ.)... ზედამარბეველთაგან". ამავე დროს მიუცია კახეთი და ჰერეთი[2] და თან ლაშქარი გამოუყოლებია, „რათა აართვან კახეთი"[3]. როგორც ჩანს, აღმოსავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი აუღიათ კიდეც სულთნის ლაშქრის მეშვეობით საქართველოს სამეფოს მესვეურებს. ეს 1083—1084 წწ. უნდა ყოფილიყო. აქ აღსართანმა ხერხი იხმარა, თვითონ ეახლა სულთანს „დაუტევა ქრისტიანობა და შეეძინა სარკინოზთა სჯულსა"[4]. ამით „აიღო სულტნისაგან კახეთი". აღსართანი აქტიურად მოქმედებს თავისი სამფლობელოს დასაბრუნებლად და აღწევს კიდეც ამას (1086—1087 წწ.). თ. ჟორდანია ვარაუდობს, რომ სწორედ ამ დროს ზედაზნისა და მუხრანის მფლობელი ძაგანი ღალატობს საქართველოს მეფეს და თავის სამფლობელოს კახეთის მეფე აღსართანს გადასცემს. ეს მოსაზრება სინამდვი-

---

[1] ხედავდა რა ქვეყნის მძიმე მდგომარეობას, ამავე დროს თურქების სიძლიერეს, ხოლო „ძალი ბერძენთაცა შემცირებულ იყო", გიორგი მეორემ შეკრიბა დიდებულები და ითათბირა მათთან, რის შემდეგაც „ჰყო განზრახვა დიდებულთა თჳსთა თანა, და დაამტკიცეს წარსვლა მაღალსა სულტანსა მალიქ-შას წინაშე" (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 321).

[2] კახეთი და ჰერეთი მალიქ-შაჰს არ ეკუთვნოდა და ამდენად მას არც მისი ბოძების იურიდიული უფლება ჰქონდა. კახეთს თავისი მეფე ჰყავდა — აღსართანი. აქ ისიც აღსანიშნავია, რომ ეს ტრადიციული ქართული პროვინციები არც საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. საქართველოს სამეფო იმდენად შემცირებული იყო, რომ „საზღვარი სამეფოსა მთა-მცირე ლიხთა და საღგომი სამეფო წაღულის-თავი" (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 324), ე. ი. სამეფოს საზღვარი ლიხის მთის იქეთ იყო.

[3] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 321.

[4] იქვე, გვ. 322.

ლისაგან შორს არ უნდა იყოს. ისმება კითხვა, რატომ უნდა ეღალატა ძაგანს გიორგი მეორისათვის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფიქრებელია, რომ ძაგანისა და მისი საგვარეულოს უმართებულო მოქმედების გამო ამ დიდ ფეოდალსა და საქართველოს მეფეს შორის დიდ უთანხმოებას უნდა ჰქონოდა ადგილი, რის გამოც მეფემ ურჩ ფეოდალს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გარკვეული სასჯელი მიუზღო. შეიძლება ამ დროს (ალბათ ეს 1085—87 წწ. შორის იქნებოდა) დასვა დავითმა საკითხი ძაგანისათვის მიწების ჩამორთმევის შესახებ, მაგრამ მამამ არ გაუგონა. დროებით დაშოშმინებული ძაგანი კი, გრძნობდა რა მამა-შვილის (გიორგი მეორისა და დავითის) დაძაბულ დამოკიდებულებას, ახალ მომენტს უცდიდა, რათა სამაგიერო გადაეხადა საქართველოს მეფისათვის.

ასეთი მომენტი ძაგანს მაშინ დაუდგა, როდესაც მალიქშაჰმა კახეთი აღსართანს დაუბრუნა. იგი, ბუნებრივია, ითვალისწინებდა საქართველოს საშინაო და საგარეო რთულ მდგომარეობას და ამიტომაც არ დააყოვნა — ზედაზენი და მუხრანი კახეთის მეფეს გადასცა. ალბათ ძაგანსა და აღსართანს შორის არსებობდა მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ ამ მიწების მიღების შემდგომ ძაგანი კვლავ იტოვებდა მათი მმართველის უფლებებს. რა გასაკვირია, რომ კახეთის მეფეც ასეთ შემოთავაზებას დათანხმებულიყო და ძაგანი „თავის კაცად“ ეცნო. ჩვენი აზრით, თ. ჟორდანია მართებულად მიიჩნევს, რომ ძაგანი თავის სამფლობელოს დავით აღმაშენებლის მიერ ზედაზნის აღებამდე მართავდა (1103 წ.).

რაც შეეხება დავით აღმაშენებლის მიერ შიო-მღვიმისადმი მიცემულ „ანდერძში“ მოხსენიებულ ძაგანისა და მოდისტოსის მეფის საწინააღმდეგო მოქმედების ფაქტს, მას ადგილი უნდა ჰქონოდა დავით აღმაშენებლის მიერ ზედაზნის აღების (1103 წლის) შემდგომ. ამჯერად, უკვე ხედავდა რა თავის უიმედო მდგომარეობას, საქართველოსა და მისი მეფის აღმავლობას, ძაგანმა უკანასკნელი გაბრძოლება სცადა. „ძაგანმა, შემაწუხებელმან ღმრთისა და მონათა მისთამან, მძლავრებით ღმრთისაცა არამრიდმან, თანვე ძისა (უნდა იყოს ძმისა. — რ. მ.) თჳსისა მოდისტოს, წინაუკმოჲსა მღვდელთ-მოძღვრისა. რომელმან ერთმან პატრონთა თჳსთა წყალობა მათ

ზედა საისრელად აღმახუა, ხოლო მეორემან ღმრთსადა გან-
კუთვნითა ეკლესიები საზეზთმჩენოდა თჳსად მიიტაცა“ [1].

როგორც „ანდერძის“ ტექსტიდან ირკვევა, ძაგანს ხელთ უგდია „მძლავრებით“ მცხეთის, წილკნისა და შიო-მღვიმის საეკლესიო მამულები. შიო-მღვიმე ძაგან სიმაგრედ გადაუქცევია და თავის შეფარებაც იქ უცდია. რაც შეეხება მოდისტოსს, იგი წილკნის ეპარქიის ეპისკოპოსის პატივში აუყვანია და მისი მეოხებითაც არა ერთი მიწა მიუტაცია: „აწ ძაგანმან სადგომად საებისკოპოსნიცა უდიდესნი გარნა სამთავროდ, თჳთ ადრიდგან მამაობასა ეწერაყე საებისკოპოსოდ, და მცხეთისა საქონებელნი მრავალნი დაემჭირნეს, და წილკანი საყდრისა, მონასტრისა რაცა იყო: მთასა ციხე, მარანი ანუ მატუერი იგი სოფელი და მღუმე მონასტერი შიგან ციხედ და სადგომად ჰქონდეს თჳთ“ [2].

ამგვარად, ძაგანისა და მოდისტოსის ეს გამოსვლა, საფიქრებელია, მოხდა სწორედ 1103 წელს, როცა ძაგანმა ზედაზენზე თავისი უფლებები დაჰკარგა და ეს ციხე დავით აღმაშენებელმა საქართველოს სამეფოს დაუბრუნა. ამ დროს ძაგანსა და მის მომხრეებს ისღა დარჩენოდათ, უკანასკნელად გაებრძოლათ საქართველოს მეფის წინააღმდეგ და არ დამორჩილებოდნენ მის ნებას. დავით აღმაშენებელმა, ისევე როგორც ბევრი სხვა მოწინააღმდეგე ფეოდალების აღვირახსნილი მოქმედება სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ, ალაგმა. საქართველოს მეფისაგან დევნილი ძაგანი იძულებული გახდა შიო-მღვიმის მონასტრისათვის შეეფარებინა თავი. აქ უკვე აღარ გაუმართლდა ძაგანს. საეკლესიო მსახურებმა როგორც ჩანს, აწონ-დაწონეს საქართველოს სამეფოს აღმავალი ძლიერება (ჩვენ არ გამოვრიცხავთ მათ პატიოსნებასაც მეფის საქმისათვის სამსახურში) და ყოველგვარი ყოყმანის გარეშე საქართველოს მეფეს მისცეს შეპყრობილი ძაგანი. თვით დავით აღმაშენებელი ამ ფაქტს აფასებს, როგორც ერთგულების გამოხატულებას მის მიმართ: „და ძაგანი მღუიმეს შელტოლვილი, მომცა ღმერთმან, რომელსა შინა ა რ ა-მ ც ი რ ე დ ი

---

[1] Ф. Ж о р д а н и я, Завещание... გვ. 10.

[2] ქართული სამართლის ძეგლები, გვ. 16.

ერთგულებაჲ აჩუენეს ჩუენდა მომართ მ-
მათა მემღვმეთა, რამეთუ იხარებს მართალი, რაჟამს
იხილოს შურისგება“ [1].

ამგვარად, ძაგანი და მისი მომხრეები შეიპყრო დავით აღმაშენებელმა. ფაქტია ის, რომ ძაგანი დავითს სიკვდილით არ დაუსჯია, მაგრამ მისთვის ყველა პატივი და ღირსება აუყრია. ნაწილი მისი მიწებისა „ნაქონები მისა-მიმართ თჳსებული და მღვმეს ქონებანი მისნი საავაზაკონი და წარტყუენილი“ [2] მისთვის დაუტოვებია სიკვდილამდე. მისი გარდაცვალების შემდეგ კი ძაგანის შთამომავლობა ჰკარგავს ყოველგვარ უფლებას ზემოთ აღნიშნულ ქონებაზე.

„ანდერძი“ ამტკიცებს: „ოდეს მოიქცეს [3] სალმობა მისი (ძაგანის, — რ. მ.) თავსა მისსა, ყოველი ყოველითავე უკუნეცით ნაქონები მისა-მიმართ... ვითა მამისა ჩემისა ბრძანებასა შიგან გაჩენით სწერია, აღარ-ოდეს მიგეღოს და არცავის სხუასა საქმე უც მღჳმესათანა და არცა მღჳმისა ქუაბთა“ [4].

აქ დაახლოებით იმგვარად იქცევა მეფე, როგორც ლიპარიტ ბაღვაშის დასჯისას (საერთოდ უსპობს მომავალში მეფის საწინააღმდეგოდ გამოსვლის საშუალებას. კლდეკარის საერისთავო დავით აღმაშენებელმა 1103 წელს ლიპარიტის ძის

---

[1] ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიო-მღვიმისადმი, ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965, გვ. 13.

[2] Ф. Жордания, Завещание, გვ. 13.

[3] პროფ. ი. დოლიძის მიერ გამოცემულ ტექსტში წერია „მოიქცა“.

[4] Завещание, გვ. 13, რა უნდა იგულისხმებოდეს „ანდერძის“ სიტყვებში: ვითა მამისა ჩემისა ბრძანებასა შიგან გაჩენით სწერია“? აქ უსათუოდ მხედველობაშია გიორგი მეორის სიგელი, რომელიც შიო-მღვიმის მონასტრისადმია მიცემული. აღნიშნული სიგელი 1072—73 წწ. თარიღდება და იგი ფაქტიურად წარმოადგენს განახლებას ყველა უფლებისა, რომელიც ბაგრატ მეოთხის მიერ ჰქონდა ნაბოძები მონასტერს („იგი სიგელნი გაუახელნით და დაწერილნი დაუმტკიცენით“ — ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა, გვ. 10) გიორგი მეორის ეს სიგელი აკანონებს შიო-მღვიმის მონასტრის უფლებებს მთელ რიგ მიწებზე. („ესე ვითა: ადიდენ ღმერთმან ძლიერსა მეფეთა-მეფესა გიორგის ბაგრატონიანსა, დაიწერა წმინდისა შიოსათვის და ყოველნი საქონელნი მისნი ყოვლის შესავლისაგან გაოთავისუფლებიან“ — გვ. 12). აი, ეს უნდა ჰქონდეს მხედველობაში დავით აღმაშენებელს თავის 1123 წ. „ანდერძში“, როცა იგი მამამისის, გიორგი მეორის ბრძანებას მოიხსენიებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატის გარდაცვალების შემდეგ მთლიანად საქართველოს სამეფოს შემოუერთა). — არა მხოლოდ ძაგანს უსწორდება, არამედ საერთოდ მის შთამომავლობას უხშობს გზას სამეფო ხელისუფლების საწინააღმდეგო რაიმე მოქმედებისაგან.

ამავე პერიოდში ჩანს დავით აღმაშენებლის ბრძანებით შიო-მღვიმის ე. წ. ღვთისმშობლის მონასტრის მშენებლობის დაწყება, რომელიც იმ ერთგულების ერთგვარი საზღაური იყო, რაც მემღვიმეებმა ძაგანის შეპყრობით და მისი მეფისადმი გადაცემით დაიმსახურეს. „მადლობა აღუვარე დაბადებულისა ღმერთსა და თაყვანისვეც ღმერთ შემოსილსა წმინდისა მამისა შიოს საფლავსა... მხიარულებით აღსავსე სამოთხის მსგავსისა მის ლავრისათვის, მყის მოუწოდე არსენის ბერსა და განუცხადე სათნოჲ ჩემი და ვარწმუნე აღშენებად ეკლესიაჲ საშუალ მონასტრისა სახელსა ზედა ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისასა“ [1]. ამდენად, აღნიშული ეკლესიის (ტაძრის) მშენებლობა 1103 წელს უნდა დაწყებულიყო. 1123 წლისათვის ეკლესიის მშენებლობა ძირითადად დამთავრებული იყო („ვიხილე ეკლესია ჩემ-მიერ აღშენებული დასრულებულად“) [2].

ამგვარად, როგორც ზემოთ ვნახეთ, საქართველოს სამეფო კარს (გიორგი მეორე, დავით აღმაშენებელი) უხდებოდა მწვავე, მეტად მძიმე და ძნელი ბრძოლა დიდგვარიან ფეოდალებთან. ბუნებრივია, მხოლოდ ძაგანი და მისი შთამომავლობა არ იყო საქართველოს სამეფო ხელისუფლების გაძლიერების მოწინააღმდეგე (მსგავსი მაგალითები უხვად გვაქვს განვითარებული ფეოდალიზმის ხანის საქართველოს ისტორიაში). უთანხმოება მეფესა და ფაოდალებს შორის იმდენად ხშირი და ფართო მასშტაბის ყოფილა, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გულისტკივილით განზოგადოებულად ღაღადებს: „ვინათგან ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველითაგანვე თჳსთა უფალთა. რამეთუ, რაჟამს

---

[1] Завещание... გვ. 10.

[2] იქვე, გვ. 9—10.

განდიდდნენ, განსუქნენ და დიდება პოონ და განსუქებნ, იწყებენ განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგვითხრობს ძველი მატიანე ქართლისა და საქმენი აწ ხილულნი“ [1]. სწორედ ამიტომ მთელი ძალით უხდებოდა საქართველოს სამეფო ხელისუფლებას ბრძოლა შინაურ მტრებთან — ქვეყნის ცენტრალიზაციის მოწინააღმდეგეებთან. ასეთ ბრძოლას XI—XII საუკუნეებში თითქმის ყველა მეფე ატარებდა, მაგრამ გიორგი მეორე და დავით აღმაშენებელი გამოირჩევიან მათ შორის. „თჳთ მეფე-მეფეთა იქმოდა საჭირველთა უჭირველად: ცხადთა წინააღმდგომთა განგებულისა თჳსისათა მისცემდა მოსასრველად; იდუმალთა, კუალად ზაკუვისათვის შორის მფარველთა არა შეუნდობდა სიცბილად, რომელთა ითანა თჳთ ზაკუვისა მათისათვის საცთური“ [2].

დავით აღმაშენებლის „ანდერძის“ ეს ნაწილი (რომ არაფერი ვთქვათ „მატიანე ქართლისას“ და დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობების შესახებ) აშკარად მიგვანიშნებს მძიმე შინაკლასობრივი ბრძოლის არსებობაზე. დავით აღმაშენებლის აპოლოგეტი მისივე ისტორიკოსი ყოველგვარად ცდილობს გაამართლოს საქართველოს მეფის მკაცრი მოქმედება მისი შინაკლასობრივი მტრების (დიდგვარიანი ფეოდალები, ეკლესია) [3] წინააღმდეგ. „უკეთუ მეფემან ერთგულნი, ფრთხილნი და ახოვანნი, ნაცვლად ორგულთა, ჯაბანთა და უღირსთა, ადიდნეს, რა უსამართლო ქნა?“ [4] — კითხულობს ისტორიკოსი და თვითონვე იძლევა პასუხს: „უხმარნი და უღირსნი ნუ მას, არამედ თავთა თჳსთა აბრალებდნენ“ [5]. დავითის ისტორიკოსი ძალიან საინტერესო ცნობებს გვაძლევს ჩვენ, იმის შესახებ, რომ ასეთი „უხმარნი და უღირსნი“ საკმაოდ მრავლად იყვნენ XI—XII საუკუნეების საქართველოში. ძაგანი და მოდისტოსი თავისი საგვარეულოთი (მათთა

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 359.

[2] Завещание... გვ. 10.

[3] ეკლესიისა და სასულიერო წოდების სამეფო ხელისუფლებასთან დაპირისპირების შემთხვევები ცალკე საკითხია და მასზე ქვემოთ ვჩერდებით.

[4] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 359.

[5] იქვე, გვ. 360.

გუართა „არავის ოდეს ექნა ჩვენი ერთგულება“), ლიპარიტი და რატი (მათთან ერთად ბაღვაშთა მთელი სახლი) სწორედ ამგვარი, მეფის მოწინააღმდეგე დიდგვარიან ფეოდალთა წარმომადგენლები არიან.

ამგვარად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ XI საუკუნის მიწურულს და XII საუკუნის დასაწყისში ერთიანი საქართველოს საშინაო პოლიტიკურ მდგომარეობას კლასობრივი ბრძოლის გვერდით (პარალელურად) არსებული მწვავე და მძაფრი შინაკლასობრივი (მეფეებისა და დიდგვარიან ფეოდალებს შორის არსებული) ბრძოლა განსაზღვრავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი მეოთხე

ორბელთა ამბოხება

XII საუკუნის საქართველოს შინაკლასობრივი ბრძოლის, კერძოდ, მეფესა და დიდგვარიანებს შორის არსებული ბრძოლის ისტორიაში მეტად საინტერესო ფურცელია დემეტრე უფლისწულ — ივანე ორბელის სახელწოდებით ცნობილი აჯანყება.

განვითარებული ფეოდალიზმის ხანის ისტორია აღსავსეა მეფესა და დიდგვარიანებს შორის არსებული მწვავე ბრძოლის ფაქტებით, რასაც თვით ფეოდალური წყობილება წარმოშობს. როგორც ზემოთ ვნახეთ, არც საქართველო წარმოადგენდა ამ მხრივ გამონაკლისს.

ფეოდალურ მონარქიებს, იცავდნენ რა მიწათმფლობელთა ინტერესებს, ხშირად ბრძოლა უხდებოდათ გაბატონებული კლასის წარმომადგენლებთანაც. ეს იყო სამეფო ხელისუფლების ბრძოლა ფეოდალური საკუთრების დაცვისათვის, ფეოდალური რენტის გადანაწილებისათვის; მოქმედებდა სახელმწიფო აპარატი.

სამეფო ხელისუფლებას უხდებოდა მოქნილი პოლიტიკის გატარება, გაბატონებული კლასის სფეროში მყარი საყრდენის შექმნა, ფეოდალური წრეების გავლენიანი წარმომადგენლების მოსყიდვა — ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რასაც კლასობრივ-ექსპლუატატორულ საზოგადოებაში მმართველი წრეები საერთოდ აკეთებენ. ასე, რომ განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში ჩვენ, ერთის მხრივ, საქმე გვაქვს ფეო-

დალური საზოგადოების ძირითადი ჯგუფების მიწათმფლობელთა და გლეხთა კლასების დაპირისპირებასთან („Крепостническое общество представляло такое деление классов, когда громадное большинство — крепостное крестьянство — находилось в полной зависимости от ничтожного меньшинства — помещиков, которые владели землей“) [1], ხოლო მეორე მხრივ, სამეფო ხელისუფლებასა და ფეოდალებს შორის ბრძოლასთან.

დემეტრე უფლისწულ-ივანე ორბელის სახელით ცნობილი აჯანყება სათანადო სიღრმით ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი. ჩვენი მიზანია არსებული ქართული, სომხური და სხვა წყაროების შესწავლისა და მათზე დაყრდნობის საფუძველზე ისტორიოგრაფიაში აღნიშნული საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურის გათვალისწინებით, გავაშუქოთ დემეტრე-ივანე ორბელის სახელწოდებით ცნობილი აჯანყების ობიექტური მიზეზები, მისი მსვლელობა და შედეგები, მეფის წინააღმდეგ დიდგვარიანთა ამ გამოსვლის ადგილი განვითარებული ფეოდალიზმის ხანის საქართველოს ისტორიაში.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის ირგვლივ ცნობები დაცულია ძირითადად ქართულ და სომხურ საისტორიო წყაროებში. თითოეული ისტორიკოსი საკითხს სუბიექტურად უდგება. ეს სხვაგვარად არც შეიძლება ფეოდალური წყობილების დროს, როცა თითოეული ისტორიკოსი გამოხატავს გაბატონებული, ამ შემთხვევაში ფეოდალური კლასის (საერთოდ ან ამა თუ იმ ცალკეული ჯგუფის) ინტერესებს; მოცემულ შემთხვევაში ქართული წყაროები საქართველოს მეფის მხარეზე ჩანან, ხოლო სომეხი ისტორიკოსები (განსაკუთრებით სტეფანოზ ორბელიანი) მოწინააღმდეგე მხარის პოზიციას ამართლებენ, ასეა თუ ისე, ჩვენს ხელთ არსებული ისტორიული წყაროები გვაძლევენ აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის საშუალებას.

ფეოდალურმა საქართველომ XII საუკუნის პირველ მეოთხედში მოიგერია თურქი მომთაბარეები. აქედან მოყოლებული XIII საუკუნის 20-იან წლებამდე საქართველო

---

[1] В. И. Ленин, ПСС, т. 39. стр. 77.

დროდადრო ებრძოდა მეზობელ თურქულ სახელმწიფოებს, საამირო-სასულტნოებს. ეს ომები ძირითადად სომხეთისა და რან-შარვანის საქმეთა მოსაგვარებლად წარმოებდა. თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს მხარდამხარ სომხეთისა და რან-შარვანის მოძმე ხალხებიც გამოდიოდნენ.

დავით აღმაშენებლის ძის დემეტრეს მეფობის დროს (1125—1156) თურქები ცდილობენ ხელთ იგდონ ამიერკავკასიის მიწები. ქართველები იძულებული ხდებიან ზოგი ადგილი დაუთმონ მტერს (მაგ. ანისი კვლავ მაჰმადიანი მფლობელის ხელთ გადავიდა ყმადნაფიცობის პირობით). 1138 წელს ქართველებმა განძა აიღეს, მაგრამ ვერ შეინარჩუნეს და ეს ქალაქი დიდხანს დარჩა მაჰმადიანთა საყრდენ პუნქტად საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში.

დავით აღმაშენებელმა თავისი რეფორმებით ლახვარი ჩასცა დიდგვარიან ფეოდალთა აღვირახსნილობას, მაგრამ დიდაზნაურობის სოციალურ-ეკონომიური საფუძვლები ხელუხლებელი დატოვა. ამიტომ იყო, რომ შემდგომში კვლავ ცდილობდნენ დიდაზნაურები თავიანთი სოციალ-ეკონომიური მდგომარეობის შესაფერისი პოლიტიკური უფლებების მოპოვებას. ისინი ყველა ხერხს მიმართავდნენ მეფის ძალაუფლების დასამცრობად და დასასუსტებლად. სწორედ დიდ ფეოდალთა ჯგუფის მხარდაჭერის შედეგი იყო ის, რომ დემეტრე მეფეს ტახტს ეცილებოდნენ ჯერ მისი ძმა ვახტანგი, ხოლო შემდეგ უფროსი შვილი დავითი. ამ უკანასკნელმა მამას მეფობაზე ხელი ააღებინა და თვითონ მიიტაცა სამეფო გვირგვინი. დავითს ერთი წელიც არ უმეფია, იგი გარდაიცვალა. ტახტი კვლავ დემეტრემ დაიკავა და 1156 წელს ტახტზე თავისი შვილი გიორგი (მეფობაში გიორგი მესამედ წოდებული) აიყვანა.

გიორგი მესამის საგარეო პოლიტიკის ძირითად ხაზს კვლავ თურქებთან ბრძოლა შეადგენდა. ეს ბრძოლა გარკვეული წარმატებებით აღინიშნა. 1161 წელს გიორგი მეფემ ანისზე გაილაშქრა, ქალაქი აიღო და ამირსპასალარს ივანე ორბელს მიანდო მისი მართვა-გამგებლობა. თანაშემწედ დიდებული სარგის მხარგრძელი დაუნიშნა. გამარჯვებულმა მეფემ ანისის მცხოვრებთ განურჩევლად ეროვნებისა, დიდი წყა-

ლობა უყო (მათე ურჰაელის ცნობით, 40 000 დრაჰკანი მისცა) და ტყვედ წაყვანილი ქრისტიანები და მაჰმადიანები გამოიხსნა ყიდა ტყვეობიდან).

1162 წელს ქართველები უფრო სამხრეთისკენ მიიწევენ. გიორგი მეფემ „მიმართა დიდად ქალაქად და სახელგანთქმულ დვინად, აწ რომელ არს არარატისა ძირსა ზღვარი სომხეთისა და ადარბადაჯანისა“. დვინიც საქართველოს მეფის ძალაუფლებას დამორჩილდა.

ანისისა და დვინის დაკარგვამ მაჰმადიანთა ამირები სასტიკად განარისხა. საქართველოს ასეთმა აქტიურობამ ისინი აიძულა უფრო მეტის ერთსულოვნებით შეკავშირებულიყვნენ და ქართველებისათვის წინააღმდეგობა შეერთებული ძალით გაეწიათ. ხლათის მფლობელი, დიარბექირის მმართველი, შაჰი არმენად წოდებული და არზრუმის ამირა დაიძრნენ საქართველოს წინააღმდეგ“ და მომართეს ქუემო-კერძოსა ქუეყანასა სომხითისასა და მოადგეს ციხესა გაგისასა, აიღეს იგი და მ ო ა ო ჯ რ ნ ე ს ყოველნი საზღვარნი“ [1].

გაუგია თუ არა ეს ამბავი გიორგი მეფეს, სასწრაფოდ „გამოასხნა ოვსნი და ქუეყანანი დიდძალნი და მომართა სულტანსა... ვითარცა ცნა ესე სულტანმან, ათაბაგმან და ყოველთა ფალავანთა და დიდებულთა მათთა, თქუეს ვითარმედ: „არა არს კაცი დღეს პირისპირ შემბმელი გიორგისი და მისთა ლაშქართა ქუეყანასა ზედა; მივრიდოთ თავი და ვეფაროთ“ [2]. მაჰმადიანთა კოალიციური ლაშქარი უკუიქცა დამარცხებული (ისტორიკოსთა ცნობით, ლაშქარს ელდიგუზ ათაბაგი სარდლობდა).

რაკი მაჰმადიანებმა უკან დაიხიეს, საქართველოს ლაშქრის თავკაცობას და თვით გიორგი მეფეს საქმე დამთავრებულად მოსჩვენებიათ. განცხრომისა და დროსტარებისათვის მოუცლიათ [3]. მოწინააღმდეგეებს კი ლაშქრობის დამთავრება არც უფიქრიათ. პირიქით, მათ საქართველოს ლაშქრის მდგომარეობის დაზვერვა მოახერხეს სხვადასხვა გზით და ანისს შეუ-

---

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II. თბ., 1959, გვ. 11.

[2] იქვე, გვ. 13.

[3] იქვე.

ტიეს. ეს ქართველთათვის იმდენად მოულოდნელი იყო, რომ წინააღმდეგობა არ გაუწევიათ და „სივლტოლვე“ აირჩიეს [1].

სომეხი ისტორიკოსი ვარდანი თავის „ისტორიაში“ გადმოგვცემს, რომ ოთხი წლის განმავლობაში ანისს მტრისგან მოსვენება არ ჰქონია. საქართველოსაც თანდათან უჭირდა ბრძოლა ანისისათვის. ამიტომ როდესაც ელდიგუზ ათაბაგი თვით შემოეხვეწა გიორგი მეფეს ზავს, საქართველოს მეფე კმაყოფილი დათანხმებულა. თანაც „უბოძა ანისი თჳსსავე მემამულესა და ეთაყვანა თავისა თჳსისა ყმადა“ [2]. ამრიგად. ანისის ახალი მაჰმადიანი მმართველი საქართველოს მეფის ხელქვეითი და მორჩილი გამხდარა.

ვარდანი კონკრეტულად მიუთითებს, რომ გიორგი მესამემ მოიწვია მაჰმუდის შვილი არსლანი და ანისი მას უწყალობაო. ეს აქტი (წყალობა) აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, 1165 წელს უნდა მომხდარიყო. თავისთავად ანისის ამგვარი წყალობა (თუნდაც ყმადნაფიცისათვის) საქართველოს მარცხს უდრიდა. მაგრამ ის მშვიდობა და ზავი, რომელიც „ჟამ რაოდენიმე“ გაგრძელდა — სწორედ აღნიშნული ნაბიჯის შედეგი იყო.

საქართველოს მეფე მშვიდობიანობის ჩამოგდებით კმაყოფილი „დაჯდა“ სიხარულად და განსუენებად და ნადირობად“ [3]. ომსა და ბრძოლას შეჩვეული ქართველი მეომრები ახალი ლაშქრობისაკენ იწევდნენ. მათ კიდეც მიუმართავთ მეფისათვის: „არა არს ღონე დარჩობისა ჩუენისა თჳნიერ ლაშქრობისა და რბევისა“. გიორგი მესამეს გარკვეული შიში ჰქონია შინაური მტრებისა და თავისი ლაშქრის დაპირისპირებას სწორედ მათზე ფიქრობდა საჭიროების შემთხვევაში. მას შემდეგ, რაც „წარსცნა ზავნი და ფიცნი შინა“ (როცა განამტკიცა მშვიდობიანობა და უშიშროება სახელმწიფოს შიგნით), გიორგი მეფემ ლაშქარს უფლება მისცა დაერბიათ მეზობელი ქვეყნები. „უბრძანა ტაოელთა, კლარჯთა და შავშთა — მორბევა ოლთისისა და ბანისა, მესხთა და თორელ-

---

[1] იქვე, გვ. 13.
[2] იქვე, გვ. 15.
[3] იქვე.

თა — კარისა და აშორნისა და ამირ-სპასალარსა და სომხითართა — მტკუარს აქეთ, ვიდრე განძამდის; თჳთ ხასაგანიანთა, ლიხთ-იმერთა და ქართველთა განძას დამართებით მტკუარის პირი იმიერ და ამიერ ხოლთამდის, ჰერთა და კათხალაზნის შესართავით ვიდრე შარვანამდის“ [1].

საქართველოს ლაშქრის ამ ბრძოლების შესახებ ძალზე მცირე ცნობები მოგვეპოვება, მაგრამ უცხოელი ისტორიკოსები ადასტურებენ ქართველთა ლაშქრობის ძლევამოსილად ჩატარებას.

ამავე პერიოდში გიორგი მესამემ ილაშქრა შირვანში, სადაც მისი დისწული აღსართანი მეფობდა. შირვან-შა საქართველოს მეფის ყმადნაფიცად ითვლებოდა. ამიტომ როდესაც იგი „დაჭირებული დარუბანდელთა ხაზართაგან“ შველას შეეხვეწა საქართველოს მეფეს, გიორგი მესამე ჯარით მიეშველა 1167 წელს. ქართველთა მხედრობა მივიდა დარუბანდის კარამდე, მოაოხრა მუსკურისა და შარაბამის ქვეყანა და აიღო ქალაქი შაბურანი. როგორც „ისტორიანი და აზმანი“ გადმოგვცემს, შაბურანი საქართველოს მეფეს აღსართანისათვის უწყალობებია.

შირვანის შემომტკიცება საქართველოს პირდაპირ ინტერესებს ემსახურებოდა. აბრეშუმით მდიდარი შირვანი შემოსავლის წყარო იყო საქართველოსათვის. შირვანის დაკავებით ქართველები საფრთხეს უქმნიდნენ განძას, რომელიც თურქების მთავარი საყრდენი იყო ამიერკავკასიაში. დაბოლოს, საქართველო თანმიმდევრულად ატარებდა ქრისტიანული ქვეყნების შემოკრებისა და მათი ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების პოლიტიკას.

1173 წელს, სომეხი ისტორიკოსის ვარდანის ცნობით, გიორგი მესამეს ანისი აუღია, ქალაქის ამირა კი თან წაუყვანია განაწყენებული თურქები ქალაქს მოდგომიან. ანისის მცხოვრებთა დაჟინებული თხოვნით ანისის თურქებისათვის დათმობაზე უარი თქვა ივანე ამირ-სპასალარმა. ასე რომ, 1173 წლიდან ანისი და მისი მიმდგომი მხარეები მტკიცედ შემოვიდა საქართველოს შემადგენლობაში.

---

[1] იქვე, გვ. 16.

შირვანისა და სომხეთის დიდი ნაწილის შემომტკიცება საქართველოს სამეფო კარის შორსგახედული პოლიტიკის და აგრეთვე მისი მეფის — გიორგი მესამის, როგორც ძლიერი და ნიჭიერი მხედართუფროსის, დამსახურებას უნდა მიეწეროს. საერთოდ, ბევრი მოვლენა მაშინდელ ამიერკავკასიაში გიორგი მესამის სახელთან იყო დაკავშირებული. «...Сын и преемник Менучехра II, Ахситан, пожалуй, должен был быть обязан своей победой... под Баку, а также отвоеванием Ширвана и Дербенда своему могущественному родственнику, союзнику и верховному повелителю — царю, Георгию III»[1]. ეპითეტები могущественный" და верховный повелитель", სავსებით შეესაბამება საქართველოსა და მისი მეფის ავტორიტეტს XII. საუკუნის წინააზიასა და კავკასიაში.

ამრიგად, XII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველო პოლიტიკურად ძლიერი ქვეყანაა. მას საკმაოდ დიდი გავლენა და ავტორიტეტი აქვს მოპოვებული საერთაშორისო მასშტაბით, საქართველოს მეფე ძლიერია და პატივდებული. რაც შეეხება ქვეყნის საშინაო მდგომარეობას, აქ უფრო რთულადაა საქმე XII საუკუნის მეორე ნახევარში ფეოდალური საქართველო განვითარების ისეთ სტადიაში იმყოფებოდა, რომ ეს სირთულე აშკარად გამოჩნდა.

ამიტომ არ ყოფილა შემთხვევითი, რომ როცა საქართველომ თავისი ძლევამოსილებით შორს გაითქვა სახელი მეზობელ სახელმწიფოებში, ქვეყნის შიგნით დიდი და ძლიერი აჯანყება მზადდებოდა, თვითმპყრობელი მეფისა და სამეფო კარის წინააღმდეგ.

XII საუკუნის მეორე ნახევარში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ფეოდალური საქართველოს საზოგადოების განვითარება მეტად რთულ ვითარებაში მიმდინარეობდა, რომლის ერთერთი ნიშანი იყო ფეოდალური წარმოებიდან გამოძეკებულ-

---

[1] В. В. Бартольд, Ширваншах (статья в «Энциклопедии ислама»), соч. т. II, ч. I, стр. 877.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა ე. წ. „გლახაკთა“ სიმრავლე, რაც მძიმე ტვირთად აწვებოდა მატერიალური დოვლათის მწარმოებელ მოსახლეობას. საზოგადოების განვითარებაში კრიზისის მომასწავებელი იყო „მეკობრეთა“ სიმრავლე („მეკობრენიც“ ფეოდალური წარმოებიდან გამოძევებულნი იყვნენ). ამ კატეგორიის წარმომადგენელთა ლიკვიდაცია სამეფო კარისათვის მეტად მტკივნეულ საკითხად იყო გადაქცეული. თავისთავად კრიზისის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ საქართველოს სამეფო ლაშქარში შექმნილია მიდრეკილება ქონების შეძენის მიზნით უცხო ქვეყნების ბოლომოუღებელი რბევისადმი. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ საქმეს წინ ვერ უდგება თვით მეფე და, შესაძლოა, საკუთარი სურვილის წინააღმდეგაც კი იძულებით მიდის იგი! (მოვიგონოთ, როცა ლაშქარმა მეფეს ბრძოლის და ქვეყნების დარბევის უფლება მოსთხოვა და მეფისაგან მათ მიიღეს ნებართვა).

ქვეყნის ძლიერებაში შეპარულ ბზარზე მოწმობდა ის გარემოებაც, რომ ქვეყანაში ფართოდ იყო გავრცელებული დიდებულთა მოღალატური განწყობილება, გახშირდა გარეშე დამპყრობელთა მხარეზე გადასვლა.

გაძლიერებული დიდებული აზნაურები ველარ ეგუებოდნენ მეფის თვითმპყრობელობას და შეუვალობაზე ფიქრობდნენ. უკმაყოფილონი იყვნენ დიდაზნაურთა ხელქვეით მყოფი აზნაურები, რადგან მათ (იმის გამო რომ დიდაზნაურებს მორჩილებდნენ) აღზევების იმედი გადაწურული ჰქონდათ.

არსებული ფეოდალური ურთიერთობის მძლავრ პროტესტს წარმოადგენდა მდაბიორ-მოლაშქრეთა ფართო ფენა, გლეხად გადაქცევის წინააღმდეგ რომ იბრძოდა და იძულებული იყო გლახაკობა-მეკობრეობისათვის მიემართა [1]. აღმავლობის გზაზე მდგარი ვაჭარ-ხელოსანთა წრეები ერთგვარად კმაყოფილნი იყვნენ არსებული ვითარებით (გიორგი III საშინაო პოლიტიკაში, ისევე როგორც საგარეო საქმეებში, იმეორებდა დავით აღმაშენებელს. თუ დემეტრე პირველი უმეტეს-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე და სხვ. საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958, გვ. 191.

წილად დავით აღმაშენებლის მემკვიდრეობის დამცველად გვევლინება, გიორგი მესამე ახალ ქმედით ზომებს ილებს საქართველოს საზღვრების გაფართოებისათვის და, ისევე როგორც მის პაპას, დიდაზნაურები შევიწროებულ მდგომარეობაში ჰყავს. ეს ხელს უხსნიდა ვაჭარ-ხელოსნებს თავიანთი საქმიანობის ფართოდ წარმოებისათვის), მაგრამ ისინი მეტს მოითხოვდნენ, რადგან მათ ევიწროებოდათ ფეოდალური სოციალ-პოლიტიკური გარემო და წინააღმდეგ დიდაზნაურებისა მეფის თვითმპყრობელობის შემდგომი გაძლიერება უნდოდათ (ძლიერი თვითმპყრობელი მეფე თავისი ინტერესების დამცველად სჭირდებოდა ვაჭრებს). უკმაყოფილებას აშკარად გამოხატავენ მთიელები, რადგან ფეოდალური ურთიერთობა მიიკვლევდა გზას მთაში და მანამდე თავისუფალ მოსახლეობას სოციალური დამონებით ემუქრებოდა. ფეოდალურ ურთიერთობაში სოციალური კიბის დაბალ საფეხურზე მდგომი გლეხობა, ბუნებრივია, თავისი მდგომარეობის უკმაყოფილო, მზად იყო გარკვეულ მომენტში მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გამოსულიყო კიდეც.

ასეთი რთული და სერიოზული საფრთხის წინაშე იდგა შინაგანად მეფის თვითმპყრობელური ხელისუფლება.

დიდგვარიანი ფეოდალები ყოველთვის ცდილობდნენ, როგორც კი საშუალება მიეცემოდათ, განდგომოდნენ და დაპირისპირებოდნენ მეფეს. მეფეებიც, თავის მხრივ, მეტნაკლებად წარმატებით ებრძოდნენ ამ ცენტრიდანულ ძალებს და ცდილობდნენ განემტკიცებინათ ცენტრალური სახელმწიფოებრივი აპარატი.

ყველაზე დიდი წარმატება დიდგვარიან ფეოდალებთან ბრძოლაში დავით აღმაშენებელმა მოიპოვა. მის მიერ გატარებული სახელმწიფოებრივი რეფორმები, ეკონომიური ხასიათისა იყო ის, თუ სამხედრო პოლიტიკას ეხებოდა, მიმართული იყო ქვეყნის ცენტრალიზაციის, სამეფო ხელისუფლების განმტკიცებისაკენ. ეს თავისთავად დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რადგან სამეფო ხელისუფლება განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში პროგრესულ ელემენტს წარმოადგენდა:

«...Она была представительницей порядка в беспорядке» [1].

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით აღმაშენებელმა დიდაზნაურთა პოლიტიკური უფლებები მკვეთრად შეკვეცა, მაგრამ როგორც ზემოთაც მივუთითეთ, დიდაზნაურთა სოციალურ-ეკონომიური საფუძვლები იგივე დატოვა. მეთორმეტე საუკუნის სინამდვილემ საქმე ისე წაიყვანა, რომ დიდ ფეოდალთა სოციალურ-ეკონომიური გაძლიერება გარდუვალი გახადა, მათ გლეხებად იქცნენ გაჩანაგებული მდაბიორ-მოლაშქრეები (მდაბიორ-მოლაშქრეთა ფენის გაქრობა და მისი გლეხობაში გადასვლა იყო XII საუკუნის ფეოდალური საქართველოს კლასთა ბრძოლის გაღრმავება-განვითარების პროდუქტი) [2].

კლასობრივი ბრძოლების გამწვავების პირობებში წვრილი ფეოდალები ხელისუფლების გაძლიერების მომხრეებად გამოდიან, რადგან ეს უკანასკნელნი მათთვის გლეხების დამორჩილების იარაღი იყო, მეორე მხრივ, იცავდა მათ დიდი ფეოდალების კლანჭებში ჩავარდნისაგან (ამ უკანასკნელს ვერ ასცდნენ XII საუკუნის საქართველოს წვრილაზნაურთა წრეები).

მომძლავრებული ფეოდალები ყოველგვარ ხერხს მიმართავენ იმისათვის, რომ მეფისაგან ხელთ იგდონ გაძლიერება-განდიდების ისეთი საშუალება, როგორიცაა დ ი დ ე ბ ა. გავიხსენოთ ამავე პერიოდის გერმანია, სადაც ფეოდალი მეფეები საზოგადოების განვითარებისა და ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო იძულებული არიან გასცენ ასეთივე დიდება [3]. თავისთავად ასეთი უფლებების მიცემა ნიშნავდა პოლიტიკური ძალაუფლების გადანაწილებას მოსახლეობაზე. გარკვეულ გავლენას ჰკარგავდა მეფე დიდი ფეოდალების სასარგებლოდ. (მეფისაგან დიდებამოპოვებული (დიდებული) აზ-

---

[1] Ф. Энгельс, О разложении феодализма и возникновении национальных государств, К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. 21, 1961, стр. 411.

[2] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე და სხვ., საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 180.

[3] Н. Ф. Колесницкий, Исследование по истории феодального государства в Германии, М., 1959, стр. 90.

ნაურები კი იწყებენ ბრძოლას თავიანთი სოციალ-ეკონომიური უფლებების მოპოვებისათვის [1].

რა მდგომარეობაა XII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში? რა დამოკიდებულებაა მეფესა (გიორგი მესამესა) და დიდგვარიან ფეოდალებს შორის? საკმაოდ დაწინაურებული ჩანს ეკონომიურად და სოციალურად ფეოდალთა ერთი ჯგუფი. ესენი არიან: ამირსპასალარი ივანე ორბელი, ივანე ვარდანის ძე, შოთა ძე ართავაჩოს ძისა, ქართლის ერისთავი სუმბატის ძე, ლიპარიტი, მეჯინიბეთუხუცესი ქავთარ ივანეს ძე და სხვ. მათ დაწინაურებას რამდენადმე ხელი შეუწყო თვით მეფის წყალობებმა. გიორგი მესამე, „ორბელთა ისტორიის“ ქართული ვერსიის მიხედვით, „თვალღებით უდიდესისა დიდებითა და პატივით აღამაღლებდა მას (ივანე ორბელს, — რ. მ.)“ [2]. იგივე წყარის მიხედვით „გიორგიმან აიღო

---

[1] აღნიშნული მოვლენებით აღსავსეა შესაბამისი პერიოდის მსოფლიო ისტორია.

ფეოდალური ინგლისის სამეფო ხელისუფლების გაძლიერება მკვეთრად იწყება XII საუკუნის პირველი ნახევრიდან, როცა ტახტზე ადის ჰენრიხ პირველი (1100—1135). მან მთელი რიგი რეფორმების გატარების შედეგად მოახერხა სახელმწიფო აპარატის ერთგვარი ცენტრალიზაცია. მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ განვითარება-გაძლიერების წინსვლა შეწყვეტილ იქნა, რადგან ჰენრიხს ვაჟიშვილი არ ჰყავდა, მან სამეფო ტახტი თავის ქალიშვილს მატილდას უანდერძა. შექმნილი ვითარება გამოიყენა ჰენრიხის ნათესავმა სტეფანე ბლუასელმა, რომელმაც თავის ირგვლივ მყოფი მეფის პოლიტიკით უკმაყოფილო დიდებულები შემოიკრიბა და ლონდონში თავი მეფედ გამოაცხადა. ინგლისის ფეოდალებმა მერყეობა იწყეს. ბარონების ერთი ნაწილი მხრას უჭერდა სტეფანე ბლუასელს, ხოლო მეორე მატილდას ემხრობოდა. აუცილებელია შევნიშნოთ, რომ ფეოდალების ორად დაჯგუფება არ იყო გამოწვეული რომელიმე სამეფო კანდიდატისადმი მეტი პატივისცემით ან პირიქით, ბარონები, უპირველეს ყოვლისა, თავიანთი უფლებების გაძლიერებითა და სამეფო ხელისუფლების დასუსტებით იყვნენ დაინტერესებული (ეს იქიდანაც ნათლად ჩანს, რომ თითოეული მეფის მომხრე ბარონები სიამოვნებით იცვლიდნენ პატრონებს იმის მიხედვით, თუ ვინ უფრო მეტი მიწით დააჯილდოვებდა მათ). ჩვენ მხოლოდ ამ ერთი ფაქტის მოყვანით ვკმაყოფილდებით, რადგან იგი დამახასიათებელია, ტიპიურია განვითარებული ფეოდალური ქვეყნებისათვის.

[2] „ორბელთა ისტორიის“ ქართული ვერსია, საისტორიო მოამბე, თბ., 1952, გვ. 60.

ანის ქალაქი... და ყოველი ქუეყანა შირაქისა, და უბოძა ამირ-სპასალარსა ივანეს, ძესა დიდისა სუმბატ ორბელიანისასა[1]. ასეთი წყალობების გაღებაში გიორგი მესამე პირველი არ ყოფილა და არც უკანასკნელი. ერთი რამ ცხადია, რომ როდესაც მეფეები წყალობას გასცემდნენ, ეს გარკვეული იძულებით ხდებოდა, რადგან ბოძება ხდებოდა ამა თუ იმ დიდ ფეოდალზე მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი გარკვეულ ავტორიტეტს მოიპოვებდა მოსახლეობაში. მეფე კი ცდილობდა ასეთი პიროვნება თავის ერთგულებაში ჰყოლოდა, ამიტომ იკლებდა უფლებასა და სიმდიდრესაც და ამა თუ იმ ფეოდალს გადაულოცავდა. ასე რომ, გულუბრყვილობა იქნება იმისი მტკიცება, რომ ესა თუ ის მეფე მხოლოდ პირადი სიმპატიით (მის წინაშე რაღაც დამსახურებისათვის) მხოლოდ თავისი ნებით (და არა შექმნილი ვითარებით, ე. ი. რამდენადმე იძულებით) გასცემდა წყალობასა და დიდებას.

ჩვენთვის საინტერესო ვითარებაში ივანე ორბელი და მასთან ერთად ფეოდალთა გარკვეული ჯგუფი საკუთარი მცდელობითა და მეფის შემწეობით ეკონომიურად და სოციალურად დაწინაურებულნი არიან და იწყებენ ბრძოლას მათი მდგომარეობის შესაბამისი პოლიტიკური უფლებების მოპოვებისათვის. ამ უკანასკნელს წინ ეღობება ქვეყნის ერთმმართველი — ფეოდალი მეფე, რომელიც თავის მხრივ დაინტერესებულია საკუთარი უფლებების ამაღლებითა და შესაბამისად ქვეშევრდომთა (ეს უკანასკნელნი უკვე საკმაოდ ძლიერნი არინ) შესაძლებლობების დამცრობით.

ასე რომ, მდგომარეობა მეფესა და ფეოდალებს შორის უკიდურესად გამწვავებულია. ასეთ დაძაბულ ვითარებაში დიდი ფეოდალები ეძებენ საბაბს სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ასამხედრებლად. საბაბი მართლაც გამოინახა, დიდებულებმა მეფის წინააღმდეგ ბრძოლის დროშად დემეტრე (დემნა) დავითის ძე აქციეს და მასზე ამოფარებულები იწყებენ ბრძოლას.

რატომ გაკეთდა არჩევანი დემნა უფლისწულზე? ქართუ-

---

[1] იქვე, გვ. 59.

ლი სამართლის მიხედვით, სამეფო ტახტის მემკვიდრეობის გადაცემა პირმშოობაზე იყო დამყარებული, ე. ი. ბაგრატიონ-ნწესი, მეფის გარდაცვალების შემთხვევაში ტახტზე ადის მისი უფროსი შვილი და მისი შთამომავლობა აგრძელებს სამეფო დინასტიას [1]. დემეტრე პირველის ტახტიდან გადაყენების შემდეგ 1155 წელს ტახტზე ავიდა დავით მეხუთე, რომელიც ექვსი თვის შემდეგ გარდაიცვალა. ტახტს კვლავ უბრუნდება დემეტრე პირველი და მისივე შემწეობით 1156 წელს მეფე ხდება არა დავით მეხუთის შვილი დემეტრე, არამედ გიორგი მესამე.

წყაროები სხვადასხვაგვარად აშუქებენ ამ საკითხს. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი გიორგი მესამის დამსახურებას მიაწერს იმ გარემოებას, რომ იგი განსხვავებით უფროსი შვილისაგან გამორჩეული ჰყავდა მეფეს. „დიმიტრისა... ორ ძე ებადესა, რომელთა დავით და გიორგი (ეწოდებოდა სახელად). მ ა რ ჩ ე ვ ე ლ ი ძ ი ს ა უ მ ც რ ო ს ი ს ა მლარწველი მკიცხველი იქმნა, ვითარ ისაკი იაკობისადმი. და ვედრებისა შემასმენელმან ღმერთმან დავითის დღეთა შემცირობითა სრულ ყო პირველ მამისა. და მამამან ძითურთ ძე ტკბილი, შემგუარი მამისა, აღამაღლა თავისა თანა და ძისა სწორად მოსაყდარედ გამოაჩინა“... [2]

სომეხი ისტორიკოსი სტეფანოზ ორბელიანი სხვაგვარად გადმოგვცემს ამ ამბავს. მისი თქმით, დავით მეხუთემ სიკვდილის წინ მცირეწლოვანი შვილის დემეტრეს პატრონად დანიშნა გიორგი III და მის სრულასაკოვნებამდე სამეფოს მართვის საქმეც მას მიანდო. შემდეგ კი გიორგის დემეტრესათვის უნდა დაეთმო ტახტი (იხ. სტ. ორბელიანის „ისტორია“) „ორბელთა ისტორიის“ ქართული ვერსიაც იგივეს გვაუწყებს: გიორგი მესამეს თავისი გამეფების სურვილი გვიან გაუმხე-

---

[1] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია II, თბ., 1965, გვ. 239. ი. სულგულაძე, ტახტის მემკვიდრეობის საკითხი „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, იხ. კრებული: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველს, თბ., 1966, გვ. 94.

[2] ისტორიანი და აზმანი შარვანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II გვ. 3.

ლია და თითქოს დაურწმუნებია დიდებულები მის მიერ სამეფო ტახტის დაკავების დროებითობაზე [1].

ყველა დასახელებული განხილული წყარო თვალნათლივ გამოხატავს იმ სუბიექტურ დამოკიდებულებას საკითხისადმი, რომლითაც თითოეული მათგანი გიორგი მესამის მიმართ იყო გამსჭვალული. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი საქართველოს მეფის აპოლოგეტია. იგი ყოველგვარად ცდილობს გაამართლოს გიორგი მესამის მეფედ კურთხევის აქტი (თუმცა ეს ფეოდალური ქვეყნისათვის დაუშვებელი იყო). ეს ბუნებრივიცაა. სხვაგვარი დამოკიდებულება საკითხისადმი ფეოდალური ისტორიოგრაფიისათვის უცხოა. თვით ისტორიები, ალბათ, შესაბამის მეფეთა მითითებით და ზედამხედველობით იქმნებოდა და რა გასაკვირია, რომ ბევრი ფაქტი შელამაზებულად იყოს წარმოდგენილი ან კიდევ ფაქტებს თავისებური შეფასება ჰქონდეს მიცემული. ამ გარემოებას იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ, ჩვენის აზრით, დემეტრე პირველისა და დავით მეხუთის დამოკიდებულების სახით საქმე გვაქვს არა მამაშვილს შორის არსებულ შემთხვევით უთანხმოებასთან და შვილის არასწორი (ან უგვანო) მოქმედების გამო განაწყენების შედეგად მამის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან (რომ მისი შთამომავალი — ტახტის კანონიერი მემკვიდრე არ გაემეფებინა), არამედ რთულ ვითარებასთან, რომელიც შეიძლება პირადულიდან იღებდეს სათავეს (ეს საერთო დამახასიათებელი მოვლენაა ფეოდალიზმის დროს), მაგრამ მათ შორს სცილდება და მწვავე სოციალურ შინაარსს იღებს.

ისტორიული საბუთებიდან ირკვევა, რომ დემეტრე პირველს მისმა შვილმა დავითმა არაერთი უსიამოვნება მიაყენა. როგორც ჩანს, იგი გრძნობდა მამის სიმპათიას უმცროსი შვილისადმი და ყველა ღონეს ხმარობდა, რათა დემეტრესთვის ხელი შეეშალა მისი მიზანდასახულების შესრულებაში. დავითი აქტიურად იბრძვის ტახტის ხელში ჩაგდებისათვის, რის-

---

[1] ორბელთა „ისტორიის“ ქართული ვერსია, საისტორიო მოამბე, 6, 1952, გვ. 59.

თვისაც შეთქმულებებიც კი მოაწყო საქართველოს მეფის წინააღმდეგ.

სომეხ ისტორიკოსს ვარდანს მოთხრობილი აქვს, რომ 1130 წელს „უფლისწულს და ივანე აბულეთის ძეს უნდოდათ დემეტრე (მეფისა) და თავის ძმის მოკვლა“ [1]. მაგრამ ივანეს მამას — აბულეთს დაუშლია. ეს ამბავი მეფის მომხრეებს შეუტყვიათ და ორივენი დმანისის ციხეში დაუმწყვდევიათ. ვარდანის შემდეგი თხრობის მიხედვით ეს უფლისწული დემეტრეს ძმაა [2], რაც მთლად სწორი არ უნდა იყოს. აკად. ივ. ჯავახიშვილმა იმთავითვე შეიტანა ეჭვი ამ ცნობის სისწორეში და წამოაყენა მოსაზრება იმის შესახებ, რომ უფლისწული დემეტრე პირველის ძე დავითი უნდა იყოს, რომელმაც ივანე აბულეთის ძესთან ერთად გადაწყვიტა მოკვლა „მეფისა (დემეტრესი) და ძმის გიორგისი“ [3]. მაგრამ ივ. ჯავახიშვილი თვითონვე არ ემხრობოდა ბოლომდე ამ მოსაზრებას იმის გამო, რომ ვარდანის მიხედვით დამნაშავე უფლისწულს თვალები დასთხარეს. დავით დემეტრეს ძეს კი უსინათლოდ არც ერთი მემატიანე არ იხსენიებს [4].

მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, იმის ვარაუდი, რომ ვარდანის მიერ მოხსენებული უფლისწული — დავითია, სწორია, რადგან დავითის შეთქმულების ფაქტი დემეტრე მეფის წინააღმდეგ თამარის ისტორიკოსსაც აქვს მოხსენებული თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ [5]. ამის გარდა ყურადსაღებია ერთი გარემოებაც. სომეხი მემატიანის ვარდანის სიტყვით, 1132 წელს დემეტრე მეფემ ივანე აბულეთის ძე ვერაგულად მოაკვლევინა [6]. ხოლო იმისი შვილი

---

[1] ვ ა რ დ ა ნ ი, ისტორია, გვ. 160—161.

[2] იქვე.

[3] ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 224.

[4] იქვე.

[5] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 18.

[6] დემეტრე მეფის მიერ ივანე აბულეთის ძის სიკვდილით დასჯას ადასტურებს ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანეც: „დემეტრე აბულეთის ძესა ივანეს თავი მოჰკუეთა ჩხერეს მერეს მეოცესა წელიწადსა მეფობისა მისისასა, და მეტეხთა დადვა ფიცის არ გატეხისათჳს. (ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 367). აქ, როგორც ვხედავთ სხვაობაა თარიღებში. ვარდანი მიიჩნევს ივანე აბულეთის ძის დასჯის თარიღად

ეროვნული ბიბლიოთეკა

თირქაში — ამირთ-ამირა შაჰი-არმენთან წავიდა, მისგან ... განგებოდ არშარუნის ქვეყანა მიუღია და იქიდან „დიდის თავგამოდებით აოხრებდა საქართველოს“ [1]. დემეტრე მეფეს მაინც მოუხერხებია თირქაშის ხელში ჩაგდება და საპყრობილეში ჩაუმწყვდევია. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ როგორც კი მიიტაცა (ამის შესახებ ქვემოთაც გვექნება ლაპარაკი) სამეფო ტახტი დავით დემეტრეს ძემ, სწრაფად გაათავისუფლა მამის მიერ საპყრობილეში ჩამწყვდეული თირქაში და ამირ-სპასალარად დანიშნა. დავითის ასეთი მოქმედება გვაფიქრებინებს, რომ ივანე აბულეთის ძე (თირქაშის მამა) თავის შვილთან ერთად სწორედ მის მოკავშირედ გამოდიოდა ტახტის მიტაცებისათვის საქართველოს მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში. სამაგიერო მადლიერმა დავითმა ივანეს შვილს ერთგულ თარქაშს მიუზღო (ივანე ცოცხალი აღარ იყო) [2].

ამგვარად, ეს ფაქტიც გვაფიქრებინებს, რომ სომეხ მემატიანეს ვარდანს საუბარი აქვს სწორედ დავითის (უფლისწულის) გამოსვლაზე დემეტრე პირველის წინააღმდეგ.

თ. ჟორდანიას მიერ ქრონიკებში მოტანილი ერთი კვინკლოსი გვაუწყებს, რომ „ქ- სა: ტო: დასაბამითგან: ხლნდ: აქა დ-თ დ-ს გაადგა“ [3]. ე. ი. „ქორონიკონსა ტო (370) დასაბამითგან ხლნდ (6754) აქა დავით დემეტრეს გაადგა“-ო. უფლისწულის განდგომა დემეტრე მეფის წინააღმდეგ უტყუარი ფაქტი ჩანს, რადგან ამაზე საგანგებოდ მიუთითებს თამარ მეფის ისტორიკოსიც — დავითმა („ღალატსა და განდგომილებასა შინა“) ამოსწყვიტაო დიდებულები, „რომელნიმე ექსორია-ქმნითა, რომელნიმე სიკუდილითა და რომელნიმე განპატიჟებითა“ [4].

როგორც ჩანს, არავითარი ხერხი და მცდელობა არ დაუკლია დავითს, რომ სამეფო ტახტს დაპატრონებოდა. თ. ჟორდანიას დავითის ყველა სხვა ხრიკებთან ერთად ისიც აქვს მი-

---

1132 წელს, ხოლო ქართველი მემატიანე 1125+20) „მეოცესა წელიწადსა მეფობისა მისისასა“—1145 წ. (1125 წ. დემეტრე გამეფდა).

[1] ვ ა რ დ ა ნ ი, ისტორია, გვ. 161—162.

[2] იქვე, გვ. 165.

[3] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, 1892, გვ. 150—151.

[4] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II გვ. 18.

თითებული, რომ იგი მეფის ერთგულების სხვადასხვა გზით მოწამვლისგანაც კი არ იხევდა უკან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით დემეტრეს ძის გამოსვლა თარიღდება 1154—55 წლებით. შეთქმულ უფლისწულს თავისი ერთგული და მეფის მოწინააღმდეგე დიდებულების შემწეობით დემეტრე იძულებით ბერად შეუყენებია. „შეიმოსა ჩოჯა და იკურთხა სქემითა“ [1]. სამეფო ტახტს იკავებს დავით დემეტრეს ძე, რომელიც იწყებს საკუთარი პოლიტიკის გატარებას, რაც პირველ ყოვლისა დემეტრეს მომხრეების დასჯასა და თავისი ერთგულების დაწინაურებაში გამოიხატა (თირქაშის შესახებ ჩვენ ვთქვით ზემოთ).

ბერად აღკვეცილი დემეტრე, სავარაუდებელია, რომ ყოველგვარად იბრძოდა შვილის წინააღმდეგ. ამას ნათლად ადასტურებს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. — მარჩეველი ძისა უმცროსისა მლარწველი მკიცხველი იქმნა, ვითარ ისაკი იაკობისადმი. და ვედრებისა შემასმენელმან ღმერთმან დავითის დღეთა შემცირებითა სრულ ყო პირველ მამისა“ [2]. დემეტრე თურმე ღმერთს ევედრებოდა ურჩი შვილისგან ხსნას და როგორც მემატიანე ამბობს, ღმერთსაც შეუსმენია დემეტრეს ვედრება და დავითისთვის დღენი შეუმცირებია — „იმეფა ექუს თუე და მოკუდა“ [3].

ტახტი რომ მიტაცებით ჰქონდა დავითს ხელში ჩაგდებული, იქიდანაც ჩანს, რომ მისი გარდაცვალებისთანავე დემეტრემ ბერის ჩოხა გაიხადა და სამეფო საჭეს დაეუფლა. ამასთანავე „ძე ტკბილი, შემგუარი მამისა, ა ღ ა მ ა ღ ლ ა, თ ა ვ ი ს ა თ ა ნ ა და ძ ი ს ა ს წ ო რ ა დ მ ო ს ა ყ დ რ ე დ გ ა მ ო ა ჩ ი ნ ა“ [4].

ახლა ვნახოთ, თუ რამდენად იყო იმდროინდელი საქართველოში შესაძლებელი გიორგი მესამის გამეფება. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ქართული ფეოდალური სამართლის

---

[1] ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, ცხოვრება დემეტრე მეფისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 366.

[2] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 3.

[3] ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, ცხოვრება დემეტრე მეფისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 365.

[4] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 3.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხედვით, სამეფო უფლების დამკვიდრება საქართველოში IX საუკუნიდან მოყოლებული პირდაპირ მემკვიდრეობასა და პირმშოობაზე იყო დამოკიდებული. სამეფო ტახტის მემკვიდრეობის ეს წესი ქვეყანაში მტკიცე ნორმად იყო დადგენილი. ეი მაგალითად, სრულიად საქართველოს მეფეთა სია:

ბაგრატ III გურგენის ძე 975—1014
↓
გიორგი I 1014—1027
↓
ბაგრატ IV 1027—1072
↓
გიორგი II 1072—1089
↓
დავით IV, აღმაშენებელი 1089—1125
↓
დემეტრე I, 1125—1156

ამგვარად, გურგენიდან მოყოლებული დემეტრე I-ის ჩათვლით მემკვიდრეობის მიღება სამეფო ტახტზე ტრადიციული ფეოდალური წესით ხდება.

ჩვენ საგანგებოდ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ დავით აღმაშენებლის 1125 წლის ანდერძზე. ეს დოკუმენტი მეტად მნიშვნელოვანია ჩვენთვის საინტერესო საკითხის გარკვევის თვალსაზრისით. დავით აღმაშენებელი თავისი მოღვაწეობით სამეფო ტახტის მემკვიდრეობის ძველთაგანვე არსებული წესის მიმდევრად გვევლინება (მან სამეფო ტახტზე აიყვანა თავისი უფროსი ვაჟი დემეტრე), თუმცა 1125 წლის ანდერძში, რამდენადმე განსხვავებული მოსაზრება აქვს წამოყენებული.

დავით აღმაშენებლის ანდერძის ის ნაწილი, რომელიც ტახტის მემკვიდრის — დემეტრესადმია მიმართული, მიგვანიშნებს, რომ საქართველოს მეფემ ტახტის მემკვიდრეობის არსებული წესის შეცვლა გადაწყვიტა. მივმართოთ ანდერძის ტექსტს: „... მივანდუენ შჳლნი და დედოფალნიცა, შუამდგომლობითა ღუთისათა, რათა ძმა მისი გაზარდოს და თუ ინებოს

ღმერთმან და ვარგ იყოს ცუატა, შემდგომად მისსა ჰყოს მამულსა ზედა“ [1].

როგორც ვხედავთ, დავით აღმაშენებელი უშვებს უმცროსი შვილის (ამ შემთხვევაში ცუატას, იგივე ვახტანგის) გამეფების შესაძლებლობას. დავით აღმაშენებლის აღნიშნულმა ანდერძმა (საანდერძო განკარგულებამ) არსებითი ცვლილება შეიტანა სამეფო ტახტის მემკვიდრეობის მანამდე არსებულ ტრადიციულ წესში.

განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაში სამეფო ტახტის მაძიებელს პირადი ღირსებების წინაპლანზე წამოწევა და ამ თვისებებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მინიჭება (ტახტის პრეტენდენტებს შორის) უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო, რადგან ამ აქტმა ფაქტიურად განსაზღვრა XII საუკუნის საქართველოს სამეფო ტახტისათვის მებრძოლი სოციალური ფენების იდეოლოგია და ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძვლად იქცა.

დავით აღმაშენებლის ანდერძიდან ჩანს, რომ დემეტრე პირველმა ტახტი მიიღო არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი უფროსი შვილი იყო საქართველოს მეფისა, არამედ იმიტომაც რომ იგი იყო „სიბრძნითა სიწმინდითა, ახოვნებითა და სიმხნითა უმჯობესი ჩემსა“ (დავით აღმაშენებელზე უმჯობესი რ. მ.) [2].

დავით აღმაშენებელი თავისი უმცროსი შვილის გამეფებასაც მას შემდეგ მოითხოვს, თუ მას სრულასაკოვნებასთან ერთად სამეფო ტახტის მფლობელისათვის საჭირო ღირსებები აღმოაჩნდება“... თუ ინებოს ღმერთმა და ვარგ იყოს ცუატა, შემდგომად მისსა მეფე ჰყოს მამულსა ზედა“ [3].

---

[1] ანდერძი წმინდისა მეფისა დავით აღმაშენებლისა, თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, თბ., 1897, გვ. 51. ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 19.

[2] თ. ჟორდანია, ქრონიკები, იქვე, ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 19.

[3] ბუნებრივია, სამეფო ტახტის სამემკვიდრეო წესის შეცვლა მხოლოდ დავით აღმაშენებლის, როგორც პიროვნების სურვილი არ იქნებოდა. იგი XII საუკუნის საქართველოში არსებული გამძაფრებული შინაკლასობრივი ბრძოლის პროდუქტია და გამოხატავს მაშინ არსებული კლასობრივი ძალების შესაბამის თანაფარდობას.

ამგვარად, დავით აღმაშენებელმა, მეფეთა შორის პირველმა შეცვალა სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესი. ცვლილება, მართალია, ნაწილობრივი ხასიათისა იყო, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი, რადგან იგი პირველი შემთხვევა იყო, როგორც აღვნიშნეთ, IX საუკუნიდან მიყოლებული დავით აღმაშენებლის ჩათვლით.

იბადება კითხვა, დავით აღმაშენებლის 1125 წლის ანდერძში დადგენილ ახალ სამემკვიდრეო წესს ჰქონდა ზოგადი ხასიათი თუ კერძო მნიშვნელობის ნორმას წარმოადგენდა? თვით ანდერძის ანალიზს თუ შევაჯერებთ იმ ისტორიულ მოვლენებთან, რაც დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის შემდგომ პერიოდში მოხდა, შეიძლება დავასკვნათ, რომ ახლად დადგენილი სამემკვიდრეო წესი არის კერძო ხასიათისა (იგი კონკრეტულ პიროვნებას ცუატას შეეხება), და იგი არ წარმოადგენს შემდგომში სამეფო ტახტის მემკვიდრეთა განსაზღვრის ნორმას. ამას ისიც ადასტურებს, რომ დემეტრე პირველს, დავით აღმაშენებლის მემკვიდრეს, გაუჭირდა ამ ნორმის ცხოვრებაში გატარება. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, დავით აღმაშენებლის ანდერძით დადგენილი წესი დემეტრე პირველის დროს ძალაში აღარ არის და მას შემდეგაც კი, როცა დემეტრე ამარცხებს დავითს[1] და ხელმეორედ იღებს სამეფო ძალაუფლებას ხელში, იგი იძულებულია თავისი უმცროსი ვაჟი გიორგი („ძე ტკბილი") აღამაღლოს „თავისა თანა და ძისა სწორად მოსაყდრედ" გამოაჩინოს[2]. ე. ი. გიორგი (რაკი იგი უმცროსი შვილია) საჭიროებს გარკვეულ ამაღლებას მეფის დონემდე, რათა იგი მეფის „ძისა სწორი" გახდეს. არც ისაა შემთხვევითი, რომ დემეტრე „მოსაყდრედ" (ე. ი. თანამმართველად) ისვამს გიორგის. ყოველივე ამ მოქმედებით დემეტრე პირველმა გარანტირებული გახადა მისი უმცროსი შვილის გიორგის სრული უფლება ფეოდალური საქართვე-

---

[1] სომეხი ისტორიკოსის ვარდანის ცნობით, დავითი მოკლულ იქნა დემეტრესთან შეთანხმებით სუმბატ და იოანე ორბელიანთა ხელით, თითქოს იმიტომ, რომ ორბელიანთა ხელისუფლება — ამირსპასალარობა დავითმა თირქაშს — ივანე აბულეთის ძის შვილს გადასცა.

[2] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, III, გვ. 3.

ლოს სამეფო ტახტზე. დემეტრეს მოკავშირედ, მხარეობდა, რა-
რად ამ რთულ ვითარებაში ალბათ მისი უმცროსი შვილი გი-
ორგი გამოდიოდა „ძე ტკბილი შემგუარი მამისა“. თავისთა-
ვად დემეტრე-გიორგის მიერ შესრულებული აქტი გიორგის
გამეფებისა არსებულ სინამდვილეში პროტესტის ნიშნით გა-
ტარდა. ეს მოასწავებდა დემეტრე-გიორგის ბანაკის გამარ-
ჯვებას.

ასე რომ, ერთის მხრივ, დავით მეხუთესა, ხოლო მეორე
მხრით, დემეტრე პირველ-გიორგის შორის ურთიერთობა სა-
მეფო ტახტისათვის ბრძოლის ნიშნით წარიმართა და მწვავე
შინაკლასობრივი ბრძოლის ელფერს ატარებდა.

რაც შეეხება სომხურ წყაროებს, ესენიც ფართო მასშტა-
ბით ატარებენ სუბიექტურ ხასიათს იმ განსხვავებით, რომ
მხარში უდგანან და ამართლებენ ამბოხებულთა მოქმედებას.

დაუჯერებელია იმის მოხსენიება, რომ დემნა უფლისწული
არ გამეფდა მცირეწლოვანობის გამო. როგორც ზემოთ ვნა-
ხეთ, გიორგი მესამე დემეტრე პირველის მეფობაშივე გამეფ-
და (ეს თავისთავად აბათილებს იმ სომხური წყაროების ვერსი-
ას, თითქოს იგი დემეტრეს გარდაცვალებიდან ერთი თვის შემ-
დეგ გამეფდა). დაუჯერებელია ისიც, რომ თითქოს დიდებუ-
ლებმა დაუჯერეს გიორგის, რომ იგი ცოტა ხნით იმეფებდა —
დემნას სრულწლოვანებამდე. წყაროების მიერ დემნას
ტახტისმაძიებლობის დასახელება ამბოხების მიზეზად, უსუ-
სურია, რადგან აჯანყება 1177 წელს მოხდა, როცა დემნა სულ
ცოტა ოცდაორი წლის მაინც უნდა ყოფილიყო (დავით V 1155
წელს გარდაიცვალა) [1], ხოლო თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ მისი
შვილი დემეტრე (დემნა) მის გარდაცვალებამდე ერთი წლით
ადრე ან უკიდურეს შემთხვევაში, გარდაცვლების წელს
მაინც უნდა დაბადებულიყო (უფრო გვიან, ბუნებრივია, გა-
მორიცხულია), ამ შემთხვევაშიც კი იგი ორბელიანთა გამო-
სვლის დროს იქნებოდა 1177—1155=22 წლისა. ხომ არ არის
ძალზე დიდი წელი სრულასაკოვნებისათვის, ნუთუ მანამდე
არ შეიძლებოდა სრულწლოვანად ჩათვლილიყო საქართველოს

---

[1] „ორბელთა ისტორიის“ ქართული ვერსია, გვ. 60.

ტახტის მემკვიდრე? ხომ არის ცნობილი საქართველოს ისტორიაში, რომ გაცილებით უფრო ახალგაზრდა ასაკში იკავებდნენ სამეფო ტახტს? (გავიხსენოთ ბაგრატ IV, დავით აღმაშენებელი). მაშ რაღა დასაჯერებელია „ორბელთა ისტორიის" ქართული ვერსიის ის ნაწილი, სადაც ხაზგასმულია „...რამეთუ იმეფა გიორგი წელსა ოცდაერთსა და ოდეს მოიწია ჰასაკად დემნა".[1] რას უნდა მიეწეროს დემნას ასეთი ნაგვიანევი „ჰასაკად მოწევნა"? ხომ არ იყო იგი რაიმე მძიმე სენით შეპყრობილი (თუ ასეა, მაშინ ბევრი საკითხი უნდა მოიხსნას). მართებულად შენიშნავს ივ. ჯავახიშვილი იმის შესახებ, რომ დემნას ივანე ორბელის — ქვეშევრდომის ქალი ჰყავდა ცოლად[2] და არა სამეფო გვარის ასული (შეიძლება ამგვარ ქორწინებაში შორსგახედული გიორგი მესამის ხელიც ერია), რაც მეფობის მოსურნე (თუკი ეს ასე იყო) უფლისწულისთვის შეუწყნარებელ აქტს წარმოადგენდა.

ამგვარად, დემნა-ივანე ორბელის აჯანყების მიზეზების ამსახველი სომხური წყაროები მეამბოხეებისადმი თავიანთი მიკერძოების გამო რამდენადმე სცოდავენ ფაქტების შეფასებაში.

ქართული და სომხური ისტორიული წყაროების შეჯერებისა და გაანალიზების შედეგად, შეიძლება მტკიცედ დავასკვნათ, რომ დემნა უფლისწულის გამეფების საკითხი სრულიადაც არ ყოფილა აჯანყების მიზეზი. ეს მომენტი ფაქტიურად იყო საბაბი, რომელსაც ეფარებოდა მსხვილ ფეოდალთა სურვილ-ზრახვანი და მოქმედება. თვით დემნა აჯანყების ძალზე პასიური მონაწილე ჩანს. აი, რას აცხადებს ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე: „ოდეს ორბელნი უკუადგეს გიორგი მეფესა, იგი (დემეტრე, რ. მ.) თანაუკუიტანეს და ლორეს შედგეს"[3]. მივმართოთ სომეხ ისტორიკოსს დავით ქობაირელს: „ორბელებმა — ივანე სპასალარმა, მისმა ძმამ ლიპარიტმა, მათმა შვილებმა და ნათესავებმა გადაიბირეს იმავე მე-

---

[1] „ორბელთა ისტორიის" ქართული ვერსია, გვ. 60.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 243.

[3] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 366.

ფის (გიორგი III, — რ. მ.) ძმისწული, მოიყვანეს აგარანელ სიმაგრეში და გაამეფეს“ [1].

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვით გიორგი მესამეც ასეთ შეფასებას აძლევს დემნას განდგომას ერთ თავის სიგელში: „ოდეს ბირებითა და განზრახვითა ეშმაკისათა შეითქუეს ვიეთნიმე მეფობისა ჩუენისა დიდებულნი და აზნაურნი ორგულობისა ჩუენისათვის და ძმისწული ჩუენი გაგუიყენეს“... [2]. ამასთანავე თუ გავიხსენებთ იმას, რომ დემნა ერთ-ერთი პირველი მიუვიდა საქართველოს მეფეს და პატიება სთხოვა, ნათელი ხდება, რომ დემნა უფლისწულს აჯანყების გამოწვევაში მნიშვნელოვანი როლი არ შეუსრულებია.

აჯანყების ძირითადი მიზეზი იყო ეკონომიურად დაწინაურებული და გაძლიერებული ფეოდალების ბრძოლა პოლიტიკური უფლებების გაზრდა-გაფართოებისათვის. ამ საკითხის მოგვარება კი პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა სამეფო ხელისუფლების ინტერესებს, რადგან მიმართული იყო ცენტრალიზებული ფეოდალური სახელმწიფოს მმართველი ორგანოების უფლებათა დამცრობისაკენ (რა თქმა უნდა, საკუთარი უფლებების გაზრდის ხარჯზე).

ამაზე დავით ქობაირელიც სწორად მიუთითებს: „ქართველთა ქვეყნის დიდებულებს დიდი ხანია განზრახული ჰქონდათ მეფისაგან განდგომა და გამოძებნეს კიდეც შესაფერისი დრო თავიანთ ძველ ბოროტზრახვათა განსახორციელებლად“ [3].

აჯანყების თარიღად 1177 წელს ასახელებენ ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე („ცხოვრება გიორგი მეფისა“) და სტეფანოზ ორბელიანი („ორბელთა ისტორია“), ხოლო 1178

---

[1] დავით ქობაირელი, მოსახსენებელი, კრებული საქართველო რუსთაველის ხანაში, 1966, გვ. 262.

[2] აღნიშნული სიგელი გამოქვეყნებული აქვს თ. ჟორდანიას. იხ. ქრონიკები, წ. I, თბ., 1893, გვ. 264—266. ი. დოლიძეს, იხ. ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 24—25. ჩვენ ვსარგებლობთ თ. ბარნაველის მიერ ახლებურად წაკითხული ტექსტით. იხ. თ. ბარნაველი, უფლისწულ დემნას ამბოხების თარიღისათვის, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIX — და XXI — გვ. 113.

[3] დავით ქობაირელი, მოსახსენებელი, გვ. 262.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელს — დავით ქობაირელი („მოსახსენებელი“) და აფხაზთა ქრონიკა. იმის განხილვა თუ რომელი წყარო მართებულად სწორად მიანიშნებს თარიღზე, ერთგვარად რთულია, ამიტომ საჭიროა კიდევ დამატებითი ცნობის მოძებნა საკითხის დაზუსტებისათვის. ასეთ ცნობას წარმოადგენს სწორედ გიორგი მესამის სიგელი, რომელიც დაწერილია 1178 წელს [1]. აღნიშნული საბუთი ყველაზე მეტად სანდოა იმიტომ, რომ თვით გიორგი მესამის მიერ არის შექმნილი და თანაც აჯანყების დამთავრებისთანავე. მივმართოთ სიგელს:

„წელსა მეფობისა ჩუენისა კა-სა, ოდეს ბირებითა და განძრახვითა ეშმაკისათა შეითქუნეს ვიეთნიმე მეფობისა ჩუენისა დიდებულნი და აზნაურნი ორგულობისა ჩუენისათუის და ძმისწული ჩუენი გაგუიყენეს“, ე. ი. სიგელის მიხედვით აჯანყება მომხდარა გიორგის მეფობისა „კა“ წელს (21-ე წელს), ანუ 1156 + 21 = 1177 წელს. ეს თარიღი აჯანყების დაწყების დროა. აჯანყება რამდენიმე თვეს გრძელდებოდა (8—9) თვე და იგი 1178 წლის დასაწყისში „ორბელთა ისტორიის“ ქართული ვერსიის მიხედვით, მარტში[2] დამთავრებულა.

როგორც მოვიყვანეთ ცნობა დავით ქობაირელის „მოსახსენებლიდან“, ქართველთა ქვეყნის დიდებულებს დიდი ხანია განზრახვა ჰქონიათ — მეფისაგან განდგომა და გამოძებნეს კიდეც შესაფერისი დრო თავიანთ „ძველ ბოროტ ზრახვათა“ განსახორციელებლად.

აჯანყების მონაწილეთა შემადგენლობა საკმაოდ ფართოა. მასში მონაწილეობას იღებს ფეოდალთა დიდი ჯგუფი, რომელსაც სათავეში უდგანან ორბელები (საერთო ხელმძღვანელობას ივანე ორბელი ახორციელებს): „შერისხდა ღმერთი ორბელთა და ყოველთა ტომთა და მიმდგომთა მათთა: სამცხეთართა, ჰერეთთა, კახეთთა და სადაცა ნათესავი და ნატამალი მსმენარი მათდა იყო“ [3]. ივანე ორბელის გვერდით აჯან-

---

[1] აღნიშნულ სიგელს საგანგებო ყურადღება მიაქცია აჯანყების დათარიღებისათვის თ. ბარნაველმა, იხ. მისი, უფლისწულ დემნას ამბოხების თარიღისათვის, მუზეუმის მოამბე, XIX და XXI გვ. 107—111.

[2] „ორბელთა ისტორიის“ ქართული ვერსია, საისტორიო მოამბე, გვ. 61.

[3] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 18.

ყების მესვეურებად ვხედავთ ივანე ვარდანის ძესა და შოთას ძეს ართავაჩოს ძისას, რომლებიც „ისტორიანი და ანმანის“ ავტორს ღალატის „განზრახ-გამგებლებად“ და „შინათგამცემ-ლებად“ ჰყავს მოხსენებული; მეამბოხეთა ბანაკშია ქართლის ერისთავი ლიპარიტ სუმბათის ძე, მეჯინიბეთუხუცესი ქავ-თარ ივანეს ძე და ანანია დვინელი... აჯანყებას ფეოდალურ საქართველოში ფართო რეზონანსი ჰქონდა. მას მიემხრნენ სარგის მხარგრძელი შვილითა და ძმისწულით, ჯავახნი კახა შვილებითურთ, დიდი გამრეკელი, მემნა ჯაყელი, ჰასან კაენის პატრონი და გრიგოლ ანელი აპირატის ძე. დიდ ფეოდალთა ამ ჯგუფმა აჯანყების გეგმა შეიმუშავა, რომლის მიხედვითაც მათ უნდა აეღოთ ძლიერი ციხე-ქალაქები, გამაგრებულიყვნენ და ერთიანი ძალით დაემხოთ გიორგი III. მის ნაცვლად კი დემეტრე გაემეფებინათ. რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში დემეტრე ფიქტიური მეფე იქნებოდა და მისი სახელმწიფოც დიდ ფეოდალთა ხელში აღმოჩნდებოდა.

აჯანყებულ ფეოდალთა ლაშქარი, სტეფანოზ ორბელიანის ცნობით, 30 000 კაცს აღემატებოდა. აჯანყების დაწყებისას საქართველოს მეფე დედაქალაქში არ ყოფილა. ვარდანისა და სტეფანოზ ორბელიანის მიხედვით, გიორგი მესამე სახატეს იდგა. როგორც კი შეატყობინეს მას ამბოხების შესახებ, სას-წრაფოდ თბილისში წავიდა და იწყო ერთგული ლაშქრის შეგ-როვება. მეფემ მოკლე დროში შემოიკრიბა ირგვლივ თავისი ერთგულები და საკმაო ლაშქარიც შეაგროვა.

აჯანყების მსვლელობა ასე წარიმართა: თავდაპირველად მეამბოხეებმა კაიანისა და კაიწონის მეციხოვნეები და მხე-დართმმართველები დაითანხმეს მეფის წინააღმდეგ გამო-სვლაზე. საჭირო იყო მოსახლეობასაც შეეწყო ხელი აჯანყე-ბულებისათვის [1]. აჯანყებულთა შეთანხმების მიხედვით პირ-ველნი შაქის, ჰერეთისა და კახეთის მხარეების მთავრები აჯანყდნენ. ხოლო კაიანისა და კაეწონის მმართველები თავი-ანთ ციხეებში გამაგრდნენ და მათი მოსაზღვრე მეფის მხარე-ები აიკლეს [2]. ამის შემდეგ დემნა უფლისწულის, ამ „ახალი

---

[1] დავით ქობაირელი, მოსახსენებელი, გვ. 263.

[2] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფის“ მეთაურობით (რომელიც ორბელიანებმა გადაბირებული ავარაკის სიმაგრეში მიიყვანეს და გაამეფეს). აჯანყებულებმა ყველა თავისი თანამზრახველის შეკრება მოინდომეს, რადგან პირდაპირ მეფეზე მისვლა, როგორც ჩანს, ვერ გაბედეს. განზრახვა ერთი იყო — მეფის შეპყრობა. ამ დროს გიორგი მესამე თანდათან იკრებდა ძალას. თავის ლაშქარს დიდ წყალობას შეპირდა (ლაშქრის შემადგენლობაში დვალეთისა და ქართლის მხარის საზღვრებში მყოფი მეომართა ბრბოებიც იყო) [1] და ივანე ორბელის მამულს მიაშურა. იავარჰქმნა და სასახლეები გადაწვა, შემდეგ კი ამბოხებულთა წინააღმდეგ გაემართა.

აჯანყებულები, ბუნებრივია, თვალ-ყურს ადევნებდნენ გიორგი მესამის ამგვარ გაძლიერებასა და მოქმედებას, რასაც ძალზე შეუშინებია ისინი და მერყეობის საფუძველიც კი გამხდარა. ივანეს მომხრე ბევრ დიდებულს სანანებლადაც კი გაუხდა, რომ მეფის მოწინააღმდეგეთა ბანაკში აღმოჩნდნენ. მერყეობამ მეამბოხეთა შორის გარკვეული განხეთქილება გამოიწვია. დიდებულებმა იწყეს დემეტრე-ივანესგან ჩამოშორება და გიორგი მესამესთან მისვლა. პირველი — დიდი გამრეკელი ჩამოშორდა მეამბოხეთა ბანაკს და მეფეს მიუვიდა. მის მაგალითს მიბაძა გრიგოლ ანელმაც. ამის შემდეგ ბევრი დიდებული ჩამოსცილდა განდგომილებს და მეფის მომხრეთა დასს შეუერთდა. გიორგი მესამემ დიდებულები მაღალი პატივით მიიღო, „უზომოსა ნიჭითა განამდიდრებდა და ყოველსავე მამულსა აღუთქვამდა მიცემად მათდა“.

გაძლიერებულმა საქართველოს მეფემ „შემყრელმან ლაშქართა თბილისით ქალაქით მიმართა სომხეთის მთასა“ თავზარი დასცა მეამბოხეებს („აოტნა, გააქცივნა“).

ივანე ორბელმა შეიტყო თუ არა, რომ მეფე ლაშქრით მის წინააღმდეგ მიემართებოდა, მთელი თავისი ქონება სამშვილდის ციხეს შეაფარა („სადაც იყო საუნჯე წინაპართა მისთა“), რამდენიმე მეციხოვნე დატოვა, თვითონ კი თავისი ჯარით დემნასთან ერთად ლორეს ციხეში გამაგრდა.

დავით ქობაირელის ცნობით, დემეტრე ივანე ორბელის ძმას ლიპარიტს წაუყვანია კაიანის ციხის მიმართულებით. სა-

---

[1] იქვე.

ქართველოს მეფის ბრძანებით მათ დაედევნა „კეთილმსახური თბილისის ამირთმთავარი ქურდი“, მაჰკაბერდთან დაეწია, ბრძოლა გაუმართა, დიდძალი ალაფი წაართვა და უკან გამოაქცია. ცოცხლად მხოლოდ ცხენოსნებს დაუღწევიათ თავი და ლორეს სიმაგრეში მისულან. მეფის ასეთი წარმატება რომ დაინახეს, კაიანის ციხეში გამაგრებულები მას დამორჩილდნენ. ასევე მოიქცნენ ყველა თანამოსაზღვრეებიც [1]. გაჭირვების ჟამს ივანე ორბელს ლიპარიტი „ძითა ორითა“ ელტიკოზ ათაბაგთან გაუგზავნია, რათა ამ უკანასკნელს ორბელთა შემწედ ჯარი მოეყვანა (ს. ორბელიანი). „ისტორიანი და აზმანის“ მიხედვით ივანე ამირსპასალარის ბრძანებით „წარსულ იყვნეს სპარსეთს ქართლის ერისთავი სუმბატის ძე ლიპარიტ, მეჯინიბეთუხუცესი ქავთარ ივანეს ძე. რომელნი— ესე გიორგისაგანვე იყვნეს ჭელისუფალნი, და ანანია დვინელი; ზოგნი შაჰარმენისა, ზოგნი ელდიგუზის ძეთასა“ [2].

თავის დროზე აკად. ნ. ბერძენიშვილმა უარყო ცნობა სტეფანოზ ორბელიანისა დიდებულთა ელტიკოზ (ელდიგუზ) ათაბაგთან გაგზავნის შესახებ და მართებულად მიიჩნია თამარის პირველი ისტორიკოსის მინიშნება იმის შესახებ, რომ დიდებულნი წავიდნენ „ელდიგუზის ძეთასა“. კერძოდ, იგი თვლიდა, რომ აჯანყებულებმა მიმართეს მის უფროს ძეს მუჰამედს [3]. საინტერესოა დავით ქობაირელის მონათხრობი, რომლის მიხედვითაც ივანემ გაგზავნა თავისი ძმა, ლიპარიტი, სამი შვილით (სტ. ორბელიანი ორს იხსენიებს, — რ. მ.) და თავისი უმცროსი შვილიც გააყოლა სპარსთა მხედართმთავარ ხზილთან“ (იგი ელდიგუზის უმცროსი შვილი იყო) [4].

ასეა თუ ისე ივანე ორბელის ბანაკი იმცრობოდა და სუსტდებოდა, ხოლო გიორგი მესამე ძლიერდებოდა და თანდათან უფრო და უფრო აქტიურად მოქმედებდა აჯანყებულთა წინააღმდეგ. მან აჯანყებულებს „მოუხუნა ყოველნი სიმაგრენი და

---

[1] იქვე, გვ. 264.

[2] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 19.

[3] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ეპიზოდი ფეოდალურ საგვარეულოთა საშამულო ბრძოლიდან XIII საუკუნის საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 76—77.

[4] დ ა ვ ი თ ქ ო ბ ა ი რ ე ლ ი, მოსახსენებელი, გვ. 265.

ციხენი". მეამბოხეებს ჩამოშორდა და მეფეს მიუვიდა სარგის მხარგრძელი „შვილითა და ძმისწულითა მისითა". საქართველოს მეფემ „შეიყვარა და შეიტკბო იგი". გიორგი მესამე ენერგიულ სამხედრო მოქმედებაზე გადადის, თან დიპლომატიურ მოლაპარაკებასაც ეწეოდა ივანე ორბელთან. მოციქულების პირით იგი შერიგებას სთხოვდა ამბოხებულ ამირსპასალარს, მაგრამ ეს უკანასკნელი არ თანხმდებოდა გარკვეული დათმობების გარეშე. დათმობა კი იმაში უნდა გამოხატულიყო, რომ საქართველოს მეფეს მისთვის უნდა მიეცა ნახევარი სამეფო [1].

გიორგი მესამის მოლაპარაკება შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა. იგი მთლიანად არ იყო დარწმუნებული ჯარის ერთგულებაში და ამ მოლაპარაკებით ყოველგვარის მოულოდნელობის თავიდან აცილებას ცდილობდა. თანაც, ალბათ, ზედმეტ სისხლის ღვრასაც ერიდებოდა. ხოლო თუ სიტყვით ივანე მასთან მივიდოდა, შემდეგ ყოველგვარად შეიძლებოდა აჯანყების თავკაცთან გასწორება.

ასე რომ, მეფისა და ივანეს მოლაპარაკების პირველი ეტაპი უშედეგოდ დამთავრდა. როგორც სტეფანოზ ორბელიანის თხზულებიდან ირკვევა, თვით ივანეს მომხრე დიდებულებიც მოითხოვდნენ მეფისა და გაგულისებული ამირსპასალარის შერიგებას. მათ წერილიც კი დაუწერიათ ივანესათვის, ისრისთვის მიუბამთ და ისე შეუტყორცნიათ ციხეში. საინტერესოა ამ წერილის შინაარსი:

„დიდო ივანევ ორბელიანო, მჰხნეო ძლიერო და უძლეველო, რომელი ხარ ქუეყანისა მის ჭინეთისაგან მოსრულ და ტომი თვითმპყრობელისა მეფისა. ოდეს მოხვედ ქუეყანასა ამას ქართლისას, აქა ჰპოვე პატივი უზომო, იყავ მთავარი და თავი სახლისა სამეფოისა და სპასალარი გიორგისა. აწ უკეთუ გნებავს განსუენება და სიცოცხლე, პატივი სასურველი და განუზომელი მამული შენი, რომელი სჯობს ნახევარსა ქართლისასა, მოვედ და მოართვი ყრმა ეგე, ძე დავითისა დემნა, რომელი იქმნა მიზეზი ბოროტისა შენისა და სხვათა მრავალთა"[2].

---

[1] იქვე, გვ. 264—265.

[2] „ორბელთა ისტორიის" ქართული ეკრსია, გვ. 61.

აღნიშნული წერილი ლექსად იყო დაწერილი. ივანე ორ-
ბელს ლექსადვე უპასუხია:

„ჰოი, დიდებულნო, საყვარელნო ჩემნო დიდნო და ძლი-
ერნო, მთავარნო კეთილნო. მე, ივანე ორბელიანმან, აღმოვი-
კითხე წერილი სწავებისა თქვენისა, გარნა მე არა მომწონს
განზრახვა ეს თქუენი, რომელი მოგეწერათ ჩემდა. კაცი,
რომელიცა იშვებს სოფელთა ამათ და დაუტევებს ბრძანებასა
უფლისასა, გარდავალს აღთქმასა, იგი მიიღებს ნაწილი უარის-
მყოფელისა და უშრეტსა ცეცხლსა შინა დაიწვება და ეშმაკთა
თანა დაედასების. მე კაცი ვარ წარმავალი. ორის დღის პა-
ტივისათვის მე ვერა გარდამავალ მას, რომელიც აღმითქუამს,
და ვერცა უარვყოფ ფიცსა მას საშინელსა...“ [1].

რაკი მშვიდობიანი მოლაპარაკებით ვერ მიაღწია სასურ-
ველ შედეგს, გიორგი მესამემ ძალას მიმართა. შეკრიბა ჯარი,
აჯანყებულებს ლორეს ციხეში მიადგა და ალყა შემოარტყა.
დავით ქობაირელის ცნობით, ამ დროს ივანე ორბელს დამხ-
მარე ძალა მოუდიოდა, მაგრამ როცა ამ უკანასკნელთ თვა-
ლით უხილავთ გიორგი მესამის ძლევამოსილი ლაშქარი, თავ-
გზა აბნევიათ და ჩუმად, უბრძოლველად უკან გაბრუნებუ-
ლან [2]. მეფის ლაშქარი ციხის ალყის პარალელურად სხვა
ციხეებში გამაგრებულებსაც გაუსწორდა და ერთიანად ყველა
მორჩილების ხასიათზე დააყენა.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ლორეს ალყა დიდხანს
გაგრძელდა (შვიდ თვეზე მეტხანს) მ უ ჰ ა მ ე დ ფ ე ჰ ლ ე-
ვ ი ნ-ჯ ე ჰ ა ნ ი ს დახმარებამ აჯანყებულთ მაინც ვერ მო-
უსწრო. ეს საკითხი დ. ქობაირელის მიერ ერთგვარად პრი-
მიტიულად მოწოდებული, უფრო ღრმა და რთულ ვითარე-
ბასთან უნდა იყოს დაკავშირებული. საქმე ისაა, რომ, რო-
გორც ჩანს, ადერბაიჯანის ათაბაგი, ფრთხილად იქცეოდა. ეს,
ბუნებრივია, შორსგახედული დიპლომატიური მოქმედება
იყო. მუჰამედი ამბების განვითარებას უდარაჯებდა, რათა იმის
მიხედვით წარემართა თავისი საქმიანობა, როგორც ვითარება
მოითხოვდა. იგი ცდილობდა უპირველეს ყოვლისა საკუთარი

---

[1] იქვე, გვ. 62.
[2] დ. ქ ო ბ ა ი რ ე ლ ი, მოსახსენებელი, გვ. 266.

თავისთვის არ მიეყენებინა ზიანი. დაინახა თუ არა მუჰამედმა, რომ ბრძოლა საქართველოს მეფის სასიკეთოდ წარიმართა, ხოლო აჯანყებულები კი მარცხდებოდნენ, თავისი საომარი მოქმედება სამშვიდობო ურთიერთობით შეცვალა [1].

ლორის ციხის ალყა თანდათან მძიმე ხდებოდა მეამბოხეთათვის. მეფის ერთგული ლაშქარი „მესხნი, თორელნი, ქართლელნი, სომხითარნი და თჳთ გაზრდილი მისი მეჯინიბეთ-უხუცესი ჭიაბერი“ [2] მძიმე მარწუხებში აქცევენ მეციხოვნეებს. გიორგი მესამეს მხარს უჭერენ „ყოველნი ჰერნი სრულითა ლეკითა და კავკასითა“ [3].

მეფის მოლაშქრეებმა გამჭრიახი მოქმედების შედეგად შეიპყრეს ივანე ვარდანის ძე და შოთა ძე ართავაჩოს ძისა. ლორის ციხეში მყოფთა საქმე სულ უკან და უკან მიდიოდა („დაუღონოვდეს ლორეს შინა მდგომნი“) [4]. ასეთი მდგომარეობის გამო, ბუნებრივია, დიდი არევ-დარევა დაიწყო აჯანყებულთა შორის. თვით დემეტრეს საბელი გადმოუშვია ციხიდან, მისი საშუალებით გამოპარულა და ბიძასთან მისულა. დავით ქობაირელის სიტყვით, დემეტრე „ფარულად ჩამოვიდა ზღუდეზე გოდრით და მივიდა მეფესთან“ [5].

სტეფანოზ ორბელიანი, როგორც ყველა სხვა საკითხს, ამ მოვლენასაც თავისებური ტენდენციურობით გადმოსცემს. მის მიხედვით, დემეტრე (იგი დემნას უწოდებს მას) „უგუნურებითა თვისითა“ შეშინდა, ზღუდიდან გადმოვიდა, მიუვიდა ბი-

---

[1] ათაბაგთან მყოფი ლიპარიტი შვილებით მუჰამედთან დარჩა, რადგან საქართველოში მისასვლელი პირი აღარ ჰქონდა. იგი უცხოობაში გარდაიცვალა. ლიპარიტის შვილებიდან ელდიგუზი ერანში დარჩა, ივანე კი განძის ამირასთან გადასულა. ეს უკანასკნელი, სტეფანოზ ორბელიანის ცნობით, თამარის დროს მოუყვანიათ საქართველოში და მათი ყოფილი მამულისაგან ორბეთი მიუციათ. მიიჩნევენ, რომ სწორედ ამ ივანესაგან ჩამომავლობენ აწინდელი ორბელნი (იხ. ნ. ბერძენიშვილი, ეპიზოდი ფეოდალურ საგვარეულოთა სამამულო ბრძოლიდან XIII საუკუნის საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, 1966, გვ. 77).

[2] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 19.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 20.

[5] დ. ქ ო ბ ა ი რ ე ლ ი, მოსახსენებელი, გვ. 266.

ძას“, ფერხ-ქვეშ მოექნა და ეგედრებოდა მხოლოდ ერისთავ-ლისათვის“ [1]. მის მხილველ გიორგი მესამეს დიდად გაუხარია და მოციქული გაუგზავნია ივანე ორბელისათვის, თანაც შეუთვალა: ვისთვისაც მებრძოდი, ჩემთან არის და აწი ვისთვისღა ურჩობო. ივანე ორბელი იძულებული გახდა, დათანხმებულიყო მეფის მორჩილებაზე („იკადნიერა ივანემან და მივიდა მეფესთან“) [2].

აქ საინტერესოა ის დეტალი, რომ სტეფანოზ ორბელიანი ხაზგასმით ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს აჯანყების თითქოსდა ძირითად მიზეზზე — დემეტრე უფლისწულს „რომლისთვისაცა შენ მებრძოდი (ე. ი. დემეტრესთვის, — რ. მ.), აჰა, მოვიდა ჩემდა“ და ამით უნდა ერთგვარად მიჩქმალოს ის ზრახვები, რომლებიც დიდ ფეოდალებს ამოძრავებდათ და რის გამოც ფაქტიურად ამბოხება მოეწყო [3].

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ მიხედვით ივანე ორბელი თვითონ არ მისვლია მეფეს, არამედ გამოუსხამთ ციხიდან — „ამირსპასალარი და სხუანი, რომელნი დარჩეს ციხესა შინა, გამოასხეს“ [4]. დავით ქობაირელის მიხედვით „...შევიწროებულნი და ილაჯგაწყვეტილნი პატიების ფიცით დაიმედებულნი, გარეთ გამოვიდნენ და თალხად შემოსილნი გართხმულნი წარუდგნენ მეფეს“ [5].

ამგვარად, ორბელთა ამბოხებამ, რომელიც საქართველოს სამეფო ხელისუფლების, მისი მეფის გიორგი მესამის წინააღმდეგ იყო მიმართული, მარცხი განიცადა. მარცხის მიზეზი ბევრია. ჯერ ერთი, მეამბოხეებს არ ჰქონდათ მკვეთრად ჩამოყალიბებული გეგმა აჯანყებისა.

მეორე, აჯანყების მონაწილეები, მიუხედავად მათ მიერ სტრატეგიული პუნქტების დაკავებისა, ციხეებში გამაგრებისა, იმ ძალასთან შედარებით, რომელიც მეფეს გააჩნდა, სუსტნი იყვნენ.

---

[1] „ორბელთა ისტორიის“ ქართული ვერსია, საისტორიო მოამბე, VI, გვ. 62.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 20.

[5] დ. ქობაირელი, მოსახსენებელი, გვ. 266.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ე ს ა მ ე, აჯანყების მონაწილეთა შორის არ იყო ერთიანობა, სიმტკიცე, რაც აჯანყების დასაწყისშივე გამოჩნდა.

გარდა ამისა, ორბელებმა ვერც მაშველი ძალა მიიღეს და მომხრეც ბევრი ჩამოშორდათ. ასე რომ, აჯანყება იმთავითვე განწირულად გამოიყურებოდა.

საქართველოს მეფემ „აიღო ლორე და დაიმჭირა თავისა თჳსისათჳს". ისტორიკოსის ცნობით, მტრის შემრისხველი, ზეამაღლებული და მორჭმული გიორგი მესამე წამოვიდა ნაჭარმაგევს. „ურჩთა და მტერთა მისთა ზედა და შემსგავსებული საქმეთა მათთა მიაგო მისაგებელი" [1]. ე. ი. საქართველოს მეფემ დანაშაულის შესაფერი სასჯელი მიუზღო ყველას. ივანე ორბელს თვალები დასთხარეს. აჯანყების ბევრი მოთავე სიკვდილით დასაჯეს („ორბელნი მეფემან იპყრნა და დახოცნა") [2]. დემეტრე უფლისწულს თვალები დასთხარეს და ამასთანავე დაასაჭურისეს. ამ უკანასკნელი აქტით გიორგი მესამემ ძირიანად მოსპო მომავალშიც რაიმე გაუგებრობა ტახტის მემკვიდრეობის თაობაზე, რადგან დემეტრე ამიერიდან შთამომავლის გარეშე უნდა გადაშენებულიყო. მისანიშნებელია ის ფაქტიც, რომ დემეტრე უფლისწული მეფეთა საგვარეულო საძვალეში გელათში კი არ დამარხეს, არამედ მცხეთაში.

გიორგი მესამემ ორბელთა მამულები თავის ერთგულებს (მათ, ვინც შეთქმულთა წინააღმდეგ მეფის მხარეზე იყო) უწყალობა, მათ შორის დიდი ნაწილი — ყივჩაყს ყუბასარს, რომელიც, როგორც ჩანს, ერთგულებასთან ერთად თავისი ღირსებებითაც გამოირჩეოდა. მეფემ იგი ორბელთა სამთავრო პატივში აიყვანა და საქართველოს სპასალარად დანიშნა. გიორგი მესამემ ასევე „უგვარო", ადრე „აზნაურის ყმობაში ყოფილი" აფრიდონი დააწინაურა მსახურთუხუცესის თანამდებობაზე.

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 20.

[2] ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 367. სტ. ორბელიანის ცნობით გიორგი მესამემ ამოსწყვიტა ორბელთა „ყოველი თესლი" და „...საეკლესიო შეჩვენებით დაამტკიცა, რათა მათს (ორბელთა) სახელს არავინ ახსენებდეს და საქართველოში მათგან არავის აბოგინებდნენ"...

სწორედ ორბელთა აჯანყების ჩახშობის უმალვე ბმულა გიორგი მესამემ ფეოდალური საქართველოსათვის რამდენადმე უჩვეულო (იმდენად, რამდენადაც საქართველოს ისტორიამ აქამდე არ იცოდა ქალის მეფობა) აქტი — საქართველოს სამეფო ტახტზე აიყვანა თავისი ქალი — თამარი. „განრჩევითა და გამორჩევითა, განგებითა და გაგონებითა ზენისა მის ხუედრისა შარავანდედთა მნებებელისათა მეფე ყო თამარ, თანადგომითა ყოველთა პატრიარქთა და ებისკოპოზთა, დიდებულთა იმიერთა და ამიერთა, ვაზირთა და სპასალართა და სპასპეტთა“[1].

ამრიგად, საქართველოს სამეფო კარმა, მისმა მეფემ გიორგი მესამემ, შესძლო ორბელების თავკაცობით მოწყობილი დიდ ფეოდალთა ამბოხების ცეცხლითა და მახვილით შემუსრვა, გამოიყენა უკიდურესი დესპოტური ზომები აჯანყების მოთავეთა (პირველ რიგში ორბელთა) და ყველა მონაწილეთა დასჯის მიზნით, რითაც ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი მეფის ხელისუფლების სიძლიერეს და სხვა დიდ ფეოდალებსაც მეფის წინააღმდეგ გამოსვლის ყოველგვარი ხალისი დაუკარგა, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ბრძოლა მეფესა და დიდგვაროვან ფეოდალებს შორის ამით არ დამთავრებულა. ეს ბრძოლა წითელ ზოლად გასდევს მთელს სიგრძეზე ფეოდალური საქართველოს ისტორიას.

* *
*

1177—1178 წლებში დიდგვაროვან ფეოდალთა აჯანყება საქართველოს სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ მწვავე შინაკლასობრივი ბრძოლის აშკარა გამოვლინებაა და თვალნათლივ მიუთითებს იმ კლასობრივ ანტაგონიზმსა და სოციალურ წინააღმდეგობებზე, რომლებიც ფეოდალური წყობილებისათვის ჩანასახიდანვე იყო დამახასიათებელი. გარკვეული ოპოზიციაა შექმნილი ფეოდალიზმის წინააღმდეგ ერთის მხრივ, იმ გლეხთა მასების მიერ, რომლებიც მძიმე ექსპლოატაციას განიცდიან. «В средние века борьба свободного

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 21.

крестьянства против все более и более опутывающего его феодального господства, сливается с борьбой крепостных и зависимых крестьян за полное уничтожение феодального гнета»[1], ხოლო, მეორე მხრივ, თვით გაბატონებული კლასის (ფეოდალების) შიგნით არსებული წინააღმდეგობების გამო. («Революционная оппозиция феодализму проходит через все средневековье»)[2]. სწორედ ფეოდალური წესწყობილების წიაღში წარმოიშვა ორბელიანთა თაოსნობით აჯანყება, რომლის გამომწვევი მიზეზიც თვით წყობილების არსში მდგომარეობდა. ქართულმა ისტორიოგრაფიამ ეს აჯანყება დემნა უფლისწულის სახელით მონათლა, რაც მართებული არ არის. როგორც ზემოთაც ვნახეთ, ეს იყო დიდგვაროვან ფეოდალთა ორგანიზებული გამოსვლა საქართველოს სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ თავისი უფლებების გაზრდა-გაფართოებისათვის. დემნა უფლისწულის გამეფების საკითხი კი მხოლოდ საბაბი იყო ფეოდალთა ზრახვების დასაფარავად და ხალხის ფართო მასების თვალში აჯანყებულთა მოქმედების იდეოლოგიურად გასამართლებლად. ეს იმიტომ, რომ თუკი მოსახლეობის ფართო ფენები ირწმუნებდნენ აჯანყების მართებულობას, მაშინ მათი მხარდაჭერაც იქნებოდა «Умы всегда связаны невидимыми нитями с телом народа...»[3].

1177—78 წლებში დიდგვაროვან ფეოდალთა აჯანყება კლასობრივი ბრძოლის გარკვეულ ფორმას წარმოადგენს. დიდაზნაურთა მახვილი მიმართულია გაერთიანებული ქვეყნის მეფის კარის დაუფლებისათვის, რაც აუცილებელი იყო საკუთარი კლასობრივ — წოდებრივი უფლებების (ინტერესების) უზრუნველსაყოფად[4]. ორბელიანთა ხელმძღვანელობით მე-

---

[1] Ф. Энгельс, Крестьянская война в Германии — К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. 7. стр. 364.

[2] იქვე, გვ. 361.

[3] К. Маркс — З. Мейеру, 21 января 1871 г. — К. Маркс. Ф. Энгельс, Избранные письма, стр. 256.

[4] ნ. ბერძენიშვილი, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობაში, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 34—35.

ფის წინააღმდეგ გამოსვლა გარკვეული გაგრძელებაა იმ ბრძოლებისა, რომლებიც ერთიანი საქართველოს მეფეებსა (ბაგრატ მესამიდან მოყოლებული დავით აღმაშენებლის ჩათვლით) და კლდეკარის ერისთავებს შორის მიმდინარეობდა XI საუკუნის მთელ სიგრძესა და XII საუკუნის პირველ მეოთხედში.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამეფო კარზე გავლენის მოპოვებისათვის ბრძოლაში მსხვილი ფეოდალების გვერდით წვრილ აზნაურთა ფენებსაც ვხედავთ. ესენი არიან ეკლესიის მსახურნი, რომლებმაც თავად ასწავლეს დიდ აზნაურებს (ბაგალითი უჩვენეს), თუ როგორ უნდა ძალაუფლების ხელში აღება (სწორედ საზოგადოების ამ ფენამ გადააყენა გიორგი მეორე) [1].

დიდგვაროვან ფეოდალთა გამოსვლა გიორგი მესამის წინააღმდეგ თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით მოხდა. მასში მონაწილეობას იღებენ საზოგადოების ფართო ფენები (აჯანყების მომხრედ თუ მოწინააღმდეგედ). აჯანყების ბედზე ჩვენ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. მიუხედავად იმ უმკაცრესი ზომებისა, რომლებიც საქართველოს სამეფო კარის მიერ იქნა გატარებული აჯანყებულთა წინააღმდეგ (დახოცვა, ექსორია, განპატიჟება, დიდგვარიანთა ნაცვლად ერთგული უგვარო პირების დაწინაურება), ქვეყანაში არსებითად ვითარება არ შეცვლილა და გატარებული ღონისძიებებიც დროებითი აღმოჩნდა. საქმე ისაა, რომ ამ დროს საქართველო თავისი ფეოდალური განვითარების სიმწიფეში შეღიოდა, როცა ქალაქებს, ხელოსნებს, „მესამე წოდებას“ უკვე მოუდგამს ფეხი, მაგრამ გადამწყვეტი ბრძოლა ფეოდალიზმისათვის მაინც არ გამოუცხადებია. ერთი სიტყვით, ახალი კლასი, რომელსაც შესაძლო იყო მეფე დაყრდნობოდა, ჯერ კიდევ არ იყო მობილიზებული. ეს უკანასკნელი კი იმას განაპირობებდა, რომ ქვეყანაში არსებითად რაიმე სიახლის მოლოდინი არ გამართლდებოდა.

1177-78 წლების აჯანყება უდიდესი მნიშვნელობისაა იმით, რომ არსებითად ამ გამოსვლით დაიწყო ქვეყანაში პო-

---

[1] იქვე, გვ. 35.

ლიტიკური მღელვარება; ბრძოლა დიდგვარიანებსა და „უგვარ-
როებს“ შორის, საერო და საეკლესიო ფეოდალებს შორის,
მეფის ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის. ამდენად, აღ-
ნიშნულ აჯანყებას, როგორც კლასობრივი და შინაკლასობრი-
ვი ბრძოლის აშკარა გამოხატულების მქონე აქტს, საქართვე-
ლოს სოციალური ბრძოლის ისტორიაში მეტად თვალსაჩინო
ადგილი უკავია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი მეხუთე

ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა

ვიდრე აღებულ პრობლემას უშუალოდ შევეხებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია მიმოვიხილოთ გიორგი მესამის გარდაცვალების შემდეგ შექმნილი ვითარება ფეოდალურ სახელმწიფოში. დიდგვაროვანი აზნაურები უკმაყოფილოები არიან იმ პოლიტიკური რეჟიმისა, რომელიც საქართველოში XII საუკუნის დასაწყისში (დავით აღმაშენებლის მეფობის დროს) დაინერგა და შემდგომშიაც (კერძოდ, გიორგი მესამის დროს) გარკვეული განვითარება ჰპოვა. ორბელთა ამბოხების ჩაქრობის შემდეგ (1178 წ.) გიორგი III თითონ გადავიდა შეტევაზე ფეოდალთა წინააღმდეგ. დასაჯა რა ამბოხების (აჯანყების) მოთავენი, საქართველოს მეფე, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ერთგულთა დაწინაურებას შეუდგა. (ასე მაგალითად, ნაყივჩაყარმა ყუბასარმა ამირსპასალარობა მიიღო, აზნაურის ნაყმევმა აფრიდონმა — მსახურთუხუცესობა და სხვ.). გიორგი მესამეს მხოლოდ ეკლესიის მესვეურებთან მოუხდა გარკვეულ დათმობაზე წასვლა [1].

საქართველოს მეფის მიერ გადადგმული იქნა მეტად მნიშვნელოვანი და გაბედული ნაბიჯი — 1178 წელს სამეფო ტახტზე აყვანილი იქნა თამარი. გიორგი მესამის მიერ გატარებული პოლიტიკური ღონისძიებები დიდგვაროვან ფეოდალებთან ბრძოლის საქმეში მეტად დიდმნიშვნელოვანი იყო.

---

[1] ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ შევჩერდებით.

ეს უკანასკნელნი, მართალია, დათრგუნვილნი იყვნენ, მაგრამ ბრძოლას წაგებულად არ სთვლიდნენ და ხელსაყრელ დროს უცდიდნენ, რათა სამეფო ხელისუფლების საწინააღმდეგო ზრახვები განეხორციელებინათ. ასეთი დრო გიორგი მესამის გარდაცვალების (1184 წ.) შემდეგ დადგა. მიუხედავად იმისა, რომ თამარი ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეშივე იყო გამეფებული (1178 წ.), დიდგვაროვანმა ფეოდალებმა, როგორც ჩანს, არ მიიჩნიეს ეს საკმარისად და ხელახლა მეფედ კურთხევა გადაწყვიტეს. ეს უკვე ფაქტიური პროტესტი იყო გიორგი მესამის ნამოქმედარის, მისი პოლიტიკის მიმართ. ამასთანავე ხაზგასმულად უნდა წარმოჩენილიყო ფეოდალთა დიდი უფლებები. საინტერესოა თამარის პირველი ისტორიკოსის პოზიცია (იგი ხომ გიორგი მესამისა და თამარის აპოლოგეტია!) [1], რომელიც ყოველგვარი გაკვირვების გარეშე გადმოგვცემს თამარის ხელახლა მეფედ კურთხევის პროცესს.

თითქოს თამარი არც კი ყოფილიყოს გიორგი მესამის თანამოსაყდრე სამეფო საქმეებში, ისე იქცევიან დიდგვაროვანი ფეოდალები. „შემყრელთა შჳდთავე ამის სამეფოსა“ სთხოვეს რუსუდან დედოფალს დამოციქულება თამართან, რათა ამ უკანასკნელმა „ჴელ-ყოს ჴელითა მეფობასა და კურთხევითა გჳრგჳნოსან-ყოფად აღვიდეს, და ამაღლდეს და დაჯდეს საყდართა თჳსთა მამათასა აღპყრობითა და აღძღუანებითა ძელისა ცხოვრებისათა...“ [2] ამგვარად, ერთხელ უკვე ფაქტიურად გამეფებული თამარი მეორედ უნდა ეკურთხებინათ მეფედ. აკად. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ გიორგის გარდაცვალების შემდეგ „რაღაც ამბავი მომხდარა, რომ ერთხელ ტახტზე ასული დედოფალი ხელმეორედ აუყვანიათ და გაუმეფებიათ“ [3]. მოხდა ალბათ ის, რომ როგორც ზემოთაც ითქვა,

---

[1] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი ხომ დაბეჯითებით აცხადებს, რომ გიორგი III-მ თავის სიცოცხლეშივე „განრჩევითა და გამორჩევითა, განგებითა და გაგონებითა ზენისა მის ხუედრისა შარავანდედთა მნებელისათა მ ე ფ ე ყ ო თ ა მ ა რ“ და სხვ. (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 21).

[2] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 26.

[3] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია, თბ., 1905, გვ. 71—72.

ფეოდალებმა დრო იხელთეს ძლიერი გიორგი მესამის გარდაცვალების შემდეგ, მსწრაფლ შეეცადნენ არ გაგრძელებულიყო მისი პოლიტიკა და თამარის სამეფისკარო პოლიტიკის ხელწერისათვის თავისი გავლენის აშკარა თავსმოხვევა მოინდომეს.

წარმოუდგენელია თვით რუსუდანსა და თამარს ვერ შეეცნოთ ფეოდალთა ზრახვები და არ სცოდნოდათ თუ საით უმიზნებდნენ ისინი. თამარის ისტორიკოსი კი ამბობს: „ამისმან (თამარის მეორედ კურთხევის — რ. მ.) მსმენელმან, მომწონებელმან და მაჯერებელმან დედოფალმან უბრძანა და მოახსენა თამარსა“ [1]. ალბათ რუსუდან დედოფალს განუჭვრეტია, რომ სხვა გამოსავალი არ არსებობდა და იძულებით მიუღია ამ საქმის მოწონების პოზა. საინტერესოა „ისტორიათა და აზმანთა შარავანდედთანის“ ავტორის მინიშნება იმის შესახებ, რომ თამარი „დიდებულთა შჯდთავე სამეფოთასა“ წინადადებას „ძალითა-სამე დამორჩილ იქმნა“ [2]. რას უნდა ნიშნავდეს მემატიანეს ეს ხაზგასმა? ცხადია ერთი, რომ თამარი რაღაც ძალის შემწეობით დამორჩილდა ამ ნაბიჯის გადადგმას. მაგრამ რა ნაბიჯზეა ლაპარაკი? განა შეიძლებოდა უარი ეთქვა თამარს საქართველოს სამეფო ტახტზე? რა თქმა უნდა, არა, იგი უკვე ექვსი წელი მამასთან ერთად ინაწილებდა ქვეყნის მეფობის ხვედრს, ასე რომ, ეს მისთვის უცხო არ უნდა ყოფილიყო. იგი მას შემდეგ, რაც თანამმართველი გახდა სამეფო საქმეებისა, შეგუებული იქნებოდა მომავალში ამ ხვედრის მთლიანად დაუფლების აზრთან. გიორგი მესამის მიერ თავის დროზე მისი გათანამმართველებაც ამ მიზანს ემსახურებოდა. „ძალითა-სამე დამორჩილ იქმნა“—საერთოდ მეფობაზე უარის თქმასა და შემდეგ ძალით დათანხმებას კი არ უნდა ნიშნავდეს, არამედ იმას, რომ თამარი წინააღმდეგი იყო დიდებულთა მიერ წამოყენებული მისი მეორედ კურთხევის იდეისა. მაგრამ, როგორც ჩანს, რუსუდან დედოფალმა დაარწმუნა იგი, რომ სხვა გამოსავალი არ იყო და თამარიც იძულებული გახდა

---

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 26.

[2] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათანხმებულიყო. ეს კი თავის მხრივ დიდგვაროვან ფეოდალთა გამარჯვებას უდრიდა.

მეფედ კურთხევის ცერემონიალი ისე შესრულდა, რომ ხაზგასმული იქნა დიდგვაროვანთა უფლებები. „აღმყვანელთა საყდართა და საჯდომთა მამაპაპეულთა აღსუეს მზე იგი... და მოიღეს გჳრგჳნი...“ [1] „აღმყვანელნი“, რომელთაც თამარი „აღსუეს“ და გვირგვინი „მოიღეს“ დიდგვაროვანი ფეოდალები არიან. ამგვარად, ეს დიდგვაროვანები ჩანან უპირველეს პლანზე თამარის გამეფებისას და ყველა დეტალი მეფედ ხელდასხმისა მათი ნებით სრულდება. „ვინათგან ლიხთ-იმერითგან იყო წესი დადგმად გჳრგჳნისა თავსა სამეუფოსა, აწვიეს... მთავარეპისკოპოსი ქუთათელი ანტონი საღირის-ძე, მ ი ღ ე ბ ა დ გ ჳ რ გ ჳ ნ ი ს ა“ [2]. ისტორიკოსი გამოყოფს თამარ მეფისათვის, როგორც ლაშქრის მთავარსარდლისათვის ხმლის გადაცემის სიმბოლურ ცერემონიალს. „და ცალის-კერძისა კახაბერი, ერისთავი რაჭისა და თაკუერისა, და სრულ ყვეს მოხელეთა სჳანთა და დიდებულთა ვარდანისძეთა, საღირისძეთა და ამანელისძეთა მოღება და დადება ჯრმლისა“ [3]. როგორც ჩანს, ამ დიდებულებს უფლება აქვთ „სრულ ყოფისა“ და ხელდასხმისა. ჩვენ ასე მკვეთრად გამოსახული მეფედ კურთხევის ცერემონიალი ქართულ წერილობით წყაროებში არ მოგვეპოვება. ამდენად, ტრადიცია იყო ეს, თუ მხოლოდ თამარის მეფედ კურთხევის დროს მოხდა, ამის შესახებ რაიმეს გადაჭრით თქმა ძნელია. უფრო საფიქრებელია, რომ ასეთი სრულყოფილი სახით ძველი დიდგვარიანი სახლების განსაკუთრებული მნიშვნელობა ტახტის მემკვიდრის სამეფო უფლებით აღჭურვის საქმეში სწორედ თამარის მეორედ მეფედ კურთხევისას იქმნა წარმოჩენილი. „თაყუანისცეს, დ ა ლ ო ც ე ს დ ა ა დ ი დ ე ს ს პ ა თ ა შ ჳ დ ი ს ა ვ ე ს ა მ ე ფ ო ს ა თ ა. და დაიპყრა ჟამიერად თჳთოეულმან თჳსი ადგილი“ [4]. აქ „ისტორიანი და აზმანი

---

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 26.

[2] იქვე, გვ. 26—27.

[3] იქვე, გვ. 27.

[4] იქვე.

შარავანდედთანი“ გვაძლევს ცნობას იმის შესახებ, რომ მეფის ძალაუფლების სრულყოფისათვის საჭიროა „შჯდასაჯ სამეფოსათა“ წარმომადგენლების „დალოცვა“ და „დიდება“.

აქედან ფაქტიურად დაიწყო დიდგვაროვანთა პროტესტი არსებული (ჯერ კიდევ გიორგი მესამესეული) სამეფისკარო პოლიტიკის წინააღმდეგ. ეს პროტესტი შემდგომში უფრო გაიზარდა და გამძაფრდა. ფეოდალებმა „იმიერთა და ამიერთა“ ერთხმად გამოაცხადეს, რომ გიორგი მესამის დროს დაწინაურებულ უგვარო მოხელეებს აღარ დაემორჩილებოდნენ: „აღარ ვეგებით ძუელთა ჭელისუფალთა და გამგებელთა საქმისათა ფარმანსა ქუეშე მყოფნი, ვინათგან მათგან დაძარცვილნი და უნატოდ გაძეულნი ვართ, და გუარიანნი და მსახურეულნი სახლნი უპატიოდ და უსახელოდ გასრულ ვართ უგუაროთა და უხმართაგან“ [1]. ისტორიკოსი დიდგვაროვანთა ამ გამოსვლას მოიხსენიებს, როგორც „ძველებრი კაცთა დაუდგრომელობისა შემსგავსებული საქმე“. იგი მეფის მხარეზეა და ჰკიცხავს საქართველოს ფეოდალთა ამგვარ საქმიანობას. ზემოთმოტანილი ცნობიდან კი იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ „უგუარონი და უხმარნი“ საკმაოდ ყოფილან „ჭელისუფალთა და გამგებელთა საქმისათა“ შორის. გაფიცულ დიდგვაროვანთა მოთხოვნებიდან ნათელია, რომ მათ ძველი წოდებრივი უპირატესობის აღდგენის სურვილი ამოძრავებდათ და წოდებრიობა პირად ღირსებებზე მაღლა დაეყენებინათ. საგულისხმოა, რომ მეფის პოლიტიკის მოწინააღმდეგეებს ყველა უგვარო მოხელის გადაყენება კი არ მოუთხოვიათ, არამედ მხოლოდ რამდენიმესი, ალბათ სამეფო ხელისუფლების ყველაზე ერთგული პირებისა. ასეთებად მიჩნეულ იქნა ამირსპასალარი ყუბასარი და მსახურთუხუცესი აფრიდონი.

რთულმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ, აგრეთვე გაფიცულთა სიმტკიცემ და სიძლიერემ განაპირობა საქართველოს სამეფო კარის დათმობაზე წასვლა და მეფის ერთგული მოხელეების სახელმწიფო მმართველობიდან მოშორება. ამდენად, გაფიცულმა დიდგვარიანებმა ახალი გამარჯვება იზეიმეს.

---

[1] იქვე, გვ. 30.

ფეოდალთა შორის ახალი პრობლემები წარმოიშვა, თუ ვის უნდა ჩაეგდო ხელთ განთავისუფლებული ადგილები. „ერთ-ბრძოლამყოფთა ჴელისუფლობისა და დიდებისათჳს ურთიერთს დაუწყეს ზიდვა“ [1]. — თამარის ისტორიკოსის ეს სიტყვები საოცარი სიზუსტით ახასიათებენ არა მხოლოდ გარკვეულ კონკრეტულ მომენტში შექმნილ ვითარებას, არამედ საერთოდ შინაკლასობრივ ურთიერთობებს ფეოდალიზმის დროს.

დიდგვაროვან ფეოდალთა გაფიცვასთან უშუალო, ორგანულ კავშირში იმყოფება სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყება ყუთლუ-არსლან მეჭურჭლეთუხუცესის ხელმძღვანელობით. აჯანყებას მკვეთრად ჩამოყალიბებული პროგრამა და მტკიცედ განსაზღვრული პოლიტიკურ-ორგანიზაციული გეგმა ჰქონდა.

ვიდრე აჯანყების გამომწვევ მიზეზებსა და მსვლელობას შევეხებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ საკითხზე, თუ ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასი და მისი პოლიტიკური პროგრამა ქვეყნის რომელი სოციალური ფენის ინტერესებს გამოხატავდა. ეს საკითხი განსაკუთრებულად საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ჩვენს ისტორიოგრაფიაში მის ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობაა. ისტორიკოსთა ერთი ნაწილი (ივ. ჯავახიშვილი, ი. პეტრუშევსკი, შ. მესხია, ა. კიკვიძე, ს. მაკალათია და სხვ.) მიიჩნევს, რომ ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა „მესამე წოდების“ აჯანყებას წარმოადგენდა. [2] მეორე ნაწილს კი ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის გამოსვლა

---

[1] იქვე.

[2] იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკ. II, გვ. 55—186. მისივე, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 247—249. И. П. Петрушевский, Городская знать в государстве хулагуидов, «Советское Востоковедение», IV, 1948, стр. 97. შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962, გვ. 100—109. მისივე, Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959, стр. 87. ა. კიკვიძე, საქართველო XII საუკუნეში. თსუ შრომები, IX, 1939, გვ. 167, ს. მაკალათია, თამარ მეფე, 1942, გვ. 15—17, ვ. აბაშმაძე, XII საუკუნის ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, კრებ. XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1968, გვ. 328—339.

სამეფო ხელისუფლების შეზღუდვის მოსურვე დიდგვარიან აზნაურთა აჯანყებად მიაჩნია (ნ. ბერძენიშვილი, გ. სოსელია და სხვ.) [1].

ეს მოძრაობა პირველად განიხილა აკად. ივ. ჯავახიშვილმა და იგი საქალაქო წრეების, მსხვილი ვაჭრებისა და ფინანსისტების — „სიმდიდრით აღზევებულთა“ გამოსვლად მიიჩნია. ივ. ჯავახიშვილი ყუთლუ-არსლანის წოდებრივი ჩამომავლობის მიმოხილვისას მიანიშნებდა, რომ უძველეს მარიამ დედოფლისეულ ხელნაწერის თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებაში იგი „ბიჭად“ არის მოხსენებული, რაც მის მაღალ წოდებრივ წარმომავლობაზე არ უნდა ლაპარაკობდეს [2].

„ყუთლუ-არსლანი და მის თანამოაზრეთა ჯგუფი „სიმდიდრით აღზევებულთა“ წრის წარმომადგენლად მოჩანან“ — ასეთია აკად. ივ. ჯავახიშვილის ჩამოყალიბებული აზრი მოცემული საკითხის შესახებ [3]. ანალოგიურ შეფასებას აძლევს ყუთლუ-არსლანის გამოსვლას პროფ. აბ. კიკვიძე — „სიმდიდრით აღზევებულნი — უგვარო, დაბალი სოციალური ფენებიდან წარმომდგარი მოხელეობა, დიდვაჭრები, ვაჭარ-ხელოსანთა წრეები — აი ის ძალები, რომელთაც ეყრდნობოდა ყუთლუ-არსლანის (იგივე სიმდიდრით აღზევებულის) მეთაურობით ფეოდალური მონარქიის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური მოძრაობა“ [4]. პროფ. ი. პეტრუშევსკის ყუთლუ-არსლანი ვაჭარ-ფინანსისტთა ინტერესების დამცველად მიაჩნია [5]. პროფ. ს. მაკალათია ამ პოლიტიკური დასის გამოსვლას „მესამე წოდების ამბოხებად თვლის [6]. პროფ. შ. მეს-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე და სხვ., საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958, გვ. 196—197. გ. სოსელია, ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამის შესახებ, სოხუმის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X—XI, 1958, გვ. 67—99.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 248.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკ. 2, გვ. 161.

[4] ა. კიკვიძე, საქართველო XII საუკუნეში, თსუ შრომები, 1939, IX, გვ. 167.

[5] И. П. Петрушевский, Городская знать в государстве хулагуидов, «Советское востоковедение», IV, 1948, стр. 97.

[6] ს. მაკალათია, თამარ მეფე, 1942, გვ. 15—17.

ხია მიიჩნევს, რომ ყუთლუ-არსლანის და მისი დასის გამოსვლა — ეს არის მოქალაქეთა ზედა ფენისა და საქალაქო წრეებთან ახლო მყოფი ფეოდალური არისტოკრატიის გამოსვლა[1]. დაახლოებით ასეთივე მოსაზრება აქვს გამოთქმული პროფ. ვ. აბაშმაძესაც[2].

ზოგიერთი მეცნიერი (პ. ინგოროყვა, ვ. აბაშმაძე) თვლის, რომ თითქოს აკად. ს. ჯანაშიას ყუთლუ-არსლანი დიდგვაროვან ფეოდალთა პროგრესული ნაწილის წარმომადგენლად და აჯანყებაც დიდგვარიანების მოწყობილად მიაჩნია. ეს მოსაზრება განსვენებული მეცნიერის მიერ ამ საკითხის შესახებ წამოყენებული დებულების არასწორ გაგებაზეა დაფუძნებული.

აი რას ამბობს აკად. ს. ჯანაშია: „ახლა „დიდებულები" (მსხვილი ფეოდალი-მემამულენი) ხდებიან სახელმწიფოს შეუზღუდველი პატრონები. თამარის მეფობის პირველსავე წელს ისინი აძევებენ სახელმწიფო აპარატიდან მათთვის ღრმად საძულველს, გიორგი მესამის მიერ დაყენებულს, „უაზნო" და „უგვარო" მოხელეებს. მოწინააღმდეგე საზოგადოებრივმა ძალებმა სცადეს (1185) დაებრუნებინათ დაკარგული მდგომარეობა და დაეპყროთ ახალი პოზიციებიც, აშკარა აჯანყების გზით"[3]. ვფიქრობთ გასაგებადაა აქ მოცემული, რომ „მოწინააღმდეგე საზოგადოებრივ ძალებში" აკად. ს. ჯანაშია სახელმწიფო აპარატიდან უგვაროთა გამძევებელ მსხვილ ფეოდალ-მემამულეთა მოწინააღმდეგეებს — დაბალი სოციალური ფენების, სწორედ ამ უგვაროთა და უაზნოთა ფენების წარმომადგენლებს გულისხმობს. ამდენად, აკად. ს. ჯანაშია ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლას თამარის გამეფებისას წარმატებამოპოვებულ დიდგვაროვან ფეოდალთა

---

[1] Ш. А. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959, стр. 87. მისივე, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962, გვ. 107.

[2] ვ. აბაშმაძე, XII ს. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, კრებ. XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1968, გვ. 336.

[3] ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან, მე-13 ს-მდე, შრომები, II, 1952, გვ. 428.

პოლიტიკის მოწინააღმდეგე საზოგადოების დაბალი სოციალური ფენების გამოსვლად მიიჩნევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც შევნიშნეთ, ქართულ სამეცნიერო ისტორიულ ლიტერატურაში აზრთა გარკვეულ სხვადასხვაობასთან გვაქვს საქმე — გამოთქმულია საწინააღმდეგო მოსაზრებაც. აკად. ნ. ბერძენიშვილი გამოკვეთილად გამოსთქვამს აზრს, რომ „ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური მოთხოვნილების მიზანი იყო ისეთი სახელმწიფო წყობილების შექმნა, რომელშიაც რეალური ძალაუფლება ერთხელ და საბოლოოდ მოექცეოდა დიდგვარიან აზნაურთა ხელში,... ყუთლუ-არსლანის ეს პოლიტიკური პროგრამა იყო შემდგომში განვითარება, მაღალი საფეხური იმ საუკუნოვანი ბრძოლისა, რომელსაც ფეოდალური ოპოზიცია აწარმოებდა მეფის თვითმპყრობელური მიდრეკილების წინააღმდეგ“. აკად. ნ. ბერძენიშვილმა ეს მოსაზრება იმდენად უდავოდ მიიჩნია, რომ „საქართველოს ისტორიის“ დამხმარე სახელმძღვანელოში შეიტანა [1].

ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა, დიდგვარიანი ფეოდალების მიერ სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ მოწყობილ მოძრაობად მიიჩნია პროფ. გ. სოსელიამ. ამასთანავე იგი გაფიცულთა პროგრამას, რომელიც მსხვილი ფეოდალების სასარგებლოდ მეფის ხელისუფლების შეზღუდვას მოითხოვდა, რეაქციულად თვლიდა [2].

ყუთლუ-არსლანი თავისი წარმომავლობით დიდგვაროვან ფეოდალად, კერძოდ, ჯაყელთა საგვარეულოს წარმომადგენლად ჰყავს მიჩნეული პ. ინგოროყვას [3]. ყუთლუ-არსლანს ჯაყელად მიიჩნევს ისტ. მეცნ. კანდ. ნ. შოშიაშვილი [4].

---

[1] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ვ. დ ო ნ ღ უ ა, მ. დ უ მ ბ ა ძ ე, და სხვ., საქართველოს ისტორია, თბ., 1958, გვ. 197.

[2] გ. ს ო ს ე ლ ი ა, ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამის შესახებ. მ. გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგ. ინსტიტუტის შრომები, X—XI, 1958, გვ. 95.

[3] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, რუსთველიანას ეპილოგი, თხზ., ტ. I, გვ. 596—601.

[4] ნ. შ ო შ ი ა შ ვ ი ლ ი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, კრებ. შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 1966, გვ. 7—77.

ეს შეხედულება და მისი პ. ინგოროყვასეული დასაბუთება, ჩვენი აზრით, სრულიად საფუძვლიანად აქვს გაკრიტიკებული პროფ. შ. მესხიას[1] და ამჯერად მასზე აღარ შევჩერდებით. დავძენთ კი, რომ შემთხვევითი არ უნდა იყოს ორბელთა ამბოხების ჩაქრობის შემდეგ ყუთლუ-არსლანის აღზევება ნაყივჩაყარ ყუბასართან, აზნაურის ყოფილ ვასალ აფრიდონთან და როგორც ვარაუდობენ, ასევე არამაღალი საზოგადოებრივი წრეებიდან გამოსულ ჭიაბერთან ერთად. სწორედ ორბელთა ამბოხების ჩაქრობის შემდგომ დადგა პერიოდი, როცა მაღალ სამოხელეო თანამდებობებზე გზა გაეხსნათ დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენლებსაც. სწორედ ერთი ამათთაგანი იყო ე. წ. „სიმდიდრით ამაღლებული“ ყუთლუ-არსლანი, რომელიც საქალაქო წრეების ზედაფენებიდან იყო გამოსული და თავისი ახალი თანამდებობითაც კვლავ მათთან კავშირში იმყოფებოდა.

ისტორიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება (ს. ერემიანი) ყუთლუ-არსლანის ყივჩაყთა სამხედრო ფეოდალური ზედაფენიდან გამოსულობის შესახებ, თუმცა ამ მოსაზრებას აკლია დასაბუთება, რადგან ჩვენს და ამ მოსაზრების ავტორის ხელთ არსებული წყაროები ამის შესახებ არაფერს გვეუბნებიან. ერთადერთი თვით სახელის „ყუთლუ-არსლან“ არაქართული, არამედ თურქული წარმომავლობაა მოტივი. მაგრამ როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილმა მიუთითა თავის დროზე, უცხოური წარმოშობის სახელების მიხედვით ამა თუ იმ პირის ეროვნების განსაზღვრა უმართებულოა[2].

არაქართული წარმოშობის სახელები (არაბული, თურქული, ირანული) საკმაოდ გავრცელებული ყოფილა შუა საუკუნეების საქართველოში, მაგრამ ამის მიხედვით ამ სახელის მატარებელ პირთა ეროვნება არ განისაზღვრებოდა. ჩვენ არაერთი საბუთი გვაქვს იმისა, რომ თვით ქართველ საეკლესიო პირებსაც კი ზოგჯერ სახელები არაქართული ერქვათ[3].

---

[1] იხ. შ. მ ე ს ხ ი ა, თამარ მეფე (ხელნაწერი) გვ. 201—207.

[2] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკ. II, გვ. 159.

[3] ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, მასალები იერუსალმისი ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962.

ამდენად, უცხოური სახელის გამო ყუთლუ-არსლანის არ ქართველად, კერძოდ, ყივჩაღად მიჩნევა საფუძველმოკლებულია.

რამ გამოიწვია აზრთა ასეთი სხვადასხვაობა მეცნიერთა შორის? ამ გამოსვლის შესახებ ჩვენ ერთადერთი ცნობა მოგვეპოვება თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში. აზრთა სხვადასხვაობა არსებითად ამ ცნობის სხვადასხვაგვარმა გაგება-შეფასებამ განაპირობა.

მოვიყვანთ მთლიანად ამ ცნობას: „... და ბრძოლამყოფთა ჭელისუფლობისა და დიდებისათჳს ურთიერთს დაუწყეს ზიდვა.

და ესეცა უცხო მოსაგონებელი: ყუთლუ-არსლან, ცხოვარმან ჯორის სახედ ორ ბუნებისა მყოფელმან, ვითარ მისცემს ბიჭთა გონებისა მზაკუარება, მომღებელმან წესსა რასამე სპარსთა განაგისსა, ითხოვა კარავი დადგმად ველსა ისანისასა და სანახებსა საღოდებლისასა და თქუა: „დასხდომილნი მუნ შიგა, განმგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი, ვჰკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა; მაშინღა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩუენი“.

ესე ვიეთ საწყენელ იყო — დასასრულისა ჭელმწიფობისა პატრონისასა მიმცემელი — ესრეთ იწყინა და გაიკვირვა, და გაიგონა უკლებელმან გონებითა და საუნჯემან სიბრძნისაგან და მოიღონა ჭელით გდება თავისა მის მოქმედთასა და, თანამზრახველ მყოფელმან ერთგულთა და საკუთართა მისთამან, შეიპყრა ყუთლუ-არსლან, მეჭურჭლეთ-უხუცესი და აწ თავისა თჳსისა ამირსპასალარად და სომხითს სომეხთა მეფისა ადგილსა ლორეს დაჯდომად განმზადებული.

და ვითარცა ცნეს ესე ლაშქართა თანაშეფიცულთა და თანაშემწეთა მისისა მის გზად-გამყუელობისა და უკეთურებისათა, შეიყარნეს და უკუადგეს თამარს, დაადგინეს ახალი სიმტკიცე ყუთლუ-არსლანის გაშუებულობისა და, არა მიშუებისა ვნებად მისსა მეტყუელნი, განემზადნეს ისანისაცა შემობმად. გარნა ვინათგან ჭელი საუფლო და მკლავი მაღალი შემწე და თანამბრძოლ (ექმნებოდა) მბრძოლთა მათ მისთა და მის წილ ამღებელი ჭურისა და ფარისა ეკუეთებოდა ღამხობად წინააღმდგომთა მისთა, ცუდ სამე იქმნა განზრახვა ძათი...

და ამას შინა თამარ, წარმგზავნელმან ორთა საპატიოთა დიოფალთამან, რომელი იყო ერთი ხუაშაქი ცოქალი, დედა ქართლისა ერისთავთ-ერისთავისა რატისი, და ერთი კრავაჲ ჯაყელი, დედა აწ მყოფთა სამძივართა, უბრძანა ფიცით მონდობა და სხჳსა არავისი ბრალობა და მოჰყვეს დიდებულნი ბრძანებასა პატრონისასა და წინაშე მოსრულთა დავრდომით თაყუანის-ცეს, აღიღეს ფიცი პატრონისაგან და მისცეს მათ პირი ერთგულებისა და ნების-მყოფელობისა მათისა“ [1].

აქ მართლაც ყუთლუ-არსლანი „ბიჭად“ ჩანს მოხსენებული („ვითარ მოსცემს ბიჭთა გონებისა მზაკუარება“). ივ. ჯავახიშვილმა მიიჩნია [2], რომ თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულების ანონიმ შემავსებელს ყუთლუ-არსლანის შესახებ უნდა ჰქონდეს ლაპარაკი, როცა ამბობს: „და დაუდგრომელმან წესსა ზედა თჳსსა, ვითარ ჩუეულება აქვს ყრმათა ადრე აღზუაებად სიდიდისა მიერ, და უფროსღა გუარითა უაზნოთა აღამაღლებს სიმდიდრე“ [3]. ასევე აკად. ივ. ჯავახიშვილმა დაასაბუთა [4], რომ „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლაზე უნდა მიგვანიშნებდეს, როცა გადმოგვცემს: „და კუალად ამისთჳს არა უდებებდა, რათა არა მოცლილთა განსუენებად სიჩუკნედ განსცენ თავი და სხუათა განზრახვათა დამოეკიდნენ, ვითარცა სიმდიდრითა ალაღებულთა“ [5].

ყოველივე ზემოთ მოტანილი წყაროებიდან, ჩვენს ისტორიულ ლიტერატურაში არსებული მოსაზრება — ყუთლუ-არსლანის დიდგვაროვან აზნაურთა წრიდან წარმომავლობის შესახებ, არ დასტურდება. პირიქით, ამ ცნობათა მიხედვით

---

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 30—32.

[2] იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკ. II, თბ., 1929, გვ. 160.

[3] ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 30—31 (სქოლიო).

[4] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 160.

[5] ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 131. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება გაიზიარა ნ. მარმა (იხ. მისი, Грузинские приписки греческого Евангелия из Коридии, Изв. Имп. АН № 4,1911, стр. 216.).

ყუთლუ-არსლანი დაბალი სოციალური წარმოშობის ყოფილ უნდა იყოს.

ამგვარად, საქართველოს სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებულთა ბელადი ყუთლუ-არსლანი დაბალი სოციალური წარმოშობის პირი იყო, მან თავისი დამსახურების წყალობით სამეფო ხელისუფლებისგან მაღალი თანამდებობა — მეჭურჭლეთუხუცესობა მიიღო.

რა სოციალური შემადგენლობისა იყო ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასი? მართებულად შენიშნა პროფ. შ. მესხიამ იმ ავტორთა მოსაზრების მცდარობა, რომლებიც ყუთლუ-არსლანის მოძრაობაში მხოლოდ დიდგვარიანთა გამოსვლას ხედავენ, მხედველობაში არ იღებენ იმდროინდელი საქართველოს ქალაქების სოციალურ-ეკონომიურ განვითარებას და ამგვარად, აპრიორულად გამორიცხავენ საქალაქო ფენების მონაწილეობას ამ მოძრაობაში. პროფ. გ. სოსელია მიიჩნევს, რომ იმდროინდელი საქართველო მზად არ იყო ამგვარი მოძრაობისთვის. ამის ერთ-ერთ მიზეზად საქალაქო ცხოვრების განუვითარებლობასა და ვაჭარ-ხელოსანთა ფენის ე. წ. მესამე წოდების არ არსებობას ასახელებს [1]. დღესდღეობით, როცა ფეოდალური საქართველოს ქალაქები ასე თუ ისე შესწავლილია, მათი სოციალ-ეკონომიური სახისა, თუ საქალაქო წესწყობილების შესახებ ამგვარი შეხედულება აშკარად მოძველებული და ამდენად მიუღებელიცაა.

შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ამ ახალ გამოსვლას სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ სათავეში უდგას სწორედ მეჭურჭლეთუხუცესი, რომლის სახელოს, „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით შეადგენდა: „ძველნი ქალაქნი, ვაჭარნი, სავაჭრო, რაც მეფისაა, სადაც წავა ანუ მოვა; და რაც სალაროს ოქროს ჭურჭელი, ანუ ვერცხლისა, საჭმარებლად სანიადაგოდ არ უნდა... საჭურჭლის ნაცვალი, მუქიფი, მუშრიბი, ქალაქის ამირანი, მეჭურჭლენი ქალაქისანი და თვთ დარბაზს მყოფი მეჭურჭლენი მისისა ჭელისა არიან“ [2].

[1] გ. სოსელია, ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამის შესახებ, სოხუმის სახელმწ. პედაგოგ. ინსტიტუტის შრომები, X — XI, 1959, გვ. 91.

[2] ჭელმწიფის კარის გარიგება, ქართული სამართლის ძეგლები, პრი ; ი. სურგულაძის გამოცემა, თბ., 1970, გვ. 39.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამდენად ყუთლუ-არსლანი თავისი თანამდებობითა და წარმოშობითაც საქალაქო წრეებთან იყო დაკავშირებული. არ შეიძლება გაუთვალისწინებელი იქნეს შევსებული „ქართლის ცხოვრების“ ცნობა — „გვარითა უაზნოთა აღამაღლებს სიმდიდრე“ — რომელიც სწორედ ყუთლუ-არსლანსა და მისი პოლიტიკური დასის წევრებს უნდა შეეხებოდეს. აკად. ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ სწორედ ეს „სიმდიდრით ამაღლებულნი“ უნდა იგულისხმებოდნენ თამარის მეორე ისტორიკოსის მიერ ხსენებულ „სიმდიდრით ალაღებულთა“ ქვეშ. ეს ის ხალხია, რომელნიც „ერთი-ერთისა მტერობად მოიცლიდეს და ბრძოლად, ვითარ ყვესცა ვიეთმე დაწყებასავე ამისსა მეფობისასა მისვე დრკუსა ძირისა ნაყოფთა ლიპარიტეთთა...“[1]. „სიმდიდრით ალაღებულნი“ და „ამაღლებულნი“ ქალაქის მოსახლეობის ზედა ფენიდან გამოსული — მსხვილი ვაჭრები და ამ წრიდან დაწინაურებული პირები უნდა იყვნენ[2].

აკად. ივ. ჯავახიშვილი ხაზს უსვამს, რომ ყუთლუ-არსლანის დასის შემადგენლობა, როგორც დაბალი სოციალური წარმოშობის წრეებისაგან („სიმდიდრით ალაღებულთაგან“), ისე სამეფო ხელისუფლების მიერ ყუთლუ-არსლანივით აღზევებლებით განისაზღვრებოდა[3].

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ დიდგვარიან აზნაურებს ამ მოძრაობაში მონაწილეობა არ მიუღიათ[4], თუმცა მეფის ხელისუფლების შეხლუდვის მოსურვენი ისინიც იყვნენ. ამის მტკიცებას საბუთიანობა აკლია. მიგვაჩნია, რომ არ არის გამორიცხული აჯანყებაში ფეოდალური არისტოკრატიის მონაწილეობაც. მხედველობაშია ფეოდალთა ის ნაწილი, რომელიც თავისი საქმიანობით ახლოს იყო საქალაქო წრეებთან და ინტერესე-

---

[1] ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 131.

[2] შ. მ ე ს ხ ი ა, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962, გვ. 106.

[3] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკ. II. გვ. 162.

[4] იხ. ვ. ა ბ ა შ მ ა ძ ე, XII საუკუნის ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, კრებ., XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1968, გვ. 332.

ბიც თანხვედრილი ჰქონდათ [1]. ამასთანავე მხედველობიდან ეს უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ „ისტორიანი და ახმახი შარავანდედთანი“ პირდაპირ მიგვანიშნებს გამოსვლის მონაწილეთა ნაირფეროვან შემადგენლობაზე (ალბათ ეს ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამის სიფართოვემ განსაზღვრა). კერძოდ, სხვათა შორის მონაწილეობდნენ „დიდებულნი“ და „ლაშქარნი“, რომელთა შემადგენლობა სხვადასხვაგვარი იყო. მოვიყვანთ აკად. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას ამ საკითხის შესახებ: „დიდებულნი... ხელისუფალ აზნაურთა და დიდ მოხელეთა წრეს შეადგენდნენ. მაშასადამე, ამ წრის სადაურობა-წარმოშობილობა ერთნაირი არ ყოფილა. ...ზოგი გვარიან აზნაურთა წოდების წევრი იყო, ზოგი უაზნოთა წრითგან აღზევებული იყო. ამაზე უფრო ძნელი გამოსარკვევია... ტერმინის „ლაშქართა“ სოციალური შინაარსი. „ლაშქარი“ თუ ჯარსა ნიშნავდა, „ლაშქარნი“ კიდევ რაინდობას... ხოლო ჯარშიაც და რაინდობაშიაც მაშინ მარტო ერთი სოციალური წრე არ შედიოდა“ [2].

ამგვარად, თუ კი ყოველივე ამას — წყაროებსა და ისტორიულ ლიტერატურას შევაჯერებთ იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის სოციალური შემადგენლობა ერთგვაროვანი არ ყოფილა. მასში ჩვენ ვხედავთ მოქალაქეთა ზედა ფენების წარმომადგენლებსა და ფეოდალურ არისტოკრატიასაც — საზოგადოების იმ ფენებს, რომლებიც მოცემული პოლიტიკური პროგრამის განხორციელებაში თავის უფლებათა შემდგომ გაფართოებას ხედავდნენ [3]. არსებითი როლი ამ მოძრაობაში მოქალაქეთა ზედა ფენას ეკუთვნოდა.

---

[1] შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 107.

[2] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკ II, გვ. 164.

[3] გერმანელი მეცნიერი ფ. ჰ ო ლ დ ა კ ი ეხება რა ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლას, მას მსახურთა (die Msahuren) მოძრაობად მიიჩნევს ფეოდალთა ყოვლისშემძლეობის წინააღმდეგ. ჩვენთვის ძნელი გასაგებია თუ კონკრეტულად ვის გულისხმობდა გერმანელი მეცნიერი ტერმინ „Msahuri“-ის ქვეშ, მაგრამ ის კი ნათელია, რომ იგი ფეოდალთა წინააღმდეგ დაბალი სოციალური ფენების გამოსვლად თვლიდა მას. (F. Holidack, Von der Sage und dem Reich der grusinischen Königin Tamara, Leipzig, 1906, გვ. 60—61).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა იყო ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის გამოსვლის მიზეზი? რაკი ზემოთ უკვე განვსაზღვრეთ ამ პოლიტიკურ მოძრაობაში მონაწილეთა სოციალური შემადგენლობა, შეიძლება გარკვეული დასკვნა მის გამომწვევ მიზეზებზეც გავაკეთოთ.

თამარ მეფის დროის დიდგვაროვან ფეოდალთა პირველი გამოსვლა დავით აღმაშენებლისა და გიორგი მესამის პოლიტიკური რეჟიმის შეცვლის მიზეზით მოხდა. ეს რეჟიმი საშუალებას აძლევდა ცალკეულ დაბალი სოციალური წარმოშობის პირებს თავისი დამსახურების წყალობით დიდ სამოხელეო თანამდებობებზე დაწინაურებულიყვნენ, რაც დიდგვაროვან აზნაურთა უკმაყოფილებას იწვევდა, და ამან თავისი ვამოხატულება ფეოდალთა მეფის ხელისუფლების პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ გამოსვლაში ჰპოვა.

ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური გამოსვლის არსებით მიზეზად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ ამ მოძრაობამდე ფეოდალთა გამოსვლა მიმართული იყო უგვაროთა, დაბალი სოციალური ფენებიდან გამოსული და შემდგომ დაწინაურებული პირების წინააღმდეგ, რომელთა წარმომადგენელიც თვით ამ დასის ბელადი ყუთლუ-არსლანი იყო (და შეიძლება საქალაქო მაღალი წრეების ბევრ წარმომადგენლებს მომავალში დაწინაურების იმედიც ჰქონდათ). ე. ი. ბოლო ეღებოდა სამეფისკარო პროგრესულ პოლიტიკურ რეჟიმს. ამჯერად ყუთლუ-არსლანი და ზოგიერთი სხვა დაბალი სოციალური ფენებიდან დაწინაურებულები გადაურჩნენ ამ რისხვას და ყუბასარისა და აფრიდონის მსგავსად ამ გამოსვლის მსხვერპლი არ გახდნენ. აკად. ივ. ჯავახიშვილი მოსწრებულად მიუთითებს, რომ ყუთლუ-არსლანი აჯანყებული დიდგვარიანი ფეოდალებისათვის „საძულველი არ ყოფილა და ჭიაბერივით მასაც თავი დიდგვარიან აზნაურთა მრისხანებისაგან უზრუნველუყვია: „ცხვარივით იგი მშვიდ და უვნებელ ადამიანად მოსჩვენებიათ“ [1]. მაგრამ ალბათ საქართველოს სამეფოს მეჭურჭლეთუხუცესი და მისი „თანაშეფიცულები“ ასე არ ფიქრობდნენ. მათი რწმენით, ალბათ მოვიდოდა ჟამი,

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგ. II, ნაკ. II, გვ. 162.

როცა მათი ჯერიც დადგებოდა და ვითარცა დაბალ-ფეოდალური ფენებიდან გამოსულებს იძულებულს გახდიდნენ თანამდებობები დაეტოვებინათ. ამდენად დიდგვაროვან ფეოდალთა ერთგვარმა წარმატებებმა სამეფო ხელისუფლებასთან ბრძოლაში, მოქალაქეთა ზედაფენასაც ბრძოლის განახლების სტიმული მისცა. საქალაქო თვითმმართველობაში XII საუკუნის 20-იანი წლებიდან უფლებადაკარგულ მოქალაქეთა ზედაფენებში („მესამე წოდება"), როგორც ჩანს, კვლავ ცოცხლობდა მათი ინტერესების გამომხატველი რესპუბლიკური იდეები [1]. ყოველივე ამან კი თავი იჩინა გარკვეულ მომენტში და სერიოზულ პოლიტიკურ მოძრაობაში გადაიზარდა.

ამგვარად, აჯანყება ძირითადად მოქალაქეთა ზედა ფენების ინტერესებს შეესაბამებოდა, მაგრამ ეს ინტერესები გარკვეულ საფეხურზე თანხვდებოდა დიდგვაროვან ფეოდალთა ინტერესებს, რადგან მათი მიზანი ზოგადად ერთი იყო — სამეფო ხელისუფლების შეზღუდვა. ამდენად გასაგები ხდება ამ მოძრაობაში მოქალაქეთა გარდა სხვა სოციალური ფენების, კერძოდ, ფეოდალური არისტოკრატიის მონაწილეობა.

საგულისხმოა, ის გარემოებაც, რომ პოლიტიკური გამოსვლის ბელადი ყუთლუ-არსლან მეჭურჭლეთუხუცესი მოძრაობის დაწყების მომენტისათვის გამზადებული იყო ყუბასარის ნაცვლად ამირსპასალარის სახელოს მისაღებად, („ამირსპასალარად და სომხითს სომეხთა მეფისა ადგილსა ლორეს ღაჯდომად განმზადებული") [2] შესაძლოა ამ საქმეშიც გარკვეული დაბრკოლება შეხვდა მას და კიდევ ერთი ბიძგი მისცა გამოსვლისათვის.

რა მიზანს ისახავდა ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა? რას ითვალისწინებდა ამ მოძრაობის პოლიტიკური პროგრამა? ყუთლუ-არსლანის პროგრამა კონსტრუქციული ხასიათისა იყო.

---

[1] ვ. აბაშმაძე, XII ს. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, კრებ., XII ს. საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1968, გვ. 332.

[2] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 31.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი მოითხოვდა, რომ სამეფო კარის გვერდით სრულიად ახალი დაწესებულება შექმნილიყო — „კარავი“, რომელიც სამეფო ხელისუფლებისაგან სრულიად დამოუკიდებელი იქნებოდა („ითხოვა კარავი დადგმად ველსა ისანისასა და სანახებსა საღოდებლისასა“)[1] შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ კარვის დადგმა ყუთლუ-არსლანმა სწორედ ისნის ველზე მოითხოვა, ე. ი. სამეფო სასახლის მახლობლად. ეს მომენტი, თავის მხრივ, ხაზს უსვამდა მეფესთან და მის კართან „კარაველთა“ დაპირისპირებას. არსებითი კი ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკურ პროგრამაში ის იყო, რომ „კარაველები“ სახელმწიფო ხელისუფლების მმართველობის ძირითადი სადავეების ხელში აღებას ითხოვდნენ. აი როგორ წარმოედგინათ მათ „კარავის“ როლი: „დასხდომილნი მუნ შიგა განმგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი, ვჰკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა: მაშინღა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩუენი“[2]. როგორც ამ ოფიციალური მოთხოვნიდან ჩანს, გაფიცულები იბრძოდნენ საკანონმდებლო უფლებებისათვის, მათ უნდა განეგოთ ქვეყნის ყველა მნიშვნელოვანი საკითხი: „მიცემისა და მოღებისა“ და „წყალობისა და შერისხვისანი“ (აქ უნდა იგულისხმებოდეს სხვადასხვა სამოხელეო თანამდებობების წყალობა და საჭიროების შემთხვევაში დამნაშავე თანამდებობის პირთა დასჯა, ე. ი. უზენაესი მართლმსაჯულების უფლება).

საქართველოს მეფეს „კარავის“ მუშაობაში მონაწილეობა არ უნდა მიეღო, საქმეების გარჩევაში არ უნდა ჩარეულიყო. ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამის მიხედვით მას მხოლოდ გადაჭრილ („განგებულ“) საკითხებს აცნობებდნენ.

რაღაში იყო მეფის როლი? წამოყენებული პროგრამის მიხედვით, „კარავში“ გადაწყვეტილი საკითხი („განგებული ჩუენი) მეფეს სისრულეში უნდა მოეყვანა, „სრულ ექმნა“. ამდენად, ყუთლუ-არსლანის დასის მიერ წამოყენებული პოლიტიკური პროგრამა საქართველოს მეფეს მხოლოდ აღმასრულებელ უფლებებს უტოვებდა.

---

[1] იქვე.
[2] იქვე.

ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო წყობილებისთვის დამახასიათებელი იყო მეფის სათათბირო ორგანო ე. წ. „დარბაზი“ [1]. აქ საქართველოს სამეფო სახლის მეთაური სხვადასხვა სახელმწიფოებრივ საკითხებზე ეთათბირებოდა საერო და სასულიერო წოდებათა მაღალი თანამდებობების წარმომადგენლებს. „დარბაზობის“ მოწვევა, ე. ი. „დარბაზის ერის“ შეკრება საქართველოს მეფის ვალდებულებას არ შეადგენდა. ეს უფრო მეტად საჭიროების შემთხვევაში ხდებოდა და მისი მოწვევაც ძირითადად მეფის სურვილზე იყო დამოკიდებული.

ყუთლუ-არსლანის პროგრამის მიხედვით „დარბაზისაგან“ არსებითად განსხვავდებოდა „კარავი“, რადგან ეს უკანასკნელი უნდა ყოფილიყო არა სათათბირო და ერთდროული ორგანო, არამედ მუდმივი დაწესებულება ჩამოყალიბებული საკანონმდებლო უფლებებით [2].

---

[1] ქართული სახელმწიფო დარბაზი და მასთან დაკავშირებული საკითხები შესწავლილი და გამოკვლეული აქვს აკად. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს (იხ. მისი, ქართული სამართლის ისტორია, II, თბ., 1929, აგრეთვე, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, ამ უკანასკნელ ხანს პროფ. ა. კ ი კ ვ ი ძ ე მ დაბეჭდა გამოკვლევა „ქართული სახელმწიფო დარბაზი და მისი ადგილი „ვეფხისტყაოსანში“ (კრებ., XII ს. საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1965).

[2] ქართული სახელმწიფო დარბაზი“ და განსაკუთრებით „კარავის“ ჩამოყალიბება-დაარსების პროგრამა მეტად ორგინალური და საინტერესო მოვლენებია ფეოდალური საქართველოს სინამდვილეში. ვფიქრობთ, უპრიანი იქნებოდა მათ შესახებ ფართო მასშტაბის (საერთაშორისო დონეზე) აუდიტორიის წინაშე მოთხრობა. მით უმეტეს, რომ 1936 წლიდან არსებობს საგანგებო კომისია, („La commision internationale pour L'istoir des assamblees d'états“. 1950 წელს პარიზის ისტორიულ მეცნიერებათა IX საერთაშორისო კონგრესზე დაზუსტდა ამ კომისიის სახელწოდება ინგლისურ ენაზე: „Representative and parlamentary institutions“ — საპარლამენტო და წარმომადგენლობითი დაწესებულებების ისტორიის კომისია), რომელიც ამზადებს მოხსენებებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლობითი და საპარლამენტო დაწესებულებების ისტორიის შესახებ და წარმოადგენს მსოფლიო ისტორიულ კონგრესებზე. მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიური პრინციპებით დამუშავებული ანალოგიური საკითხების გამომზეურება ჩვენს ისტორიკოსთა საპატიო საქმედ უნდა ჩაითვალოს, მით უმეტეს, რომ ამის მოთხოვნილება რეალურად არსებობს (იხ. Л. В. Черепнин, История представительных и парламентских учреждений в средние века., сб. Средние века, 34, М., 1971, გვ. 60 — 65).

ვახუშტი ბაგრატიონს მართებულად აქვს შეფასებული ეს მოვლენა, როცა ამბობს: „ყუთლუ-არსლან... კვალად ინება ყოვლისა საქმისა თვით განგებად და მერმე თამარის მოხსენებად და ენებოს თუ არა ენებოს, თაჰარმა დაამტკიცოს“ [1]. ასე რომ, ვახუშტის მიხედვით თამარ მეფის (და საერთოდ მეფის) როლი სახელმწიფოში მოცემული პროგრამის მიხედვით არარაობამდეა დასული „ენებოს თუ არა ენებოს“ მეფემ მაინც უნდა აასრულოს „კარავის“ ყველა გადაწყვეტილება.

ამგვარად, ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის მიერ წამოყენებული პროგრამა საქართველოს მეფის უფლებების საფუძვლიან შეზღუდვას ითვალისწინებდა, ართმევდა განმკარგულებელის როლს და მხოლოდ აღმასრულებლობით დანიშნულებას უტოვებდა. ამასთანავე განმკარგულებლობითი უფლებები ფუნქციონალურად მთლიანად უნდა გადასულიყო „კარავის“ ხელში. ასეთი მკვეთრად რევოლუციური პროგრამა, რომელმაც სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების საკითხი დააყენა, მანამდე უცხო იყო ფეოდალური საქართველოსათვის. რა გასაკვირია, რომ თამარის პოლიტიკის მომხრე „ისტორიათა და აზმათა“ ავტორი ყუთლუ-არსლანის გამოსვლას უწოდებს „უცხო მოსაგონებელს“, ხოლო თვით აჯანყების მეთაურს ჯორის მსგავსად ორბუნება პიროვნებად მიიჩნევს [2].

საქართველოს სამეფო ხელისუფლება, თვით მეფე, ბუნებრივია, ცნობას ყუთლუ-არსლანის გამოსვლის შესახებ, აღშფოთებით შეხვდნენ, მიიჩნიეს, რომ მისი პროგრამის განხორციელება ხელმწიფობის დასასრულს მოასწავებდა („დასასრულისა და ხელმწიფობისა პატრონისასა მიმცემელი“) [3] სამეფო კარმა გაკადნიერებული მოხელის, ამ შემთხვევაში აჯანყების ბელადის — ყუთლუ-არსლანის ხელში ჩაგდება გადაწყვიტა. თამარს ამის შესახებ თავის ერთგულ პირებთან მოუთათბირე-

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, თბ., 1885, გვ. 197.

[2] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 30.

[3] იქვე, გვ. 31.

ბია და მათი დასტურის შემდეგ შეუპყრია ყუთლუ-არსლან მეჭურჭლეთუხუცესი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ერთ გარემოებაზე. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ მიგვანიშნებს: „შეიბყრა (თამარმა—რ. მ.) ყუთლუ-არსლან, მეჭურჭლეთუხუცესი, და აწ თავისა თვისასა ამირსპასალარად და სომხითს სომეხთა მეფის ადგილსა ლორეს დაჯდომად განმზადებული“[1]. რას უნდა ნიშნავდეს ყუთლუ-არსლანის მზადყოფნა ამირსპასალარად დასაჯდომად? ამირსპასალარის თანამდებობა უფრო მაღალი საფეხური იყო სამოხელეო იერარქიაში, ვიდრე მეჭურჭლეთუხუცესობა და ასეთი სურვილი რომ ყუთლუ-არსლანს ჰქონოდა, აქ გასაკვირი არაფერია მაგრამ ისტორიკოსის მიერ ამ მოვლენის აჯანყებასთან დაკავშირება არ უნდა იყოს შემთხვევითი. აქ შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ყუთლუ-არსლანი გარკვეულ ძალას იყენებდა ამ სახელოს ხელში ჩასაგდებად. და ამიტომაც მისი „ამირსპასალარად და სომხითს სომეხთა მეფის ადგილსა ლორეს დაჯდომად“ გამზადება სწორედ გაფიცვის პარალელურად ხდება. საინტერესოა, რომ ვახუშტი ბაგრატიონი პირდაპირ ხაზგასმით ამბობს: „... ყუთლუ-არსლან მისტაცა სპასალარობა ყუბასარს“[2]. ყუთლუ-არსლანის მიერ ამ თანამდებობის მიტაცების ფაქტი ჩვენს ხელთ არსებულ ისტორიულ წყაროებში არ ჩანს, მაგრამ ის ფაქტია, რომ საქართველოს სამეფოს მეჭურჭლეთუხუცესი ამირსპასალარობის მიღებისათვის იბრძოდა. სწორედ ამ მომენტში თამარის ბრძანებით შეუპყრიათ ყუთლუ-არსლანი.

ყუთლუ-არსლანის დასის წევრებმა („თანაშეფიცულებმა“) ამ ფაქტს შესაბამისი რეაქციით უპასუხეს: „შეიყარნეს და უკუადგეს თამარს“[3], მოითხოვეს თავიანთი ბელადის გამოშვება (განთავისუფლება) უვნებლად. თანაც სამეფო სასახლეზე გასალაშქრებლად მოემზადნენ.

უნდა ვივარაუდოთ, რომ გაფიცულები მრავლად იყვნენ რიცხობრივად. ბუნებრივია, მოქალაქეთა ზედაფენის, ისევე როგორც დიდგვარიანთა წარმომადგენლები, ფართოდ გამო-

---

[1] იქვე.
[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, თბ., 1885, გვ. 197.
[3] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, იქვე.

იყენებდნენ ამ ბრძოლაში მოსახლეობის დაბალ ფენებს, როგორც უშუალო მებრძოლ ძალას. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ თამარ მეფემ გაფიცულებთან შებმას მშვიდობიანი მოლაპარაკება არჩია. ალბათ, აქ ანგარიში გაეწია ყუთლუ-არსლანის დასის სიძლიერეს და ამ რთულ ვითარებაში საქართველოს მეფემ საკითხის დიპლომატიური გზით მოგვარება არჩია: აჯანყებულებს ორი საპატიო „დიოფალი" გაუგზავნა მოსალაპარაკებლად. ესენი იყვნენ ქართლის ერისთავთ-ერისთავის რატის დედა ხუაშაქ ცოქალი და დიდგვაროვანი ფეოდალების სამძივართა დედა კრავაი ჯაყელი. ძველად, როგორც ჩანს, ქალის შუამდგომლობას, მისდამი დიდი პატივისცემის გამო, განსაკუთრებული ფასი ჰქონდა [1]. მანდილოსნებმა მოლაპარაკება დაიწყეს განდგომილებთან. ეს მისია დადებითი შედეგით დამთავრდა. გაფიცულები მეფის სურვილზე გადმოვიდნენ. თუმცა მემატიანე აქვე აღნიშნავს, რომ გაფიცულებმა მეფისაგან ფიცი აიღეს („აღიღეს ფიცი პატრონისაგან"), ხოლო თავის მხრივაც „მისცეს მათ პირი ერთგულობისა და ნების-მყოფელობისა მათისა" [2]. საინტერესოა, თუ რა ფიცი აიღეს გაფიცულებმა პატრონისაგან. ალბათ ეს მათი უვნებლობისა და ხელშეუხებლობის დასტური იქნებოდა და ამასთანავე საფიქრებელია, რომ საქართველოს მეფე გარკვეულ დათმობაზეც წავიდა. ფაქტია, საკანონმდებლო უფლებები მეფეს ხელიდან არ გაუშვია. როგორც მიიჩნევენ, მხოლოდ დარბაზს გაეზარდა უფლებები სახელმწიფო საკითხების გადაწყვეტაში, რადგან ამიერიდან მეფე დარბაზის ერის „ერთნებობითა და თანადგომითა" მიიღებდა სახელმწიფო მნიშვნელობის გადაწყვეტილებებს (ამ საკითხზე ჩვენ ქვემოთ საგანგებოდ შევჩერდებით) [3].

თუ გავაანალიზებთ ყუთლუ-არსლანის დასის მიერ წამოყენებულ პროგრამას, აშკარად დავინახავთ მწვავე კლასობრივ ბრძოლას, რომელიც სამეფო ხელისუფლებასა და მოქალაქეთა შორის არსებობდა, თანაც ეს ბრძოლა პროგრესული პოლიტი-

---

[1] მ. ლორთქიფანიძე, რუსთაველის ეპოქა, თბ., 1966, გვ. 35.

[2] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 32.

[3] ეს დებულება ჩვენს ისტორიოგრაფიაში აღიარებულია და გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს. ამ ბოლო დროს განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა პროფ. შ. მესხიამ, რაზეც ჩვენ შევჩერდებით ქვემოთ.

კური რეჟიმის შეცვლასთან დაკავშირებით გამოცემულ პროგრამაში, როგორც ზემოთაც მივაქციეთ ყურადღება, მოცემულია თანმიმდევრული თეორია სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილებისა[2]. ეს თეორია კი თავისი არსით დაკავშირებულია განვითარებულ ფეოდალურ ურთიერთობებთან იმ ეტაპზე, როცა ახალი, მესამე წოდების ინტერესების შესაბამისი საზოგადოებრივი ურთიერთობები ისახება. სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების თეორია თავისი არსით ანტიფეოდალურია. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს სინამდვილეში მეფესა და ფეოდალებს შორის არსებული ბრძოლის დროს ფეოდალები კატეგორიულად არ აყენებენ სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების წინადადებებს. ძირითადად სამეფო ხელისუფლების შეზღუდვის მოთხოვნით იფარგლებიან.

ამგვარად, ყუთლუ-არსლანის დასის მიერ წამოყენებული პოლიტიკური პროგრამა XII საუკუნის საქართველოსთვის დამახასიათებელი, განვითარებული ფეოდალური ურთიერთობების იდეოლოგიას წარმოადგენდა[3]. ეს იდეოლოგია, რო-

---

[1] ვ. ა ბ ა შ მ ა ძ ე, XII საუკუნის ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, კრებ., XII ს. საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1968, გვ. 328—339.

[2] სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორია, რომელიც ფაქტიურად მესამე წოდების ინტერესებს გამოხატავდა, XVII ს. ინგლისში საინტერესოდ მოგვცა ჯ. ლ ო კ მ ა (იხ. მისი Избранные философские произведения в двух томах, II, М., 1960, გვ. 83 — 84). სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების პრობლემები, რომლებიც სწორედ ანტიფეოდალური ხასიათის მატარებელია, მოგვცეს შ. მ ო ნ ტ ე ს კ ი ე მ (იხ. მისი, О духе законов, Санкт-Петербург, 1900, стр. 156), მ ა ბ ლ ი მ (იხ. История политических учений, под редакции К. А. М о к и ч е в а, М., 1959, стр. 255), ჰ ე გ ე ლ მ ა (იხ. მისი, Философия духа, сочинения, т. III, М., 1956, стр. 321), და სხვ. ჩვენს მიერ დასახელებულ ავტორთა მიერ წამოყენებული სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების პრინციპების კანონზომიერებებთან გარკვეული ნათესაობა აქვს ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკურ პროგრამაში მოცემულ თეორიასაც (იხ. ვ. ა ბ ა შ მ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 337). ამ საკითხზე იხ. აგრეთვე В. Абашмадзе, Учение о разделении государственной власти и его критика, Тб., 1972.

[3] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, თბ., 1971, გვ. 160.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც ზედნაშენი, თავისი ბაზისის (ფეოდალურ ურთიერთობათა რღვევა) შესაბამისად ფეხს იკიდებდა ქვეყანაში და არ იყო შემთხვევითი, რომ მეფის ხელისუფლებამ, რომლის მრწამსს ფეოდალური იდეოლოგია განსაზღვრავდა, ბოლომდე ვერ უგულვებელყო მესამე წოდების ინტერესთა გამომხატველი პოლიტიკური პროგრამა და ყუთლუ-არსლანის დასთან გარკვეული შეთანხმების გზა აირჩია.

როგორც მივუთითეთ, ჩვენს სამეცნიერო ისტორიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ყუთლუ-არსლანის დასმა ე. წ. „თანადგომისა და ერთნებაობის" პრინციპის შემოღებას მიაღწია, რაც იმას ითვალისწინებდა, რომ საქართველოს მეფეს ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მხოლოდ დიდებულებთან მოლაპარაკებისა და თანხმობის შემთხვევაში შეეძლო. ამ დებულების დასაბუთება ხდება თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულების სათანადო ადგილისა[1] და გუნია-ყალის წარწერის[2] შემწეობით. ეს უკანასკნელი მიჩნეულია სახელმწიფო მნიშვნელობის ბრძანების ნიმუშად[3]. მოვიყვანთ გუნია-ყალის წარწერას უკანასკნელი ი. დოლიძისეული რედაქციით: „სახელითა ღმრთისაჲთა, ბრძანებითა ღმრთისა სწორთა თამარის და გიორგისითა, ჭყონდიდელის, ზაქარია, შალვა, ოვსიყმა, ვაჩესითა, ჯულაბაჲს მოჭირვებითა, სანობაჲს ძისა ინაჲსა ჭელითა დაისუა ჭელი ესე ღმრთისა სწორთა მეფეთ-მეფისა გიორგისი" (ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 35). აი ეს წარწერა მიჩნეულია მეფეთა

---

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 32.

[2] გუნია-ყალის წარწერა გამოაქვეყნა გ. ჩიტაიამ და ვ. ბარდაველიძემ (იხ. მათი, ქართული ხალხური ორნამენტი, I, 1939, გვ. 19). შემდეგ ნ. ბერძენიშვილმა (იხ. მისი, მიწათმფლობელობის ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, 1966, გვ. 160), ა. ბაქრაძემ (იხ. მისი, XIII ს. წარწერა გუნია-ყალიდან, მუზეუმის მოამბე, XVII წ., 1953, გვ. 219—220), ი. დოლიძემ (იხ. ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 35).

[3] იხ. პ. ინგოროყვა, რუსთველიანას ეპილოგი, ტ. I. გვ. 568—569. ნ. ბერძენიშვილი, მიწათმფლობელობის ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 163, შენ. 61 და სხვ.

და ვაზირთა სახელით გამოცემულ ბრძანებად და, როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფო მმართველობაში „დიდებულთა ერთნადგომისა და ერთნებობის“ დამდასტურებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭიროდ ვთვლით შევნიშნოთ, რომ ამ ბოლო დროს გამოითქვა საწინააღმდეგო მოსაზრება. პროფ. შ. მესხიამ მიმოიხილა რა დაწვრილებით გუნია-ყალის წარწერა, მიიჩნია, რომ იგი „დიდებულთა ერთნებობისა და თანადგომის“ ფორმულის დამტკიცებისათვის არგუმენტად არ გამოდგება[1]. აწგანხილული მეცნიერი აღნიშნავს, რომ მსგავსი წარწერები მეფეთა და მის მოხელეთა სახელით გაკეთებული სხვაც მოიპოვება. მაგრამ მოხელეთა მოხსენება ამა თუ იმ აქტის დამოწმებაში, არავის მიუჩნევია მეფის ხელისუფლების შეზღუდვის დამამტკიცებლად. ამ თვალსაზრისით საინტერესოა გიორგი მესამის დროინდელი აღარწინის სომხური წარწერა, რომელიც სომეხმა ისტორიკოსებმა (ს. ჯალალიანცი, მ. ბარხუდარიანი, კ. კოსტანიანცი და სხვ.) არაერთგზის გამოსცეს. ეს წარწერა ორჯერ გამოსცა პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგმა და წინააღმდეგ ადრე გამოთქმული მოსაზრებისა, იგი 1184 წლით დაათარიღა. აი მის მიერ წაკითხული წარწერის ტექსტი: „სომეხთა წელთაღრიცხვის 633 (1184) წელს, მეფობასა შინა აფხაზთა გიორგისა, მამამთავრობასა სომეხთა უფლისა გრიგორისისა, მე ხაჩატურ მოძღვარმა და სუქიასმა განვაახლეთ წმიდა გრიგოლის ეკლესია მეფისა და მის დიდებულ მთავართა — სარგის ამირსპასალარისა, ანტონ ჭყონდიდელისა, ელბეკისა და სხვათა ბრძანებით“[2]. პროფ. შ. მესხიამ დააზუსტა ეს წარწერა — სარგის ამირსპასალარის ნაცვლად უნდა წავიკითხოთ სარგის ამირა[3]. მართლაც, სხვას რომ თავი დავანებოთ, სარგისი, რომელმაც ამირსპასალარობა 1185 წელს მიიღო, ამ ტიტულით 1184 წელს, ბუნებრივია, არ მოიხსენებოდა. პროფ. ს. ერემიანმა ეს ადგილი წაიკითხა,

---

[1] შ. მ ე ს ხ ი ა, თამარ მეფე (ხელნაწერი), გვ. 111.

[2] ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი, „ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი“ და მათი ვინაობა, თბ., 1928, გვ. 210. შდრ. С. Т. Еремян, Агарцинская надпись 1184 г.—Сборник в честь акад. И. А. О р б е л и, 1965, გვ. 82—83.

[3] შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 112.

როგორც „ამირ-ქურდი“, რაც ასევე გაუმართლებელია. არც ერთ გამომცემელს წარწერაში ამგვარი რამ არ წაუკითხავს. თვით ამირ-ქურდი, რომელსაც ს. ერემიანი ვარაუდობს, გიორგი მესამის მიერ განდევნილი იყო საქართველოდან 1177-78 წწ. ამდენად შეუძლებელია მას 1184 წელს სამეფო კარზე რაიმე დიდი თანამდებობა ჰქონოდა. ასე რომ, პროფ. შ. მესხიას დასკვნა, „ამირას“ ტიტულის სარგისზე მიკუთნების შესახებ მართებული უნდა იყოს. ალბათ ამირსპასალარის სახელის მიღებამდე სარგისი მხოლოდ ამირა იყო.

ამგვარად, აღარწინის წარწერის მიხედვით, ბრძანების (წმ. გრიგოლის ეკლესიაზე სახასო ქვეყნიდან რამდენიმე სოფლის ბოძების შესახებ) ავტორებად გიორგი მესამესთან ერთად ჩანან ჭყონდიდელი ანტონი, ამირა სარგისი და ელიბეკი. ე. ი. ანტონის გარდა, რომელიც ვაზირი იყო, ადგილობრივი ფეოდალები (საქვეყნოდ გამრიგენი) არიან. როგორც ჩანს, ბრძანების გაცემა (ამ შემთხვევაში მიწების ბოძების შესახებ) მეფისა და მისი ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა მითითებით ხდებოდა [1]. ალბათ, ბრძანების ამგვარი სახით გაცემა ფეოდალური საქართველოსთვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ეს წესი ერთნაირ მოქმედებაში იყო როგორც გიორგი მესამის, ასევე თამარის დროსაც. ისე როგორც აღარწინის „ბრძანება“ არ გამოდგება გიორგი მესამის ხელისუფლების შეზღუდვის დამადასტურებელ დოკუმენტად, ასევე არ გამოდგება გუნია-ყალის „ბრძანებაც“ თამარის სამეფო ხელისუფლების დიდებულთა მიერ შეზღუდვისა და არც „დიდებულთა თანადგომისა და ერთნებობის“ ფორმულის მნიშვნელობის გასარკვევად (შ. მესხია).

ახლა „ისტორიანსა და აზმანში“ მოხსენებული „თანადგომისა და ერთნებაობის“ შესახებ. ეს გამოთქმა მხოლოდ თამარის პირველ ისტორიკოსთან გვხვდება და თანაც სულ ორჯერ: აქედან ერთი გიორგი მესამის მოღვაწეობის ბოლო წლის მოვლენასთან დაკავშირებით, ხოლო მეორედ თამარის მეფობის დასაწყისში, პირველივე წელს. თუ კი მხოლოდ ამ გამოთქმით ვიხელმძღვანელებთ, ვნახავთ, რომ „ერთნებაობა და თა-

[1] შ. მ ე ს ხ ი ა, თამარ მეფე (ხელნაწერი) გვ. 114.

ნადგომა“ გიორგი მესამის მეფობისთვისაც არის დამახასიათებელი. ასე რომ, მისი მიჩნევა თამარის ეპოქაში შემოღებულად, არ იქნება სწორი.

განვიხილოთ უფრო კონკრეტულად. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ხაზგასმით მიგვანიშნებს, რომ გადაწყვიტა რა გიორგი მესამემ თამარის თავის სიცოცხლეშივე სამეფო ტახტზე დასმა „განრჩევითა და გამორჩევითა, განგებითა და გაგონებითა ზენისა მის ხუედრისა შარავანდედთა მნებებელისათა მეფე ყო თამარ, თანადგომითა ყოველთა პატრიარქთა და ებისკოპოსთა, დიდებულთა იმიერთა და ამიერთა ვაზირთა და სპასალართა და სპასპეტთა“[1] ამდენად, გიორგი მესამემ თამარი გაამეფა დიდებულებთან გარკვეული მოთათბირების შემდეგ საერო და სასულიერო ფეოდალების „თანადგომით“. ასე რომ, „თანადგომის“ ფორმულა, როგორც მართებულად შენიშნავს შ. მესხია, თამარის დროს სამეფო ხელისუფლებაში მომხდარი ცვლილებების დასახასიათებლად არ გამოდგება, რადგან ის ჯერ კიდევ გიორგი მესამის დროსაც ყოფილა მოქმედებაში[2]. ამასთანავე არ არის გამორიცხული, რომ „გარჩევასა და გამორჩევას“, „თანადგომას“ არსებითად ადგილი არ ჰქონია. თუნდაც ის ფაქტი, რომ ასეთი „გარჩევითა და გამორჩევით“, „დიდებულთა თანადგომით“ გადაწყვეტილი თამარის გამეფება გიორგი მესამის გარდაცვალებისთანავე დიდგვაროვანმა ფეოდალებმა საცილობელი გახადეს და მისი ხელახლა მეფედ კურთხევა მოინდომეს, ნათლად მიგვითითებს ამ ტერმინთა ნამდვილ შინაარსზე. როგორც ვხედავთ, „თანადგომა“ არსებითად ზოგადი ფრაზაა და მის მიხედვით რაიმე დასკვნის გაკეთება გიორგი მესამის დროს სამეფო ხელისუფლების შეზღუდვის შესახებ, უმართებულოა. საქმე ისაა, რომ ამ ფორმულის შინაარსი არც თამარის მეფობისას შეცვლილა, ყოველი შემთხვევისთვის ამის სავარაუდებლად ჩვენ საფუძველი არ გაგვაჩნია. როცა თამარის პირველი ისტორიკოსი მიმოიხილავს მოხელეთა დანიშვნის საკითხს, თამარის გამეფების პირველსავე წელს, აღნიშნავს:

---

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 21.

[2] იქვე, გვ. 32.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გამორჩევასა შინა ორთა-ვაზირთა და სპასპეტთასა, — თანადგომითა და ერთნებაობითა შვიდთავე სამეფოთა დიდებულთათა ბრძანა დამტკიცებად ჭყონდიდლად და მწიგნობართუხუცესად და ვაზირად ანტონი“... და ა. შ. აი, მეორე შემთხვევა, როცა „თანადგომისა და ერთნებაობის“ პრინციპია ნახსენები. პროფ. შ. მესხიამ ყურადღება მიაქცია, რომ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ მხოლოდ ანტონის ვაზირად დანიშვნასთან დაკავშირებით ხმარობს — „გამორჩევას“ და „ბრძანა დამტკიცებად“. სხვა მოხელეების დანიშვნისას კი „განაჩინა“, „უბოძა“, „კუალად უბოძა“ და სხვ. ასე მაგალითად: „... გ ა ნ ა ჩ ი ნ ა ამირსპასალარი სარგის მჭარგრძელი... და უ ბ ო ძ ა ლორე... და წ ყ ა ლ ო ბ ა ყ ო ძისაცა მისისა ზაქარიას დალოცვითა, და ი თ ა ყ ვ ა ნ ა დარბაზის ყმად უმცროსი შვილი მისი ივანე და გ ა ნ ა ჩ ი ნ ა და უბოძა ჭიაბერსა მანდატურთუხუცესობა...[1] და ა. შ. აქ ისტორიკოსის მიერ ხაზგასმულია მეფის უშუალო მონაწილეობა გადაწყვეტილებათა გამოტანაში. შემთხვევითი არ არის ზმნების მხოლობით რიცხვში მოტანა მემატიანის მიერ. ეს ხაზგასმაა საქართველოს მეფის (მხოლოდ მის!) მოქმედებაზე. ნიშანდობლივია, რომ თამარის დავით სოსლანთან ქორწინების შემდგომ მოხელეების დანიშვნასთან დაკავშირებით ბრძანებების შესახებ ზოგჯერ მრავლობით რიცხვშია ლაპარაკი. „... მაშინ უ ბ ო ძ ე ს ამირსპასალარობა ზაქარიას მხარგრძელსა... მ ო უ მ ა ტ ე ს ქალაქიცა რუსთავი... და ჭიაბერსა... მ ო უ მ ა ტ ე ს და უ ბ ო ძ ე ს ჟინვანი... და შ ე ი წ ყ ა ლ ე ს სარგის ვარამის ძე“...[2] და ა. შ. ეს მოვლენები უკვე „ერთნებაობისა და თანადგომის“ გარეშეა მოხსენებული. ხოლო რაც შეეხება ზმნების მრავლობით რიცხვს, აქ როგორც ზემოთაც ვთქვით, დავით სოსლანის მონაწილეობაა საგულისხმო საკითხების გადაწყვეტაში.

უნდა აღვნიშნოთ, რომ დავით სოსლანის გარდაცვალების შემდგომ საერთოდ აღარ გვხვდება მეფის რაიმე მოქმედების (ბრძანების გაცემა თუ სხვ.) მრავლობით რიცხვში ხსენება. ასე მაგალითად: „ყოცა მეფემან და უ ბ ო ძ ა ათაბაგობა (ივა-

---

[1] იქვე, გვ. 33.

[2] იქვე, გვ. 55.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეს — რ. მ.)... მსახურთუხუცესობა უბოძა ვარამს[1]. და სხვ.

ამგვარად, ჩვენ სრულიად ვიზიარებთ პროფ. შ. მესხიას მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მეცნიერთა მიერ სამეფო ხელისუფლების დასუსტება-შეზღუდვად მიჩნეული ფორმულა არის ზოგადი ფრაზა, რომელიც სამეფო ხელისუფლების ბრძანებათა ერთსულოვნად, უყოყმანოდ მიღებას, სამეფო ხელისუფლებასთან მათი „თანადგომისა“ და მეფეთა ბრძანებებისადმი ერთი ნების გამოხატვას ემსახურებოდა.

მაშ როგორი შედეგით დამთავრდა ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური გამოსვლა?

ამ გამოსვლამ ვერ შეძლო თავისი პოლიტიკური პროგრამის განხორციელება, ვერ მოახერხა სახელმწიფო ძალაუფლების მეფესთან გაყოფა. ამის მიზეზი, როგორც ჩანს ის იყო, რომ ყუთლუ-არსლანის დასს არ გააჩნდა პროგრამის განსახორციელებლად თავისი მოქმედების კონკრეტული, მიზანდასახული გეგმა. მას შემდეგ რაც დიდგვარიანმა ფეოდალებმა სამეფო ხელისუფლებასთან ბრძოლაში გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს, ალბათ ყუთლუ-არსლანის დასელებმაც იფიქრეს, რომ თვითონაც ადვილად შესძლებდნენ თავიანთ მოთხოვნებზე სამეფო კარის თანხმობას, მაგრამ მათი მოთხოვნები იმდენად კატეგორიული იყო, რომ არ შეიძლებოდა მათზე სამეფო კარის უბრძოლველად დაყაბულება. სამეფო კარის დიპლომატიამ აჯანყებულებზე გაიმარჯვა. სახელმწიფო ხელისუფლება ისე ვერ იქნა შეზღუდული, რომ ეს „დასასრული ჭელმწიფობისა“ ყოფილიყო. არც თვით აჯანყებულები იყვნენ ბოლომდე მტკიცენი და თავისი მოთხოვნების ერთგულნი. ყუთლუ-არსლანის იოლად დაჭერის ფაქტიც იმაზე მიუთითებს, რომ არც გამოსვლის ბელადს და არც მის დასს არ ჰქონდათ ნავარაუდევი მეფის ხელისუფლებისაგან სათანადო წინააღმდეგობის გაწევა. ასევე, მოლაპარაკების საფუძველზე სწრაფად მოხდა გაფიცულთა დაშოშმინება: „მოჰყვეს... ბრძანებასა

---

[1] იქვე, გვ. 110.

პატრონისასა და წინაშე მოსრულთა დავრდომით თაყუანის-
ცეს... და მისცეს მათ პირი ერთგულობისა და ნების-მყოფ-
ლობისა მათისა“ [1].

მიუხედავად ყოველივე ზემოთთქმულისა, ყუთლუ-არსლა-
ნის დასის პოლიტიკურ გამოსვლას გარკვეული შედეგი მოჰყვა.
ეს შედეგი „დარბაზის“ უფლებების ერთგვარ გაფართოებასა
და მის შემადგენლობაში მოქალაქეთა ზედაფენების წარმო-
მადგენელთა შეყვანაში გამოვლინდა [2]. პირველი („დარბაზის“
უფლებების გაფართოება) თამარის საქმროს შერჩევის სა-
კითხში გამოჩნდა ნათლად, ხოლო მეორე (მოქალაქეთა ზედა-
ფენების მონაწილეობა) აბულასანის აქტიურ მონაწილეობაში
„დარბაზის“ სხდომაზე. თვით ის ფაქტი, რომ თამარის
საქმროს ჩამოსაყვანად დიდ-ვაჭარი გაიგზავნა, მოქალაქეთა
უფლებების და გავლენის საერთო ზრდაზე მიუთითებს [3].

ვფიქრობთ, არ უნდა იყოს მხარდასაჭერი ჩვენს ისტო-
რიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება ყუთლუ-არსლანის გა-
მოსვლის შედეგებისა და 1215 წ. 15 ივლისს ინგლისის მეფის
იოანე უმიწაწყლოს მიერ ხელმოწერილ ე. წ. „თავისუფლების
დიდ ქარტიას“ [4] შორის მსგავსების შესახებ. გარკვეული
მსგავსება გარეგნულად შეიძლება მათ შორის მართლაც არსე-
ბობდეს, მაგრამ იგი არსებითი ხასიათის არ არის. იოანე უმი-
წაწყლო, მაშინ როდესაც იგი უპერსპექტივო ომს აწარმოებდა
საფრანგეთთან, დაუპირისპირდა რომის ძლევამოსილ პაპს ინო-

---

[1] იქვე, გვ. 32.

[2] სახელმწიფო „დარბაზის“ საქმიანობის განხილვა სწორედ ამ პერიოდ-
ში გვაძლევს იმის საშუალებას, რომ თამამად ვაღიაროთ მასში მოქალაქეთა
ზედაფენების მონაწილეობა (მაგ., აბულასანი „დარბაზის“ აქტიური მო-
ნაწილეა, მის სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა მიეცა თამარის საქმროს
შერჩევის საკითხში).

[3] ამ საკითხებზე ჩვენ საგანგებოდ შემდეგ თავში შევჩერდებით.

[4] „თავისუფლების დიდი ქარტიის“ დ. მ. პ ე ტ რ უ შ ე ვ ს კ ი ს ე უ ლ ი
რუსული თარგმანი იხ. კრებულში «Памятники истории Англии XI—
XIII вв.,» М., 1936.

კენტი მესამეს, რომელთანაც მეფე დამარცხებული გამოვიდა და დამამცირებელი აქტი შეასრულა — მიიღო რა კენტერბერის არქიეპისკოპოსად პაპის მიერ გამოგზავნილი სტეფან ლენგტონი (შემდგომში ბარონთა შეთქმულების მეთაური), სცნო პაპის ტახტთან ვასალური დამოკიდებულება. იგი დამარცხდა საფრანგეთთანაც (1214 წ.). მეფის ასეთი მძიმე მდგომარეობით ისარგებლეს ბარონებმა, რომლებმაც რაინდებსა და ლონდონის საქალაქო ზედაფენების წარმომადგენლებთან ერთად აიძულეს იოანე უმიწაწყლო დასტური მიეცა ხელმოწერით „თავისუფლების დიდი ქარტიისათვის". ამან კი მათ— მსხვილ საერო და სასულიერო ფეოდალებს—დიდი პრივილეგიები მოუტანა [1].

ასე რომ, იოანე უმიწაწყლოს წინააღმდეგ მიმართული ბარონების, რაინდებისა და საქალაქო ზედაფენების გამოსვლა ინგლისის მეფის აშკარა მარცხით დასრულდა, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოს მეფის წინააღმდეგ ყუთლუ-არსლანის გამოსვლის შედეგებზე.

ამგვარად, ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური გამოსვლა სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ გარეგნულად კომპრომისით დამთავრდა. ეს კომპრომისი ხელსაყრელი იყო სამეფო ხელისუფლებისათვის და ფაქტიურად მის საწინააღ-

---

[1] „თავისუფლების დიდი ქარტია" ინგლისის თავისებური ფეოდალური კონსტიტუციაა და მასში ანგლო-საქსონური დემოკრატიის პრინციპების დანახვა როგორც ამას ინგლისელი და ამერიკელი ბურჟუაზიული ისტორიკოსები აკეთებენ, ძალზედ ძნელია, რადგან „ქარტია ამკვიდრებდა არა თავისუფლებას, არამედ პრივილეგიებს. «Поскольку эти привилегии предназначались не одной феодальной верхушке, а всем светским и церковным феодальным землевладельцам и богатым горожанам, совместно боровшимся против королевского произвола, то ограничение королевской власти привело ни к росту государственной раздробленности, а к дальнейшему политическому сплочению Англии». (Н. Ф. Колесницкий, Феодальное государство, М., 1967, стр. 175).

მდეგო პოლიტიკური მოძრაობის მარცხს მოასწავებდა. სამეფო ხელისუფლების დანაწილების პროგრამა ვერ განხორციელდა. გამოსვლის არსებითი შედეგი ის იყო, რომ გაფიცულებმა „დარბაზის“ უფლებების ერთგვარ გაფართოებასა და მასში მაღალი საქალაქო წრეების წარმომადგენელთა მონაწილეობის უფლება მიიღეს. ეს კი თავის მხრივ XII ს. 80-იანი წლების საქართველოში პროგრესული მნიშვნელობის მოვლენა იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი მეექვსე

იური ანდრიას ძის აჯანყება

მეფესა და დიდგვარიანებს შორის არსებული შინაკლასობრივი ბრძოლის განსაკუთრებულს, ამავე დროს მეტად მნიშვნელოვანსა და საინტერესო ეტაპს წარმოადგენს თამარ მეფის ყოფილი ქმრის იურის შემოჭრა საქართველოში და მისი მცდელობა საქართველო სამეფო ტახტის დაკავებისათვის, უფრო სწორედ, თავისი უფლებების აღდგენისათვის. ეს გარეგნულ მიზეზს წარმოადგენდა ამ ბრძოლისა, სინამდვილეში კი იგი უფრო ღრმად იყო ფესვებგადგმული სოციალურ ურთიერთობათა, კერძოდ, მეფესა და დიდგვარიანებს შორის არსებულ მწვავე კლასობრივი ბრძოლების ქსელში. ეს მოვლენა, რომ მხოლოდ იური უფლისწულის ნება-სურვილით არ მომხდარა და მასში ქართველი დიდგვაროვანი ფეოდალები თამაშობდნენ წამყვან როლს, ეს სადავო არ უნდა იყოს [1].

საქმე იმაშია, რომ საქართველოს მეფის თამარის წინაალმდეგ მოწყობილი ეს ამბოხება, აგრეთვე ის ამბები, რომელიც წინ უსწრებდა ამ მოვლენას, რამდენადმე ორგანულ კავ-

---

[1] იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 260. ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე და სხვ., საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 199. ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X — XVI სს.), თბ., 1956, გვ. 67—170. შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962, გვ. 110—144.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირში იმყოფება ე. წ. „სიმდიდრით ალაღებულთა“—ყუთლუ-არსლან მეჭურჭლეთ-უხუცესისა და მისი დასის გამოსვლასთან.

მივყვეთ საკითხებს თანმიმდევრულად. ყუთლუ-არსლანის გამოსვლის შემდეგ, ბუნებრივია, როგორც სამეფო კარს, ასევე მეჭურჭლეთუხუცესის მომხრეთა დასს ბევრი საკითხი გადაუჭრელი, მოუგვარებელი დარჩათ და ერთხანს სახელმწიფოში ჩამოვარდნილი სიმშვიდე მხოლოდ გარეგნული, ზედაპირული ხასიათისა იყო, არსებითად კი სოციალური დუღილი მეფესა და დიდგვარიანებს შორის გრძელდებოდა. დიდგვარიანების მიმართ წარმოებულ საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკას ზურგს უმაგრებდა სამეფო კარის მომხრე ფეოდალთა დიდი არმია, მაგრამ ამასთანავე იყვნენ რიგი ფეოდალებისა, რომლებიც თავისი უფლებების გაზრდა-გაფართოებაზე ფიქრობდნენ. ამ მიზნის მისაღწევად ისინი არავითარ ხერხსა და ძალას არ იშურებდნენ და მაშინ, როცა საქართველოს მეფე-ქალის თამარის სახლობის საკითხი დადგა, აშკარა გახდა ის მწვავე ბრძოლა, რომელიც დიდგვარიან ფეოდალთა სხვადასხვა დასებს შორის არსებობდა. ამჯერად ეს ბრძოლა თითოეული ამ დასისათვის თამარის ქმრად სასურველი კანდიდატის მოძებნას გადაეჯაჭვა. ეს გზა, ბუნებრივია, საქართველოს სამეფო კარზე გავლენის გაზრდის რეალურ შანსად ისახებოდა. „შეიყარნეს შემჭირნენი და ზრახვა ყვეს ძებნა წაღმართისა და მოყვანა ქმრისა“ [1]. „ისტორიათა და აზმათა“ ავტორისაგან განსხვავებით, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ გვაუწყებს, რომ „აღივსებოდა რა კრება (საეკლესიო კრების დასრულებაზეა ლაპარაკი — რ. მ.), შემოვიდეს ყოველნი სპასალარნი და ერისთავნი სამეფოსანი და მოახსენეს მამათა, რათა ზ ო გ ა დ ი ღ უ ა წ ო ნ შემოყვანებად სიძისა თამარისთჳს“ [2]. ე. ი. თამარის სახლობის საკითხს საეკლესიო კრების მონაწილეებთან ერთად იხილავენ „ყოველნი სპასალარნი და ერისთავნი სამეფოსანი“. ამ დარბაზობის დროს წინადადებანი ალბათ არაერთი იქნებოდა, მაგრამ განსაკუთრე-

---

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 35.

[2] ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 119.

ბულ ყურადღებას[1] მაინც იქცევს ქართლისა და თბილისის ამირას აბულასანის მიერ წამოყენებული მოსაზრება, თამარისათვის რუსი უფლისწულის ანდრია ბოგოლიუბსკის შვილის იურის (იგივე გიორგის) შერთვის შესახებ: „მე ვიცი შვილი ხელმწიფისა ანდრია დიდისა რუსთ მთავრისა, რომელსა მონებენ სამასნი მთავარნი რუსთანი. და იგი, მცირე დარჩომილი მამისაგან, ექსორია-ქმნით დევნილი გარდამოიხუეწა ბიძისა, სავალათად (იგულისხმება ვსევოლოდი — რ. მ.) სახელწოდებულისაგან და არს იგი ყივჩაღთა მეფისა სევინჯისა ქალაქსა“[2].

ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტისადმი მიძღვნილ დარბაზობაზე (დარბაზის სხდომაზე) აბულასანის გამოსვლა შემთხვევითი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ამ დროისათვის (დაახლოებით 1185 წ. (დამლევი)[3] მას ალბათ ჰქონდა ასეთი უფლება, ე. ი. აბულასანი სამეფო დარბაზის სრულუფლებიანი და თანაც გავლენიანი წევრი იყო[4].

საინტერესოა ის ფაქტი, რომ აბულასანის პიროვნებით დაინტერესდნენ და სხვადასხვა დროს ამ საკითხს თავისი გამოკვლევები უძღვნეს ა. ხახანაშვილმა, ივ. ჯავახიშვილმა, პ. ინგოროყვამ, ს. ერემიანმა, ი. ცინცაძემ, შ. მესხიამ და სხვ.

თავის დროზე ვახუშტი ბაგრატიონმა პიროვნება, რომელმაც თამარის საქმროს შესახებ წინადადება წამოაყენა (აბულ-

---

[1] ხაზს ვუსვამთ იმიტომ, რომ ამ წინადადებაზე თამარის ორივე ისტორიკოსი ჩერდება, ამასთანავე საინტერესო ჩანს თავისი მდგომარეობით თვით წინადადების ავტორიც.

[2] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 36.

[3] იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 258 (აქ აანალიზებს რა სხვადასხვა შეხედულებებს განსვენებული მეცნიერი დაასკვნის — „პირველი ქმრის შერთვა შეიძლება დაახლოვებით 1185 წლის დამლევს მომხდარიყო“).

[4] პროფ. ს. ე რ ე მ ი ა ნ ი, ალბათ ცდება, როცა აბულასანს საქართველოს სამეფო დარბაზის წევრად მხოლოდ იური ანდრიასძის ჩამოყვანის შემდგომ მიიჩნევს (იხ. С. П. Еремян, Юрий Боголюбский по армянским и грузинским источникам, Научные труды АГУ, XXIII, 1946, გვ. 403). შდრ. შ. მ ე ს ხ ი ა, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962, გვ. 110.

ასანი), წარმოადგინა, როგორც „კაცი ვაჭარი ტფილისელი“[1]. როგორც ჩანს, ამის საფუძველზე პროფ. ალ. ხახანაშვილმა ეგვანული სომხადაც გამოაცხადა. ამ უკანასკნელი დებულების სიმცდარეზე პროფ. ი. ცინცაძემ მიუთითა[2]. მანვე სავსებით სამართლიანად გააკრიტიკა პროფ. ს. ერემიანის ის დებულება, რომლის მიხედვითაც აბულასანი სომეხ ფეოდალად არის გამოცხადებული და გაიგივებულია მაჰკანაბერდისა და ახპატის მფლობელ ამირ-ქურდ არწრუნთან[3].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენის აზრით, სავსებით სწორად შენიშნავს ამ საკითხის ირგვლივ პროფ. შ. მესხია — „ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა „ახპატისა და მანკაბერდის მფლობელი სომეხი ფეოდალი ამირ-ქურდი არწრუნი“ საქართველოს სამეფოს ხელისუფლებას ექცია ქართლის ერისთავადა და „რუსთავისა და შვდთა მთეულეთთა პატრონად“[4].

ჩვენმა ღვაწლმოსილმა მეცნიერმა პ. ინგოროყვამ, აბულასანი არიშიანის სახლის წარმომადგენლად მიიჩნია („არიშიანის სახლის მემკვიდრე-ქალის შტოის ხაზით, გარდა ვარდანის ძეთა, არის ცნობილი ისტორიული მოღვაწე მე-12 საუკუნის მეორე ნახევრისა აბულასანი, „ძე კეთილ ნათესავისა იობისი“)[5].

პროფ. ი. ცინცაძე ვრცლად მიმოიხილავს რა აბულასანის ვინაობის საკითხს, მიიჩნევს, რომ აბულასანი არსად „ვაჭრად არ იხსენიება და არც შეიძლებოდა რომ ასეთი ყოფილიყო“[6]. იგი ასკვნის, რომ აბულასანი არის „მკვიდრი თბილი-

---

[1] ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს ისტორია, I, 1885, გვ. 198.

[2] ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X—XVI სს.), თბ., 1950, გვ. 153.

[3] იქვე, გვ. 141—170.

[4] შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962, გვ. 111.

[5] პ. ინგოროყვა, რუსთაველიანის ეპილოგი, იხ. მისი, თხზ., კრებ., I, თბ., 1963, გვ. 648.

[6] ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X—XVI), თბ., 1956, გვ. 151.

სისა, თავადი მთელი საგვარეულოსი, რუისთავისა და შვიდი მთეულეთის პატრონი, ერისთავთ-ერისთავი და ...ჭარი“ [1].

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბულასანის ვინაობის დადგენის საქმეში უსათუოდ გასათვალისწინებელია „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ს ის ადგილი, სადაც აღნიშნულია „...გამო-ვინმე-ჩნდა მეტყუელი მ კ ვ დ რ თ ა ტფილისისათა შინა, თავადი და მეფეთ-მეფისაგან წყალობა — ჭელდასხმული და ამირა ქართლისა და ტფილისისა, სახელით აბულასან“ [2]. აქედან გამომდინარე ჩვენ ერთხელ კიდევ გვაქვს საშუალება განვამტკიცოთ ის აზრი, რომ აბულასანი, ამ დარბაზობის დროისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი ფიგურა იყო პოლიტიკური თვალსაზრისით (იგი იყო „თავადი“, „მეფეთ-მეფისაგან წყალობა-ჭელდასხმული“. ამავე დროს „ამირა ქართლისა და ტფილისისა“). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აბულასანი „ძირძველ აზნაურთა, დიდებულთა ერთ-ერთ წარმომადგენლად“ ჰყავს მიჩნეული დ. მუსხელიშვილს, თუმცა ამის შესახებ თვითონ არავითარ ახალ საბუთს არ იშველიებს და მთლიანად ეყრდნობა პ. ინგოროყვას მოსაზრებას (სათანადო მითითებით), აგრეთვე ნ. ბერძენიშვილის რეცენზიას „იასე ცინცაძე — ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X—XVI სს) [3]. აქ ალბათ უპრიანი იქნებოდა შ. მესხიას მოსაზრებების გათვალისწინებაც, რომელმაც პ. ინგოროყვასა და ი. ცინცაძის შეხედულებები (პ. ინგოროყვა აბულასანს მიიჩნევს ვარდანისძეთა გვარის წარმომადგენლად, ი. ცინცაძე, საერთოდ, დიდგვარიან ფეოდალად, მაგრამ კონკრეტულად რომელ საგვარეულოს ეკუთვნოდა, არაფერს ამბობს) არ გაიზიარა. რაც შეეხება ნ. ბერძენიშვილს, მოვიყვანთ კონკრეტულ ადგილს მისი რეცენზიიდან: „ი. ცინცაძე ბუნებრივად აკვირდება აბულასანს, რათა მისი სოციალური ვინაობა გაარკვიოს... ჩვენი ავტორის ცდა მართებულია. ოღონდ არა საკმაო სიღრმისა ჩანს მისი

---

[1] იქვე, გვ. 152.

[2] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 36.

[3] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ი. ცინცაძე — ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X—XV სს.), იხ. მისი, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, თბ., 1971, გვ. 208.

საამისო მსჯელობა („თავადი“, „მკვიდრი“, „ამირა ქართლისა და ტფილისისა“, ლურჯი მონასტრის წარწერა...) სამწუხაროდ, არც საამისო სამეცნიერო ლიტერატურა აქვს ავტორს გათვალისწინებული... ი. ცინცაძის დასკვნა, რომ აბულასანი დიდგვარიანი აზნაურია, როგორც ჩანს, სწორია, მაგრამ მისი საამისო არგუმენტაცია ნაკლულია“. აქ ჩვენ ვხედავთ, რომ პროფ. ნ. ბერძენიშვილი თვითონ მიუთითებს აბულასანის დიდგვარიანობის დამადასტურებელი საბუთების უკმარობაზე, თუმცა მის დიდგვაროვნებას შესაძლებლად თვლის. ყოველი შემთხვევისათვის ნ. ბერძენიშვილის რეცენზიის ეს მონაკვეთი ჩვენ არაფერს გვეუბნება აბულასანის დიდგვაროვნების გადაჭრით მტკიცებისათვის. (ჩვენთვის ძნელად გასაგებია, როცა რეცენზენტს ავტორის მსჯელობა არასაკმაოდ ღრმად მიაჩნია, სინანულს გამოთქვამს, რომ არც სათანადო ლიტერატურაა გამოყენებული დასამტკიცებლად, არგუმენტაციაც ნაკლულია, საიდანღა შეიძლება აღნიშნული საკითხის მტკიცებისათვის თუნდაც ვარაუდის გამოთქმა?).

პროფ. შ. მესხიამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მეძატიანის მიერ მოხსენებული „მკვიდრი ტფილისისა“ ამ შემთხვევაში უნდა განსხვავდებოდეს (წინააღმდეგ პროფ. ი. ცინცაძის მტკიცებისა) აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ საგანგებოდ განხილული ტერმინებისაგან „მკვიდრნი ქვეყნისანი“ ან „მკვიდრნი სამეფოსანი“, ეს უკანასკნელნი სახელმწიფოს დიდმნიშვნელოვანი საქმეების განგებაში მთავარი მონაწილეები იყვნენ [1].

„ისტორიანი და აზმანის“ ავტორის მიერ ნათქვამი — „მკვიდრნი ტფილისისა“ განსხვავდება გამოთქმისაგან „მკვი-

---

[1] შ. მ ე ს ხ ი ა, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962, გვ. 113. შდრ. ი. ც ი ნ ც ა ძ ე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X—XVI), გვ. 152. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ასე განმარტავდა: „საქართველოში სამეფოს მემკვიდრედ, მის სახელმწიფოებრივი უზენაესი უფლების პატრონად მარტო სამეფო სახლი კი არ ითვლებოდა, არამედ მცხოვრებთა მოწინავე წრეც, რომლის წევრებსაც ეწოდებოდა „მკვიდრნი ქვეყნისანი“ ან „მკვიდრნი სამეფოსანი“ და რომელნიც აგრეთვე სახელმწიფოს დიდმნიშვნელოვანი საქმეების განგებაში მთავარ მონაწილეებად მოჩანან“ (ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკვ. I, „მკვიდრის შესახებ“. იხ. გვ. 48—50).

დრნი ქვეყნისანი", ან მკვიდრნი სამეფოსანი", ამიტომ „თბილისის მკვიდრთა"-დ ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ არა ზოგადად სახელმწიფოში მცხოვრებთა მოწინავე წრე, არამედ კონკრეტულად თბილისში მცხოვრებთა მაღალი ფენა [1]. ამას „ისტორიანი და აზმანის" ავტორიც მიგვანიშნებს, როცა ზანქან ზორაბაბელს ასე მოიხსენიებს — „ერთი მკვდრთაგანი დიდვაჭარი" [2].

აქედან გამომდინარე შეიძლება გარკვეული პარალელის გავლება ორ ტერმინს შორის — „მკვიდრნი სამეფოსანი" („მკვიდრნი ქვეყნისანი") და „მკვიდრნი თბილისისანი". პირველი მათგანი თავისი არსით მეტად მნიშვნელოვანია და სახელმწიფოს გამგებლობის საქმეში მთავარ მონაწილეთა გამომხატველად გვევლინება, ხოლო მეორე — თბილისის ძირითადი მოსახლეობის—მოქალაქეების პრივილეგირებული ზედაფენის აღსანიშნავად იხმარებოდა.

აქედან იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ აბულასანის მოხსენიება „თბილისის მკვიდრად" მის მოქალაქეთა (თბილისის მოქალაქეთა!) ზედაფენის კუთვნილებაზე მიგვითითებს. რაც შეეხება აბულასანის დიდგვარიანად წარმოდგენას, ეს საერთოდ არ უნდა იყოს გამორიცხული, მაგრამ ამისთვის ჩვენს ხელთ არსებულ წყაროებში საკმარის მასალას ვერ ვხედავთ [3].

---

[1] შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრ., იქვე.

[2] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 37.

[3] შ. მ ე ს ხ ი ა, საქალაქო კომუნა ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1962, გვ. 114—115. თუნდაც ის ფაქტი, რომ აბულასანი „თავადად" არის მოხსენებული თამარის პირველი ისტორიკოსის მიერ, ეს არ გვაძლევს ჩვენ მისი დიდგვაროვნობის მტკიცების უფლებას, რადგან ქართულ წერილობით წყაროებში არაეთგზის არის მითითებული „ქალაქის თავადნი" („ანელნი თავადნი", „განძელნი თავადნი", „თავადნი თავრეჟისანი" და სხვ.). ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი აღნიშნული საკითხების გამო სათანადოდ მიუთითებდა, რომ — „თავადი" ქალაქშიც ერთი კი არა, არამედ რამდენიმე ყოფილა... თავადნი სწორედ ის პირნი ყოფილან, რომელთაც ქალაქის ბედიღბლის გადაჭრის უფლება ჰქონდათ" (ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკ. I, გვ. 55). აბულასანის დიდგვაროვნების დასასაბუთებლად არც ის არის საკმარისი, რომ იგი იყო მეფეთ-მეფისაგან წყალობა-ჴელდასხმული" და დანიშნული „ამირად ქართლისა და ტფილისისა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკი აბულასანზე ასე ვრცელ საუბარს მოვყევით, საჭიროდ მიგვაჩნია ერთი გარემოების აღნიშვნაც. მიუხედავად იმისა, რომ იგი საქართველოს სახელმწიფოს სამეფო დარბაზის მუშაობაში იღებს მონაწილეობას (ე. ი. როგორც ზემოთაც ითქვა, ამ დარბაზის წევრია), აბულასანი ამ შეკრებამდე ფართოდ ცნობილი პიროვნება თავისი საქმიანობით არ უნდა ყოფილიყო, ყოველი შემთხვევისთვის ეს თამარის ისტორიკოსებთან (განსაკუთრებით პირველ ისტორიკოსთან, სადაც მისი პიროვნების შესახებ არის ლაპარაკი) არ ჩანს. ეს „სიჩუმე". „ჩრდილში ყოფნა" „თბილისის მკვიდრისა" შესაძლოა შეგნებულად გატარებული პოლიტიკის შედეგი იყოს. თანაც, როგორც ჩანს, იგი გარკვეულ, შეიძლება ითქვას, ძალზე სერიოზულ მზადებას აწარმოებდა ფართო საზოგადოებაში აქტიურად გამოსვლის განაცხადის გასაკეთებლად.

რა გვაქვს მხედველობაში, როდესაც მოცემულ დარბაზის სხდომამდე აბულასანის არაპოპულარობაზე ვლაპარაკობთ იმ-

---

ალბათ, ქალაქის ზედაფენისადმი კუთვნილებამ განაპირობა მისთვის ასეთი თანამდებობის ბოძება (შდრ. შ. მესხია, დასახ. ნაშრ. გვ. 117).

აღნიშნული საკითხის ირგვლივ (ისევე როგორც რიგი სხვა საკითხების შესახებ) საკმაოდ ვრცელი მეცნიერული პოლემიკა გაიმართა პროფესორებს ი. ცინცაძესა და შ. მესხიას შორის, მას შემდეგ რაც პირველმა მათგანმა ჟურნალ „მაცნეს" 1968 წლის მე-5 ნომერში გამოაქვეყნა წერილი „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მე-12 საუკუნის ისტორიისათვის", რომელშიაც პროფ. შ. მესხიას მიერ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ნაშრომებში („დიდგორის ბრძოლა", „საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში") წამოყენებულ რიგ დებულებებს შეეხო. ამ წერილს მოჰყვა პროფ. შ. მესხიას პასუხი „შენიშვნები ძველი რუსეთისა და საქართველოს ისტორიიდან (პროფ. ი. ცინცაძის წერილის გამო") — იხ. ჟურნალი „მნათობი", 1970, № 1. ჩვენს მიზანს არ შეადგენს ამ კამათის მიმოხილვა, მხოლოდ შევნიშნავთ, რომ ჩვენთვის ამჯერად საინტერესო საკითხის შესახებ განსხვავებით პროფ. ი. ცინცაძის მოსაზრებისგან უფრო მართებული დასკვნა განსვენებულ შ. მესხიას გამოაქვს, რომელიც ამტკიცებს, რომ „აბულ-ასანი თბილისში მოქალაქეთა პრივილეგირებული ზედაფენიდან დიდვაჭრებისა და ფინანსისტების წრიდან გამოსული მოხელეა და არა დიდგვარიან ფეოდალთა წრიდან, მაგრამ ის მაინც, როგორც „მეფის მოხელე, დიდებული იყო", რადგან „დიდება", როგორც ივ. ჯავახიშვილსა აქვს გამოქვლეული, „მოხელეობასა და მასზე დაფუძნებულს პატივს ერქვა". (იხ. „მნათობი", 1970, № 1, გვ. 162).

დროინდელ ფართო საზოგადოებრიობაში? „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი, მას შემდეგ, რაც ამბობს, რომ „შეიყარნეს შემჭირნენი და ზრახვა ყვეს ძებნა წალმართისა და მოყვანა ქმრისა“ო, იქვე აღნიშნავს, რომ თამარის შესაფერისი საქმროს მოძებნა მეტად რთულ საქმეს წარმოადგენდა. მისი გაგებით „აღარ დაებადა ღმერთსა სწორი ამისი (თამარისი — რ. მ.), არცა მგონიეს თუ დაბადებად არს“ [1]. ასეთ საგონებელში ყოფნისას ისტორიკოსი ხაზგასმით აღნიშნავს რომ „გ ა მ ო-ვ ი ნ მ ე-ჩ ნ დ ა მ ე ტ ყ უ ე ლ ი“-ო [2]. და ეს ვინმე არის აბულასანი. ეს მოულოდნელი იყო, როგორც ჩანს, საზოგადოებისთვის, ყოველი შემთხვევისთვის იმ ნაწილისათვის, რომელთაც ჩვენი ისტორიკოსი მიეკუთვნებოდა და თვით ეს გამოთქმაც „გამო-ვინმე-ჩნდა“ არ უნდა იყოს შემთხვევითი. შეიძლება (ალბათ ეს ასეც იყო. ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი) აბულასანი თავისი წინადადებით დიდგვარიან ფეოდალთა და მოქალაქეთა ზედაფენის ერთი ნაწილის სურვილს გამოხატავდა, მაგრამ მისმა ასეთმა მამაცურმა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, თამამმა წინადადებამ დიდი გავლენა იქონია დარბაზზე. და შეიძლება ითქვას, რომ ამ დარბაზობის შემდეგ აბულასანის პიროვნება თავისი ავტორიტეტით კიდევ უფრო დაწინაურებულად მოჩანს. თუნდაც ის ფაქტი, რომ დარბაზმა ისეთი რთული და სახელმწიფოსათვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხის ირგვლივ, როგორიც საქართველოს მეფე-ქალის, თამარის სახლობის, მისი საქმროს კანდიდატურის გადაწყვეტის საკითხი იყო, მიიღო სწორედ აბულასანის წინადადება, ბევრზედ მეტყველებს. ამ წინადადებას, ბუნებრივია, მხარს უჭერდა ბევრი დიდგვარიანი ფეოდალი, თუმცა, როგორც ჩანს, მოწინააღმდეგენიც ჰყოლია მას (ამაზე ქვემოთ შევჩერდებით). ასეა თუ ისე, დარბაზმა მიიღო აბულასანის წინადადება თამარ მეფის ქმრად რუსი უფლისწულის იურის მოწვევის შესახებ.

ახლა განვიხილოთ თუ რატომ შეჩერდა დარბაზის წევრთა უმრავლესობა აბულასანის წინადადებაზე. იყო თუ

---

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 36.

[2] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა წინასწარ შემზადებული ეს წიხლადება და რამ გასაკვირ-
ობა სწორედ რუს უფლისწულზე გეზის აღება.

გიორგი (იური) უფლისწული როსტოვ-სუზდალის დიდი მთავრის (თამარის პირველი ისტორიკოსი მას „ანდრია დიდი რუს-მთავარის" სახელით იხსენიებს) ანდრიას შვილია მის შესახებ ცნობებს რუსული მატიანეები ძალზე ძუნწად იძლევიან. ნოვგოროდელი მემატიანე წერს: «В лето 6680 (1172 წ.—რ. მ.) Прииде Новугороду князь Гюрги Андреевиц»[1]. ე. ი. ანდრიას 1172 წელს თავისი შვილი გიორგი (იური) ნოვგოროდის მთავრად გაუგზავნია რიურიკის ნაცვლად[2]. იურის ჩასვლამდე კი 1171 წლიდან ნოვგოროდში ანდრიას ხელდასხმით პოსადნიკი მჯდარა[3]. ეს იპატის მონასტრის ნუსხიდანაც დასტურდება: «В ту же зиму выйде Рюрик из Новагорода; потомь же Новгородцы послашася ко Аньдрею князю в Суждаль, и вда им детя свое Юрья и прияша и с честью»[4].

მიუხედავად ცნობების სიმცირისა, იმ დასკვნის გაკეთება მაინც შეიძლება, რომ იური სხვადასხვა მიზეზების გამო (აქ შეიძლება მისი მცირე წლოვანებაც[5] არ არის ბოლოხარისხოვანი მომენტი) ძალზედ შეზღუდული იყო. მთავრის დანიშნულებად იმ დროის ნოვგოროდში ძირითადად ლაშქრის ხელმძღვანელობა ითვლებოდა, სხვა საქმეების გამგეობა უმეტესწილად პოსადნიკისა და ვეჩეს ხელში იყო[6].

---

[1] Новгородская Летопись по синод. харат. сп. изд. Арх. комисс., 1888 г., стр. 151.

[2] ეს გაგზავნა, როგორც ჩანს ნოვგოროდელთა მოწვევით მომხდარა. ასეთი მიწვევა მთავრისა ნოვგოროდში საერთოდ ჰქონიათ წესად XII საუკუნის მთელ სიგრძეზე. ეს კი თავის მხრივ მიუთითებს „თვით მოქალაქეთა მიერ მთავართა თავისუფალი არჩევის შესახებ" (იხ. М. Н. Тихомиров, Древнерусские города, М., 1956, стр 205).

[3] Новгородская летопись, იქვე.

[4] Летопись по Инатскому сп. Арх. комисс. 1871, стр. 386.

[5] 1174 წელს ანდრია ბოგოლიუბსკი ცოლანყებულმა ბოიარებმა მოჰკლეს და ახალი მთავრის საკითხი დაისვა. მაშინ როსტოვ-სუზდალის სამთავროში გაბატონებული წრისა და დრუჟინის გაერთიანებულმა თათბირმა იური მეტისმეტად ახალგაზრდად მიიჩნია გამთავრებისათვის, (იხ. Летопись Ипатскому сп. Арх. комисс. 1871, გვ. 403-404).

[6] ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X — XVI სს.), თბ., 1956, გვ. 92. Ш. А. Месхиа и Я. З. Цинцадзе, Из истории русско-грузинских взаимоотношении X—XVIII вв., Тб., 1958, გვ. 20.

იური ანდრიას ძეს, მემატიანეების ცნობით, ლაშქრობებშიაც მიუღია მონაწილეობა, მაგრამ აქ მისი ხელმძღვანელობა-სარდლობა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა, ფაქტიურად კი ლაშქრის თავკაცებად მსხვილი ბოიარები ჩანან. «И посла (Андрей Боголюбский — რ. მ.) на нъ сына своего Юрья с Новгородци и с Ростовци и с Суздалци и инех князей 20 с полкы своими, воеводство же поручи Борису Жидиславичю...»[1] «И посла с ними сына своего Юрья и Бориса Жидиславича воеводою»[2].

ანდრია ბოგოლიუბსკის გარდაცვალების შემდეგ ნოვგოროდის სამთავროში მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. როსტოვ-სუზდალის სამთავროში შექმნილი შინაური აშლილობა თავის მხრივ განაპირობებდა იურის ნოვგოროდიდან გაძევების აუცილებლობას და, მართლაც, 1175 წელს «В лето 6683. Выведоша из Новагорода князя Гюргия...»[3]

1176-77 წლებში ანდრია ბოგოლიუბსკის ძმამ ვსევოლოდმა (ქართული წყაროებით სალავათი) მთლიანად დაიპყრო ანდრიას სამფლობელო და თავის უფლებებში მოცილე აღარავინ გააჩერა სუზდალის სამთავროში. ამ მოქმედების შედეგი იყო თვით იური უფლისწულის ექსორიაქმნა მისი სამთავროდან. ეს უკანასკნელი ამის შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში აღმოჩნდა და შემდგომში რუსი ისტორიკოსებისათვის მისი ბედი ქართული წყაროებიდან გახდა ცნობილი.

ქართველ დიდვაჭართა მიერ ყივჩაყეთში აღმოჩენილი რუსი უფლისწული საქართველოს დიდგვარიან ფეოდალთა ერთი ნაწილისა და მოქალაქეთა ზედაფენისათვის მისაღები უნდა ყოფილიყო, რადგან «Новгородский князь, власть которого была в значительной мере органичена и подчинена «вече» (где господствовали крупные купцы и бояре), казался в Грузии подходящим кандидатом как для ро-

---

1 Полное собрание русских летописей, т. XXV. Московский летописный свод конца XV века, 1949. стр. 83.

2 Летопись по ипатск. сп. Арх. комисс., 1871, стр. 390.

3 Новгородская Летопись по синод. харт. сп. изд. Арх. комисс. 1888, стр. 152.

довитой знати, выступившей против централизированной царской власти, так и для верхушки тбилисских горожан»...[1].

ამის გარდა, ბუნებრივია, დარბაზის წევრებისთვის მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ იური ანდრიას ძე დიდგვარიანი ფეოდალი, ქრისტიანი იყო, თანაც მართლმადიდებელი. ამ მხარემ საკითხის გადაჭრაში ალბათ არსებითი როლი ითამაშა. თუმცა დიდებულებს, როცა ისინი უპირატესობას იურის კანდიდატურას აძლევდნენ, ამ დებულებით არ უნდა ეხელმძღვანელათ. მათთვის უფრო საინტერესო იყო ის გარემოება (გარდა ზემოთთქმულისა), რომ იგი გადმოხვეწილი იყო, ექსორიაქმნილი, და თავისი დასაყრდენი ძალებიც საქართველოს სამეფოს მაღალ წრეებში უნდა ეძებნა. ეს კი დიდებულთა გარკვეულ ნაწილს უქმნიდა შანსს ახალ ვითარებაში თავის გამოჩენისა და გავლენის სფეროთა გაფართოებისათვის.

იური ანდრიას ძე, რომელიც იმ ხანად ყივჩაყეთში იმყოფებოდა, საქართველოს, კერძოდ, თბილისის დიდვაჭრებისათვის, კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი. არ არის გამორიცხული, რომ მისი თამარისათვის ქმრად შერთვის საკითხზე[2]

---

[1] Ш. А. Месхиа, Я. З. Цинцадзе, Из истории русско-грузинских взаимоотношении (X—XVIII), Тб., 1958, стр. 20.

[2] თავისთავად საინტერესოა ის გარემოება, რომ თამარი მეფედ იწოდება (და არა დედოფლად) და მისი ქმრის (ისე როგორც საერთოდ საქართველოში „მეფე-ქმრის") ფუნქციები რამდენადმე შეზღუდულია. ქართული ნარატიული წყაროები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ქვეყანაში პირველი პირი მეფეა (ამ შემთხვევაში თამარი). ასე მაგ., „მეფემან შემყრელმან სპათამან ბრძანებითა თამარისათა, მიჰმართა" და სხვ. ე. ი. მეფე (ამ კონკრეტულ შემთხვევაში იური ანდრიას ძე) მხოლოდ თამარის ბრძანებით მოქმედებს. „მეფე-ქმრის" ფუნქცია იმ დროის საქართველოში უმეტესწილად ჯარის, ლაშქრის სარდლობა იყო. ამ მოვალეობას ასრულებდა იური ანდრიას ძე და დავით სოსლანი. ბუნებრივია „მეფე-ქმრებს" სხვა უფლებებიც ექნებოდათ, (დავით სოსლანის, როგორც „მეფე-ქმრის" როლის შესახებ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში იხ. გ. თ ო გ ო შ ი ლ ი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, 1958, გვ. 158—166). აღსანიშნავია, რომ საქართველოში დინასტიის საკითხიც მეფექალთა სასარგებლოდ იყო გადაწყვეტილი. მეფე-ქმრებს საკუთარი გვარის დამკვიდრების უფლება წართმეული ჰქონდათ ქართულ სინამდვილეში. ასე, მაგალითად, რუსუდანისა და ოღრილ შაჰის ძის მოღიუედინის შვილი დავითი ოფიციალურად იწოდება დავით რუსუდანის ძედ, ე. ი.

რაიმე წინასწარი მოლაპარაკებაც ყოფილიყო გამართული იურისთან. ამას გვაფიქრებინებს, ჯერ ერთი ის გარემოება, რომ აბულასანმა ასე თამამად, საკმაოდ კატეგორიული ფორმით დააყენა ეს საკითხი დარბაზის სხდომაზე, სადაც ხაზი გაუსვა რომ „მე ვიცი შვილი ხელმწიფისა“ და სხვ. ე. ი. თავის საკუთარ ცოდნაზე („მე ვიცი“) ააგო მის მიერ გაკეთებული განცხადება. საფიქრებელია, რომ მას იურისგან უკვე

ეს უკანასკნელი გვევლინება, როგორც ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელი. აქ ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია მოვიტანოთ ზემოთ უკვე დასახელებული გერმანელი ისტორიკოსის ფელიქს ჰოლდაკის მოსაზრებაც, რომელიც, როგორც ირკვევა, მეტად დაინტერესებულა და საგანგებოდ ჩერდება თამარის „მეფე-ქმრების“ პრობლემაზე თავის გამოკვლევაში. იგი მიიჩნევს, რომ ქვეყანაში მონარქი თამარია, „მეფე-ქმარი“ ხელისშემწყობია მისი. ომისა და ზავის საკითხი, ასევე ლაშქრობის მოწყობა საბოლოოდ თამარმა უნდა გადაწყვიტოს. საჭიროების შემთხვევაში ლაშქრისათვის საომრად გამზადების ბრძანებასაც მას სთხოვენ. ასე მაგალითად: „Tamara ist das Subjekt des Rechtes über Krieg und Frieden, und demgemäß berichtet der Chronist, daß Zakaria und Ivanè die beiden Feldherenbrüder, und Varam Gagel s i c h a n s i e w e n d e n m i t d e r A u f f o r d e r u n g: „Befehlet also den georgischen Soldaten, daß sie sich für einen Feldzug gegen Khorasan vorbereiten“. ან კიდევ: „Inzwischen führte König David (gemeint ist der zweite Gemahl Tamaras),... n a c h d e n B e f e h l e n u n d P l ä n e n T a m a r a s K r i e g“. (Felix Holldack, Von der Sage und dem Reich der grusinischen Königin Tamara, Leipzig, 1906, გვ. 45). მსგავსი მაგალითები მრავლად მოჰყავს ისტორიკოსს. ფელიქს ჰოლდაკი, როგორც ჩანს, იცნობს ქართულ წყაროებს, ვახუშტი ბაგრატიონის, მ. ბროსეს, ვ. ლანგლუას ნაშრომებს. მისი ზემომოყვანილი მოსაზრებები საერთოდ დღესდღეობით შეიძლება ჩვენი ისტორიოგრაფიისთვის განვლილ ეტაპს წარმოადგენდეს, მაგრამ ისინი (განსაკუთრებით ზაქარია და ივანე მხარგძელების, ვარამ გაგელის თამარისადმი მიმართვის შესახებ, რათა ამ უკანასკნელმა გასცეს ბრძანება ლაშქრის გარკვეულ მოქმედებაზე, ან კიდევ დავით სოსლანის თამარ მეფის მითითებებით საბრძოლო საქმიანობის შესახებ და სხვ.) თავისი მნიშვნელობით (თანაც თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ეს მოვლენები გერმანელი მეცნიერის თვალითაა დანახული XX საუკუნის ათიან წლებში) დღესაც არ არის ინტერესმოკლებული. ამდენად, როგორც ქართული, ასევე სხვა წერილობითი წყაროები გვაძლევს იმის საშუალებას, რომ „მეფე-ქმრის“ ფუნქცია გარკვეულ ჩარჩოებში მოვაქციოთ და ჩვენს მიერ მოცემული ტერმინი იურის „თამარისათვის ქმრად შერთვა“ მართებულად ჩავთვალოთ. (ამ საკითხზე შდრ. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, გვ. 365.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარკვეული დასტურიც ჰქონდა მიღებული. მეორე — თვითონ სასიძოს ასეთი სწრაფი, ვადაზე ადრე ჩამოყვანა ზანქან ზორაბაბელის მიერ („მსწრაფლ მისრულმან ცვალებითა ჰუნეთათა, წარმოიყვანა და მოიყვანა უწინარე პაემნითა მოყმე სახეკეკლუცი, სრული ანაგებითა და მჭვრეტთაგან საჩენი გუარისშვილად“)[1] სწორედ ზემოთთქმულს (იური უფლისწულის ამ საკითხის ირგვლივ საქმის კურსში ყოფნას) ადასტურებს. თამარის პირველი ისტორიკოსის სიტყვით „პატრიარქმან, დიდებულმან, ვაზირთა და სპათა — მოახსენეს თამარს, და მათგან ნებადაურთავი განამზადეს ქორწილი“ [2]. აქ ჩამოთვლილ საეკლესიო (მიქაელ პატრიარქი ორივე ისტორიკოსს უფლისწულის მოწვევის მომხრედ ჰყავთ გამოყვანილი, არც ის იყო შემთხვევითი, რომ დარბაზი აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად საეკლესიო კრების შემდგომ, ამ კრების მონაწილეთა საერო პირებით შევსების შემდეგ შეიკრიბა) თუ საერო პირებისა და, უფრო მეტიც, წრეების პოზიცია გარკვეულია.

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ თვით საქართველოს მეფე ჩანს ამ საქმის წინააღმდეგი. „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ გადმოგვცემს თამარის პასუხს შეთავაზებულ წინადადებაზე: „კაცნო, ვითარ ღირს (არს) შეუტყობელი ესე ქმნად? არა ვიცით კაცისა ამის უცხოსა ქცევა და საქმე, არცა მჭედრობისა, არცა ბუნებისა, და არცა ქცევისა. მაცალეთ, ვიდრემდის განიცადოთ ყოველთა სიკეთე, გინა სიდრკუე მისი“ [3].

---

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 37. პროფ. ი. ცინცაძე სასიძოს სწრაფად ჩამოყვანას ყივჩაყეთამდე გზის საკმაოდ მოწესრიგებულობის შედეგად მიიჩნევს, (იხ. მისი, ძიებანი, გვ. 102) ჩვენი აზრით კი ამ აქციის ასეთი სწრაფი შესრულება იური ანდრიას ძის აღნიშნული საქმისათვის მზადყოფნის გამო უნდა მომხდარიყო, უფლისწული, როგორც ჩანს, ელოდა ასეთი მიწვევის საკითხზე მოციქულის ჩასვლას და მანაც დაუყოვნებლივ გამოსწია საქართველოსკენ.

[2] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 37. შდრ. „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“, „შეკრბეს წინაშე რუსუდან დედოფლისა პატრიაქი და დიდებულნი, სპასპეტნი და ერისთავნი და აცნობეს თამარს და აწუეედეს ქორწინებასა“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 119).

[3] ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 120.

რუსი უფლისწულის ჩამოყვანის წინააღმდეგი ჩანს ბერძენ-ბულთა ერთი ნაწილი, რომლებიც „ვიეთნიმე დაღონებულობით“ გამოიყურებიან ნებადაურთავი ქორწილის დანიშვნის შემდეგ. საინტერესოა თამარის მეორე ისტორიკოსის პოზიციაც. იგი ხაზს უსვამს, რომ თამარის სახლობის საკითხი დარბაზმა „ესე ვერა კეთილად განაგეს“ [1]. იგი უკმაყოფილოა სასიძოს ჩამოსაყვანად გაგზავნილი მოციქულის დონისა (აქ პირველი ისტორიკოსის მიხედვით თბილისელი დიდვაჭარი ზანქან ზორაბაბელია მხედველობაში) — „რამეთუ არცა კაცი იგი ღირსი საქმისა წარავლინეს“ [2], ამასთანავე „არც მისსა მეცნიერ იყვნეს, რომელსა იგი მოიყვანებდეს“ [3]. ისტორიკოსი გვარიანობასა და შესახედაობას ვერ უწუნებს ჩამოყვანილ იური ანდრიას ძეს, თუმცა მაინც აღნიშნავს — „რამეთუ არარას მეცნიერ იყვნეს ჩვეულებისთჳს მისისა“ [4].

ზანქან ზორაბაბელის იური უფლისწულთან გაგზავნის მეტად საინტერესო ინტერპრეტაცია აქვს მოცემული ფ. ჰოლდაკს. მან იცის ქართველი მემატიანის მოსაზრება გაგზავნილი მოციქულის „ღირს პირად“ მიჩნევის შესახებ. გერმანელი მეცნიერი თითქოს ეთანხმება თამარის მეორე ისტორიკოსს მეტად საპატიო მისიის (თამარის სახლობის საკითხის მოგვარების) აღმსრულებლის ამ საქმისათვის შეუფერებლად მიჩნევაში, თუმცა იგი საქართველოს სახელმწიფო დარბაზის დიდებულების მიერ გადადგმულ ამ ნაბიჯს მიიჩნევს რამდენადმე წინასწარგანზრახულად და საგანგებოდ მოფიქრებულად („recht vorsichtig zu verfahren“) [5]. ფ. ჰოლდაკი თვლის, რომ თუკი ზანქან ზორაბაბელი იმ პრინციპით იყო შერჩეული, როგორც გზის და რუსი უფლისწულის ადგილსამყოფელის მცოდნე, ეს ვერავითარი ბედენაა, რადგან ასეთ შემთხვევაში მასზე მეგზურის მოვალეობის დაკისრება უფრო უმჯობესი იქ-

---

[1] ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 119.

[2] იქვე, გვ. 119.

[3] იქვე.

[4] იქვე.

[5] Felix Holldack, Von der Sage und dem Reich der grusinischen Königin Tamara, (verfassungsgeschichtliches und rechtsphilosophisches), Leipzig, გვ. 60.

ნებოდა, ვიდრე მისიის მეთაურისა[1]. ამ შემთხვევაში გერმანელ მეცნიერს, საქმის ვითარება ისე აქვს წარმოდგენილი, რომ დიდებულების მიერ მიღებული გადაწყვეტილება თამარ მეფისათვის იური ანდრიას ძის შერთვის შესახებ, უცნობი იყო როგორც საქართველოს მეფის, ასევე რუსი უფლისწულისათვის, ამიტომ მოსალოდნელი მარცხის შემთხვევაში (ეს გამორიცხულად არ მიაჩნდათ დიდებულებს, ფ. ჰოლდაკის მიხედვით) სახელმწიფო დარბაზის წევრები, როგორც იტყვიან, ხელს დაიბანდნენ („den man beim Fehlschlagen des Planes nach der einen oder anderen Seite hin mit guten Grunde einfach fallen lassen konnte")[2]. რაკი ფ. ჰოლდაკი ასეთ შეფასებას აძლევდა თამარის სახლობასთან დაკავშირებულ საქმის ვითარებას, ის რთული სიტუაცია, რომელიც ამ პერიოდში სახელმწიფოს სამეფო კარზე შეიქმნა, მეცნიერს, მისი აზრით, აძლევდა უფლებას განეცხადებინა, რომ „die diplomatische Ränkekunst am georgischen Hofe sich jedenfalls auf einer sehr hohen Stufe befand"[3]. როგორც ჩანს, გარკვეული წინააღმდეგობანი იმთავითვე გაჩნდა იური ანდრიასძის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა დასებს შორის, მაგრამ პირველნი მეტად აქტიურნი ჩანან და დაჟინებით მოითხოვენ საქმის ბოლომდე მიყვანას: „აწუევდეს ქორწინებასა და სწრაფობდეს ამის პირისათჳს"[4] თამარის უარზე, იგინი წინააღუდგებოდეს უშვილოებასა მოახსენებდეს, სახლისა მისისა უნაყოფოებასა დრტჳნვიდეს, წინამძღუარსა სპათასა ითხოვდნენ და ყოვლითურთ შეაიწრებდეს სულსა მისსა... ესეოდენ მძიმესა საქმესა სუბუქად შეეხებოდეს"[5]. ასეთი მცდელობის ძემდეგ იური ანდრიასძის მომხრეთა დასმა გაიმარჯვა და თამარი „აიძულეს ქმნად... და ვითარ იყო ხუედრი... ეგრეთ იქმნა ქორწილი"[6].

---

[1] იქვე, გვ. 60.

[2] იქვე.

[3] „საქართველოს სამეფო კარზე დიპლომატიური ცბიერება მაღალ საფეხურზე იდგა".

[4] იქვე.

[5] იქვე, გვ. 120.

[6] ისტორიანი და აზმანი შარვანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 37.

ამრიგად, იური უფლისწულის საქართველოში ჩამოყვანა და თამარ მეფის ქმრად ხელდასხმა ქვეყნის მმართველი სოციალური წრეების გარკვეული, საკმაოდ მნიშვნელოვანი ჯგუფის გეგმით იყო ხორცშესხმული და მათ კლასობრივ ინტერესებს შეესაბამებოდა. ბუნებრივია, სხვადასხვა სოციალური წრეების წარმომადგენლები თავისებურად ფიქრობდნენ ამ ახალი იარაღის (იური ანდრიას ძის საქართველოს სამეფო სასახლეში შესვლა) საკუთარი კლასობრივი ინტერესებისათვის გამოყენებას. ბუნებრივი და კანონზომიერია, რომ რუსი უფლისწული, თავის მხრივ, უპირველესად ყურადღებას მიაქცევდა და მზრუნველობას არ მოაკლებდა აბულასანს, რომლისგანაც ესოდენ დავალებული იყო. ეს ასეც მოხდა. აბულასანის აღზევება სწორედ იურის საქართველოში მოღვაწეობის პერიოდში მოხდა. (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქორწინება 1185 წლის დამლევს უნდა მომხდარიყო, გაძევება კი ორი-ორნახევარი წლის შემდეგ, ე. ი. 1187-88 წლებში). აღნიშნულ საკითხში (აბულასანის დაწინაურება იური უფლისწულის საქართველოში ჩამოყვანასთან დაკავშირებით) მკვლევარები (ს. ერემიანი, ი. ცინცაძე, ვ. ბერიძე და სხვ.) არსებითად ერთი აზრისანი არიან, მაგრამ თვით ეს პროცესი (დაწინაურების დროს) სხვადასხვაგვარად აქვთ მოცემული. მაგ., პროფ. ს. ერემიანი მიიჩნევს, რომ აბულასანი სახელმწიფო დარბაზის წევრი და მეჭურჭლეთუხუცესი იური ანდრიას ძის ჩამოსვლის შემდეგ გახდა[1]. პროფ. ი. ცინცაძე არსებითად იმ აზრის არის, რომ აბულასანი რუსი უფლისწულის საქართველოში ყოფნის დროს დაწინაურდა — ამ დროს მიიღო მეჭურჭლეთუხუცესობა და ერისთავთ-ერისთაობა[2]. აბულასანის აღზევების პერიოდად პ. ინგოროყვა 1189—1190 წწ. ასახელებს[3].

რაც შეეხება მოსაზრებას აბულასანის სახელმწიფო დარბაზის წევრად იური უფლისწულის ჩამოსვლის შემდეგ შეყვა-

---

[1] С. Т. Еремян, Юрий Боголюбский по армянским и грузинским источникам, научные труды АГУ, XXIII, 1946, стр. 404.

[2] ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 126, 147.

[3] პ. ინგოროყვა, რუსთველიანის ეპილოგი, თხზულებათა კრებული, ტ. I, გვ. 651.

ნის შესახებ, არ უნდა იყოს სწორი, რადგან, როგორც ზემოთაც ვუჩვენეთ, აბულასანი სახელმწიფო დარბაზის წევრია იურის ჩამოყვანამდე. სწორედ მან მიაღებინა გადაწყვეტილება დარბაზს რუსი უფლისწულის თამარის ქმრად მოწვევის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ განვიხილავთ მეჭურჭლეთუხუცესობის საკითხს, იური ანდრიას ძის ჩამოსვლის დროისათვის საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა კახაბერ ვარდანის ძეს უკავია ამ უკანასკნელს ეს თანამდებობა ყუთლუ-არსლანის ღამარცხების შემდეგ ებოძა (1184—1185 წწ.) [1], და რაგინდ მოწადინებული არ უნდა ყოფილიყო რუსი უფლისწული თავისი თავგამოდებული მომხრისათვის, ამ „ხელის“ მიცემა მას არ შეეძლო. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „მეფე-ქმარმა“ თავისი წვლილი შეიტანა ქართლისა და თბილისის ამირას (აბულასანი)ქართლის ერისთავთ-ერისთავად და რუსთავისა და „შვიდთა მთიულეთთა“ პატრონად ქცევის საქმეში. პროფ. შ. მესხია მიიჩნევს, რომ აბულასანის მიერ ამ თანამდებობის მიღების შემდგომ არის გაკეთებული „ლურჯი მონასტრის“ წარწერა, თანაც რამდენიმე ხნით ადრე, ვიდრე ანდრია მოციქულის ხატის წარწერაა გაკეთებული [2].

განვიხილოთ თვით „ლურჯი მონასტრის“ წარწერა: „...გარნა სახელით ოდენ ქრისტიანე, ხოლო საქმით ურჩი და ყოვლით უშიში ღმრთისა ბრძანებათა, უღირსი ბასილი, ქართლისა მთავარეპისკოპოს ყოფილი, ძე კეთილ-ნათესავისა იობისი, უბოდოთა ამათ მცირეთა ნივთთა მიერ, გულსმოდგინებით მსასოებელი შენი, ცეებრსა ამას გიმკობ საყდარსართულსა სამსხემსა ამას კედარსა შინა... ხოლო ვაშენე ნაცვალ-საგებლად ჩემთჳს და საყუარელისა ძმისა ჩემისა ერისთავთ-ერისთავისა, ქართლის ამირთა-ამირისა, რუსთავისა და შჳდთა მთეულეთთა პატრონისა აბულასანისათჳს, და უპირმშოესისა ძმისა ჩე-

---

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II. გვ. 33.

[2] შ. მ ე ს ხ ი ა, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, გვ. 132.

მისა შვილისა დავითისათჳს. ვიდრემდის დაუდგომელსა ამ
და წარმდინარესა სოფელსა შინა...“ [1].

აკად. ივ. ჯავახიშვილი ამ წარწერის წაკითხვის საფუძველზე ასკვნიდა, რომ „ლურჯი მონასტრის“ წარწერაში მოხსენიებული აბულასანი იყო ერისთავთ-ერისთავი, ქართლის ამირა, რუსთავის და შვიდთა მთეულეთთა პატრონი [2].

მოცემული ტექსტის ამგვარი წაკითხვიდან იბადება კითხვა, თუ რომელი კუთხის ერისთავთ-ერისთავი იყო აბულასანი. ეს საკითხი ვრცლად მიმოიხილა პროფ. შ. მესხიამ და ამჯერად ჩვენ მასზე აღარ შევჩერდებით. მიგვაჩნია, რომ ხსენებული პროფესორის მიერ XII ს. ქართული სინტაქსის დაცვით წაკითხული „ლურჯი მონასტრის“ წარწერის ჩვენთვის საინტერესო ადგილი უფრო მართებული და გასაგებიცაა: „ძმისა ჩემისა ერისთავთ-ერისთავისა ქართლისა, ამირთ ამირისა, რუსთავისა და შვიდთა მთეულეთთა პატრონისა აბულასანისათჳს“...[3].

აქედან გამომდინარე იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ ქართლისა და თბილისის ამირა აბულასანი იური ანდრიას ძის შემწეობით (ყოველი შემთხვევისთვის მისი საქართველოში ჩამოსვლის შემდგომ) ქართლის ერისთავთ-ერისთავად დაწინაურებულა. იგი აგრეთვე რუსთავისა და „შვიდთა მთეულეთთა“

---

[1] იხ. პ. ინგოროყვა, რუსთველიანას ეპილოგი, თხზ. კრებ., I, გვ. 651. შდრ. ვ. ბერიძე, თბილისის „ლურჯი მონასტერი“, Ars Georgica, II, 1948, გვ. 96—97. აღნიშნული წარწერის განხილვის შესახებ იხ. Brosset, Voyage, Rapp. V. გვ. 4—6, П. Иоселиани, Описание древностей гор. Тифлиса, გვ. 35; Д. Бакрадзе, Кавказ в древн. памятниках христианства, გვ. 91—92, Е. Такаишвили, Археологические экск., IV, გვ. 149—150. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკ. I, გვ. 179, 213. ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X — XVI) თბ., 1956, გვ. 137. შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962, გვ. 131 და შემდეგ.

[2] წარწერის ამგვარ წაკითხვას იზიარებდნენ: პ. იოსელიანი, პ. ინგოროყვა, ი. ცინცაძე, ვ. ბერიძე, ე. თაყაიშვილი (იხ. წინა სქოლიოში ნაჩვენები ამ ავტორთა შესაბამისი გამოკვლევები).

[3] შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962. გვ. 134.

პატრონიც გამხდარა. წარწერა გვაუწყებს, რომ აბულასანი ამასთანავე ამირთ-ამირა, ე. ი. თბილისის გამგებელია [1].

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბულასანის კარიერის შემდგომი ზრდის მაუწყებელია „ლურჯი მონასტრის“ ანდრია მოციქულის ხატის წარწერა: „ყოვლად წმიდაო მოციქულო ქრისტეს ღმრთისაო ანდრია, შეიწირე მცირედი ესე მსახურებაი ჩ ე მ გ ა ნ ე რ ი ს-თ ა ვ თ-ე რ ი ს თ ა ვ ი ს ა დ ა მ ე ჭ უ რ ჭ ლ ე თ უ ხ უ ც ე ს ი-ს ა ა ბ უ ლ ა ს ა ნ ი ს ა გ ა ნ, ი ო ბ ი ს ძ ი ს ა“ [2].

ამდენად, თუკი ჩვენ დავუშვებთ, რომ ქრონოლოგიურად „ლურჯი მონასტრის“ წარწერა წინ უსწრებდა ანდრია მოციქულის ხატის წარწერას, აბულასანის კარიერის განვითარება ასე უნდა წარმოვიდგინოთ: ქართლისა და თბილისის ამირა — ქართლის ერისთავთ-ერისთავი — რუსთავისა და „შვიდთა მთეულეთთა“ პატრონი (ამასთანავე თბილისის გამგებლობა — ამირთ-ამირობა მას შენარჩუნებული აქვს)—მეჭურჭლეთუხუცესი. ამ უკანასკნელი თანამდებობის მიღების შემდეგ აბულასანი არც თბილისის ამირთ-ამირას თანამდებობაზე დარჩებოდა, და მისი მიწებიც (მეჭურჭლეთუხუცესის სახელო არ ყოფილა „რუჲსთავისა და შჳდთა მთეულეთთა“ პატრონობა), როგორც ირკვევა, სხვებს გადაეცათ. რაკი იური უფლისწული ეგრერიგად მწყალობელი იყო აბულასანისა უნდა ვივარაუდოთ, რომ მეჭურჭლეთუხუცესის, ეს მეტად მაღალი თანამდე-

---

[1] „ლურჯი მონასტრის“ წარწერა მანამდე უნდა იყოს გაკეთებული, ვიდრე აბულასანი მეჭურჭლეთუხუცესი გახდებოდა, იური უფლისწულის ჩამოყვანის პირველ წლებში, კერძოდ, 1186-87 წწ. (იხ. შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 134).

[2] Е. Т а к а и ш в и л и, Археологич. екск., II, 1905, გვ. 70 შდრ. პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, რუსთველიანას ეპილოგი, თხზ. კრებ., I, გვ. 651. მეცნიერებს ეჭვი არ შეუტანიათ იმის გამო, რომ ხატის წარწერაში მოხსენიებული აბულასანი არის თამარის ისტორიკოსისა და „ლურჯი მონასტრის“ წარწერაში აღნიშნული აბულასან იობისძე. ამასთანავე ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ მეჭურჭლეთუხუცესობა აბულასანს გვიან ჰქონდა მიღებული (იხ. Е. Т а к а и ш в и л и, დასახ. ნაშრ. გვ. 71).

ბობა თამარის ქმარყოფილის საქართველოდან განდევნის ე. ი. 1184-88 წწ. უნდა მიეღო მას.

ამრიგად, დიდვაჭარ-ფინანსისტების მიერ წარმოებული ბრძოლის შედეგად, მათი ლიდერი აბულასანი არა მხოლოდ სახელმწიფო დარბაზის წევრი გახდა, არამედ სამეფო კარის ერთ-ერთ პირველ კაცად იქცა. ბუნებრივია იგი, როგორც სამეფო დარბაზში, ასევე სამეფო კარზე თავისი დასაყრდენი ფენის ინტერესების გამომხატველი და დამცველი იქნებოდა. აღნიშნულმა დიდვაჭარ-ფინანსისტთა ფენებმა თავიანთი უფლებებისა და მდგომარეობის მოპოვებისათვის ბრძოლაში იარაღად სხვა მცდელობასთან ერთად რუსი უფლისწული იური ანდრიას ძე გამოიყენეს.

ჩვენ რიგ საკითხებზე ვრცლად შევჩერდით იმიტომ, რომ შემდგომში იური ანდრიას ძის აჯანყების მიმდინარეობისას ყურადღება მივაქციოთ ზემოთხაზგასმული სოციალური ფენის როლზე თამარისა და საერთოდ სამეფო კარის წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში.

მივყვეთ საკითხთა ისტორიულ მსვლელობას. თამარის ორივე ისტორიკოსი ერთხმად აღიარებს, რომ იური უფლისწულს ცუდი თვისებები აღმოაჩნდა. როგორც ისტორიკოსები გვაუწყებენ, თამარ მეფეს აღნიშნულის შესახებ დარბაზისათვის მოუხსენებია, რომელსაც მიუღია გადაწყვეტილება იური ანდრიას ძის ექსორიაქმნის—გაძევების შესახებ საქართველოდან. „წარიყვანეს ექსორია-ქმნად, გარნა აურაცხელითა ლარითა, სიმდიდრითა და საჭურჭლითა“ [1]. საქართველოდან განდევნილ რუს უფლისწულს ერთხანს კონსტანტინოპოლისათვის შეუფარებია თავი [2]. აღნიშნული ფაქტი ქორწინებიდან ორი-ორნახევარი წლის შემდეგ უნდა მომხდარიყო [3]. თუ თამარისა და იური ანდრიას ძის ქორწინებას 1185 წლისა-

---

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 41.

[2] იქვე.

[3] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი: „ო რ წ ლ ა მ დ ი ს გ ი ნ ა უ მ ე ტ ე ს იყო განსაცდელისა უცხოსა თმენასა შინა“ (ქართლის ცხოვ-

თვის ვივარაუდებთ, მაშინ ყოფილი „მეფე-ქმრის“ გაძევება 1187-88 წწ. უნდა მომხდარიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიკოსთა მიერ ერთხმად დამოწმებულ იური ანდრიას ძის ცუდ ყოფაქცევაში ეჭვის შეტანა ძალზე ძნელია, მაგრამ იყო კი მხოლოდ ეს ფაქტი სამეფო ოჯახის დანგრევისა და უფლისწულის საქართველოდან ექსორიაქმნის მიზეზი? ან რას ნიშნავს, რომ ის ძლიერი დასი, რომელიც იურის უჭერდა მხარს, ახლა ჩუმად არის? მართლა ასე იყო ეს, თუ მემატიანენი (რომლებიც უთუოდ თამარ მეფის მომხრეთა რიგებში არიან) შეგნებულად არაფერს ამბობენ იმ წინააღმდეგობათა შესახებ (თუკი ასეთი იყო), რომელსაც ადგილი ჰქონდა დარბაზის სხდომაზე ამ საკითხის გადაწყვეტისას.

სამწუხაროდ, აქ დასმულ საკითხებზე პირდაპირი პასუხის გასაცემად ჩვენ არ მოგვეპოვება ისტორიულ წყაროებში დაცული ცნობები. ვფიქრობთ, რომ ის სოციალურ-შინაკლასობრივი შეხლა-შემოხლა რომელსაც განვითარებული ფეოდალიზმის მთელ სიგრძეზე ჰქონდა ადგილი საქართველოს სახელმწიფოში, იური ანდრიას ძის ჩამოყვანის შემდეგ კიდევ უფრო გამწვავდა, რადგან თვით მეუღლენი თამარი და იური რიგ საკითხებში არ აღმოჩნდნენ ერთმანეთის თანამოაზრენი. იური უფლისწული საქართველოში ჩამოსვლისთანავე მოექცა აბულასანის დასის გავლენის ქვეშ და მისი ბევრი მოქმედებაც სწორედ ამ ბანაკის ნება-სურვილს შეესაბამებოდა. ბუნებრივია, არც მოწინააღმდეგეთა დასი იქნებოდა გულხელდაკრეფილი ამ პერიოდში. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დიდვაჭარ-ფინანსისტების აღზევებაში იურის როლი აშკარად გამოიკვეთებოდა, საპირისპირო ძალებიც, თავის მხრივ, ალბათ, გარკვეული მოქმედებით უპასუხებდნენ მათ. დროთა მსვლელობას გარკვეული მნიშვნელობა ექნებოდა თვით თამარისთვის, რომელიც უფრო მეტად დარწმუნდებოდა სხვადასხვა დასთა ჭიდილის მართებულება-უმართებულობაში, ერთ-

---

რება, II, გვ. 41), ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი: „ორისა და ნახევრისა წელთა, ვითარ გურდემლი, მოითმენდა მჯნე თამარ უკეთურებათა რუსისათა„... (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 120).

ერთი მათგანის (ამ შემთხვევაში აბულასანის დასის) ცალკერად გამოსახულ ცენტრიდანულ პოლიტიკაში. აქვე გვინდა მივაქციოთ ყურადღება თამარის მეორე ისტორიკოსის იმ მინიშნებას, რომ „... ბრძენმან თამარ იძია მრავალი ღონე განკურნებისა მისისა“ [1]. და შევნიშნოთ, რომ აქ მხოლოდ ავადმყოფის განკურნებაზე არ უნდა იყოს ლაპარაკი. მით უმეტეს, რომ თამარი სარწმუნო „მონაზონთა პირითაც“ მრავალგზის ცდილა მის მობრუნებას, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს თვით საქართველოს მეფემ „პირის-პირ იწყო მხილებად მისდა“ [2], მაგრამ როგორც მემატიანე აღნიშნავს, „უფროს განძვინდებოდა რუსი, ვითარცა ღმრთისაგან საფარველ-მოძურცილი“ [3].

ჩვენ მხოლოდ იმიტომ ვვარაუდობთ ორაზროვნებას თამარის მეორე ისტორიკოსის სიტყვებში (ე. ი. გარდა ავადმყოფობის ან ცუდი ყოფაქცევის განკურნებისა, ვფიქრობთ, უფრო სხვა სენისგანაც — მეფისა და სახელმწიფოს საწინააღმდეგო მოქმედებისაგან ხელის აღებაზე), რომ თავისი აზრის გაგრძელებად მემატიანე ასკვნის: „არა თუ ოდენ არა შეიგონა, არამედ უძვრესთა მიმართ იწყო და შერაცხილნიცა კაცნი უბრალოდ გუემნა და ასოთა ამოგდებითა ტანჯნა“ [4]. აქ, რა თქმა უნდა, მხოლოდ ცოლქმრული ურთიერთობის გამწვავება და ამის შედეგად აღმოცენებული მოვლენები არ უნდა დავინახოთ, არამედ ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესის — სხვადასხვა ერთმანეთის საპირისპირო დასის ურთიერთშებრძოლება, თანაც ცოლ-ქმარი ერთობლივ ერთ რომელიმე დასს არ უთანაგრძნობდა. (ერთ მხარესაა თამარი, ხოლო მეორე მხარეს იური). სწორად მიგვაჩნია პროფ. ი. ცინცაძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ იურისა და თამარს შორის წამოჭრილი კონფლიქტი, რასაც საქართველოდან რუსი უფლისწულის გაძევება მოჰყვა, გაცილებით უფრო ღრმა საფუძვლის მქონეა,

---

[1] ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 121

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე.

ვიდრე ამას თამარ მეფის ისტორიკოსები გადმოგვცემენ[1], თუმცა, როგორც ზემოთაც ვთქვით, ამ ისტორიკოსების თხზულებებშიაც შეიძლება იურის რეალურ მოქმედებასთან დაკავშირებული გარკვეული შტრიხის პოვნა. თამარ მეფის ისტორიკოსები საქართველოს მეფე-ქალის აპოლოგეტები, მისი პოლიტიკის აშკარა მომხრეები არიან და თავიანთ თხზულებებში ყოველმხრივ ამართლებენ თამარის მოქმედებას. თვით რუსი უფლისწულის გაძევება, მემატიანეთა მიხედვით, დარბაზის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდგომ ხდება („ვაზირთა და დიდებულთა... ერთხმა ყვეს")[2]. როგორც ირკვევა, ორიორნახევარი წლის განმავლობაში საქართველოს სამეფო კარზე ძალთა თანაფარდობა იმდენად შეიცვალა, რომ იური ანდრიას ძის ექსორიაქმნა უკვე დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა (მოვიგონოთ, რომ თავის დროზე თამარმა ვერ შესძლო ქართლის კათალიკოსის მიქაელის გადაყენება, ასევე ის ფაქტი, რომ მისგან ნებადაურთავად გადაწყდა მისივე საქმროს საკითხი და ქორწილიც), თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ მთლად მშვიდობიანად ამ საკითხის მოგვარება ვერ გადაწყდებოდა. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ იური უფლისწულის მომხრეთა დასის ლიდერი აბულასანი თავისი თანამდებობრივი რანგით ამაღლებულია (იგი უკვე მეჭურჭლეთუხუცესია) და მას ალბათ ამჯერად უფრო გაბედულად შეეძლო რუსი უფლისწულისათვის მხარის დაჭერა. ამას კი ჩვენ ვერ ვხედავთ. აქ ხომ არ არის საფიქრებელი ის გარემოება, რომ აღზევებული აბულასანი სამეფო კარზე მიმდინარე მოვლენების გაანალიზების შემდეგ იური ანდრიას ძის აქციებს სხვადასხვა საკითხების გადაჭრის საქმეში, ასევე მის პოლიტიკურ წონას დაცემულად თვლიდა და რაკი ვეღარ ხედავდა მასში რეალურ ძალას, გადაუდგა კიდეც რუს უფლისწულს, ყოველი შემთხვევისათვის მის დასაცავად არავითარი ღონე არ უხმარია. მემა-

---

[1] ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X—XVI), თბ., 1956, გვ. 127.

[2] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 41.

ტიანეები სდუმან სხვა დიდებულთა მიერ იურის დაცვისთვის გატარებული აქციების შესახებაც.

ამდენად, იმ დასმა, რომელსაც იური ანდრიას ძე ეყრდნობოდა, ვერ შეინარჩუნა თავისი მაღალი, დაწინაურებული მდგომარეობა და მარცხი განიცადა. ეს ბუნებრივია, ძასთან უფრო ძლიერი ფენის, ძლიერი მოწინააღმდეგის დაპირისპირების შედეგი იყო. იური ანდრიას ძის გაძევების შემდეგ სავარაუდებელია, რომ მის მომხრეებს სამეფო კარი და მასთან ერთად დაინტერესებული დიდგვაროვანი ფეოდალები სათანადოდ გაუსწორდებოდნენ. უნდა ვიფიქროთ, აბულასანიც დაკარგავდა მეჭურჭლეთუხუცესის სახელოს. ზოგიერთი მეცნიერი ვარაუდობს, რომ ეს თანამდებობა აბულასანმა იური ანდრიას ძის აჯანყების შემდგომ დაკარგა (პ. ინგოროყვა, ს. ერემიანი) [1], რაც ძნელადდასაჯერებელი ფაქტია. რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თვით იურის გაძევება მისი მოწინააღმდეგე დასის ძალთა თანაფარდობის გადაძლევით მოხდა და ამას არსებითი შედეგებიც უნდა მოჰყოლოდა. ბუნებრივია, მოწინააღმდეგე დასის წარმომადგენლები დაჰკარგავდნენ მოპოვებულ მიღწევებს.

თამარის პირველი ისტორიკოსი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „ამისსა შემდგომად (იური ანდრიას ძის განდევნის შემდეგ — რ. მ.) უფროს და უფროს, უკეთ და უკეთ მთავრობასა და ჭელმწიფებასა ათქმევს ყოველსა მწირსა ჭელი საუფლო და მკლავი მაღალი, თანაშემწე და თანამძლე ბრძოლათა შინა, და არა-მსგავსებული ბედი და სუე პაპათა და მამათა მისთა“...[2]

საგულისხმოა, რომ იური უფლისწულის საქართველოდან განდევნისა და აბულასანის გარკვეული მარცხის შემდგომ და-

---

[1] ჩვენ ამ მეცნიერთა მოსაზრების შესახებ შეგნებულად არაფერს ვამბობთ, რადგან ამის შესახებ საგანგებოდ შეჩერდა პროფ. შ. მ ე ს ხ ი ა, და დასაბუთებულად უარყო მათი მტკიცებანი. იხ. შ. მ ე ს ხ ი ა, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962, გვ. 138—139.

[2] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 42.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებს შორის ბრძოლა არ შეწყვეტილა. როგორც ჩანს, საქალაქო ზედაფენის წარმომადგენლები და მათზე მომხრობილი სამეფისკარო პოლიტიკით უკმაყოფილო დიდგვაროვან ფეოდალთა ერთი ნაწილი თავიანთ საქმეს საბოლოოდ წაგებულად არ თვლიდა და კვლავ ცდილობდა დაკარგული მდგომარეობის მოპოვება-აღდგენას.

სწორედ ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს იური ანდრიას ძის აჯანყება — მისი ბრძოლა საქართველოში კვლავ დამკვიდრებისათვის. რუსი უფლისწული ამჯერადაც, ისე როგორც თავის დროზე მისი საქართველოში ჩამოყვანისას, გამოყენებულ იქნა, როგორც იარაღი, საბაბი დაინტერესებული სოციალური წრეების მიერ.

იური უფლისწულის საქართველოდან განდევნის შემდგომ (განსაკუთრებით თამარის დავით სოსლანზე დაქორწინების შემდგომ) საქართველოს სამეფო კარის პოლიტიკა თანმიმდევრული და მტკიცე გახდა დიდგვაროვანი ფეოდალების მიმართ, რამაც გარკვეული საფუძველი შეუქმნა მეფის პოლიტიკით უკმაყოფილო ფეოდალთა ნაწილს მოქალაქეთა ზედაფენებთან— დიდვაჭარ-ფინანსისტებთან ერთად ეფიქრათ რუსი უფლისწულის დაბრუნებაზე. საინტერესოა, რომ ისტორიული წყაროები აჯანყების ორგანიზატორთა შორის „მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალს“ ასახელებენ [1]. საფიქრებელია, რომ აჯანყების ორგანიზატორებსა და იური ანდრიას ძეს შორის გარკვეული წინასწარი შეთანხმება (ყოველი შემთხვევისთვის მოლაპარაკება) არსებობდა მეფისა და სახელმწიფოს საწინააღმდეგო მოქმედების გაშლის შესახებ. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ იური ანდრიას ძე, რომელიც საქართველოდან ექსორიაქმნის შემდეგ კონსტანტინეპოლში იყო [2], უცებ კარნუქალაქში აღმოჩნდა. „რუსი იგი ძნელბედი და სუე-უსუეო წა-

---

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 48.

[2] „... და წარიყვანეს ექსორია-ქმნად... მიიწია კონსტანტინეპოლედ, და იყოფოდა ჟამთა რაოდენთამე მუნ“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 41).

მოსრულა კონსტანტინეპოლით და მოსრულა ქუეყანად ეფესოსა-
კისად, კარნუ-ქალაქისად“ [1]. „ისტორიათა და აზმანთა“ ავტო-
რი ხაზს უსვამს, რომ სწორედ ამავე დროს ჩამოსულა კარნუ-
ქალაქს მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალი და შეხვედრია იური
ანდრიას ძეს „და მას ჟამსა (!) ნაცვალი მეჭურჭლეთუხუცე-
სისა... კარნუ-ქალაქსა მისვლასა შინა შეიყარნეს რუსი და
იგი ერთად“ [2]. აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ
კარნუ-ქალაქს შეხვედრა იური ანდრიას ძისა და მეჭურჭლეთ-
უხუცესის ნაცვლისა იყო არა შემთხვევითი, არამედ წინასწარ
მოლაპარაკება-შეთანხმების შედეგი [3]. დღეისათვის ჩვენს ისტო-
რიულ სამეცნიერო ლიტერატურაში დასაბუთებულია მოსაზ-
რება, რომ „მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალის“ თანამდებობა
თბილისის ამირთ-ამირას ეკავა. ეს აზრი თავის დროზე გამო-
თქმული აქვს პ. ინგოროყვას, ხოლო ამ უკანასკნელ ხანს და-
საბუთებული — დ. მუსხელიშვილს [4]. მანვე სწორად შენიშნა,
რომ პ. ინგოროყვას მოსაზრება—კარნუ-ქალაქს მოციქულად
გაგზავნილი „მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვლის“ აბულასანთან
იგივეობის შესახებ, მცდარია [5]. დ. მუსხელიშვილს მიაჩნია,
რომ ამ დროს (1190-91 წწ.) აბულასანი ჯერ კიდევ მეჭურ-
ჭლეთუხუცესი იქნებოდა და სწორედ ამ წლებში მომხდარი
აჯანყების შემდეგ ჩამოართვეს მას ეს თანამდებობა [6]. რაც
შეეხება ამ ვარაუდს, იგი შეიძლება არ იყოს მთლად სწორი,
რადგან არ არის გამორიცხული და უფრო მეტად ისეცაა სა-
ვარაუდებელი, რომ აბულასანს იური ანდრიას ძის განდევნის
შემდგომ დიდხანს აღარ შეუნარჩუნებდნენ მეჭურჭლეთუხუ-
ცესის თანამდებობას. ადვილი შესაძლებელია, რომ ამით

---

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 48.

[2] იქვე.

[3] მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვლის ვინაობის შესახებ არსებობს სხვადასხვა მოსაზრებები და ამ საკითხის ირგვლივ შექმნილია სათანადო ლიტერატურა, ამიტომ ჩვენ მასზე საგანგებოდ აღარ შევჩერდებით.

[4] დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, თბილისის ამირთამირობის ინსტიტუტისათვის, კრებ. საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, გვ. 214.

[5] იქვე, გვ. 215.

[6] იქვე.

ნაწყენი აბულასანისა და მეფის მოწინააღმდეგე სხვა ფეოდალთა შემწეობით გაღვივდა სწორედ 1191 აჯანყება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვლის მოვალეობას მოცემულ შემთხვევაში შეადგენდა იური უფლისწულისათვის საქართველოს სახელმწიფოში შექმნილი ვითარების გაცნობა, კერძოდ, ის გარემოება, რომ დიდგვაროვან ფეოდალთა ერთი ნაწილი, ამავე დროს მოქალაქეთა ზედაფენა მზად იყო სამეფო კარის პოლიტიკის წინააღმდეგ გასალაშქრებლად და მის სამეფო კარზე დაბრუნებისათვის საბრძოლველად. ამის შემდეგ მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალს იური მოჰყავს საქართველოში. საინტერესოა მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვლის მემატიანისეული დახასიათება: „... ნაცვალი მეჭურჭლეთაუხუცესისა, სჯულითა ბარბაროზი და ქცევითა ტარტაროზი, კეთილთა და ჰამოთა პატრონთაგან სრულწყლიანი, საქმის მოციქულად წარავლინა საქმისა რასათჳსმე“... [1]. თამარის ისტორიკოსის მიერ მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვლის ასეთი ეპითეტებით („სჯულითა ბარბაროზი და ქცევითა ტარტაროზი“) „შემკობა“ არ უნდა იყოს შემთხვევითი. იგი ცდილობს ამით გადმოსცეს თვით ამ პიროვნების ბუნება და მის მიერ ჩადენილი სახელმწიფოებრივი დანაშაულის სისასტიკე. ამასთანავე იგი ხაზს უსვამს, რომ ეს ნაცვალი „ჰამოთა პატრონთაგან სრულწყლიანი“-ა. ე. ი. მეფეთაგან შეწყალებული, აღზევებულია. ამდენადაც შეიძლება ჩავთვალოთ, რომ იგი იმ დასს წარმოადგენდა, რომელშიც აბულასანი და ზანქან ზორაბაბელი შედიოდნენ. ყურადსაღებია ისტორიკოსის ის სიტყვებიც, რომ „საქმის მოციქულად წარავლინა საქმისა რსათჳსმე“. როგორც ჩანს, მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალი გარკვეულმა სოციალურმა ჯგუფმა (დასმა) გააგზავნა მოციქულად კარნუ-ქალაქს „საქმისა რასათჳსმე“. ეს „საქმისა რასათჳსმე“ სწორედ მოციქულისა და იურის მოლაპარაკების საქმეს გულისხმობს. ამდენად იური ანდრიას ძე გამოემართა საქართველოსკენ კვლავ გარკვეული სოციალური წრეების მოწვევით (წრეებს ვამბობთ იმიტომ, რომ შეუძლებელია ცენტრალისტური სამეფო ხელის-

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, იქვე.

უფლების წინააღმდეგ ესოდენ მასშტაბური აჯანყება, მხოლოდ მოქალაქეთა ზედაფენების ბაზაზე მომზადებულიყო? ეჭ, როგორც სამართლიანად აღნიშნავდა პროფ. შ. მესხია, იურის განდევნითა და აბულასანის გადაყენებით წელში გატეხილი დასი ვერ შექმნიდა აჯანყებისათვის საჭირო ძალას [1]. ეს მოძრაობა, ისევე როგორც რუსი უფლისწულის პირველად ჩამოყვანის დროს, ძლიერი ცენტრალისტური ხელისუფლების მოწინააღმდეგე დიდგვაროვან ფეოდალთა ინტერესებს დაემთხვა. თვით აჯანყებაში ძირითად ხელმძღვანელ ძალად დიდგვარიანი ფეოდალები გამოდიან.

საქართველოში ჩამოსულ იური ანდრიას ძეს „მიუდგეს იმიერნი, რათა რუსი სასახლესა შინა შეყვანილ ყონ“ [2]. თამარის მეორე ისტორიკოსი იურის ჩამოყვანას და აჯანყებას უფრო ძუნწად გადმოგვცემს: „ამას ჟამსა მცირედ რამე აღიძრნეს იმერელ-სუანნი მსგავსად ჩუეულობისა ურჯუკობისა და რუსი მოიყვანეს, რეცა კუალად განსამეფებლად“ [3].

სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ მოწყობილი ეს აჯანყება, როგორც ჩვენს ისტორიოგრაფიაშია მიჩნეული, 1191 წელს უნდა მომხდარიყო.

ვინ არიან აჯანყებულთა რიგებში? ვინ ჩაიდინა „საქმე ყოველთა ძუელთა გინა ახალთაგან უბოროტესი“? [4] თამარის პირველი ისტორიკოსი გარკვეული თანმიმდევრობით ჩამოთვლის მათ: გუზანი, კლარჯეთისა და შავშეთის პატრონი, ბოცო-სამცხის სპასალარი, ვარდან დადიანი — მსახურთუხუცესი („ლიხთ-აქით პატრონი ორბეთის და კაენისა, ლიხთ-იქით ნიკოფსამდის უცილობელად ქონებისა“) [5]. მიუხედავად იმისა, რომ ჩამოთვლისას ისტორიკოსი ვარდან დადიანს ბოლოს ასახელებს, იგი მაინც აჯანყებულთა ძირითად, ცენტრა-

---

[1] შ. მ ე ს ხ ი ა, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, გვ. 141, მისივე, შენიშვნები ძველი რუსეთისა და საქართველოს ისტორიიდან, მნათობი, 1970, № 1.

[2] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 48.

[3] ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 122.

[4] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 48.

[5] იქვე, გვ. 49.

ლურ ფიგურად უნდა მივიჩნიოთ. ჯერ ერთი, თავისი თანამ-
დებობით იგი სხვა აჯანყებულ დიდგვარიან ფეოდალებზე მაღ-
ლა დგას (თავისთავად ესოდენ მაღალი ხელის—მსახურთუხუ-
ცესობის მატარებელი პირის მეფის პოლიტიკის წინააღმდეგ
გამოსვლა საგულისხმო მოვლენაა. აქ უთუოდ მეფესა და
მსახურთუხუცესს შორის ურთიერთობის გამწვავებასთან უნდა
გვქონდეს საქმე), ამასთანავე იგი თავისი მოქმედებით ყველა-
ზე აქტიურია. სწორედ ვარდან დადიანმა მიიმხრო და „შე-
ყარა“ სვანეთი, აფხაზეთი, საეგრო, გურია, სამოქალაქო, რაჭა,
თაკვერი და არგვეთი [1] და „აფიცა რუსისა გამეფებისა და მი-
სის მეფე-ყოფისათჳს დიდებულნი და ლაშქარნი ქუეყანი-
სანი“ [2]. უფრო მეტიც, ვარდანმა ქვეყნის ლაშქარი გაგზავნა
გუზანთან, აქედან რუს უფლისწულთან ერთად შეერთებული
ძალით მეამბოხენი გადავიდნენ სამცხეში, სადაც მათ დახვდათ
ბოცო სამცხის სპასალარი სხვა მესხ აზნაურებთან ერთად „და
ვინცა მისი მიმდგომი იყო“ [3].

აკად. ივ. ჯავახიშვილი, როდესაც თამარის წინააღმდეგ
აჯანყებულებს ჩამოთვლის (ბოცო, ვარდან დადიანი და სხვ.)
მათ შორის ასახელებს ივანე-ყვარყვარე ციხისჯვარელს [4].
ივანე-ყვარყვარე ციხისჯვარელის მონაწილეობა თამარისა და
სამეფო კარის საწინააღმდეგო გამოსვლაში დღემდე ჩვენს
ხელთ არსებული წყაროებით არ დასტურდება. პირიქით, იგი
საქართველოს მეფის ერთგულთა რიგებშია. „ისტორიანი და
აზმანი შარავანდედთანი“ ასახელებს რა გიორგი რუსის მომხ-
რეებს: გუზანის შემდგომ ჩერდება ბოცოზე „.... აქით ბოცო,
სამცხის სპასალარი და სისრულისაცა აღმატებით შეწყალე-
ბული, სხვთა მესხითა დიდებულ-აზნაურითურთ, თ ჳ ნ ი ერ
ი ვ ა ნ ე ც ი ხ ი ს ჯ უ ა რ ე ლ ი ს ა, რ ო მ ე ლ ს ა ყ უ ა რ ყ უ-
ა რ ე ც ა ე წ ო დ ე ბ ი ს. ე ს ე დ ა მ ა გ რ დ ა თ ჳ ს ი თ უ რ თ
მ ო კ ი დ უ ლ ი თ უ რ თ, ვ ი თ ა რ გ უ ა რ ე ყ ო დ ა ც ა
მ ო მ გ ო ნ ე ბ ე ლ ს ა ს უ ლ ა ს ა ე რ თ გ უ ლ ო ბ ი ს ა ს ა,

---

[1] იქვე.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 50.
[4] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, თბ., II, 1965. გვ. 260.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელ ბაღუაშსა ზედა უერთგულებენ-
რატს“ [1]. ალბათ სრულიად ზედმეტია, მაგრამ მაინც გვინდა
აღვნიშნოთ, რომ სიტყვა „თვინიერ“ ძველ ქართულში ნიშ-
ნავს „უმისოდ“ [2]. ე. ი. ბოცო სამცხის სპასალარი აჯანყებაში
ჩაერთო მესხ დიდებულებთან ერთად, მაგრამ ამ უკანასკნელ-
თა შორის არ იყო ივანე (ყვარყვარე) ციხისჯვარელი. ის
ფაქტი, რომ მისი მოქმედება შედარებულია სულა კალმახის
ერისთავის ბაგრატ მეფისადმი (ბაგრატ IV) ერთგულებასთან,
იგივეს მიგვანიშნებს. როგორც ცნობილია, ლიპარიტ ბაღვა-
შის წინააღმდეგ ბაგრატ მეოთხის მხარეზე იბრძოდა სულა
კალმახის ერისთავი, რომელიც, მიუხედავად მარცხისა, ბო-
ლომდე საქართველოს მეფის ერთგული დარჩა, მაშინ როცა
ზოგიერთმა სხვა დიდებულმა ფარ-ხმალი დაჰყარა და მტერს
დანებდა [3]. საქართველოს სამეფო კარისადმი ივანე (ყვარყვა-
რე) ციხისჯვარელის ერთგულებაზე უნდა მიგვითითებდეს ის
ფაქტიც, რომ იგი შემდგომში (მხედველობაში გვაქვს აჯან-
ყების შემდგომი პერიოდი) აღზევებულია — ჯერ სამცხის
ერისთავთ-ერისთავი და სპასალარია, ხოლო შემდეგ მეჭურ-
ჭლეთუხუცესის სახელოს ფლობს [4]. ამასთან მისი შვილებიც
ერთგულად მსახურებენ საქართველოს მეფეს [5].

გამომდინარე ყოველივე აქედან, ივანე (ყვარყვარე) ციხის-
ჯვარელი არა აჯანყებულთა შორის მყოფი, არამედ ერთიანი
ცენტრალიზებული საქართველოსა და მისი სამეფო კარის
ერთგულებაში მყოფი პიროვნებაა.

საჭიროა ყურადღება გამახვილდეს ორ ტერმინზე: „მოკი-

---

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 49.

[2] სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თხზულებანი, IV, აკ. შანიძისა და ილ. აბულაძის რედაქციით. თბ., 1965, გვ. 318.

[3] მატიანე ქართლისა: „... შეიპყრეს სულა (ბაღვაშებმა — რ. მ.), კალმახისა ერისთავი და მრავლითა ტანჯვითა და ძელსა გასუმითა სთხოვეს კალმახი, და არა მისცა“. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 302.

[4] იხ. პ. ინგოროყვა, რუსთველიანას ეპილოგი, თხზ., ტ. I, გვ. 663. იხ. ჟამთააღმწერელი, მესამეოცე მეფე ლაშა-გიორგი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 165.

[5] ჟამთააღმწერელი, დასახ. თხზ., გვ. 153.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებული“ და „მიმდგომნი“. ორივე მათგანი მოიხსენება თანამედროვე ისტორიკოსის პირველი ისტორიკოსის მიერ ერთი და იგივე მოვლენის გადმოცემისას. „ესე დამაგრდა (ივანე ციხისჯვარელი — რ. მ.) თჳსითურთ მ ო კ ი დ უ ლ ი თ უ რ თ“ [1]. „მიეგება ბოცო (გიორგი ანდრიას ძეს — რ. მ.) და ვინცა მისი მ ი მ დ გ ო მ ი იყო“ [2].

„მოკიდული“, როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილმა გამოიკვლია, ფართო მოცულობის საზოგადოებრივ გაერთიანებას წარმოადგენდა, რომელსაც წევრების თავისუფლება და ინტერესთა თანხმობა ახასიათებდა [3]. ივანე ციხისჯვარელის „მოკიდული“ მისი მომხრენი და თანამოაზრენი არიან. საფიქრებელია, რომ საერთო ინტერესებს გარდა მათ შორის გარკვეული სოციალური დამოკიდებულებაც იყოს — „მოკიდულნი“ რამდენადმე დამოკიდებულნიც იყო ივანეზე, მაგრამ მათ სწრაფვათა თანხმობის ნიადაგზე მეტ-ნაკლებად თავისუფალი ერთიანობა აუცილებელ მომენტად ჩანს.

ასევეა „მიმდგომნიც“. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ისინი ბოცოს მიმდგომნი, მომხრეები არიან და მასთან ერთად გამოდიან. „მიმდგომსა“ და „მოკიდებულს“ შორის გარკვეული ნათესაობა უნდა არსებობდეს, თუმცა მათი გაიგივება არ იქნება მართებული, რადგან ამის საშუალებას თვით მატიანე არ გვაძლევს. აქ ორთავე ეს ტერმინი მოიხსენება ერთ და იგივე მომენტში. ბუნებრივია, ისტორიკოსი გარკვეულ სხვაობას ხედავდა მათ შორის და ამიტომაც სხვადასხვა სახელწოდებით მოგვცა არსებითად თითქოსდა ერთი და იგივე კატეგორია. ამიტომაც ვფიქრობთ, სხვაობა მათ („მოკიდებულისა“ და „მიმდგომის“) სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებაში უნდა იყოს შესაბამის ობიექტთან (ამ შემთხვევაში ივანე ციხისჯვარელსა და ბოცოსთან). ეს თავისთავად მეტად საინტერესო საკითხია და ცალკე კვლევის საგანს შეადგენს. ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ „მოკიდებულისა“ და „მიმდგო-

---

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 49.

[2] იქვე, გვ. 50.

[3] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, „მოკიდებულისათვის“, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 134.

მის“ ინსტიტუტების არსებობა ერთხელ კიდევ მკვეთრად უსვამს ხაზს XII საუკუნის საქართველოში არსებული შინაკლასობრივი ბრძოლის სიმწვავეს, ნათლად წარმოაჩენს, რომ ფეოდალებს მეფისა თუ ერთმანეთის წინააღმდეგ გამოსვლის დროს ზურგს უმაგრებდა მომხრე თანამოაზრეთა არმია, რომელზე დაყრდნობითაც ისინი ცდილობდნენ თავიანთი ზრახვების განხორციელებას. რა თქმა უნდა, მოკიდება-მიდგომამდე (თანამოაზრეთა შექმნა-მომხრობამდე) ეს ფეოდალები დიდ მუშაობას ეწეოდნენ. ეს წინასწარ განზრახული საქმიანობაც და მისი შედეგიც უნდა შეფასდეს, როგორც ქვეყნის ცენტრალიზაციის წინააღმდეგ მიმართული მოქმედება. მოცემულ შემთხვევაში ივანე ციხისჯვარელი მეფის მომხრე ჩანს, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ იგი ან კიდევ სხვა მსგავსი ფეოდალი მუდმივად ერთგული დარჩენილიყო საქართველოს სამეფო ხელისუფლებისა, რადგან ამის საფუძველს არ იძლევა თვით ფეოდალიზმის ბუნება, მისი საფუძვლები, მისი შინაგანი სოციალურად წინააღმდეგობრივი ხასიათი. წოდებრიობის პრინციპი მთელი სიმკვეთრით რომ გასდევს ფეოდალიზმს მისი არსებობის მთელ სიგრძეზე [1].

ამრიგად, ესა თუ ის ფეოდალი, როდესაც თავისი უფლებების დასაცავად ან გასაფართოებლად ხმას იმაღლებს, მასთან ერთად მის მომხრეთა გარკვეული დასი გამოდის. ეს თავისთავად შინაკლასობრივი ბრძოლის გაღრმავებასა და სიმწვავეზე მიუთითებს.

აჯანყებაში, როგორც ჩანს, თითქმის მთელი დასავლეთი და აღმოსავლეთ საქართველოს საკმაო ნაწილია ჩაბმული. ამასთანავე მემატიანეთა მიხედვით, აჯანყების მოთავენი საკმაოდ მაღალი რანგისა და დიდების მქონე პირები არიან. რომ არაფერი ვთქვათ ვარდან დადიანზე, რომელიც მსახურთუხუცესი

---

[1] «... В... феодальном обществе различие классов фиксировалось и в сословном делении населения, сопровождалось установлением особого юридического места в государстве для каждого класса. Поэтому классы... феодального (а также и крепостного) общества были также и особыми сословиями». (В. И. Ленин, Аграрная программа русской социал-домократии, ПСС, т. 6, М., 1959, გვ. 311, იხ. სქოლიო).

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამავე დროს დიდი მიწების („ლიხთ-აქეთ პატრონი ორბეთის და კაენისა, ლიხთ-იქით ნიკოფსამდის უცილებელად ქონებისა“)[1] პატრონი იყო, სხვა ფეოდალებიც ასევე თავის დროზე დაწინაურებულნი სჩანან. კლარჯეთისა და შავშეთის მფლობელი გუზანი „ძუელთა მეფეთა ტაოელთა დიდებულთა ადგილსა ზედა შეეწყალა პატრონსა“[2]. ე. ი. იგი მეფისაგან შეწყალებული და ამაღლებულია. ასევეა ბოცო სამცხის სპასალარი „სისრულისაცა ა ღ მ ა ტ ე ბ ი თ შ ე წ ყ ა ლ ე ბ უ ლ ი“[3]. თამარის პირველი ისტორიკოსი გაკვირვებულია, რომ თამარს სწორედ ის დიდებულები განუდგნენ, „რომელნი თანაზიარ მეფობისა მათისა და უხუად და უგულსავსედ წყალობითა იყვნეს“[4].

ბუნებრივია, საქართველოს სამეფო კარის წინააღმდეგ ამ დიდებულებს ამოძრავებდათ ის გარემოება, რომ ძლიერ ცენტრალიზებულ სამეფო ხელისუფლებას ვერ ეგუებოდნენ და ხსნას იური ანდრიას ძის დაბრუნებაში ხედავდნენ. რაც შეეხება მოქალაქეთა ზედაფენას, ისინი იურის განდევნის შემდეგ თავიანთ დაკარგულ პოზიციებს მისტიროდნენ და, რა თქმა უნდა, რუსი უფლისწულის დაბრუნება მათთვის ხელსაყრელი იყო[5].

აჯანყებულებმა, როგორც ირკვევა, იური გეგუთს გადაიყვანეს და იქ მეფედაც კი გამოაცხადეს. ამ ამბით გაკვირვებული და აღშფოთებული თამარის პირველი ისტორიკოსი კითხულობს: „ვინა ანუ ვისიღა მოსაყდრე საყდარსა დაჯდა დავითიანსა?“[6].

---

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 49.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე.

[5] თამარის მეორე ისტორიკოსს ამბოხების მიზეზები მარტივად აქვს გადმოცემული. „ამას ჟამსა მცირედ რამე აღიძრნეს იმერულ-სუანნი მსგავსად ჩუეულობისა ურჯუკობისა და რუსი მოიყვანეს“. (ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 122.

[6] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 50.

თუ თამარის ისტორიკოსებს დავუჯერებთ, საქართველოს სამეფო კარისათვის დიდგვაროვან ფეოდალთა უსოდენ ფართო მასშტაბის განდგომა მოულოდნელი უნდა ყოფილიყო („...თამარ ...უსახურისა და უაზრავისა საქმისა განკვრვებული“[1] იყო). თამარმა შეკრიბა ერთგული დიდებულები. „ჰერეთით, კახეთით, ქართლით, სომხითით და სამცხით“ [2]. შესაძლოა საქართველოს მეფეს ეჭვი ეპარებოდა მათ ერთგულებაში, რადგან ისტორიკოსი საგანგებოდ უსვამს ხაზს „მკვრნეთა საქმითა ჰკადრეს ფიცით (მოწვეულმა დიდებულებმა—რ. მ.) არა მათგან ნებადართულობა საქმისა“ [3]. ე. ი. დიდებულებს დასჭირდათ შეფიცვა თამარისათვის, რათა ამ უკანასკნელს მათი უცოდველობა დაეჯერებინა აჯანყების მოწყობის საქმეში („შეაჯერეს უმათოდ ქმნილობა“).

თამარ მეფე თავიდანვე არ ყოფილა მოსურვე აჯანყებულებთან შებმისა და ამ რთული საკითხის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა განუზრახავს. ამ მიზნით მას საგანგებო მოციქულებიც კი გაუგზავნია აჯანყებულებთან მოსალაპარაკებლად. „...თევდორე პატრიარქსა და ანტონი ქუთათელსა... და სხუათა ეპისკოპოსთა გზავნიდის, ოდესმე შინაურსა ეჯიბსა და მესტუმრესა“ [4]. მაგრამ, როგორც ჩანს, მეამბოხეები მყარად იდგნენ თავიანთ განზრახვაზე და მეფესთან მშვიდობიან შერიგებაზე არ დათანხმებულან [5].

თამარ მეფის მცდელობა აჯანყებულებთან საქმის მშვიდობიანად მოგვარებისათვის არ უნდა იყოს შემთხვევითი მოვლენა და ეს მხოლოდ საქართველოს მეფის დიდბუნებოვნებით, ან მისი მშვიდობისმოყვარული პოლიტიკით არ უნდა ავხსნათ. ალბათ თამარმა და საქართველოს სამეფო კარმა გაითვალისწინეს. მეამბოხეთა სიმრავლე, თვით ამ გამოსვლის სერიოზულობა და ის ამბავიც, რომ იური ანდრიასძე უკვე გეგუთში იჯდა და მათთან შებმა, ამ აჯანყების ჩახშობა

---

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 50.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე.

[5] იქვე.

არც თუ ისე იოლი საქმე იქნებოდა. თამარის პირველი ისტორიკოსი ხაზს უსვამს, რომ დასავლეთ საქართველოში სამეფო კარის მომხრეებიდან ძალზე ცოტანი დარჩნენ—„ოდესმე თევდორე პატრიაქსა და ანტონი ქუთათელსა, რომელი-იგი ოდენ დარჩა მას ჟამსა ერთგულად ლიხთ-იმერთ... გზავნიდის...“ [1] თანაც საქართველოს სამეფო კარი იმ გარემოებასაც ითვალისწინებდა, რომ გამდგარი ფეოდალები, რომელთაც მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი უდგა სათავეში, კარგად იყვნენ მომზადებულები და აჯანყების მსვლელობის გეგმაც სათანადოდ ექნებოდათ შემუშავებული. საფიქრებელია, რომ ის პერიოდი, რომელიც მოლაპარაკებას დასჭირდა, თამარმა თავისი ძალების მობილიზებისათვის გამოიყენა.

როგორც ირკვევა, აჯანყებულები ორად გაიყვნენ. ერთმა ნაწილმა („თჳთ მეფე-საგონებელითურთ“) გადალახა ლიხის მთა, ააოხრა ქართლი და ნაჭარმაგევამდე და გორამდე მოვიდა. მეორე ნახევარმა „დადიანთა წინაძღომითა“ (მხედველობაში ვარდან დადიანი უნდა იყოს — რ. მ.) გადაიარა რკინისჯვარი, ჩავიდა ციხის-ჯვარს, შემდეგ დაწვეს ქალაქი ოძრხე. აჯანყება თანდათან იზრდებოდა. ოძრხესთან შეყრილან ბოცო და მესხნი, „ვინცა იყვნეს მიმდგომნი მათნი“ [2]. აჯანყებულებმა იციან ის ამბავი, რომ საქართველოს მეფეს გასდგომია „ქურდვაჭრისა იქით... ყოველი სომხითი: ივანე ვარდანისძე, პატრონი გაგისა; მაყა, პატრონი კაიწონისა (კაენი თვით ვარდანისი იყო), სხუანი მის ქუეყანისა აზნაურისშვილნი“ [3]. ბუნებრივია, რომ ასეთი ფართო მასშტაბის აჯანყებაში დიდ ადგილს მოსახლეობის დაბალი ფენებიც დაიჭერდნენ, უშუალო ბრძოლისთვის მათი ძალა იქნებოდა გამოყენებული. გამდგარი ფეოდალები იმხანად არსებულ უკმაყოფილებას „წვრილ ერში“ (ეს უკმაყოფილება ფეოდალურ წყობილებაში ყველგან და ყოველთვის არის ექსპლოატაციის სიმწვავით გამოწვეუ-

---

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 50.

[2] იქვე, გვ. 51.

[3] იქვე.

ლი და არც თამარის ეპოქა შეადგენდა ამ მხრივ გამონაკლისს. თავის სასარგებლოდ და საქართველოს მეფის საწინააღმდეგოდ გამოიყენებდნენ. თამარის პირველი ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ მეამბოხეებს გადაუწყვეტიათ: „პირველად აღება ჯავახეთისა, თმოგჳსა და ახალქალაქისა, კუალად თრიალეთისა და სომხითისა“ [1].

ბუნებრივია, საქართველოს სამეფო კარი [2] გულხელდაკრეფილი არ დალოდებია აჯანყებულთა მოქმედებას. საგანგებო ბრძანება მიეცა ამირ-სპასალარს — გამრეკელს, „ოთხთა მჯარგრძელთა და სხუათა თორელთა, ზემოთა და ქუემოთა, წასლვა და მიგებება წინა ქუეყანასა ჯავახეთისასა და მუნვე ცნობა ძალისა მათისა“ [3]. თამარის ლაშქარს ერთგულად დარჩენილი მესხებიც შეუერთდნენ. მოწინააღმდეგენი მტკვრის სხვადასხვა მხარეს დაბანაკდნენ, ხოლო შებრძოლება მოხდა „ჯიდსა ზედა“. მებრძოლები სიბნელემ გაჰყარა. როგორც ირკვევა, ჯერ კიდევ არა ჩანდა თუ ვის მხარეზე იხრებოდა გამარჯვების სასწორი. ბჭობა გაიმართა ორივე ბანაკში. მეამბოხეებს გადაუწყვეტიათ, უკან დაეხიათ და ციხე-სიმაგრეში გამაგრებულიყვნენ. სამეფო ლაშქარი დაედევნა მტერს. მეამბოხეები კვლავ შეეცადნენ გარიდებას. თმოგვსა და ერუშეთს შუა გაიმართა დიდი ომი, „მიეცა ძლევა ბუმბერაზთა და მოყმეთა თამარისთა, და გაქცეულნი რომელნიმე დაიპყრნეს, დაჴოცეს და ტყუეყვეს“ [4]. თამარის მოლაშქრეების ზარალი მეტად უმნიშვნელო ყოფილა. ისტორიკოსი ფაქტიურად არაფერს ამბობს ამაზე. პირიქით აღნიშნავს, რომ „ამათ

---

[1] იქვე.

[2] საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ისტორიკოსი ცალკე, ხაზგასმით აღნიშნავს ზაქარია ვარამის ძის ერთგულებას სამეფო კარისადმი. „იგი კაცი ერთგული იყო და ჭაბუკი გამოცდილი“. („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“). შემთხვევითი არ უნდა იყოს მისი შვილის ვარამ ზაქარიასძის დაწინაურებული მდგომარეობა ლაშა-გიორგის დროს, იხ. ჟამთააღმწერელი, მესამეოცე მეფე ლაშა-გიორგი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 155.

[3] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 51.

[4] იქვე, გვ. 52.

(თამარის მოლაშქრეებს — რ. მ.) არა ევნო არცა სიკუდილი-
თა, არცა დაკოდითა, თჳნიერ რომელ ივანე სარგისის ძე დაკ-
კოდეს“ [1].

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მეამბოხეთა მხოლოდ ერთი ნახევარი იყო დამარ-
ცხებული. საჭირო იყო შემდგომი მოქმედება. საგანგებო თათ-
ბირმა [2], რომელმაც შემდგომი მოქმედების გეგმა განიხილა,
დაადგინა, რომ ქართლში მყოფ მეამბოხეებზე მიეტანათ იე-
რიში („დასხმა ყვეს ქართლს მყოფთა“). საქართველოს ლაშ-
ქარი გაემართა ქართლისაკენ, მაგრამ მათ ბრძოლა აღარ დას-
ჭირდათ. გაუგიათ თუ არა ქართლში მყოფ მეამბოხეებს თა-
ვიანთ მოლაშქრეთა ნაწილის დამარცხება („ამოწყუედა და
გაქცევა“) ჯავახეთში, თითონაც გაქცეულან („მსწრაფლ იჴმიეს
გარდავლა“). ამრიგად, ეს მეტად საინტერესო ფურცელი ფეო-
დალური საქართველოს ისტორიაში შინაკლასობრივი ბრძო-
ლისა, დიდგვარიანებისა და მოქალაქეთა ზედაფენის ინიცია-
ტივით წამოწყებული, აჯანყებულთა დამარცხებით დამთავ-
რდა. მძიმე დღეში ჩავარდნენ ძლეული მეამბოხეები, რადგან
„თამარსა ზედა ესე უსახური საქმე იკადრეს“ [3]. მძიმე განა-
ჩენის მოლოდინში თავიანთი სრული მორჩილების ნიშნად
„რომელნიმე მოვიდეს ყელ-საბელ მობმითა“ [4]. ბევრმა პირ-
დაპირ მისვლა და მორჩილების გამოცხადება ვერ გაბედა
სასჯელის შიშით. მხოლოდ საგანგებო შუამავლობის შემდეგ
(ამ შუამავლების პირით დიდებულები საქართველოს მეფის
წინაშე ცოდვებს ინანიებდნენ და შენდობა-პატიებას ეაჯე-
ბოდნენ). გადმოვიდნენ ლიხთ-იმერიდან დიდებულები და თან
იური უფლისწულიც გადმოიყვანეს. გამარჯვებულ სამეფო
კარს, ალბათ, გარკვეული მოსაზრებით, დიდი სისასტიკე არ
გამოუჩენია დამარცხებულ მეამბოხეთა მიმართ. იური ანდრი-
ას ძე სრულიად უვნებელი გაუშვიათ თამარის ბრძანებით. იგი,
როგორც ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობს [5], კვლავ ბიზანტიაში

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 52.

[2] იქვე, გვ. 53.

[3] იქვე, გვ. 54.

[4] იქვე.

[5] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია. II, 1965. გვ. 262.

უნდა წასულიყო. რაც შეეხება ამბოხების სხვა თავკაცებს, არც ისინი სჩანან ისე დასჯილი, როგორც ეს კანონით იყო გათვალისწინებული [1], თუმცა თანამდებობები კი ჩამოურთმევიათ. აჯანყების მოთავისათვის ივანე ვარდანისძისათვის მსახურთუხუცესობა წაურთმევიათ და საპატიო ხელი ივანე სარგისის ძისათვის უბოძებიათ [2]. თამარის პირველი ისტორიკოსი ასახელებს სხვა „შეწყალებულებსაც“ — ერთგულების გამოჩენისათვის დაჯილდოებულებს. მათ შორის არის ზაქარია ვარამის ძე, რომელსაც უბოძეს „გაგი ქურდვაჭრითა განძამდის მრავლითა საკუთარითა და მრავლითა სანახევროთა ქალაქებითა, ციხეებითა და სოფლებითა“ [3]. სხვა ერთგული დიდებულებიც უხვად იქნენ დაჯილდოებული [4]. გამრეკელის გარდაცვალების შემდეგ ამირსპასალარობა ზაქარია მხარგრძელს ებოძა, თანაც მის სამფლობელოებს ქალაქი რუსთავიც მიუმატეს. მანდატურთუხუცესმა ჭიაბერმა დამატებით მიიღო „ჟინვანი, ქალაქი და ციხე, მრავლითა მთიულეთითა“ [5]. სარგის ვარამის ძეს უბოძეს თმოგვი [6], დანარჩენებიც [7] „შეიწყალნეს თვითოეულნი თჳსითა წესითა: რომელნიმე ახლად დალოცვითა, რომელნიმე მომატებითა“ [8].

---

[1] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, იქვე.

[2] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 54.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 54—55.

[5] იქვე, გვ. 55.

[6] იქვე.

[7] ესენია: წიქუალელნი, ზარტიბის ეენი, გრიგოლის ძენი, ჭიაბერის ძენი, მახატლის ძენი, თავნი კახეთისანი თორღასძენი და სხვ. (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 55).

[8] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 55. საქართველოს სამეფო კარის მიერ სიბოძვრების (მიწების) ასე ფართოდ გაცემა გერმანელ მეცნიერს ფ. ჰოლდაკს აძლევდა იმის საფუძველს, რომ დაესკვნა: ბაგრატიონთა სახლის ქონება დიდი არ უნდა ყოფილიყო, რადგან თამარი მას ერთგულ მსახურებს ურიგებდაო“. (იხ. Felix Holldack, Von der Sage und dem Reich der grusinischen Königin Tamara, Leipzig, 1906, გვ. 48).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარის ისტორიკოსებს სურთ მოგვაჩვენონ ყველაფერი ისე, რომ ამ ამბის შემდეგ ქვეყანაში მშვიდობა და სიხარული ჩამოვარდა („ერთბამად ძოვდეს ლომი და ჯარი, და იხარებდეს ვეფხი თიკანთა თანა და მგელი ცხუართა თანა“) [1]. რა თქმა უნდა, მძაფრი სოციალური ბრძოლა არ განელებულა ფეოდალურ სახელმწიფოში. თუნდაც ის ფაქტი, რომ სულ მალე გუზანმა თავისი ორგულობა სამეფო კარისა და ქვეყნის ცენტრალიზებული მართვა-გამგებლობის მიმართ კვლავ გამოამჟღავნა, ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს. ამ ფეოდალმა ტაოსკარი, ვაშლოვანი და სხვა მრავალი ციხეები ჩამოაშორა საქართველოს [2]. და „წარვიდა ქუეყანასა შაჰარმენისასა“. მას რამდენიმე სხვა ფეოდალიც მიემხრო. შაჰარმენისათვის ეს კარგი შენაძენი იყო და ასეთი მომენტის გამოყენება მისთვის სასარგებლო იქნებოდა. ამიტომ არ დააყოვნა და ლაშქარი გამოგზავნა გუზანის შვილითურთ. მიზანი ძირითადად „ციხეთა შინა თურქთა შეყენება“ იყო. ამასთანავე გუზანის ცოლ-შვილის წაყვანა საქართველოდან. მტრის ჯარი მრავალრიცხოვანი ყოფილა. დრო აღარ ითმენდა და მათ ქართველები მცირერიცხოვანი ლაშქრით შეებნენ ზაქარია ფანასკერტელის სარდლობით. ბრძოლა უთანასწორო და „დიდად დაჭირვებული... გადაიხადეს“. ქართველებმა გაიმარჯვეს და გუზანის ცოლ-შვილიც ხელთ იგდეს, ამასთან გუზანისაგან ღალატით გაცემული ციხეები კვლავ უკან დაიბრუნეს [3].

საინტერესოა თვით იური ანდრიას ძის ქვეყნის დასაკავებლად მეორედ გამოჩენის ფაქტი. ამჯერად ეს არანის მხრიდან მოხდა. კონსტანტინოპოლიდან წამოსული რუსი უფლისწული მივიდა ათაბაგთან და „მისგან აიღო არანის ქუეყანისა სამყოფი, შემსგავსებული სჯსა მისისა“ [4].

აქ ჩვენ გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ იური პირველად კარნუ-ქალაქიდან გამოემართა, ხოლო მეორედ — არანიდან. ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს. პირველ შემთხვე-

---

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 54—55.

[2] იქვე, გვ. 55.

[3] იქვე, გვ. 55—56.

[4] იქვე, გვ. 61.

ვაში, კარნუ-ქალაქელნი საქართველოს სახელმწიფოს დასტ-ტებით დაინტერესებულები არიან, რადგან ისინი შეკავშირებულად გრძნობდნენ თავს საქართველოს ლაშქრისაგან. ამ უკანასკნელმა არაერთგზის დაარბია კარნუ-ქალაქი და, როგორც ჩანს, ეს ქვეყანა ხარკსაც უხდიდა საქართველოს[1]. ამდენად, კარნუ-ქალაქის მმართველი წრეები რუსი უფლისწულის ზრახვას, ბუნებრივია, ხელს შეუწყობდნენ. ამ მხრივ ასევე დამახასიათებელია ზემოთმოყვანილი ფაქტი იური ანდრიას ძის მეორედ შემოჭრისა საქართველოში არანიდან. არ არის გამორიცხული, რომ იგი თვით ათაბაგმა მიიწვია. ეს უკანასკნელი ალბათ ვარაუდობდა, რომ იმ წინააღმდეგობებს, რომლებიც საქართველოს სამეფო კარზე არსებობდა, რუსი უფლისწულის ქვეყნის საზღვართან ახლოს ყოფნა უფრო გააღრმავებდა. ყოველივე ამით კი თვით არანი მოითბობდა ხელს. სხვაგვარად ახსნა იმ ფაქტისა, რომ რუსმა უფლისწულმა, მართალია, უმნიშვნელო, მაგრამ მაინც მიიღო ადგილსამყოფელი და საჭირო ძალები არანში[2], ძნელი იქნება.

იური ანდრიას ძემ შეჰყარა განძისა და არანის ლაშქარი და შემოიჭრა საქართველოში — კამბეჩანის მხარეში, დაარბია ეს მხარე და ტყვე და ნადავლიც ბევრი „აიღო“[3]. გაიგო რა ამის შესახებ ხორნაბუჯის პატრონმა საღირ მახატლის ძემ, მცირე ლაშქრით დაედევნა მოწინააღმდეგეს, შეებრძოლა თავგანწირვით და დაამარცხა კიდეც. იური ანდრიას ძე სხვა გადარჩენილ მებრძოლებთან ერთად გაიქცა და „გარდაიხუეწა“[4].

იურის მეორედ შემოსვლაზე ჩვენ იმიტომ შევჩერდით, რომ ესეც გარკვეულად დაკავშირებული იყო სამეფო კარსა და დიდგვარიანებს შორის არსებულ ბრძოლაზე. ამჯერად ამ ბრძოლაში გარეშე ელემენტი — არანი იღებს მონაწილეობას, მაგრამ თვით ამ გარეშე ქვეყნის მესვეურთა ინტერესები მეფის მოწინააღმდეგე დიდგვარიანების ინტერესებს ეკვანძებო-

---

[1] ი. ციცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, (X—XVI), თბ., 1956, გვ. 132.

[2] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 61.

[3] იქვე.

[4] იქვე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და და ეს აძლევდა საშუალებას სხვა ძალებს საქართველოს წინააღმდეგ ხმის ამაღლებისათვის.

ამგვარად, დიდგვაროვან ფეოდალთა და მოქალაქეთა ზედაფენის ინტერესებიდან გამომდინარე, ცენტრალიზებული ხელისუფლებისა და სამეფისკარო პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული 1191 წლის აჯანყება მეტად საინტერესოა მისი თავისებურებით. ეს თავისებურება კი იმაში გამოიხატებოდა, რომ დიდგვარიანებმა ამჯერად ახალი ძალა (თუ შეიძლება ითქვას, გარეშე ძალა) შემოიყვანეს თავიანთი მოქმედების გასამართლებლად, იური ანდრიას ძის სახით. ამასთან ეს აჯანყება არ შეიძლება ერთი რომელიმე თარიღით შემოვფარგლოთ, რადგან მწვავე და უკომპრომისო ბრძოლა ჯერ კიდევ იური უფლისწულის ყივჩაყეთიდან ჩამოყვანითა და თამარის სახლობის საკითხის გადაწყვეტით დაიწყო. აქ სხვადასხვა სოციალური წრეების ინტერესები ეჯახებოდნენ ერთმანეთს. შინაკლასობრივი ბრძოლის (მეფესა და დიდგვარიან ფეოდალებს შორის ბრძოლის) ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო იური ანდრიას ძის განდევნა საქართველოდან (1187-88 წწ.), რამაც მძიმე ლახვარი ჩასცა ქართველ ფეოდალთა და მოქალაქეთა ერთ ნაწილს და სამეფო ხელისუფლების მიერ მტკიცე კურსის აღება ქვეყნის ცენტრალიზაციისაკენ. 1191 წლის აჯანყებაც სწორედ ცენტრალიზებული სახელმწიფოს შერყევასა და ფეოდალთა გარკვეული ჯგუფის უფლებების გაფართოებას, ამავე დროს იურის განდევნით დაზარალებულ მოქალაქეთა ზედაფენის, დიდვაჭარ-ფინანსისტებ ს სამეფო ხელისუფლებაზე გავლენის აღდგენას ითვალისწინებდა.

ასე რომ, საქართველოს სამეფო კარის წინააღმდეგ ფეოდალთა ერთი ნაწილის მიერ ორგანზებული იური ანდრიას ძის შემოსვლები საქართველოში ცალკეული მომენტები კი არ იყო ქვეყნის ისტორიიდან, არამედ მთელი პროცესი სოციალური (შინაკლასობრივი) ბრძოლებისა, ეგრერიგად რომ ახასიათებდა საქართველოს ფეოდალურ წყობილებას. ამჯერად ეს მწვავე სოციალური ბრძოლა ცენტრალიზებული სახელმწიფოსა და მისი სამეფო კარის გამარჯვებით დამთავრდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* *
*

განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქის საქართველოს შინაკლასობრივი ბრძოლის ისტორიის XII საუკუნის 80-იანი წლებით შეწყვეტა არ იქნება მართებული, რადგან ეს ბრძოლა კვლავ გრძელდებოდა (ისევე როგორც საერთოდ ფეოდალიზმის დროს) და თუ კი რაიმე წრის შეკვრას, ეტაპად გამოყოფას დავაპირებთ, მაშინ თარიღი XIII ს. 20-იან წლებამდე — მონღოლების შემოსევამდე — უნდა გადავიტანოთ. ასე რომ, ჩვენს მიერ მიმოხილული შინაკლასობრივი ბრძოლები ეტაპობრივად იწყება XI ს. მიწურულიდან და XIII ს. 20-იან წლებამდე მოდის.

ამჯერად გვინდა ყურადღება მივაქციოთ ათაბაგობის ინსტიტუტის ჩამოყალიბებას ფეოდალურ საქართველოში. ეს სახელო ფეოდალური საქართველოს სამოხელეო თანამდებობათა შორის შედარებით ახალია. მასში აშკარად ჩანს შინაკლასობრივი ბრძოლის კვალი. თვით მისი შემოღება მეფესა და დიდგვაროვან ფეოდალებს, ასევე თვით დიდგვაროვანთა შორის არსებული მწვავე ბრძოლის შედეგია.

ამ პერიოდის საქართველომ იცის მაღალი სახელმწიფო სამოხელეო თანამდებობები: ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, მსახურთუხუცესი. თითოეულ მათგანს თავისი გარკვეული უფლებები და მოვალეობები ჰქონდა. თითოეული ეს თანამდებობა გარკვეული ფეოდალური საგვარეულოების წარმომადგენლებს ეკუთვნოდა და ხშირად სამემკვიდრეოდაც იქცეოდა (გარდა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობისა).

ათაბაგობის წარმოშობა ჩვენს ისტორიოგრაფიაში სწორედ ერთ-ერთი ფეოდალური საგვარეულოს კერძოდ, მხარგრძელთა მცდელობასთან, მათ უფლება-მოვალეობათა გაზრდისათვის ბრძოლასთან არის დაკავშირებული. ეს საგვარეულო გიორგი მესამის დროიდან (კერძოდ, 1178 წელს ორბელთა ამბოხების ჩახშობიდან) წინაურდება, თამარის მეფობისას კი საკმაოდ აღზევებული ჩანს. ზაქარია მხარგრძელმა საქართველოს სამეფოს ამირსპასალარობა და მანდატურთუხუცესობა

მიიღო, დიდი წვლილი შეიტანა ქართული ფეოდალური მონარქიის განმტკიცების საქმეში. შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოს მეფის ამ მოხელეს ქართული და სომხური წყაროები ხოტბით მოიხსენებენ. თამარის პირველი ისტორიკოსის მიხედვით, ზაქარიას „ყოველნი სათნოებანი და საკაცობონი აქუნდეს“. იყო „კაცი დიდად გამდიდრებული და ყოვლითა სათნოებითა აღსავსე, გამარჯვებული, მჯნე და ძლიერად მბრძოლი“, „კაცი გუარიანი და აღზრდილი ლაშქრობათა შინა“. „ესე ზაქარია და ივანე მხარგრძელის ძენი, დაღაცათუ მეფეთათჳს ერთგულნი იყვნეს და დიდად გამოცდილნი ლაშქრობასა შინა, კაცნი სახელოვანნი, არამედ რჯულითა სომეხნი იყვნეს“ [1]. მხარგრძელთა შესამკობად არც თამარის მეორე ისტორიკოსი იშურებს ეპითეტებს: „ზაქარია და ივანე, კაცნი ბრძენნი, მჯნენი, ბრძოლათა შინა დიდად გამოცდილნი და გუარეულადცა ერთგულნი მეფეთანი, ამისთჳს დიდად შეყუარებულნი თჳთ თამარის პაპათა და მამათაგანცა“ [2].

როგორც ქართული წერილობითი წყაროებიდან ჩანს, ზაქარია და ივანე დიდად დაწინაურებული ყოფილან XII საუკუნის მეორე ნახევარში. გასაკვირი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ქართველ მეფეთაგან ესოდენ შეყვარებული ზაქარია ორ წამყვან სამოხელეო თანამდებობას (ამირსპასალარობასა და მანდატურთუხუცესობას) ფლობდა, ივანე კი მსახურთუხუცესი იყო. ზაქარიას გარდაცვალება (1212 წ.) დიდად განიცადა იმდროინდელმა ფეოდალურმა წრეებმა — „მეფემან იგლოვა და ყოველმან კაცმან საქართველოს მყოფმან“ [3].

ზაქარია მხარგრძელის გარდაცვალების შემდეგ ყველა მისი სამფლობელო და თანამდებობებიც მხარგრძელთა საგკარეულოს სამემკვიდრეოდ დარჩა. რადგან ზაქარიას შვილი სარგისი მცირეწლოვანი იყო, თამარმა უხმო ზაქარიას ძმას ივანეს და

---

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 33, 109.

[2] ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 123.

[3] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 110.

გარდაცვლილი ძმის „სახელოები“ შესთავაზა. თამარს, საკვირველია, ესმოდა კარგად, რომ საბოლოოდ ეს თანამდებობები ზაქარიას შვილის სარგისის საკუთრება უნდა ვამხდარიყო. ივანეს კი ალბათ დროებით მოვალეობის შემსრულებლად ნიშნავდა.

აქ საინტერესოა თვით ივანე მხარგრძელის დამოკიდებულება შეთავაზებული თანამდებობებისადმი. ივანე მიმართავს საქართველოს მეფეს: „პატივი ესე, რომლითა პატივ-გიცემიეს ჩემდა, დიდად დიდი არს და მე უღირსი ვარ; ესრეთ შემეწიე, რათა ძმისა ჩემისა სახელსა ჩემ ზედა არა აკსენებდენ, რათა არა მრცხუენეს ნაცვლად მისა დგომად, არამედ ათაბაგობითა პატივ-მეც; საქართველოსა არა არს წესად ჯელად თქუენ მეფეთა წინაშე ათაბაგობა და ამით განადიდე წყალობა შენი ჩემ ზედა, რომე ახალსა და უაღრესსა პატივსა ღირს მყო და ათაბაგობა მიბოძო, რომელ სულტანთა წესი არს ათაბაგი, რომელი მამად და გამზრდელად მეფეთა და სულტანთა იწოდების ათაბაგი; ამით განადიდე წყალობა შენი უწინარეს ჩემთა პირველთა“ [1].

როგორ უნდა გავიგოთ ივანე მხარგრძელის ეს ნაბიჯი? ამას შეიძლება ორგვარი ახსნა მოვუძებნოთ: 1) რაკი ივანემ იცოდა, რომ „სახელოები“ ამირსპასალარისა და მანდატურთ-უხუცესისა შთამომავლობის მიხედვით მის ძმისწულს სარგისს უფრო ეკუთვნოდა, ხოლო თითონ შესაძლო იყო მხოლოდ დროებით დანიშნულიყო ამ თანამდებობებზე, რაც მას, ბუნებრივია, არ მოსწონდა. ივანე ალბათ, ისეთ თანამდებობაზე ოცნებობდა, რომელსაც თავის შვილს უანდერძებდა. ასეთ შემთხვევაში ივანე მხარგრძელის მოთხოვნა გასაგები ხდება. 2) არ არის გამორიცხული, რომ ივანე მხარგრძელი უფრო შორსაც უმიზნებდა. მას მეფის პირველ მოხელედ გახდომა სწადდა. პირველი „ჯელი“ XII საუკუნის საქართველოში ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესია თავისი მკვეთრად ჩამოყალიბებული ფუნქციებით. ივანემ სწორედ ამ თანამდებობასთან გათანაბრება მოიწადინა. ეს თვით მის მიერ ათაბაგის სახელოში

---

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 110.

შემავალი ფუნქციების განსაზღვრიდან ჩანს („მამად და გამზრდელად მეფეთა და სულტანთა იწოდების ათაბაგი“)[1].

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება ივანეს მიერ ამირსპასალარობასა და მანდატურთუხუცესობაზე უარი თითქოს და მისი ამ თანამდებობისათვის შეუფერებლობის („მე ულირსი ვარ“) შესახებ, მეფის წინაშე თავის მოკატუნებას უფრო ჰგავს, ვიდრე თავმდაბლობას, რადგან როგორც ვნახეთ, იგი ფაქტიურად უფრო დიდ თანამდებობას ითხოვდა.

საჭიროდ ვთვლით ყურადღება გავამახვილოთ „მეფის მამობის“ საკითხზე. „ჟელმწიფის კარის გარიგება“ არაერთგზის მოიხსენიებს: „ჭყონდიდელი მამა არს მეფისა“[2], ან „ვითა მამა არს მეფისა (ჭყონდიდელი—რ. მ.) ეგრე ყველა საურავი უმისოდ არ იქნების“[3]. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი საგანგებოდ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოს პირველი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი გიორგი იყო „...განმზრახი, სჯანი და ფრთხილი, თანააღზრდილი პატრონისა და თანაგამკაფელი ყოველთა გზათა, საქმეთა და ღუაწლთა მისთა“[4]. ჩვენის აზრით, როგორც ერთ, ისე მეორე წყაროში ლაპარაკია არა მეფის მემკვიდრის აღზრდის უფლებებზე, (ასე ფიქრობს ზოგიერთი მეცნიერი), არამედ უფრო დიდსა და მაღალ უფლებაზე, სულიერ მამობაზე. ასე რომ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს საქართველოს მეფის სულიერი მამობის პრეტენზია ჰქონდა და, როგორც ჩანს, მართებულადაც. დავითის ისტორიკოსის მიერ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის მეფის „თანაგამკაფველად ყოველთა გზათა, საქმეთა და ღუაწლთა მისთა“ მიჩნევა ააშკარავებს ამ ჟელის მფლობელის მეფესთან ურთიერთობის საკითხს, კერძოდ, მისი სულიერი მამისა და პირველი მრჩეველის როლს.

საკითხების არე, რომელიც ათაბაგის ივანეს მიერ ჩამოყალიბებულ ფუნქციებში უნდა ყოფილიყო, თავისთავად შეად-

---

[1] იქვე, შდრ. „ჟელმწიფის კარის გარიგება“: „ჭყონდიდელი მამა არს მეფისა“ (ქართული სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის გამოცემა. თბ., 1970, გვ. 49).

[2] ჟელმწიფის კარის გარიგება, ქართული სამართლის ძეგლები, გვ. 49.

[3] იქვე.

[4] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 336.

გენდა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის სახელოს. ამ დროს თავიდანვე ეს ახალი სამოხელეო ინსტიტუტი უპირისპირდებოდა მეფის პირველი ვეზირის უფლებებს.

თამარ მეფეს შესაძლებლად ჩაუთვლია ათაბაგის ინსტიტუტის შემოღება და ეს ხელი ივანე მხარგრძელისთვის უბოძებია: „ყოცა მეფემან და უბოძა ათაბაგობა“ [1]. საინტერესოა თამარის პირველი ისტორიკოსის მინიშნება, რომ ათაბაგობა „არა ყოფილ იყო საქართველოს მეფეთა წინაშე, არც ვის ბოძებოდა“ [2]. აქ ჩვენ გვინდა მოვიტანოთ ერთი ადგილი იგივე ისტორიკოსის თხზულებიდან, სადაც ასევე თამარის მიერ ათაბაგობის ბოძებზეა ლაპარაკი ივანე ახალციხელისადმი, თანაც ქრონოლოგიურად უფრო ადრე 1205 წელს საქართველოს ლაშქარმა კარი (ყარსი) რომ აიღო [3]. ამასთან დაკავშირებით თამარის პირველი ისტორიკოსი გადმოგვცემს: „ხოლო მეფემან აიღო და მიითუალა კარი და დაუტოვა კარის მცველად ახალციხელი ივანე, და აჩინა მონაპირედ, და უბოძა ათაბაგობა და ამირთა-ამირაობა“ [4]. რას უნდა ნიშნავდეს ის ფაქტი, რომ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ 1205 წლის ქვეშ თამარის მიერ ივანე ახალციხელისადმი ათაბაგობის ბოძებას გადმოგვცემს, ხოლო დაახლოებით 1212 წლის ქვეშ კი აცხადებს, რომ ათაბაგობა „არა ყოფილ იყო საქართველოს მეფეთა წინაშე, არცა ვის ბოძებოდა“.

ინტერესმოკლებული არ იქნება, მოკლედ მიმოვიხილოთ თვით ათაბაგობის წარმოშობისა და რაობის საკითხი. სამეცნიერო ლიტერატურაში ამის შესახებ გარკვეული მოსაზრებებია გამოთქმული. დიდი საბჭოთა ენციკლოპედია ამ ტერმინს შემდეგნაირად განმარტავს: «Воспитатель наследников сельджукских султанов, становившийся регентом при воцарении своего воспитанника. Получаемый А. (ათა-

---

[1] ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 110.

[2] იქვე.

[3] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 382. შდრ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ვ. დ ო ნ დ უ ა, ნ. დ უ მ ბ ა ძ ე და სხვ. საქართველოს ისტორია, თბ., 1958, გვ. 202.

[4] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 92.

ბაგი — რ. მ.) — наследств. удел способствовал созданию нек-рыми атабеками новых династий; отсюда А.— титул главы феод. княжеств в странах Бл. и Ср. Востока в 12-13 вв.; военноначальник в Египте при Мамлюках»[1].

განვიხილოთ ქართველ ისტორიკოსთა შეხედულებები ამ საკითხზე. დ. ბაქრაძე მიიჩნევს, რომ „სიტყვა ათაბაგი არის თურქული და ჰნიშნავს: „ატტა გამდელსა და ბეგი ბატონსა, მთავარსა: „გამზდელი ბატონისა, მთავრისა“, რადგანაც ათაბეგები თავდაპირველად ამ ხელობას ასრულებდნენ სელჯუკების სასახლეში“[2]. მეცნიერი თვლიდა, რომ ათაბაგობა საქართველოში სელჯუკებიდან ათვისებული ინსტიტუტი იყო და გვარადაც გადაქცეულა სამცხე-კლარჯეთში[3].

ნ. ურბნელი აღნიშნავს, რომ ათაბაგობა იგივე იყო, რაც ქართული მამა-მძუძეობა[4]. „როგორც სელჯუკებში, ისე საქართველოში ათაბაგობით იხსენიებდნენ პირველ მინისტრს, დიდ ვაზირს, უმაღლეს გამგებელს“[5]. ნ. ურბნელი თვლიდა, რომ შვილის აღსაზრდელად გაცემის ძველი ჩვეულება სახელისუფლოდ გადაიქცა[6].

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის მომენტი, რომ ნ. ურბნელი საქართველოში პირველ ათაბაგად მიიჩნევს ივანე ახალციხელს[7]. აკად. ივ. ჯავახიშვილს ათაბაგობის შემოღება საქართველოში შემთხვევით მოვლენად მიაჩნია („ივანე მხარგრძელის პირად პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად“)[8], რადგან იმ დროს „აღსაზრდელი უფლისწული არვინ იყო“. თანაც განსვენებული მეცნიერი აღნიშნავს, რომ, მარ-

---

[1] БСЭ, т. 2, стр. 366.

[2] იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1885, გვ. 191, (დ. ბაქრაძის შენიშვნა).

[3] იქვე.

[4] ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი, ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, 1890, გვ. 6—8.

[5] იქვე, გვ. 10.

[6] იქვე.

[7] იქვე, გვ. 11, აქ ნ. ურბნელი ვახუშტი ბაგრატიონსაც იშველიებს (იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1885, გვ. 211).

[8] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. I, გვ. 179.

თალია, ათაბაგობა დიდი პატივი ყო, მაგრამ ჭყონდიდელი მწიგნობართუხუცესი მაინც მასზე მაღლა იდგა [1].

ათაბაგობის ინსტიტუტს შეეხო ვლ. გორდელევსკი და იგი უფლისწულის, მომავალი სულთნის აღმზრდელად ჩათვალა. თან მიანიშნა, რომ სახელმწიფოში ათაბაგი დიდი გავლენით სარგებლობდა [2].

საინტერესოა ჩვენს მიერ ზემოთ ციტირებული ადგილის გაგების საკითხი. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი"-ს ეს ცნობა ჩვენ „ქართლის ცხოვრების" პროფ. ს. ყაუხჩიშვილისეული გამოცემიდან მოვიტანეთ. აუცილებლად მიგვაჩნია შევნიშნოთ, რომ ამ სახითაა იგი დაცული ვახტანგისეულ „ქართლის ცხოვრებაში" [3]. მარიამისეული „ქართლის ცხოვრება" ჩვენთვის საინტერესო ადგილს ასე გვაძლევს: „აიღო და მიითუალა კარი და დაუტევა კარის მცველად ახალციხელი ივანე და აჩინა მონაპირედ და უშოროთ იშობა და ამირთა ამირაობა". ე. თაყაიშვილი „უშოროთ იშობას" ხსნის, როგორც „უბოძა ათაბაგობა" [4]. აკად. კ. კეკელიძემ ეს ადგილი ასე წაიკითხა — „ეჯიბობა" [5].

ე. თაყაიშვილი თავიდან პრინციპულად დაეთანხმა ვახტანგისეულ „ქართლის ცხოვრების მონაცემებს და ივანე ახალციხელი ათაბაგად მიიჩნია, თუმცა შემდეგში ეჭვი გამოთქვა, რადგან მარიამ დედოფლისა და თეიმურაზისეული ნუსხებით ივანე ახალციხელის ათაბაგობა არ დასტურდებოდა [6].

ჩვენ ერთხელ კიდევ ვუსვამთ ხაზს იმ ფრიად ნიშანდობ-

---

[1] იქვე, გვ. 180.

[2] Вл. Гордлевский, Государство сельджукидов малой Азии, 1941, გვ. 142.

[3] „ვახტანგისეული ქართლის ცხოვრება", I, მ. ბროსეს გამოცემა, გვ. 318.

[4] „მარიამისეული ქართლის ცხოვრება", ე. თაყაიშვილის რედაქციით. გვ. 496.

[5] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, აკად. კ. კეკელიძის ოედაქციითა და გამოკვლევით, 1941, გვ. 124.

[6] ჰელმწიფის კარის გარიგება, ე. თაყაიშვილის რედაქციით, 1920, გვ. 5, შენიშვნა 1.

ლივ ფაქტს, რომ „ქართლის ცხოვრების“ ბოლო ს. ყაუხ-ჩიშვილისეულ რედაქციაში სწორედ „უბოძა ათაბაგობა“ დარჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრიად დიდი იყო კარის აღების მნიშვნელობა, როგორც სამხედრო, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ თამარ მეფემ ანისისა და დვინის მსგავსად წყალობად კი არ გასცა, არამედ ის უშუალოდ სამეფო ტახტს დაუმორჩილა[1]. კარის ამირთა-ამირობა, ბუნებრივია, გარკვეულად მნიშვნელოვანი პატივი იყო, მაგრამ საქართველოს მეფეს ეს თანამდებობა ივანე ახალციხელისათვის ათაბაგობასთან ერთად მიუნიჭებია[2]. ამჟამად ჩვენთვის ძნელია გავარკვიოთ ივანესთვის ბოძებული ათაბაგობის შინაარსი, ჩადებული იყო თუ არა მასში ის აზრი და ფუნქციები, რომელიც შემდგომში ივანე მხარგრძელმა მოითხოვა. აქ თითონ თამარის ისტორიკოსი გვაგდებს წინააღმდეგობაში. თუ კი ივანე ახალციხელისთვის გაცემული თანამდებობა იგივე იყო, რაც ივანე მხარგრძელისთვის, მაშინ მემატიანე ახალ მოვლენად აღარ უნდა სთვლიდეს ამ უკანასკნელს. თუ არა სხვაგვარად გაუგებარია 1205 წ. ივანე ახალციხელისთვის ათაბაგობის ბოძების აქტი. აქ შეიძლება ორგვარი მოსაზრება გამოითქვას: ა) 1205 წლის ქვეშ თამარის პირველი ისტორიკოსის მიერ მინიშნებული ივანე ახალციხელისათვის ათაბაგობის ბოძება, არ ნიშნავდა ამ თანამდებობის იმ დონესა და ხარისხში ყოფნას, როგორც ეს შემდგომში 1212 წლიდან იყო, მაგრამ ეს თანამდებობა გარკვეულ კავშირში მაინც უნდა იყოს სამოხელეო წყობასთან. საინტერესოა, რომ ივანე ახალციხელმა სამეფო დომენის ამირთ-ამირობა მიიღო, მიიღო „კარული“ და მისი ქვეყანა, მაგრამ ყოველივე ეს ათაბაგობის თანამდებობის მიღებასთან თანდართული „ნიჭი“ იყო. ასე რომ, შესაძლოა ივანე ახალციხელის ეს თანამდებობა (ათაბაგი) სამეფო კარის მოხელის რანგი იყო. ბ) არ არის გამორიცხული, რომ ივანე ახალციხელისთვის ბოძებული ათაბაგის თანამდებობა თავისი

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე და სხვ., საქართველოს ისტორია, თბ., 1958, გვ. 202.

[2] ამასთანავე „ივანესვე უბოძა კარული და მისი ქუეყანა“ (იხ. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 92).

შინაარსით იგივე იყო, რაც 1212 წლის შემდგომ. იქნებ ძალზე
რედ მწვავე ბრძოლის შედეგად ჩაიგდო ხელში ეს თანამდე-
ბობა ივანე მხარგრძელმა, თანაც მასში მკვეთრად გამოსახუ-
ლი მაღალი რანგის მეფის მოხელის ფუნქციები ჩადო. ამის
საბუთად, რა თქმა უნდა, თამარის პირველი ისტორიკოსი ვერ
გამოდგება, მაგრამ იქნებ იგი, ასეთი ხოტბა-დიდებით რომ
იხსენებს მხარგრძელებს, აშკარად რომ ეტყობა მათდამი სიმ-
პათია, არც იყოს ობიექტური ამ საკითხის გადმოცემისას. ამ
მხრივ საინტერესოა ჟამთააღმწერლის ცნობები, რომელიც
გადმოგვცემს მხარგრძელთა და ახალციხელთა შორის არსებუ-
ლი შუღლის შესახებ. ივანე მხარგრძელის ღალატი გარნისის
ბრძოლის დროს, რასაც სხვა უბედურებასთან ერთად შალვა
და ივანე ახალციხელების დაღუპვა მოჰყვა, ისტორიკოსისაგან
მიჩნეულია „საქართველოსი სრულიადი მოსპოლვად“ [1] ისტო-
რიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ამ ღალატს ხსნის —
„იტყჳან, ვითარმედ შურითა ყო ახალციხელთა შალვა და ივა-
ნესითა“ [2]. ივანე მხარგრძელი მტერთან შებმულ ქართველთა
ლაშქარს არ მიეშველა თავისი ჯარით: „არა ინება შუელა
ივანე ათაბაგმან, რომელსა შურითა იტყჳან ამას ყოფად და
არა თუ შიშითა“ [3]. ხომ არ იყო შურისა და შუღლის მიზეზი
თავის დროზე ახალციხელებსა და მხარგრძელებს შორის არ-
სებული ბრძოლა ათაბაგობისათვის [4]. ასეა თუ ისე, ფაქტია,
რომ ათაბაგის თანამდებობა შესაძლოა სხვა შინაარსით, მაგ-
რამ მაინც არსებობდა 1212 წლამდე. და იქნება არც ის იყოს

---

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 170.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ზაქარიას გარდაცვალების შემდეგ მხარგრძელთა ხელში თავი მოიყარა სამმა მაღალმა სამოხელეო თანამდებობამ (ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი). ივანე მხარგრძელი ყოველნაირად ცდილობდა ამ თანამდედობათა შენარჩუნებას და ებრძოდა ყველას, ვინც კი რომელიმე ამ სახელოს პრეტენდენტი შეიძლებოდა ყოფილიყო. ალბათ ახალციხელები ასეთ პირებად მიაჩნდა ივანეს და არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ამის გამო იყო მტრობა ორ საგვარეულოს შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამორიცხული, რომ ეს თანამდებობა ივანე მხარგრძელმა ბრძოლით მოიპოვა.

ივანე მხარგრძელის მიერ მიღებული ათაბაგის თანამდებობა, როგორც აღვნიშნეთ, მკვეთრად განსაზღვრული შინაარსითაა. იგი მეფის მემკვიდრის მეურვედ უნდა ჩაითვალოს და როგორც ჩანს, რანგიც სამოხელეო წყობაში განსაზღვრული აქვს. „ჰელმწიფის კარის გარიგებაში“ ათაბაგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის შემდეგ იხსენიება და ამირსპასალარსა და მანდატურთუხუცესს უთანაბრდება პატივით [1]. ათაბაგი „დიდი და საპატიო“ მოხელეა [2]. მეფის მიერ მოწვეული საგანგებო თათბირების დროს ათაბაგის ადგილი განსაზღვრულია „ჭყონდიდელს ქვემოთ“ ამირსპასალართან ერთად. საგულისხმოა, რომ ათაბაგი ამირსპასალარობასაც ითავსებს; ეს ივანე მხარგრძელის შემდგომ პერიოდშიც ასე გრძელდებოდა — ამირსპასალარის სახელოს ათაბაგი განაგებდა. როგორც ჩანს, ზაქარია მხარგრძელის გარდაცვალების შემდგომ გავლენისა და თანამდებობებისათვის ბრძოლა თვით მხარგრძელთა სახლებს შორის მიმდინარეობდა. ეს ბრძოლა ივანე მხარგრძელმა თავის სასარგებლოდ წარმართა და მემკვიდრეს არა მარტო ათაბაგობა გადასცა, არამედ ამირსპასალარობაც. ამასთან რაიმე გაუგებრობა რომ არ მომხდარიყო, ყოველივე ეს თავის სიცოცხლეშივე დააკანონა. ამით, რა თქმა უნდა, გაბათილდა მისივე სიტყვები მიმართული თამარ მეფისადმი: „ესრეთ შემეწიე, რათა ძმისა ჩემისა სახელსა ზედა არა აკსენებდენ, რათა არა მრცხუენეს ნაცვლად მისა დგომად“ [3]. ივანე მხარგრძელს, როგორც საქმის ვითარებამ აჩვენა, სრულებითაც არ აწუხებდა ძმის თანამდებობის მიღება. პირიქით, მისი ერთგვარი წინააღმდეგობა იმით უნდა ავხსნათ, რომ მას უფრო დიდი, მაღალი თანამდებობის მიღება უნდოდა და კიდევაც მიაღწია ამას. ათაბაგობა ივანვე მხარგრძელის ხელში

---

[1] ჰელმწიფის კარის გარიგება, ქართული სამართლის ძეგლები, თბ., 1970 გვ. 43, 47.

[2] იქვე, გვ. 49.

[3] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 110. აგრეთვე იხ. დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XIII—XIV სს.), თბ., 1962, გვ. 86.

ძალზე ამაღლდა და მკვეთრად დაუპირისპირდა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობას.

თუ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობის ინსტიტუტის დაარსება ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო ძლიერების აღმავლობას დაუკავშირდა, ათაბაგობის სახელოს შემოღება ფეოდალთა გავლენის ზრდაზე მიგვანიშნებს სამეფო კარზე.

თამარ მეფე, რომელიც ფაქტიურად აგრძელებდა დავით აღმაშენებლის, დემეტრე პირველისა და გიორგი მესამის სახელმწიფოებრივ პოლიტიკას და მტკიცედ ეპყრა სახელმწიფოს მმართველობის სადავეები, თავისი მეფობის მიწურულში უშვებს სწორედ ამ ახალი სახელოს შექმნას, რომელიც სამეფო ხელისუფლების ძლიერების ერთგვარ შესუსტებაზე მიგვანიშნებს (თუმცა გადაჭრით ამის თქმა მაინც ძნელია). ეს მოვლენა მძაფრი შინაკლასობრივი ბრძოლის ნიშნით უნდა გატარებულიყო საქართველოს სახელმწიფოში და არა ისე წყნარად და მშვიდობიანად, როგორც ამას „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ გადმოგვცემს. თვით ის ფაქტი, რომ გარკვეულ მომენტში ერთი კაცის ხელში მოიყარა თავი უზარმაზარმა უფლებებმა — ათაბაგის, ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის თანამდებობებმა, ვერ ლაპარაკობს სამეფო ხელისუფლების ძლიერების სასარგებლოდ.

განსაკუთრებულად აუმაღლებია ივანე მხარგრძელი თამარ მეფეს დიდოელთა და ფხოველთა აჯანყების[1] ძლევამოსილად ჩახშობის შემდგომ. გამარჯვებულმა ივანე ათაბაგმა მოწინააღმდეგის დამარცხების შესახებ მოახსენა საქართველოს მე-

---

[1] თამარის მეფობის უკანასკნელ ხანს საქართველოს ყმადნაფიცი და მოხარკე ქვეყნები მრავლად ჰყავდა, რომელთა შორის კავკასიის მთიანეთისა და იმიერკავკასიის მთისძირა ქვეყნების მოსახლეობაც იყო. ეს ხალხები ორგანულად მონაწილეობდნენ კავკასიის ერთიანი დიდი ფეოდალური სამყაროს წარმოქმნაში (ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე და სხვ., საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958, გვ. 204—205). საქართველოს სამეფოს, როგორც ჩანს, ამ ქვეყნების მოსახლეობა დაჭირვებულ მდგომარეობაში ჰყავდა, რამაც სათანადო რეაქცია გამოიწვია — აჯანყდნენ დიდოელები და ფხოველები. სწორედ ამ აჯანყების ჩაქრობაში მიიღო მონაწილეობა ივანე მხარგრძელმა და თავიც სათანადოდ გამოიჩინა.

ფეს და თანწამოსხმული მძევლებიც მიჰგვარა. „ხოლო მეფეფემან დიდად დაიმადლა და უაღრესსა პატივსა აღიყვანა“[1] ივანე ათაბაგი.

ამგვარად, ივანე მხარგრძელი XIII საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში ძალზე გაძლიერდა. ქამთააღმწერელს თუ დავუჯერებთ, თამარის მემკვიდრის ლაშა-გიორგის გამეფებისას „რამეთუ იყო ათაბაგობა ისრე განდიდებული, რომელ იყო უმეტეს სხუათა ერისთავთასა: ესე იყო ვაზირი კარსა მეფისასა“[2]. ამ მონაცემების გაანალიზება-დაკვირვება ჩვენ საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ათაბაგი ქართულ სამოხელეო წყობაში კიდევ ერთი საფეხურით ამაღლებულა და იგი პირველ კაცად გამოიყურება. თავის მხრივ ეს მოვლენა მეფის პირველი მოხელის ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობის შედარებით დამცრობაზე მიგვითითებს. ე. ი. ათაბაგის ამაღლების პარალელურად ემცრობოდა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის სახელო და პირველობაც „დიდი და საბატიო“ მოხელის ათაბაგის ხელში გადადიოდა. ყოველივე ეს, რასაკვირველია, მწვავე შინაკლასობრივი ბრძოლის არსებობაზე მიგვანიშნებს XIII საუკუნის დასაწყისის საქართველოში.

როგორც ვხედავთ, თამარის მეფობის დასასრულს თანდათან გამოიკვეთა და არსებითად ჩამოყალიბდა ახალი ვაზირის თანამდებობა. ამან დასაბამი მისცა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის სახელოს დამცრობას. სამეფო კარზე მოხელეთა გადაადგილების პროცესი დაიწყო და საფუძველი ეყრებოდა სავაზიროს ჩამოყალიბებას[3].

ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესისა და ათაბაგის — არსებითად ორი ვაზირის პარალელური ხელისუფლება (ეს პარალელიზმი რელიეფურად ჩანს „ჭელმწიფის კარის გარიგებაში“ — „ჭყონდიდელი მამა არს მეფისა, ათაბაგი ახალია“).

---

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 112.

[2] ქამთააღმწერელი, მესამეოცე მეფე ლაშა-გიორგი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 152.

[3] შ. მ ე ს ხ ი ა, თამარ მეფე, საშინაო პოლიტიკა და სამოხელეო წყობა, ხელნაწერი, გვ. 130—131.

ამ ხელისუფალთა შორის გავლენის სფეროების განაწილებას მოითხოვდა. პროფ. შ. მესხია მიიჩნევს, რომ ამ გარემოებამ განაპირობა ვაზირთა საგანგებო სათათბირო ორგანოს — სავაზიროს შექმნის აუცილებლობა. აწგანსვენებულმა მეცნიერმა სავაზიროს შექმნის დროდ სწორედ თამარის მეფობის ბოლო წელი მიიჩნია [1].

მნიშვნელოვანი როლი სავაზიროს შექმნის საქმეში იმანაც შეასრულა, რომ ათაბაგი კიდევ ორ თანამდებობას — ამირსპასალარობასა და მანდატურთუხუცესობასაც ფლობდა. ამდენად სავაზიროში შედიოდა: ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, ათაბაგი, ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი [2].

ლაშა-გიორგი, როგორც ჩანს, გრძნობდა საქართველოს სამეფო ხელისუფლებაში შეპარულ ბზარს და შეეცადა მის გამთელებას, მოინდომა გარკვეული ცვლილებების შეტანა არსებულ ვითარებაში. ჟამთააღმწერელი აღნიშნავს, რომ მან „განიშორნა ვაზირნი სანატრელისა დედოფლისა და დედისა წესთა მასწავლელნი“ [3]. ლაშა-გიორგი თავისი გეგმის განხორციელებას ძველ ხელისუფალთადმი „თანამოჰასაკეთა“ დაპირისპირებით ცდილობდა [4]. საქართველოს მეფემ თავისი პო-

---

[1] იქვე, გვ. 131.

[2] შემდგომში სავაზიროში შევიდა სამეფო ხელისუფლების დიდი მოხელე მეჭურჭლეთუხუცესი. სახელმწიფო სავაზირომ თავისი საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახე რუსუდანის მეფობის დროს მიიღო, როდესაც ამ სათათბირო ორგანოს კიდევ ერთი ვაზირი — მსახურთუხუცესი შეემატა. „ჭელმწიფის კარის გარიგება“ მიგვანიშნებს ამ დროისათვის „სამთა ვაზირთა“ და „ორთა ვაზირთა“ — ჯგუფის ჩამოყალიბებას. ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ იგი არც ერთ ამ „ჯგუფში“ არ მოხვდა, თუმცა, როგორც ჩანს, ფორმალურად მაინც ინარჩუნებდა ახლად წარმოქმნილ ვაზირთა შორის პირველობას. პროფ. შ. მესხიას აზრით, სწორედ ამ დროიდან უნდა იყოს დამკვიდრებული გამოთქმა — „ვაზირთა უპირველესი“.

[3] იხ. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 155.

[4] ლაშა-გიორგის მოღვაწეობა, ეს მოკლე, მაგრამ ფრიად საინტერესო პერიოდი საქართველოს ისტორიაში, ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი. ჩვენი აზრით, კრიტიკულ ფილტრში გატარებას საჭიროებს ჟამთააღმწერლის ის ცნობები, რომელიც ლაშა-გიორგის აჩვენებს მხოლოდ ლოთს, დედათა მოყვარულსა და უსაქმურს. აქ აუცილებელია სა-

ლიტიკის გატარება ვერ მოახერხა ადრე გარდაცვალების გამო (მან სულ ცხრა წელი თუ იმეფა). ამის შემდეგ კი საქართველოს რისხვად ხვარაზმელებისა და მონღოლთა ურდოები შემოესია და ერთდროს ძლიერი ახელმწიფო ხელისუფლება ძალზე დაასუსტა.

ამგვარად, მწვავე შინაკლასობრივი ბრძოლა სამეფო ხელისუფლებასა და დიდგვაროვან ფეოდალებს შორის, ისე როგორც XII საუკუნის მთელს სიგრძეზე, XIII საუკუნის დასაწყისშიც მიმდინარეობდა. საქართველოს სამეფო ხელისუფლება XIII საუკუნის დასაწყისშიაც ცდილობდა დიდგვაროვანი ფეოდალების მიმართ ის პოლიტიკური ხაზი გაეტარებინა, რაც ძირითადად XII საუკუნის ფეოდალური საქართველოსთვის იყო დამახასიათებელი. თამარის მეფობის ბოლო წლები სამეფო ხელისუფლების ერთგვარი შესუსტებით აღინიშნა, რისი გამოსწორებაც ლაშა-გიორგიმ სცადა და აქტიური ღონისძიებებიც გაატარა. ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების სიძლიერეს, ისე როგორც საერთოდ ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ წინსვლას, გარკვეული დროით შემაფერხებელი ზღვარი ხვარაზმელებისა და მონღოლების შემოსევებმა დაუდო.

კითხებისადმი კლასობრივი მიდგომა და მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით განხილვა. არ შეიძლება თუნდაც ჟამთააღმწერლის თხზულებაში არ დავინახოთ ის დიდი ბრძოლა, რომელიც, ერთი მხრივ, ახალგაზრდა მეფესა და მის თანამოაზრეებს, ხოლო, მეორე მხრივ, თავიანთი უფლებების გაზრდით დაინტერესებულ ძირძველ ფეოდალებს შორის არსებობდა. ეს საკითხი თავის დროზე გაკვრით წამოსწია პროფ. დ. გვრიტიშვილმა. (იხ. მისი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XIII—XIV სს.), თბ., 1962, გვ. 122—123). ლაშა-გიორგის შესახებ არსებული ცნობების ნაირფერობა ფეოდალურ საქართველოში არსებული მწვავე კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლით უნდა ავხსნათ. ლაშა-გიორგის მოღვაწეობა ქვეყნის შემდგომი ცენტრალიზაციის საქმეს ემსახურებოდა და ამდენად არ შეიძლება რეგრესულ მოვლენად მივიჩნიოთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი მეშვიდე

სახელმწიფოს დამოკიდებულება ეკლესიასთან

საქართველოში, ისევე, როგორც ყოველ ფეოდალურ სახელმწიფოში, ეკლესია თავისი მრავალრიცხოვანი მონასტრებით (შესაბამისად სამონასტრო მამულებით), მნიშვნელოვან საზოგადოებრივსა და ეკონომიურ ფაქტორს წარმოადგენდა. მსოფლიოს შუა საუკუნეების ისტორია „არ იცნობდა იდეოლოგიის სხვა ფორმას, გარდა რელიგიისა და თეოლოგიისა“ [1]. საქართველოს ეკლესიაც სწორედ ამ იდეოლოგიის (კონკრეტულად ქრისტიანული რელიგიის) წარმომადგენლად და მქადაგებლად გვევლინება.

სრულ ჭეშმარიტებას წარმოადგენს მარქსისტული დებულება იმის შესახებ, რომ ყოველგვარი რელიგია ანტაგონისტურ საზოგადოებაში (მათ შორის ფეოდალური წყობილების დროსაც) კლასთა ბრძოლის ისტორიის მთელ სიგრძეზე, თავისი შესაბამისი ორგანიზაცია-დაწესებულებებით ექსპლოატატორულ კლასთა (ამ შემთხვევაში ფეოდალთა) ბატონობის დაცვისა და გამართლების იდეოლოგიას წარმოადგენს. „ყველა და ყოველ მჩაგვრელ კლასს თავისი ბატონობის დასაცავად სჭირდება ორი სოციალური ფუნქცია: ჯალათის ფუნქცია და ხუცესის ფუნქცია. ჯალათმა უნდა ჩაახშოს ჩაგრულთა პროტესტი და აღშფოთება. ხუცესმა უნდა ანუგეშოს ჩაგრულნი, დაუხატოს მათ კლასობრივი ბატონობის შენარჩუ-

[1] ფრ. ენგელსი, ლუდვიგ ფოიერბახი, 1932, გვ. 32.

ნების დროს გაჭირვებისა და მსხვერპლის შენარჩუნების პერსპექტივები... და ამით შეარიგოს ისინი ამ ბატონობასთან...“ [1] — ვ. ი. ლენინის ეს მინიშნება რელიგიის შესახებ სავსებით შეესაბამება ფეოდალური საზოგადოების არსს, მისთვის რელიგიის არსებობის აუცილებლობას. ფეოდალიზმის ეპოქაში რელიგიამ დაიმორჩილა საზოგადოებრივი კრებივრების სხვა ფორმები. „ეკლესია, მისი ფეოდალური საწყათმფლობელობით, ახორციელებდა რელიგიურ კავშირს სხვადასხვა ქვეყანას შორის; ეკლესიის ფეოდალური ორგანიზაცია რელიგიით აკურთხებდა საერთო ფეოდალურ სახელმწიფო წყობილებას“ [2].

შუა საუკუნეების საქართველოში ეკლესია მსხვილ ფეოდალურ ორგანიზაციას წარმოადგენდა. განსაკუთრებით გაიზარდა და გაძლიერდა იგი XI საუკუნეში, როცა მის ხელში დიდძალმა მამულებმა მოიყარა თავი. უფრო მეტიც, ეკლესიამ შეუვალობა მოიპოვა და სახელმწიფოში ერთგვარ სახელმწიფოდ იქცა.

სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის საკითხი [3] ფრიად მნიშვნელოვანი საკითხია. ეკლესია საქართველოში, ისე როგორც დასავლეთ ევროპის ქრისტიანულ ქვეყნებში [4], თავისი არსებობის გარკვეულ ეტაპზე დახმარებას საჭიროებდა. ამ დახმარებისათვის იგი იძულებული ხდებოდა სამეფო ხელისუფლებისათვის მიემართა. ასეთი ურთიერთობა თავის მხრივ განაპირობებდა ეკლესიის დამორჩილებულ მდგომარეობას სახელმწიფოსადმი. საქართველოს სინამდვილეში ეკლესიას მისი არსებობის გარკვეულ საფეხურზე დაწინაურებული მდგომარეობა ჰქონდა. ქართლში მეფობის გაუქმებისა და ქვეყნის სამეფო-სამთავროებად დანაწილების შემდგომ, როცა ერთიანი პოლიტიკური ცენტრი ქვეყნისათვის არ არსე-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ. 272.

[2] Маркс К. и Энгельс Ф., Соч., т. XVI, ч.I, 1937, стр. 295.

[3] იხ. ბ. ლომინაძე, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა VIII — XII საუკუნეების საქართველოში, კრებ. საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, გვ. 66—92.

[4] Н. Ф. Колесницкий, Феодальное государство, М., 1967, стр. 77—80.

ბობდა, ეკლესია (კონკრეტულად მცხეთის საკათალიკოსო) თავისი მრავალრიცხოვანი და დიდი მამულებით, ასევე საეკლესიო-ადმინისტრაციული ბერელით ქვეყნის ფაქტიურ გამაერთიანებელს წარმოადგენდა. შემდგომში უკვე ეკონომიურად ძლიერებული ეკლესიის ავტორიტეტი თანდათან მატულობს, იზრდება საეკლესიო ფეოდალური არისტოკრატია თავიანთი საყმო-სამფლობელოებით, რომელთაც დამოუკიდებელი ადმინისტრაციული და სასამართლო უფლებები მოეპოვებოდათ[1]. საქმე იქამდე მიდიოდა, რომ საეკლესიო მიწისმფლობელობა უპირისპირდებოდა ერისმთავრების მემამულეობას.

X საუკუნეში დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო საეკლესიო-კულტურული თვალთახედვით ერთიანი იყო. ამ პერიოდისათვის ერთგვარად იდგამს ფეხს აზრი საეკლესიო ხელისუფლების საეროზე უპირატესობის შესახებ (იხ. გიორგი მერჩულეს „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“)[2] ამგვარი შეხედულება საქართველოსთვის იყო ახალი, საერთოდ კი ისტორიამ სხვადასხვა სახელმწიფოში მრავლად იცის მსგავსი ფაქტები. ავრელიუს ავგუსტინემ ჯერ კიდევ V საუკუნეში ჩამოაყალიბა მოძღვრება სასულიერო ხელისუფლების საეროზე უპირატესობის შესახებ, რომელსაც შემდგომ პერიოდშიც (განვითარებული ფეოდალიზმის ხანაშიც) მარჯვედ იყენებდნენ სასულიერო პირები, როცა ეს უკანასკნელნი საერო ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

გიორგი მერჩულეს მიხედვით, მეფის საქმიანობას ღმერთი წინამძღვრობს, მეფეები განაგებდნენ მხოლოდ „ქუეყანას“, ქრისტე კი ქვეყანასაც და ზეცასაც, ყველა დაბადებულს, ამასთან მისი მეფობა უცვლელია, საუკუნო. საინტერესოა საბა იშხნელის მიმართვა ბაგრატ კურაპალატისადმი: „დ ი დ ე ბ უ ლ ო მ ე ფ ე ო, შ ე ნ ქ უ ე ყ ა ნ ი ს ა კ ე ლ მ წ ი ფ ე ხ ა რ, ხ ო ლ ო ქ რ ი ს ტ ე ზ ე ც ი ს ა დ ა ქ უ ე ყ ა-

---

[1] ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 67.

[2] იხ. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1946, გვ. 114, შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, 1956, გვ. 356—357.

ნისა და ქუეყანელთა. შენ ნათესავთა ამათ მეფე ხარ, ხოლო ქრისტე ყოველთა დაბადებულთა, შენ წარმავალთა ამათ ქამთა მეფე ხარ, ხოლო ქრისტე საუკუნო მეუფე და სრული ჰგიეს უცვალებელი, უქამო, დაუსაბამო, დაუსრულებელი მეუფე ანგელოზთა და კაცთა“...

XII საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებამ განსხვავებული კურსი აიღო, რომელიც არსებითად იმაში გამოიხატა, რომ რელიეფურად გამოიკვეთა საერო ხელისუფლების უფლებები სასულიერო სფეროში. ამ პერიოდის საეკლესიო ხელისუფლების საფუძველს ფეოდალურ საქართველოში მემამულეობა შეადგენდა. XII საუკუნის საქართველოს ეკლესიაში წოდებრიობა მთელი სიგრძე-სიგანით იყო გაბატონებული. მაღალ საეკლესიო თანამდებობებზე მხოლოდ დიდგვარიანებს ნიშნავდნენ. რაკი ღირსებას ყურადღება არ ექცეოდა, მაღალ საეკლესიო თანამდებობებზე ხშირად არაკეთილსინდისიერი, შემთხვევითი პირები ხვდებოდნენ. უფრო მეტიც, ბევრჯერ ეკლესია ყოველგვარი უმსგავსობის წამომწყები ხდებოდა. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ თანამედროვეებსაც. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „წმინდანი ეკლესიანი, სახლნი ღმრთისანი, ქუაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნეს, და უღირსთა და უწესოთა მამულებით უფროს ვიდრე ღირსებით დაეპყრნეს უფროსნი საეპისკოპოსონი, ვითარცა ავაზაკთა, და მათნივე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოსნი დაედგინნეს, რომელნი ნაცვლად სჯულთა საღმრთოთა უსჯულოებასა აწურთიდეს მათ ქუეშეთა ყოველთა. და თჳთ სახლით უფლისათ და მღდელთაგან გამოვიდოდა ყოვლი უსჯულოება და ცოდვა“...[1] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, როგორც ვხედავთ, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „მამულობით უფროს, ვიდრე ღირსებით“ იყვნენ დაწინაურებულნი სასულიერო თანამდე-

[1] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1955, გვ. 327.

ბობებზე. იგივეს ადასტურებს რუის-ურბნისის კრების „ძეგ-
ლისწერაც“. ეკლესიის დამოუკიდებლად არსებობა არ ეწინააღ-
ბამებოდა სახელმწიფოს ინტერესებს. საქართველოს საბო-
ლოოდ გაერთიანება ეკლესიის, ამ დიდი ფეოდალური ძალის,
მონარქიისადმი დაუქვემდებარებლად წარმოუდგენელი იყო.
საქმე კი არსებითად სხვაგვარად გამოიყურებოდა, ეკლესიის
ცალკეული დაწესებულებები სამეფო ხელისუფლების წინა-
აღმდეგ გამოსული ერისთავების დაცვას და შეფარებას კის-
რულობდნენ. ამით ეკლესია ხაზს უსვამდა თავის პრიორიტეტს
სახელმწიფო ხელისუფლების წინაშე. ამასთანავე ეს მეფის
ცენტრალურ ხელისუფლებას დაპირისპირებული (ეს წინა-
აღმდეგობა ეკლესიას აწყობდა კიდეც) ფეოდალები მათივე
ნათესავები იყვნენ, დიდგვაროვნობის ნიშნით დაწინაურებუ-
ლი. ეკლესია დამოუკიდებლობის მოსურვე ფეოდალებს მათ-
სავე სამფლობელოებში „მეფეებად“ კურთხევაშიც კი უმარ-
თავდა ხელს. სამღვდელოების გადაგვარებაზე, მართლმადი-
დებლობის შერყევაზე XII საუკუნის პირველი მეოთხედის
საქართველოში ხაზგასმით მიუთითებს პლატონ იოსელიანი:
«В то время до того умножилось число еретиков Несториан и Акефалов, что вся Азия была ими как бы наводнена. Они распространяли ложное учение посредством бесчисленных иноков, которые скитаясь по Грузии возмущали слабых в вере» [1].

ცალკეული სასულიერო პირების გადაგვარებული, უმსგავ-
სი, ამასთანავე სახელმწიფოს საწინააღმდეგო საქმიანობა გა-
ერთიანებული საქართველოს არსებობის მთელ სიგრძეზე მიმ-
დინარეობდა. უკანონობა ეკლესიაში, საეკლესიო თანამდე-
ბობების ყიდვა-გაყიდვა იმდენად გავრცელებული იყო XI საუ-
კუნის შუა ხლების საქართველოში (განსაკუთრებით ბაგრატ
მეოთხის დროს — 1027—1072 წწ.), რომ მას პროგრესულ
საეკლესიო მოღვაწეთა განსაკუთრებული ყურადღება მიუქ-
ცევია. სამღვდელოების გადაგვარებაში თვით ბაგრატ მეო-
თხესაც მიუძღოდა ბრალი, რადგან ზოგ შემთხვევაში, სასუ-

---

[1] П. Иоселиани, Краткая история Грузинской церкви, С-Петербург, 1843, გვ. 73—74.

ლიერო თანამდებობებზე უღირსი პირების დანიშვნას თურმე თვითონაც ხელს უწყობდა. ივ. ჯავახიშვილი მიმოიხილავს ბაგრატ მეოთხის მოღვაწეობას, დაასკვნის: „როგორც ჩანს, ბაგრატ მეოთხის დროს მართლ-მსაჯულება და მიუდგომელობა მართლაც არა ერთხელ ყოფილა შელახული“ [1].

XI საუკუნის 60-იან წლებში გიორგი მთაწმინდელმა სცადა ეკლესია სწორ გზაზე დაეყენებინა [2], მაგრამ ეკლესიაში არსებული უწესობანი მაინც ვერ მოისპო. ბაგრატ მეოთხის გარდაცვალების შემდეგ, გიორგი მეორის დროს საშინაო და საგარეო მდგომარეობის მთელი რიგი საკითხების გართულების გამო, საერო და საეკლესიო ფეოდალები კიდევ უფრო გაძლიერდნენ და უფრო მეტად დაუპირისპირდნენ სამეფო ხელისუფლებას. საქართველოს სახელმწიფოში XI საუკუნის მიწურულისათვის მეტად რთული მდგომარეობა შეიქმნა.

საქართველოს სამეფოს წინაშე დასახული იყო ამოცანა — ცენტრალიზებული სახელმწიფოს გაძლიერებისა და განმტკი-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 158.

[2] გიორგი მთაწმინდელი ბაგრატ მეოთხის მოწვევით ათონის ივერთა მონასტრიდან 1060 წელს ჩამოვიდა საქართველოში. როგორც გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებიდან ჩანს („ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა“), ბაგრატ მეოთხეს მიუმართავს გიორგისათვის, იმიტომ შეგაწუხეთო, „რათა ნაკლულევანება და ცთომა უწესო აღმოჰფხურა სრულიად სულთაგან ჩვენთა, დაფარული დაფარულად გვამხილო, ხოლო ცხადი თვალ-უხვად განგვიმარტეო“. თუ ამ ცნობას დავუჯერებთ, ნათელი გახდება, რომ თვით ბაგრატ მეოთხეს კარგად ჰქონდა შეგნებული ეკლესიაში არსებული „ნაკლოვანება და ცთომა უწესო“. სწორედ ამიტომ, გიორგი მთაწმინდელისათვის მას ფართო უფლებები მიუცია, რასაც მიბრძანებ, „ესრეთ შევიწყალო, ვითარცა პირისაგან წმიდა მოციქულთასა“. ბაგრატისათვის, რა თქმა უნდა, მოულოდნელი იყო, რომ გიორგი მთაწმინდელმა „პირველად ყოვლისა აღლესა მახვილი მხილებისა მეფეთა მიმართ“, რომლებიც ხელს კი არ უნდა უწყობდნენ უმსგავსობას ეკლესიაში, არამედ „გამოარჩევდეს კაცთა ღირსთა“ და მათ ნიშნავდეს თანამდებობებზე. გიორგი მთაწმინდელის მხილება მეფეს სწორად გაუგია, მართებულად მიუჩნევია და მისი წამოწყებისათვის მხარი დაუჭერია. მაგრამ რაიმე მნიშვნელოვანი, არსებითი ღონისძიებების გატარება საეკლესიო სფეროში მაინც ვერ მოხერხდა. სამეფო ხელისუფლებას იმ დროისათვის საამისო შესაძლებლობა არ ჰქონდა საგარეო ურთიერთობათა გართულების გამო.

ცების მიზნით შებრძოლებოდა რეაქციულ სასულიერო არის-ტოკრატიას. სამეფო კარმა ამ განზრახვით გარს შემოკრიბა გიორგი მთაწმინდელის იდეურ მემკვიდრეთა ძლიერი დასი.

პირველი დიდი ნაბიჯი, რომელიც საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ ამ მიმართულებით გადადგა, 1103 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო კრება იყო [1]. კრების მოწვევას ბევრი მიზეზი ედო საფუძვლად. გარდა იმისა, რომ კრებას ღირსებების მიხედვით საეკლესიო თანამდებობებზე დანიშვნის საკითხი უნდა განეხილა, მოსაგვარებელი იყო მთელი რიგი სხვა საქმეებიც, კერძოდ, ირღვეოდა ხელდასხმის წესი, ნიავდებოდა საეკლესიო ქონება, ირღვეოდა „განწესება გჳრგჳნთა კურთხევისა“ (ადგილი ჰქონდა „ჩჩჳლთა ქალყმათა“ გვირგვინის კურთხევას და სხვ.), მონასტრებში იმართებოდა ვაჭრობა („შექმნა სავაჭროთა ერის კრებათა“), რაც ქრისტიანული დოგმატებით შეუფერებელი იყო „წმიდა დაწესებულებისათვის“, და სხვ. [2]. „წმიდანი ეკლესიანი, სახლნი ღმრთისანი, ქუაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნეს“ — გულისტკივილით აღნიშნავს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი [3]. რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერაში“-ც არაერთხელაა აღნიშნული, რომ ეკლესია-მონასტრები თავს იჩენდნენ „სალოცველთა მათ ადგილთა ქუაბ-ავაზაკთა შექმნითა“ [4].

ვახუშტი ბაგრატიონი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „სახლნი ღვთისანი ქვაბ ავაზაკთა ქმნილ, მწყემსნი არა მწყემსნი, არამედ მგელნი“ [5]. ამდენად, როგორც ვხედავთ, კრებას მეტად დიდმნიშვნელოვანი საკითხები ჰქონია გადასაწყვეტი. „დ ი დ თ ა წ ყ ლ უ ლ ე ბ ა თ ა კ უ რ ნ ე ბ ა დ შემოკრბა ერი

---

[1] რუის-ურბნისის კრებასთან დაკავშირებულ საკითხებს ჩვენ საგანგებოდ შევეხეთ წიგნში — „დავით აღმაშენებელი“, თბ., 1965, გვ. 40—45.

[2] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 62—64. შემდგომში ვისარგებლებთ ი. დოლიძის მიერ გამოცემული „ძეგლისწერის“ ტექსტით.

[3] „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, ქართლის ცხოვრება, თბ., 1955, გვ. 327.

[4] ძეგლისწერაჲ რუისურბნისის კრებისაჲ, ქართული სამართლის ძეგლები, III, ი. დოლიძის გამოცემა, თბ., 1970, გვ. 119.

[5] ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1885, გვ. 174.

მრავალი“ [1]. შეკრებილთა სიმრავლესთან ერთად დავითის ისტორიკოსს შეუმჩნეველი არ დარჩენია მათი შემადგენლობაც: „რამეთუ სამეფოსა თჳსისა კათალიკოსი, მღვდელთ-მთავარნი, მეუდაბნოენი, მოძღუარნი და მეცნიერნი შემოკრიბნა წინაშე მისსა ჟამსა და ადგილსა ჯეროვანსა“ [2]. რუის-ურბნისის „ძეგლისწერაც“ საგანგებოდ აღნიშნავს „შემოკრბა კრება ღმრთისამოყუარეთა ეპისკოპოსთა, პატიოსანთა მღდელთა და ღირსთა დიაკონთა, ქრისტეს-მოყუარეთა მონაზონთა, დაყუდებულთა და მეუდაბნოეთა“ [3]. კრებას, ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, დავით აღმაშენებელიც დასწრებია, მაგრამ იგი იქ ყოფილა „არა ვითარცა მეფე, არამედ ვითარცა მონა“ [4]. ე. ი. ვახუშტის თუ დავუჯერებთ, საქართველოს მეფე კრებას ესწრებოდა, როგორც მისი ერთ-ერთი რიგითი მონაწილე. თუ კი ჩვენ ამას დავუშვებთ, უნდა ჩავთვალოთ, რომ დავითის ასეთი („ვითარცა მონა“) მონაწილეობა ფორმალურ ხასიათს ატარებდა. თვით კრება ხომ საქართველოს მეფის უშუალო მცდელობითა და ბრძანებით შეიკრიბა. აი ცნობები ამის შესახებ. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი: „რამეთუ სამეფოსა თჳსისა კათოლიკოსი, მღვდელთ-მთავარნი... (და სხვ.) შემოკრიბნა წინაშე მისსა...“ [5] (დავით აღმაშენებლის — რ. მ.) თვით რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერის“ სათაური მიგვანიშნებს ამ კრების ინიციატორზე: „ძეგლისწერაჲ წმიდისა და ღმრთივ შეკრებულისა კრებისაჲ, რომელი შ ე მ ო კ რ ბ ა ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ა კ ე თ ი ლ ა დ მ ს ა ხ უ რ ი ს ა და ღ მ რ თ ი ვ-დ ა ც უ ლ ი ს ა მ ე ფ ი ს ა ჩ უ ე ნ ი ს ა დ ა ვ ი თ ა ფ ხ ა ზ თ ა და ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა, რ ა ნ თ ა და კ ა ხ თ ა მ ე ფ ი ს ა ს ა“... [6].

---

[1] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 327.

[2] იქვე.

[3] ძეგლისწერაჲ რუის-ურბნისის კრებისაჲ, ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 114.

[4] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 174—175.

[5] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 327.

[6] ძეგლისწერაჲ რუის-ურბნისის კრებისაჲ, ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 106.

ამდენად, რუის-ურბნისის კრება დავით აღმაშენებლის ინიციატივითა და ბრძანებით იქნა მოწვეული სამეფო კარის მიერ დასახული საეკლესიო პოლიტიკის ცხოვრებაში გასატარებლად.

კრებამ განიხილა იმ დროისათვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხები. პირველი რიგის ამოცანად დაისახა უღირს თანამდებობის პირთა გადაყენება („განკუეთა"). ვინ იყვნენ ეს „ვერ ღირსებით შემოსულნი პატივსა მღვდელთ-მთავრობისასა", ვისაც საეპისკოპოსოები დაპყრობილი ჰქონდათ „ვითარცა ავაზაკთა"? უნდა ვიფიქროთ, რომ ესენი არიან ყოველგვარი ნორმების (რელიგიური დოგმებია მხედველობაში) დამრღვევი, მექრთამე სასულიერო პირები. ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ ხელში დიდძალი მამულებია სხვადასხვა გზით თავმოყრილი და მსხვილ ფეოდალებად გვევლინებიან. დავითის ისტორიკოსისა და „ძეგლისწერის" მიერ ასე მწარე (ავაზაკი, მექრთამე, უღირსი და სხვ.) ეპითეტებით მოხსენება ზემოთაღნიშნული პირებისა, ჩვენი აზრით, იმაზეც უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ეს საეკლესიო პირები — ფეოდალები სამეფო ხელისუფლების პოლიტიკის მოწინააღმდეგენიც არიან. სწორედ ეს ფაქტორი უნდა განსაზღვრავდეს და განაპირობებდეს ძირითადად საქართველოს სამეფო კარის მიერ სასულიერო სფეროში გატარებული მკვეთრი ღონისძიებების მკაცრ ხასიათს.

დავით აღმაშენებელს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული ის სიძნელეები, რომელიც კრების მსვლელობას წინ გადაეღობებოდა. ბუნებრივია, ის პირები, ვისაც თანამდებობები ეკავათ, არც ისე ადვილად დათმობდნენ გაბატონებულ მდგომარეობას. ეს გარემოება არ გამორჩენია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს. იგი ხაზს უსვამს, რომ „დაღათუ ძნელღა იყო ესე, რამეთუ იყვნეს კაცნი მთავართა და წარჩინებულთა შვილნი" [1].

რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მონაწილეებმა „...დღე-

---

[1] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, თბ, 1955, გვ. 328.

თა მრავალთა ფრიადითა გამოწულილვითა კეთილად გამოიძიეს და ყოველი ცთომა განმართეს, კეთილი და სათნო ღმრთისა წესი ყოველი დაამტკიცეს...“ [1]

კრებამ საქართველოს სახელმწიფოსა და მისი მეფის დავით აღმაშენებლის პოლიტიკა, მათ მომხრეთა ხაზი გაატარა და მიიღო სათანადო გადაწყვეტილებები. ეს გადაწყვეტილებები თხუთმეტი მუხლისაგან შედგება და იწოდება რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერა“-დ. ვიდრე შევეხებოდეთ „ძეგლისწერის“ მიერ დაკანონებულ საკითხებს, შევჩერდებით თვით ამ ისტორიული დოკუმენტის შესავალ ნაწილზე, სადაც კრების მნიშვნელობაზეა ლაპარაკი. „ძეგლისწერა“ მიღებულ იქნა რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე და ამდენად იგი გამოხატავს ამ კრების მონაწილეთა უმრავლესობის აზრს. ეს უმრავლესობა კი კრებას, როგორც ჩანს, ფრიად მნიშვნელოვან მოვლენად სთვლიდა, როგორც საქართველოსთვის, ასევე მთელი საქრისტიანოსათვის. „ძეგლისწერა“ ჩამოთვლის რა მანამდე ჩატარებულ ქრისტიანული ეკლესიის კრებებს. (ნიკეის, კონსტანტინოპოლის, ეფესის, ქალკედონისა და სხვ.), აღნიშნავს, რომ თითოეულ ამ კრებაზე მიღებულ იქნა კანონები [2]. „ამათა წმიდათა კრებათა მიერ განჩინებულთა კანონთა თანა არიან სხუანიცა თითოეულთა მამათა მიერ განრისხებულნი და თანა აღრიცხულნი კანონნი“ [3]. ეს კანონები „ძეგლისწერის მიხედვით არიან დაბეჭდულნი... თჳნიერ ყოვლისა შემატებისა და მოკლებისა, და ამათი მეცნიერება და შედგომა და მტკიცედ პყრობა უჴმს

---

[1] იქვე, გვ. 327.

[2] გაკილვითაა მოხსენებული კონსტანტინოპოლის კრება, „ხოლო მეხუთემან წმიდამან და მსოფლიომან კონსტანტინოპოლის შეკრებულმან კრებამან მცირედ იზრუნა საეკლესიოთა კანონთა განწესებისათჳს“ („ძეგლისწერაჲ“. ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 111). ნიშანდობლივია, რომ საქართველოს მეფის მიერ რუის-ურბნისის კრების მოწვევა, მისი მოღვაწეობა საერთოდ, „ძეგლისწერაში“ შედარებულია ბიზანტიის იმპერატორებთან (კონსტანტინე, თეოდოსი, მარკიანე, იუსტინიანე და სხვ.), რომლებიც ასევე იწვევდნენ საეკლესიო კრებებს და სასულიერო ცხოვრების მოწესრიგებაზე ზრუნავდნენ („ძეგლისწერაჲ“, ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 110—111).

[3] „ძეგლისწერაჲ“, გვ. 111.

ყოველთა წინამძღუართა ქრისტეანობისა მადიდებლობასა სათა...“ [1] სწორედ ამ კანონთა დაცვის საქმე ვერ იყო შორეს-რიგებული, საქართველოს ეკლესიაში. „უბიწოებასა ქართველთა სარწმუნოებისასა ბიწი რაჲმე შეჰხებოდა...“ [2] ამდენად, რუის-ურბნისის საეკლესიო კრების წინაშე მეტად დიდ-მნიშვნელოვანი საკითხი დამდგარა. კრების მონაწილეებმა „...დღეთა მრავალთა ფრიადითა გამოწულილვითა კეთილად გამოიძიეს და ყოველი ცთომა განმართეს, კეთილი და სათნო ღმრთისა წესი ყოველი დაამტკიცეს...“ [3] ვახუშტი ბაგრატიონიც ხაზგასმით აღნიშნავს: „განამტკიცეს 12 კრებათა დამტკიცებული ჭეშმარიტი სარწმუნოება“ [4].

რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერამ“ დააკანონა შემდეგი:

1) განკვეთა („უცხო-ვყვენით მღდელობისაგან“) ის პირები, რომლებიც „ვერღირსებით“ იყვნენ მოხვედრილი დიდ სასულიერო თანამდებობებზე. მათ ნაცვლად კრებამ შეარჩია სხვა, უფრო ღირსეული პირები, რომლებიც ასაკითაც და თავიანთი საქმიანობითაც უფრო შეეფერებოდნენ ასეთ თანამდებობებს. ამ პუნქტში სამღვდელო პირთა ასაკის ხსენება შემთხვევითი არ უნდა იყოს. საფიქრებელია, რომ სხვადასხვა გზით „უასაკოებიც“ ინიშნებოდნენ მაღალ თანამდებობებზე. ეს „ძეგლისწერის“ შემდეგ მუხლშიაც ნათლად ჩანს.

2) დაკანონდა სამღვდელოების ხელდასხმის წესი. განაწესა წლოვანება, რომლის უადრეს არ ეგებოდა ხელდასხმა; მაგალითად, 35 წელი ეპისკოპოსთათვის, 30 — მღვდელთათვის, 25 — დიაკონთათვის, 8 — წიგნის მკითხველთათვის. კრებამ ამასთანავე აკრძალა ხელდასხმით ერთსა და იმავე დღეს ერთი თანამდებობიდან მეორე და მესამე ხარისხზე აყვანა. როგორც ჩანს, ეს „უწესოჲ წესი ჴელთ-დასხმათა“ ფართოდ ყოფილა გავრცელებული. სამღვდელოების მისწრა-

---

[1] „ძეგლისწერაჲ“, გვ. 112.

[2] იქვე, გვ. 114.

[3] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 327.

[4] ვახუშტი, საქართველოს ისტორია, თბ., 1885, გვ. 175.

ფება მექრთამეობისაკენ აშკარადაა გამოვლენილი ამ მუხლის მეოთხე ქვეპუნქტში, სადაც საგანგებო ზომებია გათვალისწინებული ამ უმსგავსობის წინააღმდეგ: „ხოლო ქრთამისათჳს და საფასისა, რომელსა მიიღებენ ჴელთდამსხმელნი, ჴელთდასხმადთაგან... განჩინებად ვიკადრებთ ჩვენცა, რათა მოისპოს ეგევითარი — იგი ეკლესიისაგან და აღიჴოცოს მღდელოგისაგან...[1] და სხვ.

რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერამ“ დააკანონა, რომ ხელდასხმის წესი, ეკლესიისა და მირონის კურთხევა, საკურთხევლის დამყარება უნდა ჩატარებულიყო ისე, ვითარცა ახალთა შინა კურთხევათა ნეტარებით მოხსენებულისა მამისა გიორგი მთაწმინდელისათა დაწერილ არს“[2].

3) აკრძალა მოხმარება, რა მიზნითაც არ უნდა ყოფილიყო, ყოველგვარი საეკლესიო (მათ შორის შეწირული) ნივთებისა („სამღვდელოთა ჭურჭელთა და ღმრთისადა შეწირულთა სიწმიდეთათვს“) უკეთუ ვინმე დაარღვევდა ამ კანონს, მას სასჯელი ელოდა.

4) აკრძალა ეკლესიის გარეშე ნათლისცემა და გვირგვინის კურთხევა. „... არცა ნათლისცემაჲ შესაძლებელ არს, არცა გჳრგჳნთა კურთხევაჲ, არცა მონაზუნისა ეპისტოლითა გინა სქემითა კურთხევაჲ, და არცა მონაზონსა ხუცესსა გჳრგჳნთა კურთხევად ხელ-ეწიფების, არცა ერისგანსა მღდელსა მონაზონისა კურთხევად“[3].

5) აკრძალა გვირგვინის კურთხევა „ჩჩჳლთა ქალ-ყმათა“. თუ მშობლებს გადაწყვეტილი ჰქონდათ დამოყვრება, ნება ეძლეოდათ პატარები დაეწინდათ, ხოლო დაქორწინება მხოლოდ განსაზღვრულ ასაკში იყო დაშვებული. ჴვარდასაწერი ქალი 12 წლისაზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო.

6) კათალიკოსს და ეპისკოპოსებს დაევალათ, ქორეპისკოპოსებად „სჯულისა და საღთოთა წიგნთა მეცნიერი“ აერჩიათ,

---

[1] „ძეგლისწერაჲ, გვ. 116.

[2] იქვე, გიორგი მთაწმინდელის იდეები რომ თან გასდევდა დავით აღმაშენებლის საეკლესიო რეფორმებს, ამ მუხლიდანაც ნათლად ჩანს.

[3] იქვე, გვ. 117.

რათა საქრისტიანო წესები“ არა... განსცეს ქრთამისათვს, არცა... განყიდოს ვერცხლად“ [1].

7) მონასტერს, როგორც წესი, ერთი მოძღვარი უნდა ჰყოლოდა. მხოლოდ დიდ მონასტრებს ჰქონდათ ორი მოძღვრის ყოლის უფლება [2].

8) კრებამ აკრძალა მონასტრებთან ვაჭრობის (ბაზრობის) გამართვა. „ნულარამცა კადრებულ არს ქმნად ამიერითგან, ნუცა მონასტერთა შინა შექმნა სავაჭროთა ერის კრებათად, ნუცამცა-რა სხუად სამოქალაქოდ და სოფლიოდ წესი ქმნილ არს მონასტერთა შინა... [3]

„ძეგლისწერის“ შემდეგი მუხლები („განწესება ჟამისწირვისა“, „მწვალებელთა და წარმართთათვს“ და სხვ.) შინასაეკლესიო საქმიანობას ეხება. მეთოთხმეტე მუხლით დაკანონდა ქორწინების წესი („კურთხევად გვრგვნთა ქორწინებით“). მეთხუთმეტე მუხლია „განჩინება სოდომური ცოდვისათვს“, რომლითაც კრებამ აკრძალა ზოგიერთი სხვა უწესობანიც, რომელიც დამკვიდრებული ყოფილა საერო და საეკლესიო პირთა შორისაც.

როგორც ვხედავთ, რუის-ურბნისის კრებას ფრიად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიუღია. თვით ეს კრება დავით აღმაშენებლის მიერ გატარებული საეკლესიო რეფორმის პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯია. XII საუკუნის პირველი მეოთხედისათვის პირადი ღირსებების მიხედვით საეკლესიო თანამდებობებზე სასულიერო პირთა დანიშვნა უდიდესი მნიშვნელობის გადაწყვეტილება იყო. ფეოდალურ საქართველოში, ისიც ფეოდალიზმის აყვავების ხანაში, ასეთი ნაბიჯის გადადგმა ნამდვილად პროგრესული მოვლენა იყო. ყველა კანონი (მუხლი), რომელიც რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ მიიღო, თავისთავად ცალკეულ რეფორმას წარმოადგენდა ეკლესიაში.

---

[1] იქვე, გვ. 118.

[2] ეს მუხლი უდავოდ იმიტომ მიიღეს, რომ ზოგჯერ მონასტრებში, განურჩევლად მათი სიდიდისა, რამდენიმე მოძღვარი იყო. ადგილი ჰქონდა მათში ურთიერთშორის უთანხმოებას, რასაც ხშირად შფოთი მოჰყვებოდა.

[3] „ძეგლისწერაად“, გვ. 119.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ ჩვენ საგანგებოდ გვინდა გავამახვილოთ ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ რუის-ურბნისის საეკლესიო კრების „ეგლისწერის“ ანალიზი ერთხელ კიდევ ხაზგასმით მიგვანიშნებს იმ დიდი, დაძაბული ბრძოლის შესახებ, რომელიც მეფესა და დიდგვაროვან ფეოდალებს, კერძოდ, ეკლესიას შორის არსებობდა. მემკვიდრეობის წესი ეკლესიის მართვა-გამგებლობაში ტრადიციულად კარგა ხნის დაკანონებული იყო. ამჯერად კი ეკლესიაში არსებული დარღვევები, ამ ორგანიზმის დამორჩილებით დაინტერესებულმა საქართველოს სამეფო კარმა მარჯვედ გამოიყენა და თავის მოწინააღმდეგე (ამავე დროს გარკვეული დარღვევების ჩამდენი) საეკლესიო პირები მოაშორა ეკლესიას, ნაცვლად კი სამეფო პოლიტიკის მომხრენი დანიშნა. დავით აღმაშენებლის მიერ ასეთი ფართო მასშტაბის კრების ჩატარება და ქმედითი ჩარევა საეკლესიო საქმეებში თავისთავად მეტყველებდა მეფის გაზრდილ უფლებებზე სასულიერო საქმეებში. საქართველოს სამეფო კარის პოლიტიკა იმდენად აქტიური და მძლავრი იყო, რომ ეკლესია შეურიგდა (რა თქმა უნდა, იძულებით) მის მიმართ მეფის უფლებების გაზრდას. როგორც ირკვევა, პირველი ღონისძიებების გატარების შემდეგ ეკლესია-მონასტრები დავით აღმაშენებელს მკაცრ პირობებში ჰყოლია ჩაყენებული. ეს ნათლად ჩანს თვით მისივე 1125 წლის ანდერძიდან, სადაც ხაზგასმულია: „რომელნი მონასტერნი მამულისა ჩემისანი განმიმწარებიან, მოძღუარმან ჩემმან უკუნ-ცემითა მათითა ალოცნეს ჩემთჳს“ [1].

ასევე თვალნათლივ მიგვანიშნებს ეკლესიათა დაჭირვებულ, მძიმე მდგომარეობაზე „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“: „ხოლო განათავისუფლნა (ლაპარაკია ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური მომძლავრების შემდგომ დავით აღმაშენებლის მიერ ეკლესიებისადმი შეუვალობის მინიჭებაზე — რ. მ.) არა მონასტერნი ოდენ და ლავრანი მოსაკარგავეთა მაჭირვებელთაგან, არამედ ხუცესნიცა სამეფოსა შინა მისსა ყოვლისა ჭირისა

---

[1] ანდერძი დავით აღმაშენებლისა, ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძის გამოცემა, თბ., 1965, გვ. 20.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბ ე გ რ ი ს ა გ ა ნ, რათა თავისუფალთა საღმრთო-მსახურება მიუპყრან ღმერთსა“ [1].

ამგვარად, XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოში სახელმწიფომ თავისი გავლენა მკვეთრად მოახვია ეკლესიას. ამიერიდან დიდი ფეოდალები მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში ძლიერ მოკავშირეებს ჰკარგავენ მღვდელ-მთავრების სახით. დავით აღმაშენებლის საეკლესიო პოლიტიკა, რომელიც მნიშვნელოვანი ნაწილი იყო იმ დიდი სამეფისკარო პოლიტიკისა ქვეყნის ცენტრალიზაციასა და კულტურულ წინსვლას რომ ემსახურებოდა, წარმატებით გადაჭრის ჩარჩოებში მოექცა. საქართველოს სამეფოს მიერ გარკვეული წარმატებების მოპოვების შედეგად ჩამოყალიბდა მეფის მკვეთრად გამოსახული საეკლესიო ძალაუფლება. ამას თავის მხრივ ხელი შეუწყო სამეფო ხელისუფლების მიერ გატარებულმა მნიშვნელოვანმა ღონისძიებებმა ჭყონდიდელისა და მწიგნობართუხუცესის თანამდებობის გაერთიანებამ — ჭ ყ ო ნ დ ი დ ე ლ-მ წ ი გ ნ ო ბ ა რ თ უ ხ უ ც ე ს ო ბ ი ს შემოღებამ. აკად. ნ. ბერძენიშვილი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო სამართლის არც ერთს ინსტიტუტში კლასთა ბრძოლა ისე თვალნათლივ არ მოსჩანს, როგორც ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობაში“ [2]. მეცნიერი ამ „ჯელს“ ბატონყმური ურთიერთობის გამარჯვების მწვავე პროცესთან დაკავშირებული კლასთა ბრძოლის უშუალო ნაყოფად მიიჩნევდა [3]. აკად. ივ. ჯავახიშვილმა გამოიკვლია რა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ინსტიტუტი, აღნიშნა, რომ ამ „ჯელის“ სრულ ანალოგიას არც ერთ მეზობელ ხალხთა სახელმწიფო წყობილებაში არა აქვს ადგილი [4]. ფრიად საინტერესოა ის ფაქტიც-

---

[1] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 353.

[2] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში (ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი), საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 5.

[3] იქვე.

[4] ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ინსტიტუტის შესახებ ივ. ჯავახიშვილს მსჯელობა აქვს ნაშრომში „ქართული სამართლის ისტორია“, წ. II, ნაკვ. I.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობის დაწესება ქრონოლოგიური თვალსაზრისით დაემთხვა ფეოდალური საქართველოს იმ პერიოდს, როცა სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი ღონისძიებები იქნა ქვეყანაში განხორციელებული. თვით ამ თანამდებობის შემოღებაც XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს სამეფო ხელისუფლების რეფორმატორულ საქმიანობას უნდა მიეწეროს. ისევე, როგორც ამ დროს გატარებული სხვა რეფორმები, ეს ღონისძიებაც გარკვეული აუცილებლობით იყო ნაკარნახევი და ფეოდალური ქვეყნის განვითარების კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენდა.

მწიგნობართუხუცესის თანამდებობა არსებითად განსხვავდებოდა ფეოდალურ საქართველოში არსებულ ყველა სხვა სადარბაზისკარო „ჭელისაგან". ყველა სხვა „ჭელი" მიწისმფლობელობასთან იყო დაკავშირებული და ამდენად ორ ბუნებას ამჟღავნებდა. ერთი მხრივ, ხელისუფალი დამოკიდებული იყო მეფის წყალობისაგან და ამიტომ მეფის ძლიერებისათვის უნდა ებრძოლა, მეორე მხრივ, დამოუკიდებელი მემამულე იყო, რაც აიძულებდა საკუთარ თავსა და სამფლობელოზე მეტი ეზრუნა, მეფის გაძლიერებისთვის კი მაინც არ შეეწყო ხელი. ფეოდალური ეპოქის ყველა „ჭელის" (გარდა მწიგნობართუხუცესისა) საერთო დამახასიათებელი თვისება ის იყო, რომ ყოველთვის სამემკვიდრეოდ გადაქცევის მიდრეკილებას იჩენდა.

არც ერთი ამ თვისებათაგანი არ ჰქონდა მწიგნობართუხუცესს. იგი მონაზონი იყო და ამიტომ მიწისმფლობელობისაგან შორს იდგა. ასევე ვერ გამოიჩენდა თანამდებობის სამემკვიდრეოდ გადაქცევის მიდრეკილებას (მონაზონს არ შეიძლებოდა ჰქონოდა ქალაქი ან სოფელი საკუთრებად თუ სახარაჯოდ. მას არც მემკვიდრეები ჰყავდა). ამდენად მწიგნობართუხუცესობა მთლიანად მეფის ცენტრალურ ხელისუფლებაზე იყო დამოკიდებული და, ბუნებრივია, მწიგნობართუხუცესი ასეთი ხელისუფლების გაძლიერების თავგამოდებული მომხრე იყო. მეფე დაინტერესებული იყო, რომ მისი ერთგული მოხელე მწიგნობართუხუცესი დაწინაურებული ყოფილიყო. ეს დაკავშირებული იყო ცენტრალისტური ხელისუფლების გამარჯვე-

ბასთან იმ შინაკლასობრივ ბრძოლებში, რომელსაც საქართველოს მეფე დიდგვაროვან საერო და საეკლესიო ფეოდალებთან აწარმოებდა. ეს საქმე დავით აღმაშენებელმა თავის სასარგებლოდ გადაჭრა და ამის შემდგომ მწიგნობართუხუცესის „სახელოს“ აღზევება-დაწინაურებას შეუდგა. როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი მიიჩნევს, „ობოლთა და ქვრივთა და მომძლავრებულთა მოჩივართა“ განკითხვის ფუნქცია მწიგნობართუხუცესს დავითმა მიანიჭა [1].

პროფ. მ. ლორთქიფანიძე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ დავით აღმაშენებლის დროს მწიგნობართუხუცესი ვაზირია და ეს „ვაზირობა — სხვა მოხელეთა შორის მისი უპირველესობის მაუწყებელი ნიშანია [2]. ბუნებრივია, მწიგნობართუხუცესის გაუპირველესება სამეფო კარზე შემთხვევითი მოვლენა არ იყო.

საქართველოს მეფე საეკლესიო საქმეებში, როგორც საერო პირი, უშუალო მონაწილეობას ოფიციალურად ვერ მიიღებდა. საგულისხმოა ჩვენს მიერ ზემოთ უკვე დამოწმებული ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა, რომ დავით აღმაშენებელი რუის-ურბნისის საეკლესიო კრებას ესწრებოდა როგორც

---

[1] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში (ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი), საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 39.

[2] მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ქართული ფეოდალური მონარქიის კარის მოხელენი, იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, თბ., 1955, გვ. 69. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ პროფ. მ. ლორთქიფანიძემ სრულიად მართებულად გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ ქართულ წყაროებში ვაზირები XII ს. უწინარეს არ გვხვდებიან, თუმცა ყველა ის ქართული პოლიტიკური ინსტიტუტი, რომელიც XII საუკუნიდან არაბული ვაზირის სახელწოდებას ატარებს, საქართველოში ადრევე არსებობდა. მანვე გამოთქვა ფრიად საინტერესო მოსაზრება, რომ ქართული ვაზირი და სავაზირო თავისთავადი მოვლენაა, აღმოცენებული ძირითადად ქართული „უხუცესთა“ ინსტიტუტიდან. (დასახ. ნაშრ. გვ. 68—73). სავაზიროს წარმოქმნის დროისა და მისი შემადგენლობის შესახებ პ. ინგოროყვას მიერ „რუსთველიანას ეპილოგში“ გამოთქმული მოსაზრებანი სამართლიანად გააკრიტიკა დოც. ნ. შოშიაშვილმა (იხ. ნ. შოშიაშვილი, XII—XIV სს. საქართველოს სახელმწიფო სამართლის ისტორიისა და რუსთველოლოგიის ზოგიერთი საკითხი, „ცისკარი“, 1965, № 9, გვ. 114—151).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგითი წევრი, ე. ი. მისი, როგორც მეფის, უფლებები (ფორმალურად მაინც!) შეზღუდული იყო ამ კრებაზე. მეფის უფლებები შეზღუდული მხოლოდ რუის-ურბნისის კრებაზე როდი იყო. იმდროინდელი საეკლესიო დოგმატების მიხედვით, როგორც უკვე შევნიშნეთ, სასულიერო სფეროს მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრაში მეფე ვერ მონაწილეობდა. დღის წესრიგში დადგა გადამჭრელი ზომების მიღების საკითხი, რათა ეკლესია მეფის ხელისუფლებას საბოლოოდ დამორჩილებოდა. ამ მეტად სერიოზული მიზნის მისაღწევად უნდა გამონახულიყო ისეთი გზა, რომელიც უმტკივნეულოდ დაუმორჩილებდა ეკლესიას სამეფო ხელისუფლებას. ამისათვის ყველაზე უფრო გავლენიანი საეკლესიო პირი სახელმწიფო მმართველობაში უნდა მოეყვანათ, ან კიდევ რომელიმე „სახელოს" მფლობელისათვის დიდი საეკლესიო თანამდებობა მიენდოთ, სამეფო კარისათვის დაეახლოვებინათ და ამ გზით ეკლესია სამეფო ხელისუფლებისათვის დაემორჩილებინათ. სწორედ ამ მიზნით დავით აღმაშენებელმა ორი თანამდებობა — ჭყონდიდელისა და მწიგნობართუხუცესისა შეაერთა. აქედან მოყოლებული მწიგნობართუხუცესად მაღალი საეკლესიო თანამდებობის პირი, ჭყონდიდელი ინიშნებოდა[1]. ზედმეტია მტკიცება იმისა, რომ საქართველოს მეფის მიერ გადადგმულ ამ ნაბიჯს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფოსათვის. მეფის უერთგულესი მოხელე მწიგნობართუხუცესი ამავე დროს საეკლესიო სფეროში გავლენიანი თანამდებობის — ჭყონდიდლობის მატარებელიც გახდა. ამიერიდან მწიგნობართუხუცესი ჭყონდიდის მთავარეპისკოპოსად უნდა ყოფილიყო. ასე შეიქმნა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობა, რომელიც ერთსა და იმავე დროს მეფის მოხელეც იყო და დიდი საეკლესიო თანამდებობის პირიც. ამ ახალი „ხელის" მეოხებით საქართველოს მეფეს საეკლესიო საქმეებში ფართოდ და აქტიურად ჩარევის ასპარეზი მიეცა. ეს,

---

[1] ჭყონდიდის საეპისკოპოსო კათედრა დააარსა გიორგი აფხაზთა მეფემ X საუკუნეში. ეს კათედრა თანდათან აღზევდა და უკვე ბაგრატ მეოთხის დროს უწარჩინებულეს კათედრად ჩანს დასავლეთ საქართველოში. (იხ. ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 10).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის მხრივ, მეფის ცენტრალური ხელისუფლების ეკლესიაზე უშუალო გავლენას ნიშნავდა.

აკად. ივ. ჯავახიშვილი ყურადღებას ამახვილებს[1] იმ გარემოებაზე, რომ მწიგნობართუხუცესი პირველად X—XI საუკუნის ძეგლში — ღრტილას მომხდარ სამღვდელო კრებისა და პაექრობის აღწერილობაში („სიტყვის-გება ბერისა ეფთვიმე გრძელისა სოსთენის მიმართ სომეხთა მოძღუარისა") იხსენიება. აქ ბაგრატ მეფის თანამედროვედ დასახელებულია „მწიგნობართუხუცესი მეფისა". ამაზე ადრე მწიგნობართუხუცესი ქართულ საისტორიო წყაროებში არ მოიხსენიება. რაც შეეხება ჭყონდიდელს, იგი პირველად მოხსენებულია X საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. ეს არის სტეფანე სანანოძის ძე ჰიმნოგრაფი და მთარგმნელი[2], რომელიც ეპისკოპოსად იწოდება[3].

ამდენად, საქართველოს სინამდვილეში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობდა როგორც მწიგნობართუხუცესის, ასევე ჭყონდიდელის ინსტიტუტები. აკად. ნ. ბერძენიშვილმა საგანგებოდ გამოიკვლია და დაადგინა ამ თანამდებობის შეერთებამდე, როგორც ჭყონდიდელების, ასევე მწიგნობართუხუცესების ვინაობა და მოღვაწეობის დრო[4].

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დასაბუთებულია, რომ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობა დავით აღმაშენებლის მეფობის დროს გაერთიანდა. აკად. ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევს, რომ ეს „ხელი" ქართულ ფეოდალურ სახელმწიფოში დაწესდა 1103—1110 წლებში[5]. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი 1110 წელს სამშვილდის აღებასთან დაკავშირებით ახსენებს გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს: „და

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი, II, ნაკ. I, გვ. 126.

[2] მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, გვ. 433.

[3] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 83.

[4] ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში (ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი), საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 11.

[5] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი, II. ნაკ. I, გვ. 128.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეკრბეს გიორგი ჭყონდიდელსა და მწიგნობართუხუცესსა წინაშე თევდორე, აბულეთი და ივანე ორბელი და სიმარჯვთ ბოჯიპარეს სამშჯლდე“ [1]. 1103 წელს იმავე გიორგი მწიგნობართუხუცესზე ნათქვამია: „ღირსისა მეუფისა ჩვენისა და თუალად წმინდისა ამის კრებისა ცნობილისა გიორგი მონაზონისა და მწიგნობართ-უხუცესისა“... და სხვ. ამგვარად, აქ იგი მხოლოდ მონაზვნად და მწიგნობართუხუცესად იწოდება. ამდენად, ჭყონდიდელმწიგნობართუხუცესის თანამდებობის დაწესება 1103 და 1110 წლებს შორის მომხდარა. ჩვენ ადრე გამოთქვით ვარაუდი [2] და ამჯერადაც გავიმეორებთ, რომ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობა 1103-04 წწ. დაწესდა, რადგან საქართველოს სამეფო ხელისუფლების ეს ნაბიჯი რუის-ურბნისის კრების გადაწყვეტილებათა ლოგიკური გაგრძელებაა და, ბუნებრივია, მისი სისრულეში მოყვანა ამ კრების შემდეგ აღარ დაყოვნდებოდა, მით უმეტეს, რომ ამ ღონისძიების გასატარებლად ნიადაგი უკვე შემზადებული იყო. თუ არა ამ რეფორმისათვის მზადებას, სხვას რას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ მწიგნობართუხუცესის თანამდებობაზე ვხედავთ, ფრიად განათლებულ ბერს, გიორგის — სასულიერო საქმეებში სათანადოდ გარკვეულ პიროვნებას, რომელიც აქტიურად მონაწილეობს საეკლესიო ცხოვრებაში. ბუნებრივია, დავით აღმაშენებელს აღნიშნული რეფორმის გატარება წინასწარ ჰქონდა განსაზღვრული და მოფიქრებული.

ამდენად, 1103-04 წლებში უნდა მომხდარიყო საქართველოს სახელმწიფოსათვის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი — ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ინსტიტუტის შექმნა. ამ ტიტულის პირველი მატარებელი გახდა გიორგი ბერი, რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ყველაზე აქტიური მონაწილე და ამ კრების „თვალი“ („თუალად წმინდისა ამის კრებისა ცნობილისა“...).

ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს იმისათვის, რომ მისი

---

[1] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 331.

[2] რ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, დავით აღმაშენებელი, თბ., 1965, გვ. 50.

გავლენა და ავტორიტეტი გაზრდილიყო, სამეფო კარზე უფლებებს აძლევს. ამ „ჭელის“ დაწინაურებულ მდგომარეობაზე მიგვანიშნებენ წერილობითი წყაროები. დავითის ისტორიკოსი გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს ასე ახასიათებს: „...კაცი სრული ყოვლითა სიკეთეთა სულისა და ჴორცთასა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა, განმზრახი, სჯანი და ფრთხილი, თანააღზრდილი აღმზრდელი პატრონისა და თანაგანმკაფელი ყოველთა გზათა, საქმეთა და ღუაწლთა მისთა“ [1], ე. ი. მწიგნობართუხუცესი იყო მეფის „განმზრახი“ (მრჩეველი) და მისი სახელმწიფო მოღვაწეობის თანაგანმკაფელი (თანამშრომელი). როგორც ჩანს, მწიგნობართუხუცესი მეფესთან დაახლოებული პირია. აკად. ივ. ჯავახიშვილს „ქართული სამართლის ისტორიის“ მეორე წიგნში მოჰყავს ცნობა ერთი ქართული კარაბადინის მინაწერიდან ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის უფლება-მოვალეობის შესახებ: „...ქრისტეს მიერ პატრონმან ჭყონდიდელმან, მისმან მწიგნობართუხუცესობამან, პროტოდუპერტიმოსმან და ვაზირთა ყოველთა უპირველესმან, კაცმან გონება-მოზვამან და საღმრთოდთა მსჯავრითა მართლმსაჯულმან და ჭელისამპყრობელმან ულონოთა და ქვრივთამან“-ო [2]. მოტანილი ცნობა ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს მწიგნობართუხუცესის დაწინაურებულ მდგომარეობას საქართველოს სამეფო კარზე და გვამცნობს, რომ იგი ამასთანავე არის „მართლმსაჯული და ხელისმპყრობელი ულონოთა და ქვრივთა“. ჟამთააღმწერელი იმასაც უმატებს, რომ მწიგნობართუხუცესის მოვალეობას „სამეფოსა სახლის განგება“ შეადგენდა. უფრო მეტიც: „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ ნათქვამია, რომ „ჭყონდიდელი მამა არს მეფისა“... [3] ყველა ეს ცნობები ადასტურებენ იმ დიდ მნიშვნელობასა და გავლენას, რომელიც ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის „სახელომ“ მოიპოვა.

---

[1] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 336.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკ. I, გვ. 127—128.

[3] გარიგება ხელმწიფის კარისა, ქართული სამართლის ძეგლები, პროფ. ი. სურგულაძის გამოცემა, თბილისი, 1970, გვ 49.

ბუნებრივია, აღნიშნულ რეფორმას სერიოზული წინააღმდეგობა შეხვდებოდა, მაგრამ სამეფო ხელისუფლება ახერხებდა მის დაძლევას. აკად. ნ. ბერძენიშვილი საგანგებოდ მიუთითებდა არსებულ წინააღმდეგობებზე და მიიჩნევდა, რომ 1118 წელს გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის გარდაცვალების შემდეგ ეს თანამდებობა მიიღო სვიმონმა — ბედიელ-ალავერდელმა მთავარეპისკოპოსმა. მეცნიერის აზრით, მას ჭყონდიდელობა მაშინვე არ მიუღია და ეს პატივი მხოლოდ 1125 წელს მიეცა. ხოლო „1118—1125 წლებში ჭყონდიდელი ვიღაც უცნობი პირი ყოფილა და არც თუ სასურველი დავითისათვის... შემდეგ დავითს ჭყონდიდლობა... სჯმეონისათვის მიუბოძებია და სჯმეონსაც ამიერიდან ბედიელ-ალავერდელობისთვის თავი დაუნებებია. ამრიგად, 1118—1125 წლებს შორის მწიგნობართუხუცესობა და ჭყონდიდლობა ურთიერთისგან გაყრილან“ [1]. გავიზიარეთ რა ეს დებულება, აღნიშნული საკითხის ირგვლივ ანალოგიური მოსაზრება გამოვთქვით ჩვენც [2]. თანაც, ხაზი გავუსვით იმას, რომ „ეს უცნობი ჭყონდიდელი გავლენიანი პირი იქნებოდა და სწორედ ამიტომ დაუკავებია მას ესოდენ პასუხსაგები და დიდი თანამდებობა. იგი იმდენად გავლენიანი ყოფილა, რომ თვით დავით აღმაშენებელიც ვეღარ წასულა მისი ჭყონდიდელად კურთხევის წინააღმდეგ“ [3].

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში (ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი), საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 11. შდრ. პ. ინგოროყვა, რუსთველიანას ეპილოგი (თხზ. კრებ. ტ. I, თბ., 1963, გვ. 574). აქ მეცნიერი საკითხს ასე წარმოგვიდგენს: სვიმონ IV გულაბერიძე:

ა. მწიგნობართუხუცესი 1118—1150 წწ.

ბ. ბედიელ-ალავერდელი 1118—1120—30-იანი წწ.

გ. ჭყონდიდელი 1120/30-იანი წ. — 1142 წ.

დ. ქართლის კათალიკოსი და ჭყონდიდელი 1142—1150 წ.

ამგვარად, პ. ინგოროყვა სვიმონს 1118 წლიდან 1120/30-იან წლებამდე მწიგნობართუხუცესად და ბედიელ-ალავერდელად მიიჩნევს.

[2] რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, თბ., 1965, გვ. 50—51.

[3] იქვე, გვ. 51.

ამჯერად ვვარაუდობთ, რომ მოცემული საკითხის ამგვარ-გაგება არ უნდა იყოს მთლად სწორი. ამ მოსაზრების გამოთქმის საშუალებას გვაძლევს წერილობითი წყაროების განხილვა და იმ ეპოქის (1118—1125 წწ.) პოლიტიკური ვითარების ანალიზი. მართლაც, დავით აღმაშენებლის შიო-მღვიმისადმი გაცემულ 1123 წლის ანდერძში სვიმეონი იხსენიება მწიგნობართუხუცესად და ბედიელ-ალავერდელად: „აწ სვიმეონ ბედიელ-ალავერდელისა იყო შევედრებულ. რაცა საქმე და საურავი მათი იყოს, იგი იყოფოდის, რომელსა ჩვენ ვერ მივიწინეთ. და შემდგომად მისსა, თუ მისსა ადგილსა ამითვე წესითა სხუა მწიგნობართ-უხუცესი იყოს, იგი იურვოდის“ [1]. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ასე გადმოგვცემს: „და განმგებლად და ზედამხედველად ყოველთა საქმეთა მანდაურთა აჩინა (დავით აღმაშენებელმა, — რ. მ.) მწიგნობართუხუცესი თჳსი სჳმონ, ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი, მაშინ ბედიელ-ალავერდელი“ [2]. ეს ეპიზოდი 1124 წელს მიეკუთვნება. ე. ი. სჳმონი 1124 წელს უკვე წყაროებში იხსენება, როგორც ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი და ამასთანავე ბედიელ-ალავერდელი. რატომ ვათარიღებთ 1124 წლით ამ მოვლენას? ამაზე თვით ისტორიკოსი პირდაპირ ცნობას არ იძლევა, მაგრამ თუ საქმის მსვლელობას მივყვებით, დავინახავთ, რომ ასეა (ამ საკითხზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ აკად. ბერძენიშვილი თარიღად 1125 წელს მიიჩნევდა). დავით აღმაშენებელმა 1124 წლის აგვისტოში აიღო ანისი. „...და წარმოვიდა ქართლად. და მ ც ი რ ე დ თ ა დ ღ ე თ ა მოუსუენა სპათა თჳსთა“ [3]. ამ „მცირედთა დღეთა“ შესვენების შემდგომ „წარემართა შარვანს... აღიღო ქალაქი შამახია და ციხე ბირიტი, სრულად ყოველი შარვანი“. სწორედ აქ დატოვა საქმეთა გამგებლად სვიმეონი. უნდა ვივარაუდოთ, რომ „მცირედთა დღეთა“ შესვენება არ იქნებოდა ერთ თვეზე მეტი. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, შარვანის აღება

---

[1] ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი (1123 წ.) ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძის გამოცემა, თბ., 1965, გვ. 17.

[2] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 345.

[3] იქვე.

1124 წლის ოქტომბერზე გვიან აღარ უნდა მომხდარიყო. ამ-
დენად სვიმეონის ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესად და ბე-
დიელ-ალავერდელად მოხსენებაც იგივე დროზე მოდის. თა-
ნაც თუკი ზემოთმოტანილ ტექსტს დავუკვირდებით, იქ მწიგ-
ნობართუხუცესი სვიმონი ჯერ ჭყონდიდელ მთავარეპისკოპო-
სად, ხოლო შემდეგ ბედიელ-ალავერდელად არის მოხსენე-
ბული („მწიგნობართუხუცესი სჯმონ, ჭყონდიდელი მთავარ
ეპისკოპოსი, მაშინ ბედიელ-ალავერდელი"). აქედან საწინა-
აღმდეგოს მტკიცება, ე. ი. რომ ჯერ ბედიელ-ალავერდელი
იყო და შემდეგ გახდა ჭყონდიდელი, ვფიქრობთ, ძალზედ
საეჭვოა. დავითის ისტორიკოსი იმგვარად იხსენებს ამ მო-
მენტს, რომ 1124 წლისთვის ბედიელ-ალავარდელობა ახალი
მიღებული უნდა ჰქონდეს სვიმონს. („მაშინ ბედიელ-ალავერ-
დელი"). მისი ჭყონდიდელობა (ჭყონდიდის მთავარეპისკოპო-
სობა) კი ჩვეულებრივ ამბად არის მიჩნეული.

ამგვარად, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიხედვით
სვიმონ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს 1124 წლის დამ-
ლევისათვის ბედიელ-ალავერდელობაც უნდა ჰქონდეს მინი-
ჭებული.

რას უნდა მივაწეროთ 1123 წლის შიო-მღვიმისადმი და-
ვით აღმაშენებლის მიერ ბოძებულ ანდერძში სვიმონის
ჭყონდიდლობის გარეშე, მხოლოდ ბედიელ-ალავერდელად
და მწიგნობართუხუცესად მოხსენება? ამაზე პირდაპირ პასუ-
ხის გაცემა, რასაკვირველია, ძნელია. ვარაუდით კი შეიძლე-
ბა ვთქვათ, რომ შესაძლოა ბედიელ-ალავერდელი ეპისკო-
პოსის კათედრა სწორედ ამ ხანებში მიუმატეს სვიმონს და
„ანდერძის" შემდგენელმაც სწორედ ეს მომენტი წარმოაჩინა
რელიეფურად. მით უმეტეს, რომ იქვე არც მწიგნობართ-
უხუცესად არის მოხსენებული („აწ სვიმეონ ბედიელ-ალა-
ვერდელისა იყოს შევედრებულ" და სხვ.). ეს მხოლოდ ორი
წინადადების შემდგომაა, თანაც აქ უკვე მხოლოდ მწიგნო-
ბართუხუცესად იწოდება. („...თუ მისსა ადგილსა... სხუა
მწიგნობართუხუცესი იყოს, იგი იურვოდეს"). ამდენად, არ
უნდა გამოვრიცხოთ, რომ დავით აღმაშენებელმა მას შემდეგ,
რაც ფაქტიურად დაასრულა ქვეყნის ცენტრალიზაცია, შემო-
ერთა თბილისი, გააფართოვა სახელმწიფოს საზღვრები, მის

პირველ თანამებრძოლს, სამეფო კარის პირველ მოხელეს ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს ბედიელ ალავერდელი ეპისკოპოსის პატივიც მიუმატა. საგულისხმოა, რომ ამგვარი მოსაზრება (თუმცა ყოველგვარი დასაბუთებისა და ჩვენს ისტორიოგრაფიაში არსებული შეხედულების მოყვანის გარეშე) გამოთქმული აქვს ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატს ბ. ლომინაძეს [1].

1118 წელს, გიორგის გარდაცვალების შემდეგ უცნობი ჭყონდიდლის არსებობა, ვფიქრობთ, უნდა გამოვრიცხოთ, რადგან, ჯერ ერთი, არსად ასეთი პიროვნება ისტორიულ წყაროებში არ მოიხსენება (ნიშანდობლივია, რომ მისი არსებობის შესახებ დუმს დავითის ისტორიკოსი), ესოდენ დიდი საეკლესიო თანამდებობის პირის ჭყონდიდლის წყაროებში მოუხსენებლობა, მით უმეტეს თუ ეს უკანასკნელი იმდენად გავლენიანი იყო, რომ დავით აღმაშენებლის ნების წინააღმდეგ იქნა დანიშნული, ალბათ, უნდა გამოვრიცხოთ. მეორე, 1118 წლისათვის საქართველოს სახელმწიფო, რომელმაც მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა ქვეყნის ცენტრალიზაციის, ეკონომიური და კულტურული წინსვლისათვის, რომლის სამეფო ხელისუფლება ძლიერების მაღალ საფეხურზე იყო, ბუნებრივია, მისთვის არასასურველი პირის (როგორი გავლენიანიც არ უნდა ყოფილიყო იგი) მაღალ საეკლესიო თანამდებობაზე დანიშვნას არ დაუშვებდა (რუისურბნისის კრება და საერთოდ საეკლესიო რეფორმა უკვე გატარებული იყო, ფეოდალური ქვეყანა კი კვლავ აღმავლობას განიცდიდა).

ამდენად, უნდა ვიფიქროთ, რომ გიორგის გარდაცვალების შემდეგ, 1118 წლიდან ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობა (რომლის შემოღება ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება-განმტკიცებას უკავშირდება) დაიკავა სვიმონმა, რომელსაც გარკვეული დროის შემდეგ (ალბათ 1122-23 წლებისთვის) სამეფო კარმა ბედიელ-ალავერდელის საეპისკოპოსო კათედრაც მიუმატა.

---

[1] ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა VIII—XII საუკუნეების საქართველოში, კრებ., „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბ., 1966, გვ. 84.

ქართული ბიბლიოთეკა

დღემდე შესწავლილი და გამოკვლეული[1] ისტორიული საბუთების მიხედვით ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესთა სია XII საუკუნის დასაწყისიდან ვიდრე XIV საუკუნის მიწურულამდე ამგვარად წარმოგვიდგება:

გიორგი — 1103-4 წლიდან — 1118 წლამდე;
სვიმონ — 1118 წლიდან — 1141 წლამდე;

. . . . . .

იოანე — 1161 წლიდან — 1178 წლამდე;
ანტონ — 1178/9 წლიდან — 1184 წლამდე;
მიქაელ — 1184 წლიდან — 1190 წლამდე;
ანტონ — 1190 წლიდან — 1204 წლამდე;
თეოდორე — 1205/6 წლიდან — . . . . . .

. . . . . .

არსენი — 1235 წლიდან — 1248 წლამდე;
ბასილი — 1248 (?) წლიდან — 1265 წლამდე;

. . . . . .

გიორგი — XIV საუკუნის მეორე ნახევარში.

მიუხედავად იმისა, რომ მოცემული სია სრული არ არის (მაგალითად სვიმონსა და იოანეს შორის, თეოდორესა და არსენს შორის ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესები უნდა ყოფილიყვნენ), მას გარკვეული მნიშვნელობა მაინც აქვს. სამწუხაროდ, ჩვენ არა გვაქვს საშუალება საკითხის შეუსწავლელობისა და გამოუკვლეველობის გამო ეს სია გავაგრძელოთ, თუმცა მიგვაჩნია, რომ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესობის არსებობა შემდგომ პერიოდშიც არის საფიქრებელი.

XII საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოს სამეფოს მიერ გატარებული საეკლესიო რეფორმა უდიდესი ფეოდალური ერთეულების ეკლესია-მონასტრების და მათთან ერთად სამღვდელოების სახელმწიფოსადმი დამორჩილებადაქვემდებარებას გულისხმობდა და ფეოდალური ქვეყნის შემდგომი გაძლიერების საწინდარი იყო.

ჭყონდიდლისა და მწიგნობართუხუცესის თანამდებობების გაერთიანებამ საბოლოოდ ჩასცა ლახვარი ეკლესიის მესვეუ-

[1] ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში (ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი), საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966, გვ. 30.

რებს და მწვავე შინაკლასობრივი ბრძოლის (ამ შემთხვევაში მეფესა და ეკლესიას შორის) სასწორი სამეფო ხელისუფლების სასარგებლოდ გადახარა. ეს კი უადვილებდა საქართველოს სამეფოს როგორც შინაურ, ისე გარეშე მტრებთან ბრძოლას.

ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ინსტიტუტი თავისი არსით მეტად რთული და თავისებურია. იგი, როგორც დავინახეთ, ჩამოყალიბდა ფეოდალური საქართველოს განვითარების გარკვეულ საფეხურზე და მისი საბოლოოდ გამოკვეთილი და ჩამოყალიბებული სახით, ქრონოლოგიურად დაემთხვა ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივი ძლიერების მომენტს. ეს არ ყოფილა შემთხვევითი: ესოდენ რთული ინსტიტუტის არსებობა სუსტ სახელმწიფოში ყოვლად წარმოუდგენელია.

ამრიგად, ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის ისტორიულ განვითარებასა და ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ინსტიტუტის ჩამოყალიბებას შორის ღრმა ორგანული კავშირი არსებობს. მეტად რთულსა და მწვავე შინაკლასობრივ ბრძოლაში სამეფო ხელისუფლების გამარჯვება ეკლესიაზე ძალზე საინტერესოდ მოგვცა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმა: „...კუალად მონასტერნი და საეპისკოპოსონი და ყოველნი ეკლესიანი წესსა და რიგსა ლოცვისასა და ყოვლისა საეკლესიოსა განგებისასა დარბაზის კარით მიიღებდიან, ვითარცა კანონსა უცთომელსა, ყოვლად შუენიერსა და დაწყობილსა, კეთილწესიერებასა ლოცვისა და მარხვისასა“ [1].

შესაბამისი პერიოდის ბიზანტიის სახელმწიფოსა და ეკლესიის დამოკიდებულება მათი მტკიცე კავშირით ხასიათდება. საეკლესიო დაწესებულებებისა და მათი მმართველობის დაწინაურება სახელმწიფოს განვითარების პარალელურად ხდებოდა.

სახელმწიფო მმართველობა აქტიურად მონაწილეობდა

---

[1] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 352.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასულიერო საკუთრების გადაწყვეტაში, ნიშნავდა და ათავებდა სუფლებდა საეკლესიო თანამდებობებზე სხვადასხვა პირებს. თავის მხრივ სასულიერო პირებიც ხშირად ერეოდნენ სამოქალაქო საქმეებში. ზოგჯერ იმდენად დიდი იყო მათი გავლენა, რომ სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმმართველადაც კი გამოდიოდნენ[1]. ბიზანტიის საეკლესიო წყობილებას წინამორბედ დროსთან შედარებით XI—XII საუკუნეებში არსებითი ცვლილება არ განუცდია.

დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში, მაგალითად, საფრანგეთში სამეფო კარის ეკლესიასთან დამოკიდებულებაში აშკარად ჩანდა მეფის ხელისუფლების საერთო-სახელმწიფოებრივი ხასიათი. «Если монархия первых Капетингов уступала некоторым могущественным герцогам графам по своим богатством и военной силе, то в деле господства над церковью она их явно превосходила»[2].

ეკლესია სამეფო ხელისუფლებას მხარში ედგა თავისი რელიგიურ-მორალური ავტორიტეტით და სწორედ ამის წყალობით იყო რომ სამეფო ხელისუფლების დაცემის დროსაც კი შეხედულება მონარქიის საკრალური ხასიათის შესახებ არ ქრებოდა.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ დაახლოებით ამავე პერიოდის (XI ს. მეორე ნახევარი) ინგლისში თითქმის მსგავსი რეფორმები გატარდა სასულიერო სფეროში. ვილჰელმ დამპყრობელი (1071—1085) ებრძოდა რა ბარონებს, მათი უფლებების შეზღუდვა ეკლესიის ორგანიზებულობითა და სამეფო ხელისუფლებაზე დამორჩილებით განახორციელა. ვილჰელმის მიერ გატარებული საეკლესიო რეფორმა მკვეთრად წარმოაჩენდა სახელმწიფოსა და სამეფო ხელისუფლების ძლიერებას და მასზე ბარონთა და სასულიერო მოღვაწეთა დამორჩილებულ დამოკიდებულებას. არც ერთ სინოდს არ შეეძლო შეეცვალა რაიმე წესი მეფესთან წინასწარი შეთანხმებისა და შემდგომ მისივე დამტკიცების

---

[1] Н. Скабаланович. Византийское государство и церковь в XI веке, С-Петербург, 1884, გვ. 61.

[2] Н. Ф. Колесницкий, Феодальное государство, М., 1967, გვ. 77.

გარეშე [1]. ვილჰელმმა რომის პაპის მოთხოვნა ვასალური ბიჭ-ჩილების ფიცის მიღებაზე უარჰყო და გრიგოლ შემვიდეს ასეთი პასუხი მისცა: Я никогда не желал сделаться вассаломъ, и не сделаюсь имъ и теперь. Я никогда не объещал папе клятвы въ верности и не вижу, чтобы мои предшественники были вассалами вашихъ предшественниковъ» [2]. კენტერბერის არქიეპისკოპოსობიდან გადაყენებული იქნა სტიგანდი და მისი ადგილი ვილჰელმისათვის სასურველმა პირმა — ლანფრანკმა დაიკავა, შეიცვალა ინგლისის პრელატთა დიდი ნაწილი. სამეფო ხელისუფლებამ მოახერხა ეკლესიაზე თავისი გავლენის მოხვევა, თუმცა ეს მუდმივი არ იყო და შემდგომში კვლავ წარმოებდა ბრძოლა ძალაუფლების განმტკიცებისათვის.

ეკლესიისა და სასულიერო წოდების უფლებების ნაწილობრივ შეზღუდვას ინგლისში სამეფო ხელისუფლებამ XIII—XIV ს. ს. მიაღწია. საერო ფეოდალების გარკვეული წრეები და თვით სამეფო ხელისუფლებაც დაინტერესებულნი იყვნენ ეკლესიის ძალაუფლების შეზღუდვასთან ერთად მიეთვისებინათ მდიდარი საეკლესიო საკუთრება. ამით აიხსნებოდა ის ფაქტი, რომ ჯ. ვიკლეფი და რეფორმაციის იდეების სხვა მქადაგებლები, მიუხედავად პაპის დაჟინებითი მოთხოვნისა, დაუსჯელნი დარჩნენ.

სხვა სახელმწიფოებისაგან განსხვავებით საქართველოს ფეოდალურმა სამეფო ხელისუფლებამ XII საუკუნის პირველ მეოთხედში მკვეთრი რეფორმები გაატარა სასულიერო სფეროში, რამაც ქვეყანას დადებითი შედეგები მოუტანა.

მაგრამ ამ ღონისძიებებს მხოლოდ დროებითი ხასიათი ჰქონდა. დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ შინაკლასობრივი ბრძოლა კვლავ გამოცოცხლდა. დემეტრე პირველის მეფობის დროს სამეფო ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის დამოკიდებულების შესახებ ჩვენ პირდაპირი ცნობები არ გაგვაჩნია. გიორგი მესამის დროს, როგორც ჩანს, საეკლე-

---

[1] Д. Р. Грин, История Английского народа, т. I. М., 1891, გვ. 104.

[2] ციტირებულია ჯ. გრინის ზემოთდასახელებული წიგნიდან (გვ. 104).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიო დიდგვარიანმა ფეოდალებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოიპოვეს და მკვეთრად დაუპირისპირდნენ სამეფო ხელისუფლებას. ეს დაპირისპირება, თავის მხრივ, გამოიხატა იმაში, რომ როცა გიორგი მესამე ორბელთა ხელმძღვანელობით ამბოხებულ დიდგვარიანთა წინააღმდეგ იბრძოდა, ეკლესიის მესვეურებმა კრება მოიწვიეს და ამბოხების ჩაქრობის შემდეგ უკან მობრუნებულ გიორგის ეკლესიის შეუვალობის აღდგენა მოსთხოვეს. ეს კრება „საქართველოს ეკლესიის შეუვალობის განახლების სიგელის“ მიხედვით 1178 წელს შემდგარა[1]. „შეკრბეს ყოველნი სამეფოჲსა ჩუენისა მონაზონნი და ეპისკოპოსნი იმერნი და ამერნი, კათალიკოზი, მოძღუარნი და ყოველნი მეუდაბნოენი“[2]. როგორც ვხედავთ, კრება ფართო მასშტაბისა ყოფილა თავისი მონაწილეების შემადგენლობით. მას სამეფოს ყველა მონაზონი და ეპისკოპოსი დასწრებია „იმერნი და ამერნი“. ეს ფაქტიურად სასულიერო პირების სერიოზული გამოსვლა იყო სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ. მიზეზი გამოსვლისა ეკლესიების მძიმე მდგომარეობა იყო: „დაჭირვებულობაჲ ეკლესიათაჲ და განრყუნაჲ ს(ა)სჯულოთა საქმეთა“[3]. ფაქტიურად სამღვდელოება თავისი ძალაუფლების გაზრდას მოითხოვდა. საქართველოს მეფეს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა და იძულებული გახდა რეაქციულ დიდგვარიან აზნაურთა გავლენისათვის საეკლესიო სფეროში დაეთმო და კრების მოთხოვნა შეუვალობის აღდგენის თაობაზე დაეკმაყოფილებინა[4]. საინტერესოა თვით ის დოკუმენტი („ეკლესიის შეუვალობის განახლების სიგელი“), სადაც ჯერ ლაპარაკია ორბელთა ამბოხების დათრგუნვაზე და ეს მომენტი ღმერთისადმია მიწერილი, რომელმაც „ცუდქნა ამათა განძრახვაჲ და შეთქმულებაჲ მათი და დაჰხსნა ყოველნი ღონენი მათნი... და... ფერხთა ქუეშე

---

[1] საქართველოს ეკლესიის შეუვალობის განახლების სიგელი გიორგი III-ისა, ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965, გვ. 24.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, და სხვ., საქართველოს ისტორია, თბ., 1958, გვ. 193.

ჩუენთა დასცნა“ [1]. ამის სამადლობლად გიორგი მესამე ეროვნული ბიბლიოთეკა
როდ სთვლის „ეკლესიათა სამეფოჲსა ჩუენისათა ყოვლისა ბეგრისა უსამართლოჲსათა და დაჭირებულისაგან ჯსნაჲ და განთავისუფლებაჲ“ [2]. ასე რომ, დოკუმენტის მიხედვით გიორგი მესამის სურვილი და საეკლესიო კრების მოთხოვნა ერთმანეთს შეესაბამებოდა. ეს, რა თქმა უნდა, ასე არ იყო. „სიგელი“ მეფისა და სამეფო ხელისუფლების პოზიციას გამოხატავს, უფრო სწორად სურვილს — საზოგადოების თვალში დაეცვათ სამეფო კარი და იძულებით გაკეთებული, საკუთარი ნების აღსრულებად ჩაეთვალათ. სიგელზე მინაწერი გვაუწყებს: „(ქ) ჩუენისა სულისაგან ღ-ჲ საქმე ესრე გაგუიწესებია, ვითა აქა სწერია და ვითა მონასტრისა წესსა ჰმართებს, ეგრე დაგვიჭირავს და ყოველი უსამართლოჲ ბეგარი აგვიხ(სნია)...“ [3].

ამგვარად, XII საუკუნის მეორე ნახევარში სამეფო ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის არსებული ბრძოლა ამ უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა. სახელმწიფო იძულებული შეიქნა ეღიარებინა ეკლესიისა და სასულიერო წოდების ფართო უფლებები ფეოდალურ ქვეყანაში.

გიორგი მესამის დროს საეკლესიო მოღვაწეთა როლი აშკარად გამოიკვეთა თამარის მეფედ კურთხევისას: „განრჩევითა და გამორჩევითა, განგებითა და გაგონებითა ზენისა მის ხუედრისა შარავანდედთა მნებელისათა მეფე ყო (გიორგი მესამემ — რ. მ.) თამარ, თ ა ნ ა დ გ ო მ ი თ ა პ ა ტ რ ი ა ქ თ ა დ ა ე ბ ი ს კ ო პ ო ზ თ ა, დიდებულთა იმიერთა და ამიერთა, ვაზირთა და სპასალართა და სპასპეტთა“ [4]. ე. ი თამარის გამეფება მოხდა პატრიარქთა, ეპისკოპოსთა და სხვ. თანადგომით. ნიშანდობლივია, რომ სასულიერო პირები პირველ რიგში არიან დასახელებულნი, შემდეგ კი ვაზირნი და სხვა საერო დიდებულები. ეს მომენტი, თავის მხრივ, ნათელ

---

[1] საქართველოს ეკლესიის შეუვალობის განახლების სიგელი გიორგი III-ისა, გვ. 24.

[2] იქვე

[3] იქვე, გვ. 25.

[4] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 21.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წარმოდგენას გვაძლევს იმდროინდელი ფეოდალური საქართველოს ძალთა თანაფარდობაზე.

მძაფრ შინაკლასობრივ ბრძოლაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ თამარი გიორგი მესამის გარდაცვალების შემდგომ მეორედ აკურთხეს მეფედ, თანაც კურთხევა ისეთი წესით შეასრულეს, რომ ძველი დიდგვაროვანი სახლების მნიშვნელობა ტახტის მემკვიდრის სამეფო უფლებებით აღჭურვის საქმეში საგანგებოდ იქნა გამოკვეთილი [1].

ამ პერიოდისათვის სასულიერო სფეროში მოხდა საინტერესო მოვლენა — მიქაელ კათალიკოსმა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობა მისტაცა ანტონ გლონისთავის ძეს (ანტონი მეფის ერთგული პირი იყო). ამ ფაქტზე საგანგებოდ მიუთითებს „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“: „რამეთუ წინაუკმო რამე იწყო (მიქაელ მირიანისძემ, კათალიკოსმა) წესთაგან ეკლესიისათა და ჭყონდიდელ-მაწყუერელობა და მწიგნობართუხუცესობა მოევერაგა უფლისაგან“ [2]. აღნიშნული ფაქტის შესახებ ფრიად საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული აკად. ივ. ჯავახიშვილს, რომელიც მიიჩნევს, რომ თამარის მეორედ მეფედ კურთხევის საკითხის მოგვარებაში (როგორც ეტყობა, თვით დარბაზის წევრთა შორისაც საცილობლად იყო ქცეული თამარის საქართველოს ერთადერთ მეფედ დასმის საკითხი) მიქაელ მირიანის ძემ (რომელიც გიორგი მესამის მოღვაწეობის უკანასკნელ წლებიდან კათალიკოსად იყო) მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, რის საფასურადაც ამ უკანასკნელმა თამარის მამიდას რუსუდანს პირველი ვაზირობა დასტყუა [3]. ეს უპრეცედენტო შემთხვევა იყო საქართველოს ისტორიაში, შემთხვევა, რომელმაც რამდენადმე გააბათილა XII საუკუნის პირველ მეოთხედში განხორციელებული საეკლესიო რეფორმა.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე და სხვ., საქართველოს ისტორია, თბ., 1958, გვ. 196.

[2] ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 118.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 372.

უთანხმოება მეფესა და მიქაელ მირიანის ძეს შორის იმთავითვე ჩანს[1]. საგულისხმოა, რომ საქართველოს მეფე თამარი პირდაპირ ვერ ახერხებს მოქმედებას. მისი გადაყენების განზრახვით თამარი იწვევს საგანგებო საეკლესიო კრებას, რადგან უმაღლესი საეკლესიო პირის გადაყენების უფლება მხოლოდ მას ჰქონდა.

თამარ მეფეს ამ საკითხისათვის არსებითი მნიშვნელობა მიუცია და თავისი სახელმწიფოებრივი პოლიტიკა რომ ეკლესიაში წარმატებით გაეტარებინა, ამ მიზნით უცხოეთიდანაც კი მოუწვევია ყოფილი კათალიკოსი ნიკოლოზ გულაბერის ძე. „პირველად აღმოუწოდა წმიდით ქალაქით იერუსალემით ნიკოლაოზს გულაბერისძესა“[2], რომლის ჩამოსვლის შემდგომ „შემოკრიბნა ყოველნი სამეფოსა თჳსისა მღვდელთმოძღუარნი, მონაზონნი და მეუდაბნოენი“[3]. საქართველოს მეფეს, ისტორიკოსის ცნობით, განუზრახავს, „რათა მართლმადიდებლობასა ზედა შემოთესილნი თესლნი ბოროტნი აღმოფხურნეს სამეფოსაგან თჳსისა“[4]. შეკრებილთა შორის თამარი „დაჯდა შორის მათსა მარტოდ და არა მეფობით“[5]. საქართველოს მეფეს კრებისათვის მიუმართავს სიტყვით, რომლის დედააზრი ასეთია: „გამოიძიეთ ყოველი კეთილად

---

[1] გერმანელი მეცნიერი ფელიქს ჰოლდაკი თამარის ეპოქისადმი მიძღვნილ თავის გამოკვლევაში საგანგებოდ მიმოიხილავს საქართველოს მეფისა და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულების საკითხს. ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სამღვდელოება ამ ეპოქაში უძლიერეს ფეოდალად იქცა (მეცნიერს მოჰყავს ფაქტები, რომ ეკლესიის მესვეურნი სრულიად არ ერიდებოდნენ სამეფო ხელისუფლებას), რომ ეკლესიის გაძლიერება არ შეესაბამებოდა ქართველი მეფის სურვილებს, თუმცა ეს გაძლიერება თითქმის მომაკვდინებელი ფაქტორი გახდა ქვეყნის ცენტრალიზაციის გზაზე. იხ. Felix Holldack, Von der Sage und dem Reich der grusinischen Königin Tamara, Leipzig, 1906, გვ. 69—72.

[2] ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 117.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 117—118.

[5] იქვე, გვ. 118 („მიეგებოდა მათ თამარ დიდითა სიმდაბლითა, ვითარცა კაცი და არა მეფე, ვითარ ანგელოზთა და არა კაცთა“) შდრ. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა რუის-ურბნისის კრებაზე დავით აღმაშენებლის დასწრების შესახებ არა როგორც მეფე, არამედ „ვითარცა მონა“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და დაამტკიცეთ მართალი, ხოლო განკადეთ გულარძნილი[1] თამარს სიტყვის წარმოთქმის შემდგომ კრება დაუტოვებია.

საეკლესიო კრებას ხელმძღვანელობდნენ ნიკოლოზ გულაბერისძე და ანტონ ქუთათელი საღირის ძე („დიდად განთქმული სათნოებათა შინა და ძლიერი საქმით და სიტყვით“)[2]. კრება ძალზე მწვავედ წარმართულა. მიქაელ მირიანის ძეს მომხრეები უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ და საეკლესიო კრებამ, მიუხედავად მისი ერთი ნაწილის დიდი მცდელობისა, საქართველოს მეფის განზრახვის გატარება არ ინება — მიქელ მირიანის ძის გადაყენების დასტური საქართველოს სამეფო კარს არ მისცა. „ვერა განაყენეს (მიქაელი — რ. მ.), დაღაცათუ ფრიად იღუაწეს“[3].

რაკი მიქაელის ჭყონდიდლობიდან გადაყენება არ მოხერხდა, მან მწიგნობართუხუცესობაც შეინარჩუნა, ასე რომ, საქართველოს სამეფო კარმა, მისმა მეფემ ამ მეტად დაძაბულ ბრძოლაში სამეფისკარო პოლიტიკის გატარებისათვის გარკვეული მარცხი განიცადა[4].

საქართველოს სამეფოსა და ეკლესიას შორის არსებული დამოკიდებულების, მათ შორის არსებული შინაკლასობრივი ბრძოლის შესახებ საგულისხმო ცნობებია დაცული საეკლესიო საბუთებში. მხედველობაში გვაქვს საქართველოს მეფეთა

---

[1] იქვე.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 118—119.

[4] მიქაელ მირიანის ძის უდიდესი სიძულვილი გამოსჭვივის თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის თხზულებაში: „მოკუდა ქართლისა კათალიკოსი, ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, ქართველი, მირიანის ძე მიქაელ... და არავინ შეწუხნა მისთჳს, არცა დიდი და არცა მცირე, რამეთუ ყოველნი სძულობდეს“. აქ ჩვენ უპირველესად მეფისა და სამეფო კარის ერთგული, მათი პოზიციის დამცველი მეისტორიე უნდა დავინახოთ, რომელსაც ასეთი მუქი ფერებითა აქვს მოცემული საზოგადოების დამოკიდებულება კათალიკოსთან.

საგულისხმოა, რომ მიქაელ მირიანის ძის გარდაცვალებისთანავე ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის „სახელო“ სამეფო კარმა ანტონ გლონისთავისძეს დაუბრუნა („ესე მოიყვანეს, ნანდჳლვე კაცი ღირსი ქებისა, ჭეშმარიტი ქრისტიანე, მართალი, წრფელი, უმანკო, სახიერი...“).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერ ეკლესია-მონასტრებისადმი გაცემული სხვადასხვა ხასიათის სიგელები [1].

ამ საბუთებში ნათლადაა მოცემული საქართველოს სამეფოსა და ეკლესიის დამოკიდებულების საკითხი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მთელი XII საუკუნის სიგრძეზე. მათი, ისევე როგორც სხვა ისტორიული წყაროების ანალიზი გვიჩვენებს, რომ XII საუკუნის მეორე ნახევრიდან ეკლესია-მონასტრები გარკვეულ წარმატებებს აღწევენ სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ საეკლესიო კრებამ მთლად უშედეგოდ ჩაიარა. კრებამ მნიშვნელოვნად შეარყია კათალიკოსის ხელისუფლება. ეკლესია მიქაელის მომხრეებისაგან განწმინდეს „მათ წილ საღმრთო კაცნი დასხნეს და სხუანი საეკლესიონი წესნი განმართეს". ამ კრებამ სამეფო ხელისუფლებას ფეოდალური ძალების თანაფარდობის რეალური სურათი აჩვენა და ახალი სერიოზული ღონისძიებების გატარებისაკენ უბიძგა.

ამგვარად, თამარის გამეფებისთანავე გაღვივებული ბრძოლა მეფესა და ეკლესიის მესვეურთა შორის ამ უკანასკნელების გამარჯვებით დამთავრდა. სამეფო ხელისუფლების ამ მარცხმა რამდენადმე განაპირობა შინაკლასობრივი ბრძოლების შემდგომი ბედი, რადგან ახლა უკვე საერო ფეოდალებმა წამოყვეს თავი და მძლავრად შეუტიეს სახელმწიფო ცენტრალიზების მოსურვე საქართველოს ᲗᲔᲤᲔᲡᲐ და მის ხელისუფლებას.

ცალკე გვინდა შევეხოთ ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობაში ისეთ საკითხს, როგორიცაა ერთიან მონარქიასთან სამღვდელოების მოკავშირეობა, კერძოდ, ამ საკითხის

---

[1] მაგალითად: „შეუვალობის განახლების სიგელი გიორგი I-ისა შიომღვიმისადმი" (1072 წ.), „ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი" (1123 წ.), „მამულის მფლობელობისა და შეუვალობის განახლების სიგელი გიორგი III-ისა შიომღვიმისადმი" (1170 წ.), „საქართველოს ეკლესიის შეუვალობის განახლების სიგელი გიორგი III-ისა" (1178 წ.), „შეწირულების სიგელი თამარ მეფისა გელათისადმი" (1188 წ.), „შეწირულების დაწერილი ჭიაბერისა შიომღვიმისადმი" (1189—1192 წწ.), „შეწირულების სიგელი თამარ მეფისა შიომღვიმისადმი" (1201 წ.).

თეორიულ მხარეს, რადგან, თავის მხრივ, ეკლესია — ქრისტიანული რელიგია — სათანადო შარავანდედით მოსავდა ფეოდალებს მოსახლეობის თვალში. მეფის თვითმპყრობელური უფლებები რელიეფურადაა წარმოჩენილი და დასაბუთებული დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში („ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი"), დავით აღმაშენებლის მიერ შიომღვიმისადმი ბოძებული ანდერძის (1123 წ.) შესავალში და რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერაში" (1103 წ.).

საერთოდ, სახელმწიფოს შესახებ მოძღვრება XII საუკუნის საქართველოში გამომდინარეობდა ე. წ. ადრინდელი რენესანსის პოლიტიკური იდეებისა და თეორიებიდან, რომლებიც XI—XII საუკუნეების საქართველოში ფეოდალური ურთიერთობების განვითარების შედეგად ჩამოყალიბდა [1]. „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისის" ავტორი დავით აღმაშენებელს მსოფლიო მასშტაბის დიდ სახელმწიფო მოღვაწედ, ფეოდალიზმის ეკონომიური საფუძვლების განვითარება-განმტკიცებისათვის მებრძოლად მიიჩნევს. ამავე დროს შენიშნავს, რომ „სპარსთა ჰქონებოდა მეფობა (დავით აღმაშენებელს — რ. მ.), ანუ ბერძენთა და ჰრომთა ძალი, ანუ სხუათა დიდთა სამეფოთა, მაშინცა გენახნეს ნაქმარნი მისნი, უაღრესნი სხუათა ქებულთანი" [2].

რელიგიის ადამიანთა გონებაზე ბატონობა საერთოდ დამახასიათებელია შუა საუკუნეებისათვის, რის გამოც, ყველა ქვეყანაში, როგორც ვ. ი. ლენინი შენიშნავს, გაჩნდა მოძღვრება, რომ „სახელმწიფო არის რაღაც ღვთაებრივი, ზებუნებრივი რამ, რომ ეს არის ერთგვარი ძალა, რომლითაც ცხოვრობდა კაცობრიობა და რომელიც აძლევს ან მისცემს ადამიანებს, შეიცავს ისეთ რამეს, რაც ადამიანისაგან კი არ წარმოსდგება, არამედ მიეცა მას გარედან, რომ ეს არის ღვთაებრივი წარმოშობის ძალა" [3]. ფეოდალიზმის ეპოქისათვის დამახასიათებელ

---

[1] ვ. აბაშმაძე, XII ს. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, კრებ. XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1968, გვ. 313.

[2] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 359.

[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 554.

ამ საერთო შეხედულებას სახელმწიფოს შესახებ ვერ ასცდა XII საუკუნის საქართველოს იდეოლოგიაც. დავით აღმაშენებელი ასე მიმართავს ღმერთს: „პირველად შენ, დაუსაბამოო და უსასრულო ღმერთო, მიაწიე რისხვა შენი დაუსრულებლად მის ზედა: ...გონებისა, ცნობისა და ჭედვისაგან ოხერ ყავ იგი, ღმერთო“ [1].

ეკლესიამ დავით აღმაშენებელი ღვთის სწორად აღიარა: „საჩინო ვითარცა მზე ვარსკვლავთა შორის... ღმრთის სახე ვითარცა სიყუარული კერძოთა შორის... აღმატებულ ვითარცა სამოთხე ქუეყანისა შორის,... ბუნებით ღმერთი, მადლით ღმერთ-ქმნულთა შორის“... [2]. რუის-ურბნისის „ძეგლისწერა“ დავითს წარმოადგენს ქრისტესთან ერთად მამა-ღმერთის მარჯვნივ მჯდომარეს: „ჩუენიცა ესე გჳრგჳნოსანი, მრჩობლმარჯუენე და შეყუარებული, გჳრგჳნი თავისა და სასურველი ძე დავით“ [3]. აქვე ხაზგასმულია, რომ დავითი ერთბაშად, „მჯნეცა არს და ბრძენ, მართალ და წმიდა“.

ეკლესია ადასტურებს და იგივეს იმეორებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, რომ დავითი ებრაელთა მეფის შთამომავალია: „დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა, სახელ-მოდგამმან დავით, ღმრთისა მამისამან, და თჳთ სამეოცდამეათურამეტემან შვილმან ამის დავითისმან, დავით“ [4].

როგორც ვხედავთ, მეფის პიროვნება ღვთაებრივობამდეა აყვანილი. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უხსნის საქართველოს მეფეს მისი ნების აბსოლუტურობისა და თვითმპყრობელური ხელისუფლების დასაბუთებაში. ეს თეორია ქვეყანაში მეფის უზენაესობისაგან დაქვემდებარებულად აცხადებს ყოველგვარ სასულიერო და საერო საქმეს. შემთხვევითი არ არის, რომ დავით აღმაშენებელი სხვადასხვა წერილობით

---

[1] ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიო-მღვიმისადმი, ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965, გვ. 18.

[2] მეფესა დავითს მონაზონი არსენი, ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 124—125.

[3] ძეგლისწერაჲ რუის-ურბნისის კრებისაჲ, ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 113.

[4] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 323—324.

წყაროებში შედარებულია ალექსანდრე მაკედონელთან, აქილევსთან, მოსიმახოსთან და სხვ. ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ დავითის საეკლესიო მოღვაწეობა შედარებულია ბიზანტიის ცნობილი იმპერატორების საქმიანობასთან („ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, „ძეგლისწერა“, „მეფესა დავითს მონაზონი არსენი“).

ღვთისსწორად არის გამოცხადებული თამარ მეფეც. „სამგზის სანატრელი და სამებისაგან ოთხად თანააღზევებული“. „გვირგვინი ყოველთა ხელმწიფეთა“, „მზეთამზე და დედოფალთა დედოფალი, შარავანდედთა შორის უმეტეს აღმობრწყინებული“ — ამგვარად ჰყავთ წარმოდგენილი თამარი მემატიანეებს. საინტერესოა XII საუკუნის ქართველ მეფეთა მიერ გაცემული სხვადასხვა ხასიათის სიგელები, რომლებშიაც ასევე აქვს ხაზი გასმული სამეფო ხელისუფლების ღვთაებრიობას. მეფეები თითქოსდა ღმერთის ნებით გასცემენ საბუთებს. ასე მაგალითად: „ნებითა ღმრთისაითა მე, დავითს მიწყიეს“:... [1] „ქ. სახელითა ღმრთისაითა, გიორგისაგან ბაგრატუნიანისა, ნებითა ღმრთისაითა აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა მეფისა, შარვანშა და შაჰანმა და აღმოსავლისა და ჩრდილოისა მფლობელისაი“... [2], „ქ. სახელითა ღმრთისაითა მე, თამარ ბაგრატუნიანმან ნებითა ღმრთისაითა“... [3] და სხვ. დავით აღმაშენებელმა, როგორც დადგინდა, სპილენძის მონეტა მოსჭრა მეტად საინტერესო წარწერით: „მეფე მეფეთა დავით, ძე გიორგისი, მესიის მახვილი“ [4].

ყოველივე აქედან ნათლად ჩანს, რომ საქართველოს მეფეები არსებულ მსოფლმხედველობას სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის შესახებ მოხერხებულად იყენე-

---

[1] ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი (1123 წ.), ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1966, გვ. 12.

[2] მამულის მფლობელობისა და შეუვალობის განახლების სიგელი გიორგი III-ისა შიო-მღვიმისადმი (1170 წ.), ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1966, გვ. 20.

[3] შეწირულების სიგელი თამარ მეფისა გელათისადმი (1188 წ.) ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1966, გვ. 25.

[4] Капанадзе Д. Г., Медная монета Грузинского царя Давида, сына Георгия, Эпиграфика Востока, XII, 1958, стр. 39—47. რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, თბ., 1965, გვ. 95—96.

ბენ თავიანთი ავტორიტეტის ამაღლება-განმტკიცებისათვის, პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა დათრგუნვისა და ფეოდალური ქვეყნის ცენტრალიზების მიზნით. დავით აღმაშენებელი ხაზგასმით აცხადებს, რომ სამეფო ხელისუფლება ღმრთისაგან აქვს მიღებული: „თვით იგი ოდეს მარწმუნა მის-მიერ განგებულსა მეფობასა, თჳსითა რაჲთამე განგებითა არაულირსმჩენელმა შარავანდსა შინა პატიოსანსა უპატიოებისა ჩემისამან, აქაითგანვე აღიღო ჭელი სიტკბოებითა თჳსითა განძღებად ჩემდა. და თჳთ მეფე-მეფეთა იქმოდა საჭირველთა უჭირველად“ [1].

როგორც ვნახეთ, XII ს. საქართველოში სხვა მეფეებიც არ იხევდნენ უკან და, საჭიროების შემთხვევაში, ღმერთის სახელს მარჯვედ იყენებდნენ.

სამართლიანად მიუთითებდა აკად. ივ. ჯავახიშვილი, რომ „საქართველოს მეფის პიროვნება მთავრობის მომხრე წრეებმა გააღმერთეს, ხოლო მის უფლებას ზეციური ძლიერება და უცოდველობა მიანიჭეს. რაკი საქართველოს მეფეები და მათი თანამოაზრენი ასეთ შეხედულებას მისდევდნენ, ცხადია, თავიანთ თავს სრულ თვითმპყრობელებად ჩასთვლიდნენ და კეისრობის ძლიერების მოხვეჭასაც მოინდომებდნენ“ [2]. ამიტომ სრულიადაც არ არის შემთხვევითი ის გარემოება, რომ ქართველი მეფეები თავიანთ თავს სხვა ტიტულებთან ერთად „ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ფლობით მპყრობელისა“ [3], „აღმოსავლისა და ჩრდილოისა მფლობელს“ [4]. ან „ყოვლისა აღმოსავლითისა და დასავლითისა თუით მფლობელს“ [5]. უწოდებენ.

---

[1] ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიო-მღვიმისადმი, ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965, გვ. 12.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკ. II, გვ. 123. მისივე, საქართველოს მეფე და მისი უფლებების ისტორია, თბ., გვ. 22—23.

[3] საქართველოს ეკლესიის შეუვალობის განახლების სიგელი გიორგი III-ისა, (1178 წ.), ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 24.

[4] მამულის მფლობელობისა და შეუვალობის განახლების სიგელი გიორგი III-ისა შიო-მღვიმისადმი (1170 წ.), ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 20.

[5] შეწირულების სიგელი თამარ მეფისა გელათისადმი (1188 წ.), ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 25.

მეფის თვითმპყრობელობისა და ღვთაებრივობის იდეას ხარბად დაეწაფენ XII საუკუნის ქართული საერო პოეზიის ბრწყინვალე წარმომადგენლები: იოანე შავთელი, ჩახრუხაძე, შოთა რუსთაველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მეფის ხელისუფლების შესახებ საქართველოში დამკვიდრებული შეხედულებები გარკვეულ მსგავსებას პოულობს ბიზანტიურთან, თუმცა ამ ორ ქვეყანაში ეს შეხედულებები სხვადასხვა გზით აღმოცენდა და განვითარდა. ბიზანტიაში, ისე როგორც საქართველოში იმპერატორი ღვთისწორად არის მიჩნეული. „Императору (მხედველობაშია ბიზანტიის იმპერატორი—რ. მ.) отдавалось почитание богоравное ἰσόθεος) выражавшееся въ поклонении (προσκύνησις) и въ славословияхъ (εὐφήμιαι)“[1].

ასე იყო ამ პერიოდის დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც. ეკლესია მეფეებს წმინდანებად, სასწაულმოქმედებად აცხადებდა. ყველა ეს ლეგენდები, რომლებიც მოგონილი იყო საზოგადოების გარკვეული წრეების მიერ, მალავდნენ ამა თუ იმ სახელმწიფოს ფაქტიურ პოლიტიკურ ტენდენციას. ეკლესია სამეფო ხელისუფლების პრესტიჟის ამაღლებისათვის მხოლოდ იმიტომ ზრუნავდა, რომ ამ უკანასკნელს მოკავშირეობა და მფარველობა გაეწია მისთვის. სამღვდელოება ბოროტად იყენებდა ხალხის ფართო მასების გაუნათლებლობას და მორწმუნეობას. ამ მომენტს (ხალხის მორწმუნეობას) მარჯვედ იყენებს დასავლეთის თანამედროვე რეაქციული ისტორიოგრაფია, რომელიც „ასაბუთებს“ რომ რწმენა „წმინდა მეფეებისა“ ხალხის რელიგიური თვითშეგნების ნაყოფია. ამ რწმენას კი ფეოდალური მონარქიის აღმოცენებასა და ისტორიულ განვითარებაში გადამწყვეტ მნიშვნელობას მიაწერს. ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლები დასავლეთიდან, რა თქმა უნდა, აზვიადებენ „მეფეთა სიწმინდის“ თეორიას[2]. ეს „სიწმინდე“ უკვე შუასაუკუნეებშიც აღარ

[1] Н. Скабаланович, Византийское государство и церковь въ XI веке, С.-Петербург, 1884, стр. 145.

[2] დასავლეთის ბურჟუაზიულ ისტორიკოსთა ამ კონცეპციის კრიტიკული განხილვა იხ. Н. Ф. Колесницкий, Современная немецкая буржуазная историография о феодальном государстве в Германии. Сб. «Средние века», вып. XVIII, 1960.

სჯეროდათ. აი რას სწერდა ფილიპე პირველის შესახებ სანანგეთის ეპისკოპოსებს პაპი გრიგოლ VII 1074 წ. 10 სექტემბერს: „მან შეურაცხყო თავისი მეფობა უსინდისობით და დანაშაულით, იგი თავისი ქცევის მაგალითითა და მოქმედებით თავის ხალხს ბოროტებისკენ უბიძგებდა“. აი, პაპის მიერ შეფასებული „წმინდა მეფე“. ჩვენთვის გასაგებია თვით პაპის ასეთი პოზიცია. მას თავისი ინტერესები ამოძრავებდა, როცა წერილს წერდა, მაგრამ მეფის დახასიათება, რომელიც მან მოგვცა, სრულიადაც ვერ გამოდგება „წმინდა მონარქიის“ თეორიის დასასაბუთებლად.

მეფეებისადმი დაპირისპირებულობა, მთელი XII საუკუნის სიგრძეზე ჩანს საქართველოშიც. ამასთანავე დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიერ მოხსენიებული „მაბრალობელნი“ სწორედ ის ხალხია, რომლებიც მეფის მიმართ გარკვეულად საყვედურს გამოთქვამენ (დავითის ისტორიკოსი სხვაგვარად ვერ მოიხსენებს მათ თუ არა „მაბრალობლებად“). შემთხვევითი არ უნდა იყოს ისტორიკოსის მიერ ერთმმართველობის მოწინააღმდეგე მეფე-მთავრებისა და ერისთავების ასე ხსენება: „ნაშობნი იქედნეთანი“, „უმეცრად უსამართლო“, „უშჯულო“ და სხვ. ბუნებრივია, ამგვარად „შემკობილი“ დიდგვაროვანი ფეოდალებისათვის საქართველოს მეფე ღვთიურ პიროვნებას არ წარმოადგენდა. საქართველოში თვითმპყრობელობა და ღვთისნებითობა სამეფო ხელისუფლებისა და მისი მომხრეების მისწრაფება უფრო იყო, ვიდრე ქვეყანაში არსებული სინამდვილე.

ამგვარად, მეფის თვითმპყრობელობისა და ღვთისსწორობის იდეა წარმოიშვა სახელმწიფოთა (მათ შორის საქართველოს) განვითარების გარკვეულ საფეხურზე. მაგრამ ეს იდეა (წარმოდგენა) არ იყო აბსოლუტური, რადგან ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელმა წინააღმდეგობებმა წარმოშვა მისი საპირისპირო მოსაზრებაც. როდესაც ფეოდალთა (მათ შორის საეკლესიო) ინტერესების, მათი უფლებების გაზრდის საკითხი დგებოდა, ისინი ივიწყებდნენ მეფის ღვთისწორობას და ხმას იმაღლებდნენ სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ მოვლენამ საქართველოს სინამდვილეში თავისი ასახვა ჰპოვა, როგორც პრაქტიკულ, ასევე თეორიულ სფეროში. პრაქტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულად ეს შინაკლასობრივ — მეფესა და დიდგვარიანებს შორის ბრძოლაში — გამოიხატა, თეორიულად კი ე. წ. „მაბრალობელთა“ არსებობაში (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი) [1].

სახელმწიფოს ეკლესიასთან ურთიერთობის, დამოკიდებულების გარკვევის საკითხში ფრიად მნიშვნელოვანია XII საუკუნეში საქართველოს სამეფოს ტერიტორიაზე მყოფი უცხო სარწმუნოების მიმდევართა უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა. ამას სერიოზული დაკვირვება სჭირდება განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველოს საზღვრები გაფართოვდა და ქვეყანაში სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების აღმსარებელი ხალხი შემოვიდა. სახელმწიფოს წინაშე მთელი სიგრძით დადგა არაქრისტიანული რწმენის აღმსარებლებთან დამოკიდებულების პრობლემა [2]. ეს პრობლემა მხოლოდ საქართველოსთვის არ იყო დამახასიათებელი. იგი თავისებურად გადაჭრეს დასავლეთ ევროპისა და მუსულმანური აღმოსავლეთის ქვეყნებმა.

მეცნიერთა აღიარებით, ჩვენთვის საინტერესო პერიოდის (XII ს.) დასავლეთ ევროპაში უცხოელის ბედს მთლიანად ის მეფე ან ფეოდალი სწყვეტდა, რომლის სამფლობელოშიც საცხოვრებლად ან სხვა საქმიანობისათვის უცხო პირი აღმოჩნდე-

---

[1] „მაბრალობელნი“, როგორც ჩანს, საქართველოს მეფის წინააღმდეგ თეორიულად გამოდიოდნენ, არ იწონებდნენ მის პოლიტიკას: „...არიან ვინმე მაბრალობელნი მეფისანი ჯერეთცა ესოდენ მჭირსედ მოქალაქეობისა და მოლაშქრეობისათვის და მჭედრობათა მისთა განუსუენებულისა მიმოსლვსთვს და დაჭირებისა, ვითარმედ: „არცა მშვილდი თავს იდებსო მარადის გარდაცმულობასა, არცა ძალი ორღანოსა მარადის განსხირპულობასა, რამეთუ ჟამსა ჭმარებისა მათისასა თითოეული მათი უჭმარ იპოვოსო“. და ესევითართა უგიობლისა მისთვს და ყოვლად უმიზეზოსა იტყვნ“ (ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 357—358).

[2] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია (XI — XV სს.) თბ., 1942, გვ. 87. აღნიშნულ საკითხზე აგრეთვე იხ. ლ. ალექსიძე, უცხოელთა და უცხო სარწმუნოების მიმდევართა უფლებრივი მდგომარეობა შოთა რუსთველის ეპოქის საქართველოში, კრებ., XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1968, გვ. 141—169.

ბოდა[1]. ევროპის ქვეყნებში, როგორც ჩანს, საკმაოდ ძალმ ადათ-წესები იყო გაბატონებული უცხოელთა მიმართ, მიუხ- დავად დაცვის სიგელის ქონებისა, ამ უკანასკნელთა პიროვ- ნებისა და საკუთრების ხელშეუხებლობა არ იყო უზრუნველ- ყოფილი. საფრანგეთში, გერმანიასა და ევროპის ზოგიერთ სხვა ქვეყანაში მოქმედებდა წესი, რომლის მიხედვითაც თუ სხვის სამფლობელო ტერიტორიაზე მყოფი უცხოელი ერთი წლისა და ერთი დღის განმავლობაში ვერ მოიპოვებდა ადგი- ლობრივი ფეოდალების მფარველობას, უკანასკნელს უფლება ჰქონდა უცხო პირი თავის ყმად ექცია, ქონება კი ჩამოერთმია.

დასავლეთ ევროპის სამართალი იცნობს ე. წ. „სანაპირო უფლებას“ (Droit de naufrage) — სტიქიური უბედურების დროს ზღვის ნაპირზე გარიყული გემი ეკიპაჟითა და მგზავრე- ბით, აგრეთვე მთელი მათი ქონებითურთ ადგილობრივი ფეო- დალის საკუთრებად ითვლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ პაპმა 1079 წელს დაგმო ე. წ. „სანაპირო უფლება“ ლატე- რანის მსოფლიო კრებაზე, იტალიასა და გერმანიაში იგი XVIII საუკუნემდე მაინც მოქმედებდა.

„მოულოდნელი მოგების უფლება“ (Droit d'aubain) უცხოელს არ აძლევდა ქონების ვინმესთვის ანდერძით დატო- ვების, ან განსხვისების უფლებას. უცხოელის სიკვდილის შემდეგ მისი მთლიანი ქონება ადგილობრივ ფეოდალს უნდა გადასცემოდა საკუთრებად.

უცხოელებს სხვა სახის შეზღუდვებიც ჰქონდათ იმ დრო- სათვის, რაც ხაზს უსვამდა მათ შევიწროებულ მდგომარეო- ბას. ყოველივე აქედან გამომდინარე შემთხვევით აღარ ჩანს უცხოელის მიმართ გამოყენებული გამოთქმა: „იბადებოდა თავისუფალი, კვდებოდა მონად“.

მხოლოდ ზოგიერთ უცხოელ ვაჭრებს ეძლეოდათ მეფის წყალობის სიგელები, რომლებიც ვაჭრის უსაფრთხოების დაცვისათვის იყვნენ მოწოდებული.

---

[1] В. Даневский, Пособие по изучению истории и системы международного права, в. I, Харьков, 1892, стр. 27., П. Казанский. Учебник международного права, Одесса, 1920, стр. XXIII. Ф. Мартенс, Современное международное право цивилизованных народов. т. I, 1889, стр. 74.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებულად მძიმე მდგომარეობაში იყვნენ დასავლეთ ევროპაში მცხოვრები, როგორც ადგილობრივი, ისე სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული სხვა სარწმუნოების მიმდევარნი. XII საუკუნიდან (მას შემდეგ, რაც ევროპის ქვეყნებში სახელმწიფოსა და ეკლესიის შერწყმა მოხდა) კათოლიკური ეკლესია იბრძვის რელიგიური ერთობის პრინციპის დანერგვისათვის. თავისი რჯულთშეუწყნარებლობით გამოირჩეოდა კათოლიკური ეკლესია, რომელიც სიმკაცრეს იჩენდა არა მხოლოდ ებრაელებისა და მაჰმადიანების, არამედ მართლმადიდებლების მიმართაც [1].

ასე რომ, აღებული პერიოდის დასავლეთ ევროპის ქვეყნებში უარყოფილია როგორც უცხოელთა, ასევე უცხო სარწმუნოების მიმდევართა თავისუფლება.

დაახლოებით იგივე მდგომარეობაა მაჰმადიანური აღმოსავლეთის ქვეყნებშიც. უფრო მეტიც, ისლამმა იმთავითვე მკვეთრად გაავლო ზღვარი მუსლიმანებსა და არამუსლიმანებს შორის. «Коран и основанное на нем мусульманское законодательство сводят географию и этнографию народов всего мира к простой и удобной формуле деления на две половины: правоверные и неправоверные. Неверный, это — «гяур», это враг. Ислам проклинает нацию неверных и создает состояние непрерывной вражды между мусульманами и неверными»[2]. ასეთ შეფასებას აძლევს კ. მარქსი მუსულმანურ სარწმუნოებას. ისლამი უარყოფდა ეროვნებას და ერთადერთ კრიტერიუმად მაჰმადიანობის აღიარებას თვლიდა. ამდენად მუსლიმანურ აღმოსავლეთში ტერმინ „უცხოელში“ ძირითადად სარწმუნოებრივი შინაარსი იდო. ყურანი ხმამაღლა აცხადებდა: „ებრძოლეთ მათ, რომელთაც არ სწამთ ალაჰი... რომელთაც არ საწმთ ჭეშმარიტი სარწმუნოება“. მუსულმანობის პრინციპებმა თავისი გამოხატულება ჰპოვა მაჰმადიანურ სამართალში, ე. წ. „შარიათში“. „შარიათის“ პრინციპები პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში იყო გაბატონებული. იგი „ურჯულოებს“

---

[1] К. Маркс, Ф. Энгельс, Соч. изд. I, т. 6, стр. 8.

[2] И. Андреевский, О правах иностранцев в России до вступления Иоанна III Васильевича на престол Великого княжества Московского, СПБ., 1854, стр. 34.

უფრო დიდ რელიგიურ თავისუფლებას აძლევდა, ვიდრე დასავლეთ ევროპის ქვეყნების კანონმდებლობა, მაგრამ „მარიათით“ მინიჭებული შედარებით ფართო ქონებრივი და საპროცესო უფლებები დამამცირებელ ხასიათს ატარებდა. მაჰმადიანურ ქვეყნებში მთელი შუა საუკუნეების მანძილზე რელიგიური ფანატიზმი სახელმწიფო პოლიტიკამდე იყო აყვანილი. აღმოსავლეთის ქვეყნები მოქმედებდნენ რა პრინციპით: „არ შეიძლება არსებობდეს რაიმე თანასწორობა მაჰმადიანსა და ურჯულოს შორის“, ბარბაროსულად სდევნიდნენ ქრისტიანებს, რამაც აიძულა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მესვეურები ემოქმედათ ვაჭრების უსაფრთხოების დაცვისათვის ზომების მისაღებად.

უნდა აღინიშნოს, რომ XI—XII საუკუნეებში უცხოელები (მეტწილად ვაჭრები) რუსულ სამთავროებში გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდნენ, რაც მათ მოგზაურობის უშიშროებასა და საჯაროდ წირვა-ლოცვის უფლებებში გამოიხატებოდა. რაც შეეხება უცხოელებისა და რუსების თანასწორობას უფლებებში — ეს არ ყოფილა, რადგან რუსეთში უცხოელს პოტენციურ მტრად სახავდნენ და ამიტომ მათ მხოლოდ მატერიალურ ურთიერთობაში ანიჭებდნენ გარკვეულ უფლებებს. XIX საუკუნის რუსი ისტორიკოსი ი. ანდრეევსკი მიმოიხილავს რა სჯულთშემწყნარებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს რუსეთში (სარწმუნოების თავისუფლების გაუქმება, სხვა რჯულის ეკლესიების აშენების აკრძალვა), დაასკვნის, რომ «Иноверье, как общественное явление... не дозволялось в России до Петра»[1].

ამგვარად, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, მაჰმადიანურ აღმოსავლეთსა თუ რუსეთში უცხოელთა და უცხო სარწმუნოების მიმდევართა მდგომარეობა რთული იყო, რადგან უფლებრივად ისინი ადგილობრივ მოსახლეობასთან შედარებით დაბლა იდგნენ. უფრო მეტიც, რიგ ქვეყნებში მათ ებრძოდნენ და იმორჩილებდნენ კიდეც.

რამდენადმე განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს XII

---

[1] И. Андреевский, О правах иностранцев в России до вступления Иоанна III Васильевича на престол великого княжества Московского СПб, 1854 г., стр. 34.

საუკუნის საქართველოში, სადაც ერთიანი ეკლესიის პრინ-
ციპია გატარებული. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას,
რომ ეს პრინციპები აბსოლუტურია მთელი ქვეყნისათვის,
რადგან საქართველოს მეფე იბრძვის ქრისტიანული ეკლესი-
ის არა მარტო დაცვისათვის, არამედ გავრცელებისათვისაც.
თავის მხრივ, თავისუფალ თემებში ქრისტიანობის შეტანა
მეფის პოლიტიკური უფლებების გავრცელებას ნიშნავდა და
აჩქარებდა ერის შემდგომ კონსოლიდაციას [1]. დავით აღმაშე-
ნებლის ისტორიკოსი საგანგებოდ აღნიშნავს: „რაოდენი ეკ-
ლესიანი წარმართთაგან შეგინებულნი, განწმინდა სახლად
ღმერთისად, რაოდენნი ნათესავნი წარმართნი შვილად წმი-
ღისა ემბაზისად მოიყვანნა და შეაწყნარნა ქრისტესა“ [2]. ბუ-
ნებრივია, ეს ბრძოლა წარმართთა გაქრისტიანებისათვის
მშვიდობიანად არ მიმდინარეობდა. აქ ხშირად საქმეში იარა-
ღიც ერეოდა. ამგვარი პოლიტიკის გატარების ნაყოფს წარ-
მოადგენდა საქართველოში ჩამოსახლებული ყივჩაყების გაქ-
რისტიანება. „და თჳთ ყივჩაყნიცა უმრავლესნი ქრისტიანე
იქმნებოდეს დღითიდღე, და სიმრავლე ურიცხჳ შეეძინებოდა
ქრისტესა“ [3]. ქრისტიანული რელიგია საქართველოს მეფეთა
პოლიტიკაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის პოლი-
ტიკური დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში.

ერთიანი რელიგიისათვის ბრძოლა მეტად ორიგინალურად
გადაიჭრა დავით აღმაშენებლიდან მოყოლებული ქართველ
მეფეთა საეკლესიო-სახელმწიფოებრივ პოლიტიკაში, რაც იმა-
ში გამოიხატა, რომ რამდენადმე დაშვებული იქნა გამონაკლისი
საქართველოს იმ მოსახლეობის მიმართ, რომელთაც ძველთა-
გან საკუთარი რელიგია და ეკლესია ჰქონდათ. ეს უმეტესად
არაქართველი მოსახლეობა იყო.

საქართველოს უცხოეთის ქვეყნებთან აქტიური სავაჭრო
ურთიერთობა ჰქონდა. ამის გარდა თითქმის მთელი ამიერკავ-

---

[1] ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა VIII—XII საუკუნეების საქართველოში, კრებ., საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, გვ. 87.

[2] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 353—354.

[3] იქვე, გვ. 337.

კასიის მიწების შემოერთების შემდეგ საქართველოს საზღვრებში მოექცა საერთაშორისო სავაჭრო გზები და ქალაქები, რომლებიც ახლო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის სავაჭრო ურთიერთობის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდნენ. XII საუკუნის საქართველოში, რომელიც წინა აზიის განვითარებულ საერთაშორისო ეკონომიური და კულტურული კავშირების ერთ-ერთ ცენტრს წარმოადგენდა[1], იმატა უცხოელთა (ვაჭართა, მისიონერთა, მოგზაურთა) რიცხვმა.

უცხოელთა და სხვა სარწმუნოების მქონეთა უმეტესობა სომხები (გრიგორიანები), არაბები, სპარსელები და თურქები (მუსლიმანები) იყვნენ. XII საუკუნის საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლება თავის რელიგიურ პოლიტიკაში ატარებდა სარწმუნოებათა შედარებით თავისუფლების — რჯულშემწყნარებლობის პრინციპს, რაც იმ პერიოდისათვის, როგორც ზემოთაც ვნახეთ, მეტად უჩვეულო მოვლენა იყო. აქ ჩვენ ყურადღება გვინდა მივაქციოთ იმ მომენტს, რომ ქართველი ისტორიკოსები (მემატიანეები) სამეფო ხელისუფლების რჯულშემწყნარებლური (ტოლერანტული) პოლიტიკის შესახებ ძალზედ ძუნწ ცნობებს გვაძლევენ. ამის მიზეზის ახსნა ამჯერად არ შეადგენს ჩვენს მიზანს, ერთი კი მაინც უნდა ითქვას, რომ ალბათ იმდენად ჩვეულებრივი იყო იმ ეპოქის საქართველოსათვის რჯულშემწყნარებლური ტენდენციები, რომ საგანგებოდ ამ საკითხის გაშუქება აუცილებლობას არ წარმოადგენდა ქართველ მემატიანეთათვის. სამაგიეროდ თითქმის ყველა უცხოელი ისტორიკოსი, რომელიც ამ პერიოდის საქართველოს შეეხო, არ დარჩენილა გულგრილი ქართველ მეფეთა ტოლერანტობისადმი და საგანგებო მინიშნებებით მოგვცეს იგი. ესეც, ჩვენი აზრით, ალბათ იმით უნდა ავხსნათ, რომ უცხო ავტორთათვის უჩვეულო იყო ქართული სინამდვი-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე და სხვ., საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958, გვ. 173—175, პ. გუგუშვილი ნარკვევები შუასაუკუნოებრივი საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური ისტორიიდან, საქ. სსრ მეცნ. აკად. ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, 1952, ტ. VI, გვ. 309—322. Ш. А. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959, стр. 68—69.

ლისთვის დამახასიათებელი ეს მოვლენა და ამიტომ აუცილებლად ჩათვალეს თავიანთ თხზულებებში ამის მოხსენება.

საქართველოში მაჰმადიანთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ფრიად საინტერესო ცნობა აქვს მოცემული არაბ ისტორიკოსს ალ-ფარიკს. მას შემდეგ, რაც დავით აღმაშენებელმა თბილისი საქართველოს შემოუერთა (1122 წ.), მაშინვე გასცა ბრძანება მუსულმანთა რელიგიის ხელშეუხებლობის შესახებ. უფრო მეტიც, გარკვეული პრივილეგიები მიანიჭა მათ. ასე მაგალითად „...ქალაქის იმ ნაწილში, სადაც მუსლიმანები ცხოვრობდნენ, არავის ჰყოლოდა ღორი და არავის დაეკლა იგი მათ შორის, მან (დავით აღმაშენებელმა — რ. მ.) მოჭრა მათთვის მონეტა (ფული) ხალიფასა და სულტანის სახელით: და მისცა მათ უფლება აზანისა (ლოცვაზე მოწოდებისა) და თავისუფლად ლოცვისა. დაუდო მათ პირობა აგრეთვე, რომ არც ქართველი, არც ებრაელი და არც სომეხი არ შევიდოდა ისმაილის (მუსლიმანების) აბანოში, და რომ პარასკევ დღეს მინბარიდან ილოცავდნენ ხალიფასა და სულტანისათვის და არა მათთვის (დავით აღმაშენებლისთვის — რ. მ.). იგი კეთილად ეპყრობოდა მუსლიმანებს, მათ სარწმუნოებას, მეცნიერებს, ხალხსა და სუფიებს“ [1]. ამგვარად, როგორც ალ-ფარიკი გვიდასტურებს, მუსლიმანების რელიგია ხელშეუხებლად იყო გამოცხადებული.

მუსლიმანთა უფლებები პრივილეგირებულ მდგომარეობაშია ეკონომიურ და ფინანსურ დარგებშიც. დავით აღმაშენებელმა ისინი ერთი წლით გაათავისუფლა სხვადასხვა გადასახადებისაგან. სახელმწიფო ხაზინის სასარგებლოდ ყოველწლიური გადასახადი თითოეული მუსლიმანისათვის სამ დინარს შეადგენდა, მაშინ როცა თვით ქართველები უფრო მეტს იხდიდნენ [2]. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ამგვარი დამოკიდებულება მაჰმადიანი მოსახლეობისადმი დაცული იყო დავით აღმაშენებლის შემდგომ დემეტრე პირველის

---

[1] Ибн-Ал-Азрак Ал-Фарик, История Майяфарикина, Труды Института истории АН Аз. ССР, XII, 1957, стр. 223.

[2] იქვე, გვ. 224.

(1125 — 1156 წწ.) დროსაც [1]. ამდენად, მუსულმანთათვის საქართველოს სამეფო ხელისუფლების მიერ მინიჭებული უფლებები სტაბილურ სამართლებრივ ხასიათს ატარებდა.

მეორე არაბი ისტორიკოსის იბნ-ალ-ჯაუზის ცნობით, დავით აღმაშენებელი თავის შვილთან დემეტრესთან ერთად პარასკევობით მეჩეთში დადიოდა, ლოცვას ესწრებოდა და წასვლისას დიდძალ ფულს სწირავდა [2].

დავით აღმაშენებელმა მქადაგებლებს, სუფიებსა და ასკეტებს სასახლეები აუშენა. თუკი მაჰმადიანი თბილისიდან წასვლას დააპირებდა, მას სამგზავრო ფული ეძლეოდა. იბნ-ალ-ჯაუზი დაასკვნის, რომ საქართველოს მეფეები „მაჰმადიანებს უფრო მეტი პატივისცემით ეპყრობოდნენ, ვიდრე თვით მუსულმანთა ხელმწიფენი“ [3].

ამ ცნობებიდან ნათელი ხდება, რომ დამპყრობელთადმი პოლიტიკური მტრობა (დამპყრობლის როლში ძირითადად მაჰმადიანური ქვეყნები გამოდიოდნენ) საქართველოში არ გადაზრდილა სარწმუნოებრივსა და ეროვნულ მტრობაში. რელიგიური ფანატიზმი ქართველი ხალხისათვის მიუღებელი იყო, მაგრამ მუსულმანური ქვეყნების კულტურისადმი პატივისცემა საქართველოში იმთავითვე იყო. აკად. ივ. ჯავახიშვილს საგანგებოდ მოჰყავს მუჰამედ ალ-ჰამავის ცნობა იმის შესახებ, რომ დავით აღმაშენებელი ისლამის დიდი მცოდნე იყო და განჯის ყადის ხშირად იმაზეც კი ეკამათებოდა თუ ყურანი როგორ და საიდან წარმოსდგაო [4].

დავით აღმაშენებლის რჯულთშემწყნარებლურმა პოლიტიკამ XIX საუკუნის ფრანგი მეცნიერის მ. დეფრემერის საგანგებო ყურადღება მიიქცია.

---

[1] იქვე.

[2] M. Defrémery, Fragments de geographes et d'istoriens arabes et persians..., Journal Asiatique de mémoires et de notices relatif á l'histoire..., tome XIII, Paris, გვ. 486.

[3] იქვე.

[4] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 211.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით აღმაშენებელი ყოველმხრივ უწყობდა ხელს ეკ. ქართველოში მცხოვრებ სომხებს, რათა ამ უკანასკნელთ ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა მიეღოთ. შემთხვევითი არ იყო, რომ საქართველოს მეფემ ძველი ციხე — გორი აღადგინა, დააარსა ქალაქი და შიგ სომხები ჩაასახლა [1], რომელთათვისაც პრივილეგირებული პირობები შეიქმნა. აი რას სწერს სომეხი ისტორიკოსი მათე ურჰაელი დავით აღმაშენებლის სომხებთან დამოკიდებულების შესახებ: „ის (დავით აღმაშენებელი — რ. მ.) აღმოჩნდა მიმღები და მოყვარული სომეხთა ტომისა... მან ააშენა სომეხთა ქალაქი ქართველთა ქვეყანაში, განამტკიცა ეკლესიები და მონასტრები მრავლად, ხოლო ქალაქს სახელად უწოდა გორა. დიდის სიხარულით და აღფრთოვანებით ექცეოდა მას მთელი სომეხი ხალხი“ [2].

დავით აღმაშენებელმა ყოველმხრივ შეუწყო ხელი (იგი მატერიალურადაც ეხმარებოდა) მაჰმადიანებისაგან შევიწროებული სომხური ეკლესიის აღორძინების საქმეს [3].

უფლებრივად ქრისტიან მოსახლეობასთან იყო გათანაბრებული ებრაელებიც [4]. ისინი შეღავათიან გადასახადს იხდიდ-

---

[1] დ. გვრიტიშვილი, გორის ისტორია, თბ., 1954, გვ. 14.

[2] იხ. ლ. დავლიანიძე, მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ, კრებ., საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, გვ. 247—248.

[3] მიმოიხილა რა საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობის საკითხები, პროფ. მ. ლორთქიფანიძემ დაასაბუთა, რომ საერთო შემწყნარებლურ პოლიტიკასთან ერთად ქართული სახელმწიფო ძალიან ფრთხილად, მაგრამ მაინც გრიგორიან სომეხთა მართლმადიდებლობაზე მოქცევასაც ცდილობდა. (მ. ლორთქიფანიძე, საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობის წარსულიდან, კრებ., XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1968, გვ. 128).

[4] შ. კრიხელი, ქართველი ებრაელები ფეოდალიზმის ხანაში, საქართველოს ებრაელთა სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, თბ., 1945, გვ. 268—280. აკად. ნ. ბერძენიშვილი კრებულის „ისტორიული დოკუმენტები საქართველოს ებრაელთა შესახებ“ შესავალში მიუთითებს: „...არაერთი აქ დაბეჭდილი საბუთიდან უსაცილოდ აშკარავდება, რომ ღარიბი ყმა-ებრაელი ყმა ქართველთან, თუ ყმა ხომეხთან ერთადერთ სოციალურ კატეგორიას ქმნიდა, მათთან ერთად ატარებდა მებატონის მძიმე უღელს და მჩაგვრელთა წინააღმდეგ მათთან ერთად იბრძოდა“.

ნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის სავაჭრო ცხოვრებაში.

ამგვარი რჯულშემწყნარებლობითი პრინციპები, რომელიც დავით აღმაშენებლის მეფობის დროიდან (XI საუკუნის მიწურული—XII საუკუნის პირველი მეოთხედი) დაინერგა, დამახასიათებელი იყო მთელი XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკისათვის. არაქრისტიანი მოსახლეობის მფარველობით გამოირჩევიან დემეტრე პირველი და თამარ მეფე [1].

რამ განაპირობა საქართველოს სამეფო ხელისუფლების ასეთი რჯულთშემწყნარებლური პოლიტიკა?

ამ ფაქტის საქართველოს მეფეთა სუბიექტური სურვილის შედეგად მიჩნევა არასწორი იქნება. სამეფო ხელისუფლების რჯულთშემწყნარებლური პოლიტიკა როგორც მუსულმანების, ასევე გრიგორიანებისა და ებრაელი მოსახლეობის მიმართ გარკვეული აუცილებლობით იყო ნაკარნახევი.

სახელმწიფოს სიძლიერისათვის სხვა კომპონენტებთან ერთად საჭირო იყო ცხოველი ვაჭრობის განვითარება. ამისთვის, ბუნებრივია, მძლავრი სავაჭრო ფენის არსებობის აუცილებლობა შეიქმნა. ვაჭრები საქართველოში ძირითადად სომხები, მუსულმანები და ებრაელები იყვნენ და, რა თქმა უნდა, მათი შეუწყნარებლობა სხვა რჯულზე ყოფნის გამო ქვეყნისათვის გაუმართლებლად უსარგებლო იქნებოდა. განვითარებული ვაჭრობა ქვეყნის ცენტრალიზაციის საქმეს ემსახურებოდა და ვაჭართა ფენასთან სამეფო ხელისუფლების ცუდი დამოკიდებულება მეფის მოწინააღმდეგე ფეოდალთა წისქვილზე დაასხამდა წყალს. საქართველო მუსულმანური ქვეყნების გარემოცვაში იმყოფებოდა და მისთვის სახელმწიფოს შიგნით მცხოვრები უცხო ქვეშევრდომების მხრიდან მხარდაჭერა აუცილებელი იყო.

შემთხვევითი არ იყო, რომ გზებზე საგანგებო სახლები აშენდა, სადაც უცხოელ ვაჭრებს უფასოდ შეეძლოთ ღამის-

---

[1] ალ-ფარიკი გვარწმუნებს, რომ მან პირადად ნახა მეჩეთში დემეტრე I, რომელმაც ლოცვის მოსმენის შემდეგ მეჩეთს 200 ოქროს დინარი შესწირა (იხ. Ибн Ал-Азрак Ал-фарики. История Майяфарикина. Труды Института истории Ан Аз. ССР, XII, 1957, стр. 224).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თევა. ამის გარდა, დავით აღმაშენებელმა ბევრი ხიდები აუგია „მდინარეთა სასტიკთა ზედა... გზანი, საწყინოდ სავალნი, ქვაფენილ ყვნა“ [1]. ეს ყველაფერი შეუფერხებელი მიმოსვლისათვის კეთდებოდა. ითვალისწინებდა რა მუსლიმანურ სამყაროსთან ეკონომიურ და პოლიტიკურ ურთიერთობის საქმეს, საქართველოს სამეფო კარმა XII საუკუნის პირველ მეოთხედში არაბულწარწერიანი მონეტები მოჭრა, რომელთაც შეუფერხებელი გასავალი ექნებოდა აღმოსავლეთის სამყაროში [2]. ამდენად, ქართული მონეტა გამოხატავდა რა ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობას, თავისი შინაარსის შეცვლისას ღებულობდა იმ ფულის სახეს, რომელიც იმ დროის მსოფლიო ბაზარზე ბატონობდა.

როგორც ვნახეთ, საქართველოს სამეფო ხელისუფლების ეკლესიასთან დამოკიდებულება მწვავე შინაკლასობრივ ბრძოლაშია გამოხატული. ეს ბრძოლა თითქმის დაუსრულებლად მიდის (ეს თვით ფეოდალიზმის არსითაა განპირობებული) გარდამავალი უპირატესობით. თუ დავით აღმაშენებელი ახერხებს საეკლესიო ფეოდალების მოთოკვას, ატარებს რეფორმებს სასულიერო სფეროში და ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ინსტიტუტის შექმნით პრაქტიკულად ეკლესიას სახელმწიფოს უქვემდებარებს, შემდგომ პერიოდში ასეთი წარმატებით ვეღარ გამოდიან მეფეები დიდგვაროვან სასულიერო პირებთან და საერთოდ, ეკლესიასთან ბრძოლაში. ასე რომ, ეკლესია, როგორც მსხვილი ფეოდალური ერთეული, მეტად მნიშვნელოვან სოციალურ ძალად რჩება და მისი ბრძოლა უფლებების გაფართოებისათვის XII საუკუნის დასასრულამდე (ჩვენ მხოლოდ ეს ეპოქა გვაინტერესებს) გრძელდება.

ასეთია სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის თეორიული და პრაქტიკული სახე XII საუკუნის საქართველოში.

---

[1] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, 1965, გვ. 353.

[2] იხ. რ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, დავით აღმაშენებელი, თბ., 1965, გვ. 100. ვ. მინორსკი ცდებოდა, როდესაც არაბული წარწერით ფულის მოჭრას და, საერთოდ, მუსულმანებისადმი შემწყნარებლურ დამოკიდებულებას ამ უკანასკნელთა საქართველოზე დიდი გავლენით ხსნიდა. ამის შესახებ იხ. შ. მესხია, დიდგორის ბრძოლა, თბ., 1965, გვ. 91—92.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი მეორე

ფინაკლასოგრივი ბრძოლა და ხალხთა მასების მდგომარეობა

XII საუკუნის ფეოდალურ საქართველოში მოსახლეობის ფართო ფენების ცხოვრებისა და მდგომარეობის ამსახველი ცნობები ძალზე მწირადა გვაქვს. ჩვენამდე შემორჩენილი ისტორიული თხზულებები („ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი", „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი", ჟამთააღმწერლისა თუ ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანეების თხზულებები), როგორც მოსალოდნელი იყო, ძირითადად გაბატონებული კლასის (მეფე, დიდგვაროვანი საერო და სასულიერო ფეოდალები) ისტორიას გვაძლევენ. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ისტორიოგრაფიისა და პოლიტიკის ბუნებრივ კავშირთან. ამა თუ იმ ეპოქაში გაბატონებული იდეოლოგია, თვით გაბატონებული კლასის იდეოლოგიაა, ხოლო ამა თუ იმ კლასის იდეოლოგები (ჩვენს შემთხვევაში ფეოდალური საქართველოს ისტორიკოსები), ბუნებრივია, გარკვეულ ტენდენციურობას იჩენენ მოვლენების გაშუქებისას თავიანთი თხზულებების ობიექტის (ჩვენს შემთხვევაში მეფეების) სასარგებლოდ. ვ. ი. ლენინი განიხილავს რა ისტორიული სინამდვილისადმი მეცნიერული მიდგომის პრინციპებს, გვაფრთხილებს: «Марксизм требует от нас самого точного, объективно проверимого учета соотношения классов и конкретных особенностей каждого ис-

торического момента»[1]. ამ ნიშნების გასათვალისწინებლად საჭიროა წინამორბედი ისტორიული ფორმაციებისგან (კერძოდ შემთხვევაში ფეოდალიზმი) დატოვებული და ჩვენამდე შემორჩენილი ისტორიული მემკვიდრეობის კრიტიკული შესწავლა. ამასთან, ნარატიულ წყაროებთან ერთად საჭირო იქნება განვიხილოთ სოციალური, ეკონომიური თუ პოლიტიკური ცხოვრების ამსახველი სხვადასხვა ხასიათის ძეგლები: სიგელ-გუჯრები, აღაპები, ეპიგრაფიკული და არქეოლოგიური მასალა, სადაც მეტ-ნაკლებად მოსახლეობის დაბალი ფენების ცხოვრებისა და სოციალური მდგომარეობის, მათი ფეოდალებთან ურთიერთობის საკითხებიცაა ნაჩვენები. ხალხთა მასების მდგომარეობის შესწავლა კი აუცილებელია იმ პერიოდის ისტორიული განვითარების სწორი სურათის შესაქმნელად, რადგან საჭიროა «Считаться с объективными фактами, с массами и классами а не лицами и т. п.»[2].

ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს თუ რა გავლენას ახდენდა შინაკლასობრივი ბრძოლა მოსახლეობის ფართო მასების მდგომარეობაზე, კლასობრივ ურთიერთობებზე.

ის მწვავე და ძლიერი შინაკლასობრივი ბრძოლა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ფეოდალურ საქართველოში XII საუკუნის მთელ სიგრძეზე, თავის დაღს ასვამდა მოსახლეობის დაბალ ფენებს, რადგან ეს უკანასკნელნი შეიძლება უნებლიედ, მაგრამ მათი ბატონობის „წყალობით", ამ ბრძოლების უშუალო მონაწილეები ხდებოდნენ.

---

[1] В. И. Ленин, Письма о тактике, ПСС, Издание пятое, т. 31. стр. 132. ბურჟუაზიული ისტორიკოსები, როგორც წესი, ისტორიული მეცნიერების ისტორიას საზოგადოების სოციალ-პოლიტიკური განვითარებიდან მოწყვეტით განიხილავენ, რადგან მასში ხედავენ იდეების თვითგანვითარების პროცესს, რომელშიაც ერთი მიმდინარეობა (სკოლა) სცვლის მეორეს, ყოველგვარი მწვავე ბრძოლისა და იდეური კონფლიქტების გარეშე. ეს მეცნიერები „ობიექტურობის" ნიღბით შეფარულნი ცალკეულ ისტორიკოსთა შემოქმედების კლასობრივ ხასიათს უარყოფენ და აშკარად გაურბიან მათ ნამდვილ შეფასებას — ამ შემოქმედების იდეური მიმართულების რეაქციულობისა თუ პროგრესულობის საკითხს.

[2] В. И. Ленин, Задачи пролетариата в нашей революции, ПСС, изд. пятое, т. 31, стр. 157.

ფეოდალურ საქართველოში შინაკლასობრივი ბრძოლების არსისა და მიზეზის შესახებ ფრიად საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული აკად. ნ. ბერძენიშვილს: „...დავითის (აღმაშენებელი — რ. მ.) წინააღმდეგ, მეფის ხელისუფლების ცენტრალური ტენდენციების წინააღმდეგ (რაც ჰგულისხმობდა ბრძოლას მწარმოებელი საზოგადოების დაუფლებისათვის) თავგამოდებით იბრძოდა დიდაზნაურული საქართველო: ბაღვაშ-აბულეთისძენი ქართლიდან, შინაგამცემელი ტაოელნი, „მტერთავე თანა გარემოდგომილი“ ჰერ-კახნი, „ურჩნი“ და „ორგულნი“ აფხაზნი და ყველა „მაბრალობელნი“ იბრძოდნენ ხმლით, იბრძოდნენ სიტყვით, რათა ის წინააღმდეგობა, რომელიც მათ, მეფის ხელისუფლების ცენტრალისტული ტენდენციის სახით, წინ ეღობებოდა მწარმოებელ საზოგადოებაზე საბოლოო და უცილობელი გაბატონებისათვის ბრძოლაში, თავიდან მოეცილებინათ, რათა მეფე ღმრთის ნების აღმასრულებლად კი არა, მათი (დიდაზნაურების) ნების აღმასრულებლად გადაექციათ“ [1].

აქ მოტანილი ვრცელი ციტატიდან ყურადღებას იქცევს განსვენებული მეცნიერის მიერ ყურადღების გამახვილება მწარმოებელ საზოგადოებაზე (საბოლოო და აუცილებელი გაბატონებისათვის ბრძოლაზე). მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ წყაროებში უშუალო მითითება არ გაგვაჩნია მოცემული დებულების გასამაგრებლად, მაინც უნდა ვიფიქროთ, რომ მთელ რიგ სხვა საკითხებთან ერთად ეს ფაქტორი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო მეფესა და დიდგვარიანებს, სამეფო ხელისუფლებასა და მოქალაქეთა ზედაფენებს შორის არსებულ შინაკლასობრივ ბრძოლაში.

რაც უფრო მწვავე იყო შინაკლასობრივი ბრძოლა, მით უფრო ძლიერი იყო მოსახლეობის დაბალი სოციალური ფენების (გლეხები, ხელოსნები და სხვ.) ექსპლოატაცია. ე. წ.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 29. ხაზგასმა ყველგან ავტორისაა.

მდაბიორ-მოლაშქრეებს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო-საპატრონო მოვალეობა მეტად მძიმე იყო: ერთი მხრივ, ლაშ-ქრობა, ხოლო, მეორე მხრივ, პატრონის წინაშე სამსახური. ყოველივე ეს საკმაო მატერიალურ სახსარს მოითხოვდა. ქვეყნის ეკონომიური განვითარება მდაბიორ-მოლაშქრის ფეო-დალური მოვალეობის შესრულების საფუძველს — სრულ-ფუძიანობას არღვევდა. მდაბიორი ასეთ შემთხვევაში ფეო-დალის სამსახურს სათანადოდ ველარ ეწეოდა და იძულებუ-ლი ხდებოდა სესხი აეღო. ეს კი მდაბიორს თავისუფლების დაკარგვის საფრთხეს უქმნიდა [1].

XI—XII საუკუნის საქართველოში ნათლად ჩანს მდა-ბიორთა ერთფეროვანი მასის დაშლის პროცესი, რაც საწარ-მოო ძალთა განვითარების შედეგად ქვეყნის ეკონომიური დაწინაურების შედეგი იყო. ზოგი მდაბიორი მდიდრდებოდა, აზნაურდებოდა და თითონ იჩენდა გლეხებს, ზოგი კი ღარიბ-დებოდა, პატრონის სამსახურს სათანადოდ ველარ ეწეოდა და იბეგრებოდა — გლეხდებოდა.

ამ ფენის მდგომარეობა მძიმე იყო XI საუკუნის მიწუ-რულსა და XII საუკუნეში. ის ბრძოლები, რომელსაც საქარ-თველოს სახელმწიფო ქვეყნის გაძლიერება შემომტკიცები-სათვის აწარმოებდა მდაბიორ-მოლაშქრეებისაგან მძიმე მსხვერპლს მოითხოვდა. გაღარიბებული მდაბიორი მიწას ად-ვილად ველარ უბრუნდებოდა და მეკობრეობას იწყებდა, ან გლახაკდებოდა, ბევრი კი იბეგრებოდა და გლეხად იქცეოდა. XII საუკუნის მიწურულში მრავლად იყვნენ წარმოების ფეოდალური წესისგან გამოდევნილნი — მეკობრენი და გლა-ხაკნი. ამ ფენასა და სახელმწიფოს შორის მწვავე კლასობრივი ბრძოლაა სავარაუდებელი. რა თქმა უნდა, დავით აღმაშენებ-ლის სიკეთით არ უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ მეფემ გლა-ხაკთათვის დასარიგებლად ოცდაათხი ათასი დრაჰკანი გა-სცა. ეს, ერთის მხრივ, გლახაკთა სიმრავლეზე, ხოლო, მეო-რე მხრივ, მათგან სახელმწიფოსათვის მოსალოდნელ სა-ფრთხეზე უნდა მიგვითითებდეს. ალბათ გლახაკთა გარკვეუ-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე. და სხვ. საქართველოს ისტორია, თბ., 1958, გვ. 177.

ლი მოთხოვნისა (რაც მათ ბრძოლაში გამოიხატებოდა) და გადაუდებელი აუცილებლობის შედეგად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ საქართველოში XII ს. მეორე ნახევარში დაკანონდა ე. წ. „გლახაკთა ნაათალი“, რაც მათთვის სახელმწიფო შემოსავლის მეათედის გაღებას ნიშნავდა. არც ის არის შემთხვევითი, რომ 1179 წ. სახელმწიფო დარბაზმა მიიღო კანონი ქვეყანაში გავრცელებული მეკობრეობის წინააღმდეგ. ეს ფაქტი ნათლად მიგვანიშნებს კლასობრივ ბრძოლაზე, რომელსაც საქართველოს სახელმწიფოში ჰქონდა ადგილი. ახალი კანონი შეტევაზე გადმოსული კლასობრივი მტრის სამაგალითო დასჯას ითვალისწინებდა. მეკობრეებს უსჯიდნენ „ძელსა ზედა ჩამორჩობას“, თანაც დასჯილებს გზაჯვარედინებზე საგანგებოდ აღმართულ სახრჩობელებზე ჰკიდებდნენ სხვების დასაშინებლად.

ნიშანდობლივია, რომ ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი ეს სოციალური მოვლენა 1179 წლის კანონმა ვერ აღკვეთა. ალბათ ამიტომ იყო, რომ ეს კანონი XIII საუკუნის დამდეგსაც მოქმედებაში იყო [1].

XI—XII საუკუნეებში საქართველოში მიმდინარე სოციალურმა პროცესებმა გლეხთა ფენის სწრაფი ზრდა განაპირობა. „მდაბიორ-მოლაშქრეთა ფენის გაქრობა, მისი გლეხობაში გადასვლა იყო ყველაზე ღრმა და მნიშვნელოვანი სოციალური პროცესი, რომელიც საქართველოში ფეოდალურმა ურთიერთობამ კლასთა ბრძოლის გაღრმავება-განვითარების გზით განიცადა“ [2].

შევეხოთ უშუალოდ ფეოდალური საზოგადოების სოციალურად დაბალი ფენის — გლეხობის მდგომარეობას XII საუკუნის საქართველოში. ჩვენამდე მოღწეულ საბუთებში აშკარად ჩანს გლეხობის მძიმე მდგომარეობა, თანაც ის გარემოება, როცა შინაკლასობრივი ბრძოლა უფრო მეტად ართულებს და აუტანელს ხდის მათ მდგომარეობას. გლეხთა ფენა ფაქტიურად აერთიანებდა მატერიალური დოვლათის მწარმოებელთა დიდ ნაწილს (მიწის მოქმედთ.).

---

[1] იქვე. გვ. 195.

[2] იქვე. გვ. 180.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშანია თავისუფლების უქონლობა. ამდენად იგი სხვისი საკუთრებაა და შეუძლებელია, პატრონის სურვილის შესაბამისად გასხვისებული (გაყიდვა, შეწირვა) იქნეს. გლეხს მიწის ყიდვა, ან გაყიდვა ოფიციალურად პატრონის ნებართვის გარეშე არ შეუძლია. ამის დამადასტურებელია ისტორიულ საბუთებში გლეხის პატრონის სახელის გარეშე მოუხსენებლობა. ასე მაგალითად: „ჯინჭარაჲს ძისა გლეხისაგან ვიყიდე ნათხალი ვენახისა“ [1]. ე. ი. აქ გლეხი პატრონის გვარითაა მოხსენებული („ჯინჭარაჲსძის გლეხი“) და მხოლოდ ამ შემთხვევაშია ეს საბუთი (ნასყიდობის) ძალაში. ან კიდევ „და მუნვე ზნაკუას ვახტანგის გლეხისაგან ვიყიდე ყანა“ [2], აქაც გლეხის პიროვნება უცნობია, იგი პატრონის — ვახტანგის სახელით მოიხსენება. სხვა შემთხვევაში ამისგან განსხვავებითაა მოხსენებული მიწის ყიდვა. ასე მაგალითად: „...მეტეჯარას კასალის ძისაგან ვიყიდე ვენახი ა...“ [3], ან „და მუნვე ზნაკუას ერისთავთ-ერისთავმან მიქელ წორბელისაგან და ვახტანგისაგან იყიდა მიწა-ტყიანი...“ [4] ან კიდევ „...ქველაჲსძისაგან ვიყიდე ზახლეულს მიწა“ [5]. როგორც ვხედავთ, აქ პირდაპირ სახელები, ან გვარია მოხსენებული მიწის გამყიდველებისა.

XII საუკუნეში გლეხი პატრონის მიწაზე ზის და ფეოდალურ გამოსაღებს ბეგარით იხდის. ბეგარა ფუძეზე დადებული გამოსაღები იყო. კ. მარქსი, განიხილავდა რა საბატონო შრომის საკითხს დუნაის სამთავროებში, აღნიშნავდა: „საბატონო შრომა... დაკავშირებული იყო სხვადასხვა ნატურალურ რენტასთან და ბატონყმობის სხვა ატრიბუტებთან, მაგრამ იგი შეადგენდა უმთავრეს ხარკს გაბატონებული კლასის სასარგებლოდ. იქ, სადაც საბატონო შრომა არსებობდა, იგი იშვიათად წარმოიშვებოდა ბატონყმობიდან, პირიქით, ბატონყმობა

---

[1] ნიკორწმინდის იადგარი, ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 27.

[2] იქვე, გვ. 28.

[3] იქვე, გვ. 27.

[4] იქვე, გვ. 28.

[5] იქვე, გვ. 29.

უმეტესწილად უფრო საბატონო შრომიდან წარმოშობილ-
და“ [1].

საბატონო სამსახური განისაზღვრებოდა ბატონთან გლეხის დამოკიდებულების შინაარსით (მიწა ბატონს ეკუთვნის და გლეხი პირად დამოკიდებულებაშია ბატონთან). გლეხთა მებეგრეობის ფაქტები მოცემულია ნიკორწმინდის დაწერილში. მაგალითად: „ეფრემ შემოსწირა ყანაჲ ბ ხოტევლისა სულისათჳს. იგი და ნასყიდი ერთგან შევკრიბე და გლეხი დავასახლე აგარასა შინა და ბ ე გ ა რ ა ს ა გ ა რ დ ა ი ხ დ ი დ ი ს“ [2]. აქედან ჩანს, რომ „შემოწირული“, და „ნასყიდი“ ყანა გაუერთიანებია ნიკორწმინდელს და გლეხი დაუსახლებია იქ ბეგარის გადახდის პირობით. ასევე: „მუნვე ჯივშს ზოსქელისაგან ვიყიდე ვენახი და მივეც ხარი ა, საჯნისი გ; და ქალამანი, შოლტი ა; მოწამე არიან კაცნი; და მივეც გლეხსა საბეგროდ“ [3], ან „მუნვე საწირეს ნადარბაზევსა ძულსა უკანაჲთ მოვიგე მიწაჲ; და მ ი ვ ე ც გ ლ ე ხ ს ა ს ა ბ ე გ რ ო დ; და მოწამე არიან კაცნი“ [4]. თუმცა აქ მოტანილ ცნობებში ჩვენ ვერ ვხედავთ ბეგარის, როგორც გამოსაღების, ოდენობასა და ხასიათს, შესაძლებელია, ვიფიქროთ, რომ მოცემულ შემთხვევაში ბეგარა ნატურალური სახის გადასახადია [5]. ამ საფუძველზე (ე. ი. ბეგარის საფუძველზე) არსებული გლეხის ვალდებულება, ალბათ, ერთფეროვანი არ იყო. გლეხს თავისი გამწევი ძალითა და იარაღით უნდა დაემუშავებინა ბატონის მიწა, თავისი შემოსავლის ნაწილი მიეცა მისთვის, ეძლია ძღვენი და სხვ. [6].

ამგვარად, ძირითადი გლეხსა და ბატონს შორის დამოკი-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954, გვ. 300.

[2] ნიკორწმინდის იადგარი, ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 30.

[3] იქვე, გვ. 32.

[4] იქვე, გვ. 33.

[5] იხ. მ. ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი, გლეხთა კატეგორიები XI — XII ს-ში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, V, ნაკ. I, თბ., 1960, ვ. 141.

[6] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XIII—XIV სს.), თბ., 1962, გვ. 55.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებულებაში ბატონის უფლებებია გლეხის პიროვნების მიმართ. „მემამულეს, რომ არ ჰქონოდა პირდაპირი ძალაუფლება გლეხის პიროვნების მიმართ, ის ვერ შესძლებდა თავის სასარგებლოდ ემუშავებინა ადამიანი, რომელსაც მიწა მიუღია და რომელიც საკუთარ მეურნეობას ეწევა“ [1].

შინაკლასობრივი ბრძოლის აშკარა გამოხატულებას წარმოადგენს ფეოდალურ საქართველოში მეფეების მიერ (ზოგჯერ დიდგვაროვანი ფეოდალებიც აკეთებენ ამას) ეკლესია-მონასტრებზე მიწების ბოძება. ჩვენ ხაზს ვუსვამთ ამ აქტის შინაკლასობრივ ხასიათს იმდენად, რამდენადაც ეს არ იყო მხოლოდ მეფეთა სიკეთით და ღვთისმოსავობით გამოწვეული წყალობა, არამედ ზოგჯერ გამოუვალი მდგომარეობის გამო ხდებოდა. ეკლესია-მონასტრების ქონება XI—XII საუკუნეებში საერო ფეოდალთა მიწის საკუთრების ხარჯზე იზრდებოდა. საერო ფეოდალების მიერ სოფლებისა თუ ცალკეული მიწის ნაკვეთების ეკლესია-მონასტრებისადმი გადაცემა განუწყვეტლივ მიმდინარეობდა [2]. რასაკვირველია, ეკლესია ასეთი შეწირულებისათვის, ან „უზრუნველი ტრაპეზის“ გაჩენისათვის, თავის მხრივ, არ იშურებდა არავითარ იდეოლოგიურ ზემოქმედებას მოსახლეობის ფართო მასებზე ფეოდალთა სასარგებლოდ.

ამჯერად ჩვენ თვით ამ მიწათა შეწირვის შინაარსი გვაინტერესებს. მიწის შეწირვა მასზე დასახლებული გლეხებითურთ ხდებოდა და საინტერესოა თუ რამდენად, ან როგორ იცვლებოდა მათი მდგომარეობა ერთი მფლობელიდან მეორის ხელში გადასვლის შემდგომ, რომ არაფერი ვთქვათ მათ სრულიად უუფლებობაზე. ასე რომ, ჩვენს წერილობით წყაროებში მემატიანეთაგან საკმაოდ ხმამაღლა განცხადებულ ამა თუ იმ მეფის მიერ ეკლესია-მონასტრებისადმი მიწების ბოძების ფაქტებში შინაკლასობრივი და კლასობრივი ბრძოლის აშკარა კვალი ჩანს. მივმართოთ ისტორიულ წყაროებს:

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 208.

[2] ლ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, საეკლესიო-სამონასტრო მიწათმფლობელობის ფორმებისათვის XI—XIII სს. საქართველოში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXIX-B, თბ., 1972, გვ. 63.

„დიდმან მეფემან (ბაგრატ III — რ. მ.) აღაშენა ... დარი ბედიისა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ... შეწირნა სოფელნი მრავალნი ყოველთა ჰევთა და ადგილთა, განასრულა ყოველითა განგებითა, შეამკო ყოველითა სამკაულითა ეკლესია“ [1].

„რამეთუ ლავრანი და საკრებულონი და მონასტერნი (დავით აღმაშენებელმა—რ. მ.) არა თჳსთა ოდენ სამეფოთა, არამედ საბერძნეთისნიცა... აღავსნა კეთილითა... და მყოფნი იერუსალიმისანი თჳთო ფერთა მიერ შესაწირავთა განამდიდრნა... წარსცა ოქრო მრავალათასეული“ [2].

ლაშა გიორგისდროინდელი მემატიანე დემეტრე პირველის დახასიათებისას ამბობს, რომ იგი იყო „საყდართა და ეკლესიათა, მღვდელთა და მონაზონთა კეთილმყოფელი, შემწირველი სოფელთა და აგარაკთა“ [3].

თამარ მეფემ ვარძიას „შესწირნა მრავალნი და დიდრონი სოფლები და შეჰკაზმნა ტრაპეზისა შემოსავალნი დიდნი“... [4].

აი რამდენიმე ფაქტი ეკლესია-მონასტრებისადმი გაცემული წყალობა-შეწირულებისა. უფრო რელიეფურად ეს მოვლენა წარმოჩენილია ცალკეულ საბუთებში, სადაც აშკარაა რამდენადმე უგულებელყოფა მოსახლეობის დაბალი სოციალური ფენების უფლებებისა. ოპიზართა და მიჯნაძორელთა სამამულე დავის გამო გამოცემული სიგელით ბაგრატ IV სადავო მიწას მიჯნაძორელებს აკუთვნებს, ოპიზარებს კი თავის საკუთარ მიწას (სამეფო დომენიდან) აძლევს: „აიღე სამამასახლისოჲსა სამსახურებლისა ჩუენისაგან ბარევანი სოფელი და მივეც ოპიზართა სატრაპეზოდ“ [5].

---

[1] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 281.

[2] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, თბ., გვ. 352—353.

[3] ლაშა გიორგისდროინდელი მემატიანე, ცხოვრება დემეტრე მეფისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 365.

[4] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 91.

[5] სიგელი ბაგრატ მეოთხისა, ოპიზართა და მიჯნაძორელთა სამამულე დავის გამო, ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ვხედავთ, საქართველოს მეფე საკუთარი დომენიდან გაცემული მიწის საფასურად ახერხებს მოწინააღმდეგეთა (მოდავეთა) დაშოშმინებას. საკითხავია, რატომ გასცა მეფემ თავისი მიწა? ამაზე სიგელი ასეთ პასუხს იძლევა: „რათამცა ოპიზარნიცა გულსავსე იყვენ, სალოცველად სულისა ჩემისა, თავსავე ჩემსა დავათმინე“ [1]. ე. ი. საქართველოს მეფე არ მალავს, რომ მას არ სურდა ოპიზართა მომდურება (როგორც ჩანს, ეს არ იყო გამორიცხული საკითხის გადაუწყვეტლობის შემთხვევაში) და იმის ნაცვლად, რომ გაერკვია, დაედგინა და გადაეწყვიტა მის წინაშე დაყენებული საკითხი, მეფე მშვიდობიანად აგვარებს ამ საქმეს საკუთარი მამულის დათმობის ხარჯზე. ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა — მეფე ასეთ ნაბიჯზე („თავსავე ჩემსა დავათმინე“) უკიდურეს შემთხვევაში წავიდოდა, მაგრამ აქ ჩვენთვის საინტერესოა სოფელ ბარევანის „ოპიზართა სატრაპეზოდ“ გადაცემის ფაქტი. ე. ი. ამიერიდან ეს სოფელი თავისი მიწიან-მოსახლეობიანად გადადიოდა ოპიზართა სამსახურში. გლეხებისათვის შეიძლება არსებითად არაფერი არ იცვლებოდა — ერთი ბატონის ხელიდან მეორის ხელში გადადიოდნენ, მაგრამ თვით ეს „გადასვლის“ პროცესი უთუოდ მძიმე იქნებოდა.

გიორგი მეორის მიერ შიო-მღვიმისადმი მიცემული შეუვალობის განახლების სიგელი აახლებს და ამტკიცებს მეფის მამა-პაპათა და დიდებულ აზნაურთა შეწირულებებს. კერძოდ: „აგარა — ციხედიდს, გლეხნი და მიწა — ნიჩბისს, გლეხნი და მიწა — კოდალს და წინარეჯს...“ [2] და სხვ.

საინტერესოა, რომ გიორგი მესამე სიგელით უკანონებს გლეხებს მთელ რიგ ვალდებულებებს შიო-მღვიმის მონასტრისადმი: „საჯნავი გუმსახურონ ორი დღე რუეთელთა, შიოს-უბნელთა და ჩიქუნურელთა, ამან სამმან სოფელმან, და ორი დღე სამკალი ამათვე სამთა სოფელთა: რუეთმა, შიოს-უბანმა და ჩიქუნურთა, ოთხთა ჭურისა მრეცხელთა სხალტ-

---

[1] სიგელი ბაგრატ მეოთხისა ოპიზართა და მიჯნაძორელთა სამამულე დავის გამო, ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 9.

[2] შეუვალობის განახლების სიგელი გიორგი მეორისა შიო-მღვიმისადმი, ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 10.

ბელთა მარანსა ჩუენსა ტყე-კორათა მოსცემდენ სამსახურასა“ [1].

ჩვენ ზემოთაც მოვიხსენეთ, რომ დავით აღმაშენებელმა გელათის მონასტერს ლიპარიტ ბაღვაშის მამული შესწირა: „მამული ლიპარიტეთი უმკჳდროდ დარჩომილი იყო, არამედ სხუათა მრავალთა სამართლიანთა უსარჩლელ-მიუხუეჭელთა სოფელთა თანა მისცნა დედასა ღმრთისასა სამსახურებელად მისსა წინაშე მდგომელთა მისთათჳს, და უზრუნველი ტრაპეზი განუჩინა“ [2].

აქ მოტანილი და ზოგიერთი სხვა ისტორიული საბუთებიდან დგინდება, რომ მიწის შეწირვა გლეხიანად ხდება. ასევეა გლეხის ყიდვის საკითხიც — გლეხი მიწიანად იყიდება.

აი გლეხთა შეწირვისა და ყიდვის კიდევ რამდენიმე მაგალითი ისტორიული დოკუმენტებიდან.

შეწირვის ფაქტები:

ა) „წორბელმან შემოსწირა ზნაკუას გლეხი ბ და მიწანი“ [3].

ბ) „ვარაზ-ვაჩე შემოსწირა ძისა მისისათჳს ფუთს გლეხი გ“ [4].

გ) „წირქუალელისა ძემან შემოსწირა გლეხი გ“ [5].

ყიდვის ფაქტები:

ა) „მეტეხარას დებორიანის ძისაგან ვიყიდე გლეხი ა“ [6].

ბ) „ვიყიდე ცხილათს გლეხი აბულახტარისაგან ა“ [7].

გ) „ოკრიბას ვიყიდე აჩეჩილისაგან გლეხი ა ბობოთს“ [8].

გლეხის გაყიდვისას, ან შეწირვისას საცხოვრებელი ადგილის მოხსენება იმაზე მიგვანიშნებს, რომ გლეხთან ერთად

---

[1] მამულის მფლობელობისა და შეუვალობის განახლების სიგელი გიორგი III-ისა შიო-მღვიმისადმი, ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 22.

[2] ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 330.

[3] ნიკორწმინდის იადგარი, ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 27.

[4] იქვე.

[5] იქვე.

[6] იქვე.

[7] იქვე, გვ. 32.

[8] იქვე.

ბისი მიწის გასხვისებაც ხდება. ამდენად, როგორც ჩანს, გლეხის გამსხვისებელს მიწაზეც სრული უფლება აქვს, ე. ი. გლეხი მიწაზეა მიმაგრებული [1].

ზოგან ვხვდებით გლეხში გადახდილ საფასურის ჩვენებას. ასე მაგალითად, ცხილათს აბულახტარისაგან ნაყიდ გლეხში მიცემულია: „ცხენი ხუადი ორი, სტავრაი კობაჲ ა, დრაჰკანი კონსტანტინატი გ, და ავშარაი რკინისაჲ ა“ [2]. ოკრიბას აჩეჩილისაგან ნაყიდ გლეხში გადახდილია „ცხენი ა, ჯარი ა, დრაჰკანი კონსტანტინატი გ, ცჳლი ლიტრა იდ და ბოსლაი ა.“ [3] ნიშანდობლივია, რომ გაყიდული გლეხის საფასურად ძირითადად პირუტყვია მიცემული (ცხენი, ხარი), რაც თავისთავად ნათლად მეტყველებს გლეხის უფლებრივ მდგომარეობასა და მის ფასზე (გარდა დაბალი სოციალური მდგომარეობისა გლეხთა სიმრავლე განსაზღვრავდა მათ ფასს).

თამარ მეფის მიერ შიო-მღვიმისადმი მიცემულ შეწირულების სიგელში (1201 წ.) მითითებულია: „მათითავე“ კითხვითა და ბრძანებითა ერთი მეორშაფათე გლეხი, სახელით პატარ და მეორე გლეხი, გარეთმოსრული, ქაჩაბურაჲსძე ესენიცა წყაროსავე მიუყენეთ მკაზმავად“ [4]. ფრიად საინტერესოა თვით ტერმინი „გარეთმოსრული გლეხი“. უპირველესად აქ უნდა აღინიშნოს, რომ როგორც თვით სახელწოდება გვიჩვენებს, ეს გლეხი ადგილობრივი არ არის — **სხვა მხრიდან არის** მოსული (აკად. ს. ჯანაშია მას აფხაზეთიდან მოსულად ვარაუდობდა). რაკი ქაჩაბურაჲსძე სხვა მხრიდან მოსულია, მას მიწა არ გააჩნია, უმიწოა. საფიქრებელია, რომ იგი თავის ბატონს გამოექცა. თავისთავად ყოველივე ეს, თანაც გარეთმოსულის არსებობა გლეხთა ექსპლოატაციის სიმწვავეზე მიუთითებს. ბატონის ყმობიდან გაქცევით მიღებული თავისუფლების შენარჩუნება, ბუნებრივია, ძალზე ძნელია. ჩვენს

---

[1] მ. ბერძნიშვილი, გლეხთა კატეგორიები XI — XII ს-ში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, V, ნაკ. 1., გვ. 142.

[2] ნიკორწმინდის იადგარი, ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 32.

[3] იქვე.

[4] შეწირულების სიგელი თამარ მეფისა შიო-მღვიმისადმი, ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 32.

შემთხვევაში „გარეთმოსული ქაჩაბურაჲსძე“ ვერ ახერხებს დამოუკიდებელ არსებობას და იძულებულია მონასტერს შეაფაროს თავი — კვლავ გაგლეხდეს. ზემოთმითითებული საბუთიდან ჩანს, რომ „გარეთმოსულ ქაჩაბურაჲსძეს“, ისე როგორც „მეორშაფათე გლეხს“ პატარს, მიწა არ მიუღია. მას წყაროს მოვლა-პატრონობა („კაზმვა“) დაეკისრა. მონასტერმა მიწა ქოსას ძეებს მისცა. სიგელი გვაუწყებს: „ესე გლეხნი ქოსაისძენი, ფუძედ ერთი, კუამლად ბ, ვითა ამას სიგელსა შინა გაჩენით სწერია, მათგან მოგებული არს და წყაროჲსთჳს მიყენებული ესე მიწანი, რომელნი თჳთ საუფლოჲთა ჴელითა მისითა სწერიან და ვენახი ჰქონდეთ მათ გლეხთა“ [1].

განვითარებული ფეოდალიზმის ხანის ქართულ დოკუმენტურ წყაროებში გლეხები სხვადასხვა სახელწოდებით არიან მოხსენებული: „შეწირული“, „ნასყიდი“, „სიგლოსანი“, „ნებიერი“ და სხვ. თითოეული ამ სახელწოდებათაგანი განსაზღვრავს მის მატარებელ პირთა მდგომარეობას, უფრო ზუსტად იმ გზას, რომელმაც გლეხი მოცემულ მდგომარეობამდე მიიყვანა. აქ აუცილებელია შევნიშნოთ, რომ არც ერთი ეს სახელწოდება გლეხის მდგომარეობას სტაბილურად არ განსაზღვრავს. ამის მიზეზი თვით ფეოდალიზმის ბუნებაში, მწვავე კლასთა ბრძოლასა და გაძლიერებულ ექსპლოატაციაში უნდა ვეძებოთ. აღნიშნულ სახელწოდებათა მატარებელი გლეხები სამ ძირითად მეპატრონეს ემორჩილებიან და გარკვეულად დანაწილებულნი არიან მათ შორის: მეფეს (სახელმწიფო), ეკლესიასა და კერძო პირებს. ამასთან შეწირულ გლეხებს მხოლოდ ეკლესია ფლობს. ჩვენთვის საინტერესო პერიოდის შემდგომ ხანაში გვხვდება „ნაწყალობევის“ კატეგორია, რომელიც, ბუნებრივია, არ შეიძლება მეფეს ეკუთვნოდეს. „გლეხთა კატეგორიების ეს სიმრავლე, ნებიერიდან ნასყიდამდე, ცხადი მოწმობა იყო იმ მუდმივი ბრძოლისა, რომელიც ფეოდალებსა და გლეხებს შორის წარმოებდა და ფეოდალური ურთიერთობის შინაარსს შეადგენდა“ [2].

---

[1] იქვე.

[2] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, საქართველოს ისტორია, თბ., 1958, გვ. 181.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ არ შევუდგებით გლეხთა კატეგორიების საგანგებო განხილვას. ამის შესახებ დღეისათვის არსებობს გარკვეული ლიტერატურა. მივუთითებთ იმაზე, რომ ყველა კატეგორიის გლეხები მეტნაკლებად მძიმე ექსპლოატაციას განიცდიან. ისტორიულ საბუთებში ჩვენ ვხვდებით გლეხთა ეკლესია-მონასტრებზე შეწირვის დროს მათი მოსაქმეობის გარკვეულ განსაზღვრას (წყაროს კაზმვა, მეწისქვილეობა, ღვინის მიტანა და სხვ.), თანაც ისინი თავისუფლდებიან მთელი რიგი სხვა საბატონო და სამოხელეო გადასახადისაგან. ასეთი „შეუვალობითა და თავისუფლობით" სწირავენ გლეხებს მიწებითურთ ბაგრატ IV [1], გიორგი II [2]. დავით აღმაშენებელმა შიო-მღვიმისადმი მიცემული ანდერძით მღვიმის მამულების შეუვალობა და თავისუფლობა განაახლა და დაამტკიცა [3]. თამარ მეფემ გელათს შესწირა „არგუეთს ჭორვილაჲ კავაისძისა ტოლეული" და თორმეტი მწირის გამოკვება დააკისრა. „ჰქონდეს ტრაპეზსა მიუკუნისამდინ და დასხდებოდიან ყოვლადვე დაუცადებულად იგი მწირნი თორმეტნივე ტრაპეზს; და ჰქონდეს ტრაპეზით პური და ულოცვიდენ მეფობას ჩემსა..." [4] სიგელი თავისუფლად და შეუვალად აცხადებს თამარის მიერ გაღებულ შეწირულებას: „ჰქონდეს არგუეთს ჭორვილაჲ კავაისძის ტოლეული წმიდასა ღმრთისმშობელსა ხახულისასა და მუნ შინა გაჩენილსა ტრაპეზსა მთითა, ბარითა, ტყითა, ველითა, წყლითა, წისქუილითა, და ყოვლითა სამართლიანითა ზღვრითა და მიმდგომითა მისითა, საჯმრითა და უჯმრითა მკუიდრად, თავისუფლად და შეუვალად ყოვლისა შესავლისა და გამოსავლისაგან, ვითა თუით სხუანი საქონელნი მის მონასტრისანი აზადნი და შეუვალნი არიან" [5]. მარ-

---

[1] შეწირულების სიგელი ბაგრატ მეოთხისა შიო-მღვიმისადმი, ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 5—6.

[2] შეუვალობის განახლების სიგელი გიორგი მეორისა შიო-მღვიმისადმი, ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 10.

[3] ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიო-მღვიმისადმი, ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 12—18.

[4] შეწირულების სიგელი თამარ მეფისა გელათისადმი, ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 25.

[5] იქვე, გვ. 26.

თალია „ყოვლისა შესავლისა და გამოსავლისაგან“ ... თავისუფალია, მაგრამ მას ვალად აწევს თორმეტი მწირის გამოკვება. ასე რომ, ეს „თავისუფალი“ გლეხი მეორე არანაკლებ მძიმე უღელშია თავგაყოფილი.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს „თავისუფლებით შეწირულნი“ სხვა კატეგორიებთან შედარებით უფრო იოლ მდგომარეობაში იმყოფებიან. საერთოდ, განსხვავება გლეხების მდგომარეობისა რთულია, რადგან ყველა კატეგორიის გლეხის მდგომარეობა მძიმეა. რაც შეეხება ზემოთაღნიშნული კატეგორიის გლეხებს, ისინი შეიძლება მართლაც განსხვავებულ მდგომარეობაში იყვნენ სხვებისგან, მაგრამ მათ ექსპლოატაცია მთელი სიმძიმით აწვათ. სამოხელეო და საბატონო გადასახადებიდან გათავისუფლება სრულიადაც არ ნიშნავდა იმას, რომ უფრო მძიმე მოვალეობას არ დააკისრებდნენ გლეხს ერთი მხრივ შემწირველნი, ხოლო მეორე მხრივ ახალი პატრონი (ეკლესია).

ამგვარად, აღნიშნული კატეგორიის (შეწირული) გლეხების არსებობა პირდაპირ მიგვითითებს, ერთი მხრივ, მწვავე შინაკლასობრივ ბრძოლაზე, რადგან თვით შეწირვა მხოლოდ შემწირველის ღვთისადმი პატივისცემით კი არა, არამედ გარკვეული იძულებითი აუცილებლობით უნდა ავხსნათ, ხოლო, მეორე მხრივ, გლეხთა მწვავე ექსპლოატაციაზე, რაც თვით მის გასხვისების პროცესს სდევდა თან. ისტორიულ საბუთებში დამოწმებულია „მეორშაფათე გლეხი“ და „საკვირაო გლეხი“. თუ კი „შეწირული“, „ნასყიდი“, „ნებიერი“ კატეგორიის გლეხების რაობა და მდგომარეობა სავსებით ნათელი და გარკვეულია, აღნიშნული ორი სახის გლეხთა შესახებ მათი წყაროებში მცირედ მოხსენების გამო (ორივე ეს ტერმინი მხოლოდ თითოჯერ გვხვდება წყაროებში) მხოლოდ ვარაუდი შეიძლება გამოითქვას. ამ კატეგორიის გლეხთა არსებობაც მძიმე ექსპლოატაციაზე მიგვითითებენ, რადგან მათი წარმომავლობა თავისუფალ გლეხებიდან უნდა იყოს. ისინი ალბათ იძულებული გახდნენ ეკონომიური სივიწროვის გამო თავიანთი თავისუფლების ნაწილობრივ დათმობაზე წასულიყვნენ. ე. ი. ფეოდალს (პატრონს) ეყმობიან იმ პირობით, რომ წელიწადის მხოლოდ გარკვეულ დღეებში ემსახურონ მას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს მიერ მოტანილ ერთ-ერთ ცნობაში „გარეთმოსულნი ქაჩაბურაჲსძესთან“ ერთად იხსენება „მეორშაფათე გლეხი პატარ“ [1], რომელიც წყაროს მკაზმავი ჩანს. მართებულად გვეჩვენება მ. ბერძნიშვილის მიერ გამოთქმული აზრი, რომ ეს პატარა მღვიმის მიმართ იყო „მეორშაფათე“ და იგი ორშაბათობით ემსახურებოდა წყაროს კაზმვის საქმეს [2]. სიგელის გამოცემის დროისათვის იგი, როგორც ჩანს, კარგავს „მეორშაფათეობას“ და მღვიმის განკარგულებაში მთლიანად გადადის.

რაც შეეხება „საკუირაო გლეხს“ იგი ლაშა-გიორგის შიო-მღვიმისადმი გაცემულ სიგელში იხსენიება: „და გაგუიშუია ზროხისა შებმაი, რომელი ზედა ედვა უდაბნოისა მღუიმისა სოფელსა აგარასა, რაც მღუიმისაი არს საკუირაოისა გლეხითურთ“ [3]. როგორც ჩანს, საქართველოს მეფეს „ზროხის შებმის“ ვალდებულება მოუხსნია აგარის გლეხებისათვის და მათ შორის „საკვირაო გლეხისთვისაც“. ამ კატეგორიის გლეხის ცალკე გამოყოფა სიგელში უთუოდ საგულისხმო უნდა იყოს და, ალბათ, ის გლეხები უნდა იყვნენ, რომელთაც პატრონის სასარგებლოდ შრომა რამდენიმე კვირით ევალებოდათ. ექსპლოატაციის გაზრდამ თავის მხრივ განაპირობა XII—XIII სს-ში „მეორშაფათე“ და „საკვირაო“ გლეხების გაქრობა, რაც ბატონყმური ურთიერთობის განვითარების მაღალ დონეზე მიგვითითებს [4].

ამგვარად, ზემოთ მოყვანილი მასალიდან შეიძლება დამტკიცდეს, რომ XII საუკუნეში მიმდინარე მწვავე შინაკლასობრივი ბრძოლა თავის გავლენას აჩენდა გლეხთა ექსპლოატაციაზე. ამ პერიოდში ძლიერია კლასობრივი ბრძოლაც. ფეოდალთა ძალმომრეობა მძიმე უღელს ადგამდა გლეხობას, ეს უკანასკნელნიც იძულებულნი ხდებოდნენ გარკვეული

---

[1] შეწირულების სიგელი თამარ მეფისა შიო-მღვიმისადმი, ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 32.

[2] მ. ბ ერ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი, გლეხთა კატეგორიები XI—XII ს-ში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, V, ნაკ. I, გვ. 156.

[3] გამოსაღების გაშვების სიგელი ლაშა-გიორგისა შიო-მღვიმისადმი. ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 36.

[4] მ. ბ ერ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 157.

ბრძოლით ეპასუხათ ასეთი მოქმედებისათვის. სახელმწიფოს მიერ გამოცემული კანონი მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლა კლასობრივი ბრძოლის აშკარა ანაბეჭდია. თვით ის ფაქტი, რომ გლეხთა მრავალი კატეგორია არსებობდა XII საუკუნის საქართველოში, ნათლად ადასტურებს ფეოდალებსა და გლეხებს შორის მწვავე კლასობრივი ბრძოლის არსებობას.

XII საუკუნის საქართველოში მატერიალური დოვლათის მწარმოებელ ცალკე სოციალურ ფენას ჰქმნიდნენ ხელოსნები, რომლებიც მრავლად ყოფილან ძირითადად ფეოდალურ ქალაქებში. ქვეყნის საერთო ეკონომიური ზრდის ფონზე აღმავლობა იწყეს ქალაქებმა, რაც საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლებით იყო გაპირობებული. საქალაქო მეურნეობის განვითარებისადმი დიდ ინტერესს იჩენდნენ არა მარტო ხელოსნები და ვაჭრები, არამედ ფეოდალური არისტოკრატიაც. ქალაქების დაუფლებისათვის ბრძოლა მნიშვნელოვანი მომენტი გახდა შინაფეოდალურ ურთიერთობაში. ქალაქები XII საუკუნისათვის წარმოადგენენ არა მარტო ქვეყნის, ან მხარის პოლიტიკურ ცენტრს, არამედ სავაჭრო და სახელოსნო ცენტრსაც[1].

განვითარებული ფეოდალიზმის ხანის საქართველოში დაწინაურებული ჩანს ხელოსნობის სხვადასხვა დარგები: მეთუნე-მეკეცეობა, მეჭურჭლეობა, მჭედლობა, კალატოზობა, დურგლობა, ოქრომჭედლობა, მეხამლეობა, მეპურეობა, მენელსაცხებლობა, წიგნების აკინძვა და სხვ. ფეოდალურ საქართველოში სხვადასხვა დარგის ფართოდ გავრცელებასა და განვითარებას მოწმობს არა მარტო ისტორიული წერილობითი წყაროები, არამედ ამ პერიოდის ხელოვნებისა და მატერიალური კულტურის ძეგლები. ხელოსნური წარმოების დარგები საგანგებოდაა შესწავლილი ქართველ ისტორიკოსთა მიერ და მის შესახებ დღეისთვის არსებობს სათანადო ლიტერატურა[2]. ჩვენ გვაინტერესებს არა ხელოსნობის განვი-

---

[1] Ш. А. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959, стр. 38—46. А. П. Новосельцев, В. Т. Пашуто, Л. В. Черепним, Пути развития феодализма, М., 1972, стр. 107.

[2] იხ. შ. მესხია, ხელოსნობა ძველ საქართველოში (V — XIII სს.) **საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი. მისივე, Города и городской строй феодальной Грузии, Тб.,** 1959, შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე, თბილისის ისტორია, თბ., 1958.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარება, არამედ თვით ხელოსანთა მდგომარეობა ფეოდალურ სახელმწიფოში.

დავით აღმაშენებლიდან მოყოლებული, როგორც ცნობილია, ქალაქის მმართველობა მეფეთა ხელში გადავიდა, მოქალაქეთა უფლებები თანდათან შეიზღუდა და ქალაქის სოციალურ ცხოვრებაში ფეოდალური არისტოკრატია გაბატონდა. ფეოდალური არისტოკრატიის შემოსევისაგან თავის დაცვის მიზნით ხელოსნები და ვაჭრები ერთიანდებიან თავისი საქმიანობის მიხედვით ცალკე ორგანიზაციებში — ამქრებში. ამქრები ცდილობენ ბაზარზე თავიანთი მონოპოლია გაავრცელონ და ამ გზით თავიდან აიცილონ სოფლებიდან მოწოლილი საბატონო ყმა-გლეხთა კონკურენცია [1].

ქალაქის მწარმოებელი საზოგადოების ყველაზე მრავალრიცხოვანი ფენა — ხელოსნებია, რომლებიც სოციალური თვალსაზრისით იყოფიან თავისუფალ და არათავისუფალ (ყმა) ხელოსნებად. ქალაქის თავისუფალ ხელოსანთა გვერდით იყვნენ მეფის, ქალაქის დიდგვარიანთა, ან კიდევ სოფელში მცხოვრებ ფეოდალთა მიერ ქალაქში გადმოყვანილი ყმა-ხელოსნები [2].

ქალაქებში მოსახლეობის სოციალურად ყველაზე დაბალ ფენას „ქალაქის გლახაკნი" შეადგენდნენ, რომლებიც XII საუკუნეში იმდენად მრავალრიცხოვანნი ყოფილან, რომ სამეფო ხელისუფლებას საგანგებო ყურადღება მიუქცევია მათთვის. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ წყაროები მიუთითებენ „სახლი საგლახაკოის" არსებობაზე. ეს გლახაკთა თავშესაფარი იყო, სადაც მათ სახელმწიფო თავის ხარჯზე ინახავდა. ამით იგი ქალაქის მოსახლეობის მაღალ ფენებს იცავდა ღარიბ-ღატაკთა შემოტევისაგან. ხელოსანთა მდგომარეობის ამსახველი ცნობები წყაროებში ძალზე მცირეა, მაგრამ ამ საკითხის წარმოდგენა მაინც შესაძლებელია. მოვიტანთ რამოდენიმე ცნობას ეპიგრაფიკიდან.

ს. ფოკას (ჯავახეთი) XI საუკუნის ეკლესიის წარწერა

---

[1] შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე, თბილისის ისტორია, გვ. 49.

[2] იქვე, გვ. 55.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვაუწყებს: „სახელითა ღმრთისაჲთა, მე ბავრელი ღირსეული მენ შენებისა წმიდაჲსა ამის ეკლესიისა. საფუძველი დაიდვა, მე თანა დავშუერ, ჯელოსანი ვიყავ ოქროპირისა ქართლისა კათალიკოზისა“ [1]. ამ წარწერიდან ჩანს, რომ ქართლის კათალიკოსს ხელოსნები ჰყავს, რომელთა შორის ბავრელს აუგია ფოკას ეკლესია. წარწერიდან ყურადსაღებია ის ადგილი, სადაც ხელოსანი ამბობს, რომ „მე თანა დავშუერ“-ო. როგორც ჩანს, ეკლესიის (იგი ერთნავიანია, XI საუკუნისათვის დამახასიათებელი მდიდარი მორთულობით) აგებაზე დიდი შრომა გაუწევია მის ამგებს, სოციალურად ფეოდალზე, ამ შემთხვევაში ქართლის კათალიკოსზე, დამოკიდებულ ხელოსანს.

საინტერესოა X საუკუნის კალიგრაფის, სხვადასხვა სასულიერო ნაწარმოებთა გადამწერის გაბრიელ პატარაის სიტყვები „ჭირნი კულა დიდნი მინახავანო“. ეს გაჭირვება უთუოდ გაბრიელის მძიმე მდგომარეობით უნდა აიხსნას. იგი თვით მიგვანიშნებს: „გაბრიელ ჰსკავილი და გაბრიელ ხორგაი დიად დამიდგეს თანა, ოდეს მიმჭირდის, მათ მივმართი, პურაი მციან, იოანე გაცუეთილმან კუტალითა ღვინო მომართვა“ [2]. ამდენად აქ საკუთარი თავის გამოკვების პრობლემაზეა ლაპარაკი. გაბრიელ პატარაი სოციალურად დაბალი ფენის წარმომადგენელი ჩანს, თავისი მდგომარეობით.

ფეოდალურ საქართველოში მწვავე კლასობრივი ბრძოლის მაჩვენებელია იშხნის ძველი ტაძრის წარწერა (XI ს.): „სახელითა ღმრთისაჲთა, მე ანტონი იშხნელ მთავარ ეპისკოპოსმან განვაახლე და განვასრულე წმიდა ესე ტაძარი ღმრთი-

---

[1] ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959, გვ. 33. ქართლის კათალიკოსის ოქროპირის მიერ ფოკაში ეკლესიის აშენება იმაზე მიუთითებს, რომ ეს ადგილი მცხეთის ეკლესიის მამული ყოფილა, რასაც ერთი გვიანდელი საბუთიც ადასტურებს — სოფ. ფოკა მცხეთის საეკლესიო მამულების სიაშია შეტანილი (იხ. თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, 1897 წ. გვ. 196). აგრეთვე იხ. ნ. ბერძენიშვილი, მცხეთის საბუთი XI საუკუნისა, საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, 1967, გვ. 217—289.

[2] იხ. ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967, გვ. 60.

ციფრული ბიბლიოთეკა

ია კათოლიკე ეკლესია სადიდებლად ბაგრატ კურაპალატისა სალოცველად და სახსენებლად სულისა ჩემისა და ცოდვათა ჩემთა შენდობისათვის ქრონიკონსა: სნბ და ვაშენე ჭელითა ივანე მორჩაძსძისაძთა“ [1]. აქ საინტერესოა იშხნელი მთავარეპისკოპოსის ანტონის განცხადება, რომ ტაძარი „ვაშენე ჭელითა ივანე მორჩაძსძისაძთა“. ე. ი. ივანე მორჩაისძეს აუშენებია მთავარეპისკოპისის ბრძანებით ეს ტაძარი. საგულისხმოა, რომ ანტონი თავის აშენებულად თვლის მას და საკმაოდ დამცირებულად მოიხსენებს თვით უშუალო ამშენებელს. აქ ნათლად ჩანს პიროვნების დაუფასებლობა, ივანე მორჩაძსძის როლის დამცრობა. ეს ფეოდალური წყობილებისთვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი მოვლენაა — აშკარა ხაზგასმაა ტაძრის ამშენებლის სოციალურად დაქვემდებარებულ მდგომარეობაზე.

მნიშვნელოვანი ცნობებია მოცემული ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ აბუსერისძე ტბელის თხზულებაში, სადაც მოთხრობილია „გალატოზი“ ბოლოკ-ბასილის (XII საუკ.) მიერ ეკლესიის აგების ამბავი. ბოლოკ-ბასილი სოციალური მდგომარეობით ღარიბი გლეხია, ერთი უღლეული ხარის პატრონი. იგი საშოვარზე მიდის „მახლობლად თბილისისსა“. აბუსერისძე ტბელის თხზულების ტექსტიდან ჩანს, რომ გლეხები, ბოლოკ-ბასილის მსგავსად ხშირად დადიოდნენ საშოვარზე — მოსარეწელად“. მძიმე გაჭირვება გლეხობას იძულებულს ხდიდა შორსაც წასულიყვნენ, ოღონდ კი რაიმე სარგებელი ენახათ.

ნიშანდობლივია წმინდა გიორგის გამოცხადების ფაქტი, რომელმაც თურმე ბოლოკ-ბასილს უბრძანა: „აღმიშენე ტაძარი ჭელთა მიერ ოდენ შენთა და ნუმცა ვინ კადნიერი იქნების მუშაკობად და შუელად შენ თანაო“ [2]. ასე რომ, „გალატოზს“ ეკლესია ვინმეს მოხმარების გარეშე უნდა აეშენებინა.

---

[1] იხ. ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960, გვ. 13—14.

[2] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 111 — 122. ამ თხზულების შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 242—243.

მხოლოდ საკუთარი უღელი ხარის გამოყენებით. აბუსერიანმ-ტბელის მიერ გადმოცემულ ამბავში, ნათლად ჩანს ის მძიმე მდგომარეობა გლეხკაცისა, რომელსაც XII საუკუნის საქართველოში ჰქონდა ადგილი. თანაც ძალზე მოხდენილადაა გამოყენებული რელიგიური ზემოქმედების ფაქტორი (წმიდა გიორგის გამოცხადება). სწორედ რელიგია უბიძგებს ამ შემთხვევაში გლეხებს მძიმე შრომისკენ („ნუმცა ვინ კადნიერი იქნების მუშაკობად და შუელად შენ თანა"). ბოლოკ-ბასილს თავისი ერთი უღელი ხარის გამოყენებით მხოლოდ საკუთარი შრომით აუგია ტაძარი. თხზულების თანახმად ბოლოკ-ბასილს სხვა ტაძარიც აუგია, მაგრამ აქ უკვე მშენებლობაში სხვებიც ეხმარებოდნენ („შენდობითა და კაცთა თანაშეწევნისაჲთა").

ტაძრების სამშენებლო წარწერათა განხილვა მეტად მნიშვნელოვან მასალას გვაძლევს მათ ამშენებელთა სადაურობის, ვინაობის და მდგომარეობის შესახებ. ჩვენთვის ეს უკანასკნელი მომენტია განსაკუთრებულად საინტერესო. ოშკის ცნობილ წარწერაში ნათქვამია: „მე გრიგოლ ღირს მყო ღმერთმან მსახურებასა ამას მათსა ღმრთისა მიმართ, და მე ვიყავ საქმესა ზედამდგომი" [1]. საინტერესოა თვით ტერმინი „საქმესა ზედამდგომი", რაც მშენებლობის ხელმძღვანელს უნდა ნიშნავდეს. XV საუკუნის მეორე მეოთხედში, რუისის ტაძრის წარწერაში დამოწმებულია ტერმინი „გალატოზთა ზედა მომგე" („გალატოზთა ზედა მომგესა შალვას შეუნდვეს ღმერთმან ამინ"). როგორც ერთი, ისე მეორე ტერმინი მიგვითითებენ შრომის გარკვეულ დანაწილებასა და მშენებლებს შორის ხელმძღვანელის ფუნქციის არსებობაზე. სავარაუდებელია, რომ სამშენებლო საქმეზე მრავლად იყვნენ ხელოსნები დასაქმებული და, ბუნებრივია, მათ გარკვეული ხელმძღვანელობა დასჭირდებოდათ. „საქმესა ზედამდგომი" და „გალატოზთა ზედა მომგე" სწორედ ეს (ხელოსანთა ჩვენს მიერ უკვე ხსენებული გაერთიანებების) ხელმძღვანელები არიან. ძველ ქართულ ისტორიულ ძეგლებში იხსენება ცალ-

---

[1] ე. თაყაიშვილი, 1917, წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, გვ. 48.

ვეული ტერმინები, რომლებიც ამა თუ იმ დარგის, ხელოსანთა უფროსის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო („გალატოზთუხეცესი"[1], „მკერვალთუხუცესი", „მხატვართუხუცესი", „მზარეულთუხუცესი" და სხვ.). ყოველივე ეს ხელოსნური შრომის მაღალგანვითარებულობაზე მიუთითებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოსნობის განვითარებასთან უშუალოდ იყო დაკავშირებული ვაჭრობა. XII საუკუნის საქართველოში ვაჭრობა განვითარებული ჩანს. ამ საქმეს საქართველოში ხელს უწყობდა თვით სამეფო ხელისუფლება. კეთილმოწყობილი სავაჭრო გზები უცხო სამყაროსთან დაკავშირების საშუალებას აძლევდა ქვეყანას. საქართველოს საშინაო და საგარეო ვაჭრობის მნიშვნელოვანი ცენტრი თბილისი იყო. მნიშვნელოვან სოციალურ ფენას წარმოადგენდნენ ვაჭრები. ნაწილი ვაჭრებისა ამა თუ იმ ფეოდალის ყმები იყვნენ. ამის მიხედვით ყმა-ვაჭრები ჰყავდა მეფეს, ეკლესიას, აზნაურებს. ვაჭართა ამ კატეგორიის წარმომადგენლები ქვეყნის შიგნით ეწეოდნენ აღებ-მიცემობას. ყმა ვაჭრები თავიანთ ბატონებს ემსახურებოდნენ, როგორც ფულით („თეთრი"), ასევე სხვა სავაჭრო საქონლით (ცვილი, მარილი და სხვ.)[2].

თბილისში მსხვილი ვაჭრები ქალაქის მოსახლეობის შედარებით პრივილეგირებულ წრეს ჰქმნიდნენ, ეწეოდნენ საქარავნო ვაჭრობას. დიდვაჭრების ხელში მნიშვნელოვანმა სიმდიდრემ მოიყარა თავი და ქვეყანაში დიდი გავლენითაც სარგებლობდნენ.

ვაჭართა ორგანიზაცია თავის კონტროლს ახორციელებს საქარავნო-სატრანზიტო ვაჭრობაზე. ყოველგვარი სავაჭრო საქმიანობისა და ოპერაციების განხორციელებას სავაჭრო ამხანაგობები, ე. წ. „ურტაღები" ახდენენ. ასე, რომ, ვაჭართა ორგანიზაციები საკმაოდ რთულ ორგანიზმს წარმოადგენდნენ ჩვენთვის საინტერესო პერიოდისათვის.

როგორც ვნახეთ, ვაჭართა შორის ღრმა დიფერენციაცია

---

[1] შდრ. ზემოთდასახელებულ „გალატოზთა ზედა მომგეს".

[2] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე და სხვები, საქართველოს ისტორია, 1958, გვ. 183.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომხდარა. ბექა-აღბუღას სამართლის მიხედვით „საპატიო ვაჭრის“ სისხლი 12 ათას თეთრად იყო შეფასებული და აზნაურის სისხლის ფასს უთანაბრდებოდა, გლეხის სისხლი მხოლოდ 400 თეთრად იყო შეფასებული[1].

დიდვაჭრები ურთიერთობას ამყარებენ ფეოდალურ არისტოკრატიასთან. ზოგიერთი დიდვაჭართაგანი თავისი ფულის შემწეობით მამულებს იგდებდა ხელთ და ამ გზით ფეოდალური არისტოკრატიის რიგებში გადადიოდა. ფეოდალური და მოქალაქეთა ზედაფენის ინტერესები ხშირად ემთხვეოდა ერთმანეთს, რაც ქალაქისა და საქალაქო ცხოვრების თავისებურ განვითარებას აპირობებდა.

XII საუკუნის საქართველოში ყმა-ვაჭართა მოსაქმეობის შესახებ ძალზედ ცოტა ვიცით წყაროების სიმწირის გამო. დავით აღმაშენებლის მიერ შიო-მღვიმისადმი მიცემულ ანდერძში მინიშნებულია ასეთი ფაქტი: „ქალაქს, ტფილის, რომელი სპარსთა ქონებასა ჰქონებია, და რომელი აწ უყიდია, და რომელი მე მომიჯსენებია იგი, და ანუ წაღმართ მოიგონ იგიცა, ყუელა უბაჟოდ და უსუხრაოდ ყოვლისა სასეფოჲსა გამოსავლისაგან ჰქონდეს“[2]. როგორც ჩანს, შიო-მღვიმის მონასტერს თბილისში ჯერ კიდევ ქალაქის შემოერთებამდე ჰყავდა ყმა-ვაჭრები. ასევე საინტერესოა გიორგი მესამის მიერ 1170 წელს შიო-მღვიმისადმი გაცემული სიგელის ერთი ადგილი: „ეგრეთვე ქალაქს, რომელ ქულბაგნი აქუან, ხუთნი სპარსობითგანვე და ოთხნი რომელ უკანის მოუყიდიან და შემოუწირვან, თავისუფალნი და უხარაჯონი საამიროისა, საამიდოისა, სარაისოისა, საგუსტასიბოისა და ყოვლისა სანუკვრისაგან.

აგრეთვე წმიდაი იგი უდაბნოი მღუიმე პირველად და მერმე საქონებელნი მათნი უბაჟონია ჩუენსა სამეფოსა შიგან ყოველგან, და ჩუენცა გაგუითავისუფლებიან ბაჟისაგან ვა-

---

[1] ბექა მანდატურთუხუცესის სამართალი, ი. დ ო ლ ი ძ ე. ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 289—290.

[2] ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიო-მღვიმისადმი, ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 14.

ვარნი და გლეხნი მათნი“ [1]. აქედან ჩანს, რომ შიო-მღვიმის მონასტერს მაჰმადიანთა ბატონის დროს ქალაქში ხუთი ქუჩა-ბაქი ჰქონდა, ხოლო ოთხი შემდეგ მიუღია, სადაც აღნიშნული მონასტრის ყმა-ვაჭრები მოსაქმეობდნენ.

არა მხოლოდ შიო-მღვიმის, არამედ სხვა ეკლესია-მონასტრებსაც ჰყავდათ სხვადასხვა ქალაქებში თავიანთი ყმა ვაჭრები და ხელოსნები. პროფ. შ. მესხია მიუთითებს, რომ «Несмотря на то, что в Грузии не было городов, целиком принадлежавших монастырям, церковные феодалы в большинстве городов были представлены в качестве собственников крепостных купцов и ремесленников, а также лавок и других сооружений»[2].

ძალზედ მცირე ცნობები გვაქვს სოციალურად დაბალი რანგის მქონე ვაჭრების მდგომარეობის შესახებ. სავარაუდოა, რომ ისინი, როგორც ყმა-ვაჭრები, მნიშვნელოვან ექსპლოატაციას განიცდიდნენ. მოვიტანთ ერთ ცნობას ნიკორწმინდის „დაწერილიდან“. „წონელამან მოჰკიდა ჩიხას სახლი მისი წმიდა ნიკოლაოსს და ყოველთა წელიწადთა მოსცემს მარილსა ლიტრასა ლ-სა“ [3]. ეს ცნობა თავის ნარკვევში „მოკიდებულისათვის“ მიმოიხილა აკად. ნ. ბერძენიშვილმა. [4]. მეცნიერმა ქართულ ისტორიულ წყაროებში დაცული მასალების გაანალიზების შედეგად დაასკვნა, რომ „მოკიდებული (მოკიდული) არის ის, ვინც მფარველობის ქვეშაა“ [5]. რაკი ასეა, მაშ „წონელამ მოჰკიდა ჩიხას სახლი მისი წმიდა ნიკოლაოსს“ ნიშნავს იმას, რომ წონელა თავისი სურვილით შევიდა სახლითურთ წმინდა ნიკოლაოსის მფარველობაში. ვინ არის თვით წონელა, საზოგადოების რომელ სოციალურ ფე-

---

[1] მამულის მფლობელობისა და შეუვალობის განახლების სიგელი გიორგი III-ისა შიო-მღვიმისადმი, ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 21—22.

[2] Ш. А. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959, გვ 69.

[3] ნიკორწმინდის იადგარი, ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 32.

[4] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, „მოკიდებულისათვის“, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 113—134.

[5] იქვე, გვ. 126.

ნას ეკუთვნის იგი? ეს საკითხიც მიმოიხილა ნ. ბერძენიშვილ-მა და წონელა ვაჭართა ფენის წარმომადგენლად მიიჩნია[1]. ჩვენი აზრით, ეს ვარაუდი სავსებით მართებული და გამართლებულია. თუ ნიკორწმინდის „დაწერილში“ მოტანილ მასალას მთლიანობაში განვიხილავთ დავრწმუნდებით, რომ წონელა გლეხი არ უნდა იყოს. მისი გლეხობის შესახებ არაფერია ნათქვამი თვით დოკუმენტში. მეორეც, ყურადსაღებია ის გარემოება, რომ თავისი სახლის „მოკიდების“ სანაცვლოდ წონელა მონასტრის სასარგებლოდ კისრულობს მარილს, ე. ი. არა სოფლის მეურნეობის რაიმე პროდუქტს, არამედ მარილს, ყოველწლიურად 30 ლიტრას. მარილი საქართველოში იმპორტის საგანი იყო[2] და მასზე ხელი უფრო მეტად ვაჭრებს მიუწვდებოდათ. ალბათ, წონელსაც რაიმე კავშირი ჰქონდა მარილით ვაჭრობასთან, რომ მისი „მოკიდების“ საფასურად მარილის გადახდა დაივალა. თუკი დავუშვებთ, რომ ჩვენს მიერ მოტანილ ცნობაში მოხსენებული წონელა ვაჭარია და რომ იგი თავისი სახლით (წონელას სახლი, როგორც ვარაუდობენ, ან სამეურნეო ერთეულია, ან მოსახლეობის ერთეული)[3] „მოეკიდა“ მონასტერს, მაშინ საინტერესოა თვით ამ მოქმედების (აქტის) მიზეზი. „დაწერილიდან“ წონელა იურიდიულად უფლებამოსილი პირი ჩანს. ამასთანავე ჩანს, რომ იგი თავისი ნებით შედის მონასტრის მფარველობის ქვეშ. აქ მხოლოდ ერთი ვარაუდი შეიძლება იყოს — ვაჭარი წონელა შევიწროებულია ექსპლუატაციის გამო და იგი იძულებულია თავისი ნებით გახდეს დამოკიდებული, მოეკიდოს პატრონს. თანაც იგი გარკვეული პირობით დებს ამ შეთანხმებას: ალბათ, მონასტრისგან იღებს თავისი საქმიანობის თავისუფლებას, ხოლო თვითონ ახალი პატრონის სასარგებლოდ კისრულობს გარკვეულ საზღაურს (30 ლიტრა მარილს).

მოტანილი ცნობა ნიკორწმინდის „დაწერილიდან“ გვაძლევს იმის დასკვნის საშუალებას, რომ XI—XII საუკუნე-

---

[1] იქვე, გვ. 124—125.

[2] იქვე, გვ. 123.

[3] იქვე.

ების საქართველოში ადგილი ჰქონდა ვაჭართა გარკვეულ ექსპლოატაციას, იქამდეც კი, რომ ზოგჯერ თავისუფლად მოვაჭრენი იძულებული ხდებიან თავისი ნებით შევიდნენ ამა თუ იმ პატრონის მფარველობის ქვეშ.

ამგვარად, XII საუკუნის საქართველოში მთელი სიგრძე-სიგანით ვხედავთ, ერთი მხრივ, მწვავე შინაკლასობრივ ბრძოლას, რომელიც მოიცავს მწარმოებელი საზოგადოების დაუფლებისათვის ბრძოლასაც, ხოლო, მეორე მხრივ, მოსახლეობის სოციალურად დაბალი ფენების (გლეხები, ხელოსნები, ყმავაჭრები) მძიმე ექსპლუატაციას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დასკვნა

ჩვენ თვალი გავადევნეთ ფეოდალური საქართველოს ისტორიის ერთ მნიშვნელოვან პერიოდს — XII საუკუნეს, ეპოქას, რომელიც ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული განვითარების მიხედვით ახალი ეტაპი იყო ფეოდალური სახელმწიფოს ცხოვრებაში, ამასთანავე აღსავსე სოციალური ძვრებით — კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლებით.

მიმოვიხილეთ საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებული ისტორიული წყაროები, რომელთაგან უმთავრესი მნიშვნელობა აქვთ ქართულ წერილობით წყაროებს. დღემდე შემორჩენილი ძველ ისტორიკოსთა თხზულებები ძირითადად გაბატონებული ფეოდალური კლასის — მეფის, დიდგვაროვანი საერო და სასულიერო არისტოკრატიის ისტორიას გადმოგვცემს, რაც ისტორიოგრაფიისა და პოლიტიკის ბუნებრივი კავშირითაა განპირობებული. ფეოდალური საქართველოს ისტორიკოსები გაბატონებული კლასის იდეოლოგები იყვნენ და მოვლენათა გაშუქებისას შესაბამის ტენდენციურობას იჩენენ. ამიტომ ჩვენ ამ წყაროებთან კრიტიკული მიდგომა მოგვიხდა და საინტერესო პრობლემასთან დაკავშირებით დაწვრილებით შევჩერდით სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური ისტორიის ამსახველ ისეთ დოკუმენტურ ძეგლებზე, როგორიცაა სიგელ-გუურჯები, აღაპები, ეპიგრაფიკული და არქეოლოგიური მასალა, სადაც რამდენადმე მოსახლეობის დაბალი ფენების ცხოვრებისა და სოციალური მდგომარეობის, მათი ფეოდალებთან ურთიერთობის საკითხებიცაა მოცემული. ნაშრომში სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომარჯვებულ იქნა არსებული აღმოსავლური და სომხური წერილობითი წყაროები.

არსებული მასალის რამდენადმე სიმცირემ, ხოლო ზოგჯერ ერთ და იგივე საკითხზე ინფორმაციის ნაირფერობამ აუცილებელი გახადა სხვადასხვა სახის ისტორიული წყაროების ურთიერთშეჯერება. სწორედ ამგვარი მიდგომის შემდეგ იქნა გაკეთებული რიგი დასკვნები ჩვენთვის საინტერესო პრობლემის ირგვლივ.

XII საუკუნის ფეოდალური საქართველოს ისტორიის შესწავლას თავისი ხარკი გადაუხადა ქართულმა რევოლუციამდელმა და საბჭოთა ისტორიოგრაფიამ. შესწავლილი იქნა მოცემული ეპოქის რიგი საკითხები, მათ შორის სოციალური ურთიერთობის ისტორიის ცალკეული საკითხებიც.

საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარებამ X საუკუნის დასასრულისა და XI საუკუნის დასაწყისისათვის ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება განაპირობა, რასაც ქვეყნის გაძლიერება — წინსვლა მოჰყვა. ფეოდალური საქართველოს გაძლიერებისა და ცენტრალიზაციის ტენდენციამ თავისი უკურეაქცია გამოიწვია საზოგადოების ცალკეულ ფენებში (დიდგვაროვან აზნაურთა ერთი ნაწილი, ეკლესიის რეაქციული ფრთა). ამ ცენტრიდანულ ძალებს ზურგს უცხოელი დამპყრობლები (ბიზანტია, თურქ-სელჩუკები) უმაგრებდნენ. პირველთ თავიანთი გავლენისა და მდგომარეობის შეზღუდვა-დაკარგვა ამოქმედებდათ, ხოლო მეორეთ საქართველოს გარეთიანება-გაძლიერება. სწორედ ამ დროიდან მოყოლებული (XI ს. დასაწყისი) განსაკუთრებული სიძლიერით მიმდინარეობს ბრძოლა სამეფო ხელისუფლებასა და დიდგვარიანებს შორის. ამ დ ე ნ ა დ, ფ ე ო დ ა ლ უ რ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი შ ი ნ ა კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ბ რ ძ ო ლ ი ს გ ა ძ ლ ი ე რ ე ბ ა თ ა ნ ხ ვ დ ე ბ ა ქ ვ ე ყ ნ ი ს გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ა ს.

მწვავე შინაკლასობრივმა ბრძოლამ და მომხდური გარეშეტრების (განსაკუთრებით თურქ-სელჩუკების) შემოსევებმა XI საუკუნის მეორე ნახევარში საქართველო პოლიტიკურად და ეკონომიურად მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. მიმოვიხილეთ რა ეს პერიოდი მივიჩნიეთ, რომ არ არის მართე-

